

სხანი შოპოლაქი

ნოემბერი, 2011, №73
ფასი 7 ლარი



ისტორიები

ბერა ივანიშვილი

ნინო ლომაძე

ჟან პოლ გოტიე

სიუზან ორლინი

ინტერვიუ

ქოტი ყუბანეიშვილი სამყაროს წინააღმდეგ

ნიკო ნერგაძე

ექსპერიმენტი

ცნობიერების ატვირთვის ხელოვნება

ზურა ჯიშკარიანი

ფოტოგრაფიები

ALL I KNOW

ბესო უზნაძე

ნარღვენი

ანა ტაბატაძე, ბექა ლონდარიძე

მოთხრობა

სხრა მთას იქით-აქით

რეზო თაბუკაშვილი

საავტორო

ფრანკფურტის ბაზრობის შემოგარენი

აკა მორჩილაძე

ISSN 1512-2220



Heinz



100% ნატურალური
ინგრედიენტები

ტრადიციული ხარისხი 1869 წლიდან



მომავალზე უფრო
DI MODENA

სარჩივი

მთავარი რედაქტორი
 ნინო ჯაფარიძე
 რედაქტორის ასისტენტი
 მარიამ სამადაშვილი
 რედაქტორ-სტილისტი
 რატი ქართველიშვილი
 კორექტორი
 თამარ ლონდაძე
 ფოტორედაქტორი
 გიორგი ნადირაძე
 დიზაინი

თორნიკე ლორთქიფანიძე
წომარჯა მუშაობდა:
 ნინო ლომაძე, დავით ბუხრიკიძე, ნინო ბექიშვილი,
 ნიკო ნერგაძე, გაგა ნახუცრიშვილი, აკა მორჩილაძე,
 ანა კორძაია-სამადაშვილი, თამარ ალავეძე, ზურა
 ჯიშკარიანი, ლადო კილასონია, ნინო ჩიმაკაძე, ნინო
 ნატროშვილი, რეზო თაბუკაშვილი, ალექს ჩიღვინაძე,
 ლევან ბერძენიშვილი, გიორგი ლობჯანიძე, ნინო
 ტეფნაძე, ლაშა ბაქრაძე, ნათია გულიაშვილი, თამარ
 კვინიკაძე, გიორგი ცხადაია.

წომო:
 ბესო უზნაძე, ლევან ხერხეულიძე, დარო სულაკაური,
 მაკა გოგალაძე.

ილუსტრაცია:
 ნიკა მაჩაიძე, სოფო ელიაშვილი
გიჟნასის განვითარების მენეჯერი
 რუსუდან ფურცელაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობა
 ლელა შუბითიძე
კლიენტთა მომსახურების მენეჯერი
 ნათია რუსაძე

პარტნიორებთან ურთიერთობის მენეჯერები:
 ლევან ჯაბუა, სოფო პაპუნაშვილი, ქეთევან
 ქავთარაძე, ქეთევან მეგრელიძე, ელენე ხარაზაშვილი,
 მარიამ მიქელაშვილი, ზურაბ ზანდარაშვილი, თინა
 ოსეფაშვილი.
დისტრიბუცია
 მიხეილ გედენიძე



გამოცემლობა:
 შპს „მედია ჰაუსი დეკომი“
 მისამართი: თბილისი 0183,
 ფლენტის ქ. 35.
 ტელ.: 2471007
სსკა გამოცემაში:
 „ლიბერალი“, „ზიზნესი-ადამიანები, მეტოდეები,
 სტრატეგიები“, „დილოგი“.
სტამბა:
 „სეზანი“, თბილისი, წერეთლის 140, ტელ.: 2 357002
შურნალის გამომცემის მსურველებს დაარსებით:
 2962311, 2910151 პრეს-ექსპრესი
 ჟურნალი გამოდის 2004 წლის 25 დეკემბრიდან
 © „მედია ჰაუსი დეკომი“ საავტორო უფლებები
 დაცულია. ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების
 ნაწილობრივი ან მთლიანი გამოყენება გამომცემლობის
 ნებართვის გარეშე აკრძალულია.



ყდაზე ბერა ივანიშვილი
 ილუსტრაცია ნიკა მაჩაიძე



სხალი შოქოლადი
 N73, ნოემბერი 2011

რედაქტორის სვეტი	6	კულტურული ვირუსები
წარდგენა	10	ანა ალექს ტაბაბაძე, ბექა ლონდარიძე
ანონსი	12	არტ-შემოდგომა თბილისში დავით ბუხრიკიძე
რესტორნის კრიტიკა	18	ჭამა ამერიკულად თამარ კვინიკაძე
საავტორო სვეტი	20	სულ ზემი ანა კორძაია-სამადაშვილი
	22	აგონია წუმბეში გაგა ნახუცრიშვილი
	24	სხვისი სურვილების ტყვეობაში ნინო ბექიშვილი
	26	პლანშეტები, პლანშეტები, პლანშეტები... ნინო ნატროშვილი
დისკუსია	27	სტუდენტების პროტესტი გიორგი ცხადაია
მიმოხილვა	32	მესამე „ტერმინალის“ გასასვლელი დავით ბუხრიკიძე
რეპორტაჟი	38	ლაშაზი ქალების სოფელი ნინო ბექიშვილი
ისტორიები	46	ბერა ივანიშვილი ქართული ოცნებების ფაბრიკა ნინო ლომაძე
ინტერვიუ	54	კოტე ყუბანიშვილი სამყაროს წინააღმდეგ ნიკო ნერგაძე
თარგმანი	60	გოტიეს ფანტაზიების სამყარო სიუზან ორლინი ინგლისურიდან თარგმნა თამარ ალავეძე
ექსპერიმენტი	74	ცნობიერების ატვირთვის ხელოვნება ზურა ჯიშკარიანი
ფოტოპროექტი	80	all I know ბესო უზნაძე
საავტორო	90	ფრანკფურტის ბაზრობის შემოგარენი აკა მორჩილაძე
ესე	96	საქართველო და რაგბი ლადო კილასონია
მოთხრობა	104	ცხრა მთას იქით-აქეთ რეზო თაბუკაშვილი
რეცენზია	108	ფშაველი შამანი ალექს ჩიღვინაძე
	116	ვაჟა-ფშაველა დღეს ლევან ბერძენიშვილი
მუზეუმი ჟურნალში	112	ვაჟას სიზმარი ლაშა ბაქრაძე
ნიგნები	114	ოდენ კუთხეში, ნიგნით ხელში გიორგი ლობჯანიძე „ობოლ“ – შორიდან მოყოლილი ამბავი ნინო ტეფნაძე

FOOTWEAR

ACCESSORIES

FACTORY

by Jeans Gallery



BENSIMON



FALKE



Factory by Jeans Gallery, Shopping@ Axis, ად. ყაზბეგის გამზ. 24, Tel: 231 26 33

Factory by Jeans Gallery, Tbilisi Central, II სართული, ვაგზლის მოედანი 2, Tel: 8790 559531

Find us on:
facebook.
ID: Jeans Gallery



კულტურული ვირუსები

ნინო ჯავახიშვილი
მთავარი რედაქტორი

მე მჯერა, რომ ერთ დღესაც, როდესაც ცა ჟანგისფერი იქნება, მზე კი – შორი, დილა თვალს გაახელს და პირველად ჩაისუნთქავს. მიუხედავად იმისა, რომ მისი მოგონებები ჩვენი კოლექტიური გამოცდილების ფრაგმენტები იქნება, სხეული კი – ერთ-ერთი ჩვენგანის კლონი, არავის მთელ სამყაროში, მათ შორის, არც დილას არ ეცოდინება, რომ იგი ათასი წლის წინათ მომავლის დასაპაკად შექმნეს.

დილას დაბადების ისტორია უცნობი დარჩება, ვიდრე მიტოვებული ბიბლიოთეკის დაობულ არქივებში ან ძველმანების ბაზრობაზე ვინმე შემთხვევით არ გადაანყდება 2011 წლის ნოემბრის „ცხელი შოკოლადის“ გაყვითლებულ ნომერს და აღმოაჩენს, რომ ეს არსება წარსულიდან გაგზავნილი ნაღმია.

ჩემი აზრით, „ცხელი შოკოლადის“ ეს ნომერი მომავლის წინასწარ შეცნობის მცდელობაა. მგონი, ჩვენი ყველა ნომერი, შესაძლებელია, გაუცნობიერებლად, მაგრამ სწორედ ამ ჩანაფიქრით იქმნებოდა.

თუკი მომავალი ბოლომდე განპირობებული არ არის, ჩვენ შეგვიძლია, მომავლის შექმნა დღეს დავიწყოთ, დავაკვირდეთ თითოეულ მოვლენას ერთიანი რეალობის მუდმივი ტრანსფორმაციის პროცესში და ჩვენი შტრიხები შევიტანოთ მომავლის სურათში.

„ცხელი შოკოლადის“ ამ ნომრის გამირებიც ანწყოსა და მომავლის საზღვარზე არსებობენ და ჩვენს მომავალს ქმნიან. დღისეული ლამაზი ქალები, რომლებსაც მამაკაცების საუბარში ჩარევის უფლება არ აქვთ, შვილებს ინგლისურს ასწავლიან; 60 წლის კოტე ყუბანეიშვილი, ძველებურად, სამყაროს ებრძვის, მისი მთავარი მოტივი კი, საკუთარი თავის ხელახალი ტრანსფორმაციაა; მეზღვაურის ზოლებიან მაისურში გამონყობილი „ჭირვეული ბავშვი“,

60 წლის ჟან პოლ გოტიე, პარიზულ ბოჰემას საკუთარი კატის კონსერვის ქილისგან გაკეთებულ სამაჯურებს აცვამს და მოდის ახალ რეალობას ქმნის; ქართველი სტუდენტები, რომლებიც ჯერ კიდევ ძალიან სუსტები არიან, იმისთვის, რომ საბჭოთა მემკვიდრეობა წაშალონ; სტივ ჯობსი, რომელიც „ცდუნების ვაშლით“, მთელი ცხოვრება ერთფეროვან რეალობას ებრძოდა, სიკვდილის წინ თავისივე შექმნილ ეპოქას ანგრევს.

ყველა, ვინც ჩვენი საინფორმაციო სივრცით მანიპულირებს, ერთგვარი მედია-ვირუსია, რომელიც ავტორებმა, ან გარემომ, სამყაროს პროგრამის შესაცვლელად შექმნა.

ასეთი ვირუსია დილა, ზურა ჯიშკარიანის მიერ შექმნილი უცნაური არსება, რომელიც კიბერნეტიკულ ანაბიოზში დარჩება მანამ, სანამ შორეულ მომავალში არ გამოილივიძებს. ასეთივე ვირუსია ბერა, რომელიც დღევანდელ ქართულ რეალობას „შეეყარა“. კულტურული ვირუსის სახით არსებობას განაგრძობს ვაჟაფშაველაც, რომელიც დღესაც ახერხებს რეალობის ქსოვილის ტრანსფორმაციას.

მომავლის შექმნის პროცესში ყველაზე სახიფათოა, ხისტი სამყარო დააპროექტო, რომელიც წინასწარ იქნება განსაზღვრული და წარსულში დაგტოვებს.

დღეს აღარაა საინტერესო სამყაროს ცალკეული ნაგლეჯები როგორც ხელოვნების ნიმუშები. შემოქმედების პასუხისმგებლობა იმაშია, რომ შეძლოს ისეთი კულტურული ვირუსების აღმოჩენა და შექმნა, რომელიც უცნობ სამყაროს დაგახვედრებს მომავალში.

იგივე ამოცანა აქვს „ცხელ შოკოლადსაც“, რომელიც სხვა საინფორმაციო ვირუსების მსგავსად, ანწყოსა და მომავლის შეხვედრის საზღვარზე იმყოფება.



SINCE 1884

SARAJISHVILI

სარაჯიშვილი

დგება ხოლმე დრო, როდესაც მთელი ქვეყანა ერთგვარ ფონეტიკურ თამაშში ერთვება და კონკრეტული სიტყვები უცრად აქტუალური ხდება. ხშირი გამეორების შემდეგ სიტყვა რაღაც მისტიკურ მნიშვნელობას იძენს. რამდენიმე წელია ეს თამაში აღარ გვითამაშია. როდესაც მსექტემბერს ბერა ივანიშვილს პირველად შევხვდი, ვიფიქრე, რომ ახალი სიტყვა უკვე არსებობს, და რომ ახლა, ეს არის სიტყვა - „ოცნება“.

„ქართული ოცნების სტუდიაში“ პირველი სტუმრობისას ინტერვიუ არ ჩამინერია. იმ დღეს ერთმანეთი გავიცანით და მომავალი წერილის შესახებ ვისაუბრეთ. ნამოსვლის წინ სტუდია დავათვალიერე.

უკანა გზაზე მივხვდი, რომ შეუძლებელია ვუაერისტის ვნება დაძლიო, როდესაც მწვერვალზე ხვდები. სხვა თუ არაფერი, საინტერესოა, როგორ ჩანან ადამიანები ამ სიმალეებიდან. იქიდან, სადაც მოდუნების, მოსვენების წამის მოხელთება შეუძლებელია.

მაინტერესებდა, რას ნიშნავდა – მილიარდერის შვილი იყო და ვარსკვლავობაზე ოცნებობდა. მაინტერესებდა, როგორი იყო თავისუფლებაზე ფიქრი ამ სივრცეში. მაინტერესებდა, არსებობდა თუ არა ზომიერება ჰიპერბოლიზებულ რეალობაში, სადაც ორი უკიდურესი განცდა არსებობს – სულის შემზუთავი სიყვარულის, მადლიერების, ან მთელი არსებით შეძლების.

დღეს, ტექსტი ბერა ივანიშვილზე ჟურნალში იბეჭდება, თუმცა, მგონია, რომ ეს ისტორია, ჯერ მხოლოდ იწყება.

ენო ლომაძე



ენო ლომაძე

ერთ-ერთ წიგნში კასტანედა წერს: „ერთადერთი რეალური რამ – არის არსება შენში – რომელიც მოკვდება“. მრავალსაუკუნოვანი ტაბუ სიკვდილის ფენომენზე, დაგროვილი ცრურწმენები – ყველაზე ხელისშემშლელი ფაქტორია ამ საოცარი მოვლენის „გაცნობიერებისთვის“.

დაბადება და სიკვდილი უკანასკნელი ტაბუებია, ის, რაც აქამდე მხოლოდ „ღმერთის“ ან ბუნების კომპეტენცია იყო. შესაბამისად, ეს ტერიტორიები შეუსწავლელია და ჰგავს მსოფლიოს ძველ, გულუბრყვილო რუკებს, რომლებიც სავსეა მითებით, პროექციებით და უზუსტობებით. თუმცა, როგორც ზღაპრებში ხდება – ჩვენ გვყავს ჩვენი გიდი ამ უცნობ მინებზე, ეს გიდი ძველბერძნულ ქარონს ჰგავს, ფსიქოდელურ ვიზიონერს მაღალტექნოლოგიურ ნავში, რომლის მისია სიკვდილის შემდეგ ადამიანების ერთი ნაპირიდან მეორე ნაპირზე გადაყვანაა.

ჩემთვის სიკვდილი ცხოვრებაში ყველაზე საინტერესო მოვლენაა – შესაბამისად, მაინტერესებს პოსტ-ბიოლოგიური არსებობის შესაძლებლობებიც. ტექნოლოგიები ფსიქოდელური ტრანსპორტია ამ ექსპერიმენტალურ სფეროებში სამოძრაოდ, ჩემი აზრით, თანამედროვე ხელოვნება უნდა შეიარაღდეს ახალი სპეკულაციური თეორიებისა თუ ჰაიტექის ინსტრუმენტებით და საკუთარი უნიკალური გამოძიებით მიუახლოვდეს ამ საზღვრებს. პროექტები, რომლებზეც სტატიაში ვწერ – დამუშავების პროცესშია და პირდაპირ კავშირშია ციფრული ამყაროს, სიკვდილის და ვირტუალური

უკვდავების თემებთან. „ბევრი არტისტი გაურბის არტისტული იდენტიფიკაციის შეზღუდვებს იმით, რომ თავისუფლად დაცურავს მეცნიერებისა და ტექნოლოგიის, მისტიციზმისა და ფილოსოფიის სპეკულაციურ ზონებში. კატეგორიებისგან ემოციურად და ინტელექტუალურად გათავისუფლება და ახალი რეალობების, ახალი ენის, ახალი პრაქტიკის შექმნა არის სწორედ ის, რასაც არტი ჰქვია“.

ზურა ჯიშარიანი

რაზე წერს ადამიანი? ალბათ, იმაზე, რაც კარგად იცის და მოსწონს, უყვარს, ან პირიქით, არ უყვარს და უნდა, რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა გაიგოს ამის შესახებ.

რეგბი, მგონი, ერთადერთი რამეა, რაც მეტ-ნაკლებად კარგად ვიცი და რაც არასოდეს მბეზრდება. შეიძლება, ხასიათზე არ ვიყო, ან თავზე უამრავი საქმე მეყაროს, მაგრამ რეგბიზე ლაპარაკი არასოდეს მწყინდება.

ამ ბოლო წლებში რეგბი მაგარი პოპულარული გახდა ჩვენში და როგორც მაგნიტი ხურდებს, ეგრე კრეფს იმ თვისებებს, რომლებიც არასოდეს გააჩნდა და სწორედ ამიტომ დავწერე ეს წერილი, სადაც ვცადე მეჩვენებინა ნამდვილი და არა გამოგონილი რეგბი, მთელი თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეებით, ვცადე, არ შემეკაზმა ლამაზი ტყუილებით, არც დამემახინჯებინა ზედმეტ სიღრმეებში ქექვით და მეჩვენებინა ისეთი, როგორიც არის – მხიარული, მწარე, ალალი.

ლადო კილასონია



ლადო კილასონია



თიბისი ბანკის iCard - საუკეთესო ბარათი ინტერნეტ შოპინგისთვის!



ინტერნეტით შოპინგის მოყვარულთათვის უკვე არსებობს სპეციალური პლასტიკური ბარათი - **iCard!**

ეს არის თიბისი ბანკის ახალი ვიზა კლასიკ ბარათი, რომელიც სწორედ ინტერნეტ შოპინგისთვის შეიქმნა: მაქსიმალურად მოქნილი, დაცული და იაფი პლასტიკური ბარათი, ყველაზე ხელსაყრელი საშუალება ინტერნეტ გადახდებისთვის.

ინტერნეტ შოპინგი საქართველოში დღითიდღე უფრო აქტუალური ხდება. ყოველთვის ურად, ვიზა ბარათებით დაახლოებით 10 ათასი ინტერნეტ გადარიცხვა ხორციელდება. ეს ციფრი მუდმივად იზრდება...

ეს ბუნებრივიცაა, რადგან ინტერნეტ შოპინგს ბევრი უპირატესობა აქვს: უზარმაზარი არჩევანი, შესაბამისი ხარისხი, არაჩვეულებრივი ფასდაკლებები, დროის ეკონომია, შენაძენები სახლიდან გაუსვლელად...

ეს ყველაფერი კიდევ უფრო მიმზიდველი ხდება, როცა გაქვთ **iCard!** ამ ბარათის წყალობით ინტერნეტ შოპინგი უფრო იაფი ხდება. **iCard**-ის წლიური მომსახურების საფასური ჩვეულებრივ ვიზა კლასიკზე დაბალია - სულ რაღაც \$10. სტუდენტებისთვის ეს თანხანახევრდება.

გარდა ამისა, **iCard**-ის მფლობელი საჩქაროდ მიიღებს ინტერნეტ ბანკისა და სმს სერვისის მომსახურებას, განევრიანდება **Smart Club**-ში და თითოეულ ინტერნეტ გადარიცხვაზე **Smart ქულები** დაერიცხება.

iCard-ის შეკვეთა შესაძლებელია როგორც თიბისი ბანკის ფილიალებში, ისე ინტერნეტით. პროცედურა მარტივია. ბარათი 2 სამუშაო დღეში მზადდება. ასე რომ, დროულად შეუკვეთეთ **iCard**, გაიადვილეთ შოპინგი ვირტუალურ სამყაროში და დაზოგეთ ზედმეტი დახარჯები თქვენი ბიუჯეტიდან.

☎ 227 27 27 | 📠 * 27 27

www.tbcbank.ge



ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს



ანა ალექს ტაბატაძე
მხატვარი

მის არქივში ფანქრით და ტუშით, ძალიან ნვრილი რაპიტოგრაფის საშუალებით დახატული პერსონაჟები ხშირად დაუსრულებელ, ქაოსურ ესკიზებად რჩებიან, მიუხედავად ამისა, ყველა მათგანს აქვს საერთო – სხვა სამყარო, ნახევრად რობოტი-ადამიანები და ფანტასტიკური არსებები sci-fi-ს ჟანრიდან, სადაც გამოგონილ დანადგარებს მიერთებული სხეულები „კვების წყაროს“ მათგან იღებენ, ან თავად მეტალის ეს ნაწილები წარმოადგენენ სხეულის „ბუნებრივ“ გაგრძელებას. ეს ანა ტაბატაძის სამყაროა. მელანქოლიური, ან სულაც ემოციებისგან დაცლილი, თითქმის აპოკალიპტური პერსონაჟების ხატვა მისთვის, ერთი მხრივ, იმის საშუალებაა, რომ მხოლოდ „მოცემული რეალობის არ სჯეროდეს“. მეორე მხრივ კი ეს არა სამეცნიერო ფანტასტიკიდან გადმოსული სხვა სამყარო, არამედ შესაძლოა დედამიწის შორეული, მაგრამ რეალური სურათი იყოს, დღევანდელიდან მომავლისკენ მისი კანონზომიერი განვითარების შედეგი.

იმას, რაც მისი ესკიზების ალბომიდან გამოაღწევს და პროექტებად იქცევა, ხშირად კოლაჟის ფორმა აქვს. ფოტოებს, რომლებსაც ამ კოლაჟებისთვის იყენებს, ინტერნეტში ეძებს და აგროვებს, ასე რომ ზოგჯერ სრულიად უცნობ მხატვრებთან ან ფოტოგრაფებთან სპონტანური კოლაბორაცია გამოსდის.

ანა ახლა ბერლინის ხელოვნების აკადემიაში ვიზუალური კომუნიკაციის ფაკულტეტზე ციფრულ და კომპიუტერულ ხელოვნებას, პროგრამირებას და საბაზისო კომპიუტერულ სწავლობს.

Everyday project, ანუ ყოველდღური ცხოვრების პროექტი, მისი მეგობრის „ვი-

რუსული“ იდეა იყო. იდეა იმაშია, რომ ყოველ ცალკეულ დღეს არტ-პროექტად აღიქვამს და განიხილავს და ამას ვიზუალურ ფორმას უძებნის.

ამავე პროექტის ფარგლებში, ანამ ციფრული რუკების საშუალებით საკუთარი ინტერესების ვიზუალიზება დაიწყო. მუსიკა – რომელსაც უსმენს, იდეები, იდეოლოგიები თუ კონკრეტული მოვლენები – რომლებიც მასზე გავლენას ახდენენ, პროექტები – რომლებსაც სხვადასხვა ადგილას, სხვადასხვა ადამიანთან ერთად ახორციელებს, საბოლოოდ 9 რუკაზე გამოსახა.

ერთ-ერთი ბოლო პროექტი მის მიერვე დაწერილი „არსებაა“, რომელიც ადამიანის ხმასთან ინტერაქციაში შედის – პროგრამის გახსნისას, სამკუთხედების ბადეს ხედავთ, რომელიც თქვენი ხმის ტონზე ემოციურ რეაგირებას იწყებს, თუ ხმამაღლა დაელაპარაკებით, სამკუთხედები იშლებიან და მოძრაობას იწყებენ, თუ ხმას ძალიან აუნევთ, „არსება“ რეაქციას მწვანე ბურთებით გამოხატავს, რომლებიც ფერს იცვლიან, მაგალითად, დაკვივლებისას წითლდებიან (რაც ანას ენაზე ტკივილს ნიშნავს), დაბალ, ღრმა ტონებზე კი მუქი მწვანე ხდებიან და მშვიდდებიან.

ანა ამბობს, რომ მისთვის ჯერ კიდევ ახალი, პროგრამული ენის და ტექნიკის გამოყენება მის ნამუშევრებში მხოლოდ ფორმას ცვლის და არა იდეას. პროგრამირებამ, რომლის ათვისებაც თავიდან უბრალო ინტერესით დაიწყო, დაანახა, რომ შესაძლებლობების იმდენად ფართო სივრცეს უხსნის, „ხვდები, რომ ყველაფერს შეგიძლია ფორმა მისცე და დააპროგრამირო, მხოლოდ იდეა გჭირდება“.

ბექა ლონდარიძე

პოეტი

ბექა ლონდარიძე გამორჩეული ხედვისა და ინდივიდუალური ხელწერის პოეტი. მას შეუძლია, სიტყვას ახალი შინაარსი მოუძებნოს და გამოიხსნას უფერული ყოველდღიურობის ტყვეობიდან:

„ – მისრიალებს კალმის წვერი, იმ სიტყვებს

გაურბის, რომელთაც წყალი აღარ გაუგვა“.

მისი სიტყვა შეკუმშული ინფორმაციაა, ერთგვარი კოდია, მისი პოეზია კი – სახესიმბოლოთა სისტემა, რომლის ამოცნობა ძნელია, რადგან მკითხველისგან გრძნობით და ინტელექტუალურ ძალისხმევას თანაბრად მოითხოვს; რაციონალურსა და ირაციონალურს, ნათქვამსა და უთქმელს შორის გასავლელი ლაბირინთია, რომლის დაძლევა ლექსის ემოციურ თანაავტორად გაქცევს და მთელი სიმძაფრით განგაცდევინებს ადამიანის შინაგანი ცხოვრების სირთულეს, თავად დროს, რომლისთვისაც:

„... უმნიშვნელოა, რომელია საათი – დაბადებას იუნყება თუ გარდაცვალებას“.

მისი პოეზია ამ უდროობაში დაკარგული ადამიანის ხმაა, არყოფნასა და ყოფნას შორის გადებულ ხიდზე სვლა – გზაა საკუთარი თავისკენ.

არსებობს „სარეკლამო გაჭრა“:

დაიბადა 1983 წლის 19 ნოემბერს. განათლებით სამართალმცოდნეა. ქართულ ლიტერატურულ პორტალებზე იცნობენ ფსევდონიმებით: ადამ კადმონი და იეჰოვას მოწმე. პერიოდულ გამოცემაში მისი ლექსები იბეჭდება პირველად.



VICHY

LABORATOIRES

შემოდგომა სასიამოვნო და მხიარული სიურპრიზების დროა

კომპანია ესე თავის ერთგულ მომხმარებელს
სთავაზობს ვიშის სასარქუაო ნაკრებებს
ხელმისაწვდომ ფასად

საშემოდგომო შემოთავაზება

ღარმოკოსმეტიკა
ვიშის ნაკრები 3 პროდუქტით:
გამწმენდი ლოსიონი,
კრემი და თერაპიული წყალი



სასარქუაო 2 ტიპისაა და განკუთვნილია
როგორც ახალგაზრდა, ასევე მოწიფული ასაკის
ქალბატონებისთვის

ჩემი ოჯახის ავთიკაჩი

PSP №1

არტ-შემოდგომა თბილისში

ხუთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც არ უნდა გამოტოვოთ

ავტორი ლავით ბუხრიკიძე



1 არტისტარიუმი

ნოემბრის თბილისის არტ-ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენად უდავოდ იქცევა „არტისტერიუმი“, რომელიც 1-10 ნოემბერს უკვე მეოთხედ გაიმართება. მეინსტრიმით გაჯერებულ, არცთუ დინამიურ სახელოვნებო გარემოში, ეს მოვლენა, თანამედროვე ვიზუალური ხელოვნების პულსაციას ნიშნავს. როდესაც 2008 წელს საქართველოში თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო დონის გამოფენების ჩატარების იდეა გაჩნდა, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ მას მხარი უყოყმანოდ დაუჭირა.

კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს გარდა, ლონისძიების პარტნიორები არიან აშშ-ს საელჩო საქართველოში, 2009 წლიდან პოლონეთის საელჩო, გოეთეს ინსტიტუტი, ბრიტანეთის საბჭო, დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრი.

სახელწოდება „არტისტერიუმი“ მომდინარეობს მეოცე საუკუნის დასაწყისში თბილისში არსებული ცნობილი მოდერნისტული არტ-კლუბიდან, რომელიც ცნობილი იყო ინოვაციური გამოფენებით, აქციებით და პოეზიის საღამოებით. ამ სახელწოდებით ორგანიზატორებს – ილიკო ზაუტაშვილს (არტისტერიუმის დირექტორი), მაგდა გურულს (კურატორი), ლიკა მამაცამ-

ვილს (გამოფენების კურატორი) სურდათ კავშირი დაემყარებინათ გასული საუკუნის 10-20-იანი წლების თბილისის სახელოვნებო ცხოვრებასა და დინამიკასთან. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ამ სახელწოდებით ხაზგასმულია თანამედროვე ხელოვნების ტრადიციების არსებობა საქართველოში; რომ სახვით ხელოვნებას ჩვენს ქვეყანაში დიდი ხნის ისტორია აქვს და გუშინ არ შექმნილა.

2011 წელს აქცენტირებულია ახალი ავტორები და ახალი ნამუშევრები. მთავარი სიახლეა გამოფენების ცენტრალური სივრცე – ეროვნული გალერეა (ყოფილი „ცისფერი გალერეა“), სადაც გამოიფინება ამერიკული და შვეიცარული საგამოფენო პროექტები და ნამუშე-

ერები. მნიშვნელოვანია, რომ „არტისტერიუმი“ განვითარებადი პლატფორმაა: მნიშვნელოვანია გამოფენების ხარისხის ამაღლება, მედიაში რეკლამა, ავტორთა გეოგრაფიის გაფართოება და რაც შეიძლება მეტი პარტნიორის მოძიება.

„არტისტერიუმს“ თბილისის რამდენიმე საგამოფენო დარბაზი უმასპინძლებს. ეროვნულ გალერეასთან ერთად, გამოფენები თეატრის, კინოსა და ქორეოგრაფიის მუზეუმში და წინანდლის ალექსანდრე ქავჭავაძის მუზეუმშიც მოეწყობა.

ახალი საგამოფენო სივრცისა და, შესაბამისად, ახალი პარტნიორების გამოძებნით, „არტისტერიუმს“, ცხადია, მეტი არტი შეემატება, ორგანიზაციული პრობლემები და ისტერია კი მოაკლდება. დანარჩენი უკვე მონაწილეთა შემოქმედებით ნიჭსა და წარმოდგენილი ნამუშევრების ხარისხზეა დამოკიდებული.

„არტისტერიუმში“ პირველად მონაწილეობენ იაპონელი მხატვრები. კურატორი მაგდა გურული აღნიშნავს, რომ იაპონიაში მომხდარი ტრაგედიის შემდეგ აღარც ფიქობდა, რომ პასუხს საერთოდ მიიღებდა: „ამ ტრაგედიისა და პრობლემების მიუხედავად, იაპონურმა ფონდმა „არტისტერიუმში“ ორი იაპონელი მხატვრის მონაწილეობა დააფინანსა. ჯუნიშირო იშისა და მასარუ ივაის ნამუშევრები გამოფენილი იქნება გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის გალერეაში „41 გრადუსი“. იაპონია მართლაც არის იმის მაგალითი, როგორი უნდა იყოს სახელმწიფოს დამოკიდებულება საკუთარი მოქალაქეებისა და კულტურის მიმართ“.

დაგეგმილია მასტერკლასებიც. ჰოლანდიელი ჰანა ბუნის, შვეიცარელი ფრანცისკა კოხის და ამერიკელი ელიზაბეტ კლეის საუბრები მუშაობის ტექნიკასა თუ დღევანდელი ხელოვნების მნიშვნელობის შესახებ, საინტერესო უნდა იყოს, როგორც ხელოვნების თეორეტიკოსთა, ისე ახალგაზრდა მხატვართათვის. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საგამოფენო პროექტი უელსიდან სამხატვრო აკადემიის საგამოფენო დარბაზში გაიმართება. მხატვრები – ლუის ვილიამსი და ანტონია დიუჰასტი კონტაქტს დაამყარებენ სტუდენტებთან უშუალოდ ექსპოზიციის კეთებისას, რაც ასევე საინტერესო იქნება სტუდენტებისთვის.

მაგდა გურული ამბობს, რომ ამგვარი კონტაქტებით და გამოფენებით საქართველო ნელ-ნელა იმკვიდრებს საკუთარ ადგილს თანამედროვე ხელოვნების რუკაზე, რითაც იზრდება მისი როლი და მნიშვნელობა მსოფლიო არტსაზოგადოებისთვის. ღონისძიებას ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდა თაობის ქართველი მხატვრებისათვის, რომელთაც არა აქვთ საშუალება იმოგზაურონ და გაეცნონ თანამედროვე ხელოვნების სიახლეებს; დაუკავშირდნენ უცხოელ მხატვრებსა და კურატორებს.

„არტისტერიუმი“ ერთგვარ პლატფორმად, ან შეხვედრის ადგილად იქცა ქართველი და უცხოელი მხატვრებისათვის. თანამედროვე ხელოვნების არსებობა (მისი კრიტიკული და პროვოკაციული ბუნებიდან გამომდინარე) ამ ქვეყნის დემოკრატიულობის და გახსნილობის ერთ-ერთი კრიტერიუმი, რადგან ის პირდაპირ არის დაკავშირებული კულტუროლოგიურ, სოციალურ, პოლიტიკურ თუ ფსიქოლოგიურ პრობლემებთან.

მსგავს ღონისძიებებს მნიშვნელობა აქვს კულტურული ტურიზმის განვითარებისთვისაც. თანამედროვე ხელოვნების ინფრასტრუქტურის განვითარება, შესაბამისი სახელოვნებო გარემოს შექმნა (რომლის ერთ-ერთ კომპონენტად შეიძლება არტისტერიუმიც მოიაზრებოდეს) ხელს უწყობს თანამედროვე ხელოვნებით დაინტერესებას საქართველოში და მისი კულტურის პოპულარიზაციას ქვეყნის გარეთ. თავის მხრივ, ეს დააჩქარებს საქართველოში თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის გახსნას, რაც დღემდე უდიდეს პრობლემად რჩება, რადგან წარმოდგენილია თანამედროვე ხელოვნების განვითარება არტცენტრების გარეშე რეგიონებსა და დიდ ქალაქებში.

უცხოელი სტუმარი, რომელიც საქართველოში ჩამოდის, შეუძლებელია მხოლოდ ბუნებით და ისტორიული ძეგლებით იყოს დაინტერესებული. მას სურს გაიგოს, რა ხდება ამ ქვეყანაში დღეს და ახლა. მისთვის მნიშვნელოვანია თანამედროვე ვიზუალური ხელოვნება, არქიტექტურა, მუსიკა, კინო... რაც მნიშვნელოვანი კრიტერიუმი თანამედროვე ხელოვნების თანამედროვე კონტექსტში აღსაქმელად. ასე რომ, „არტისტერიუმს“ თანამედროვე ხელოვნების გამო-

ცოცხლება და მოქმედების აღმძვრელი იმპულსის შექმნა შეუძლია.

2 ჯაზ-ფესტივალი

ვისაც ჯაზი უყვარს, ვერც წლევიანდელ შემოდგომას გამოტოვებს. 27-30 ოქტომბერს თბილისში უკვე მეთოთხმეტე ჯაზ-ფესტივალი გაიმართება. დამაინტრიგებელი, პირველ რიგში, ისაა, რომ ჯაზ-ფესტივალს 27 ოქტომბერს, თბილისის საკონცერტო დარბაზში, ქართული ჯაზის „დამსახურებული არტისტის“, თამაზ ყურაშვილის კვარტეტი და ჯაზის ცოცხალი ლეგენდის, საქსაფონისტ ჩარლზ ლოიდის ახალი კვარტეტი გახსნის. იმავე დღეს მსმენელი ცნობილი დრამერის, სონი ემორის პროექტს Cachet Fusion-ს შეაფასებს.

ჩარლზ ლოიდი ჯაზის დიდი კლასიკური თაობის წარმომადგენელია. დაიბადა მემფისში 1938 წელს. მუსიკისადმი ინტერესს ბავშობიდანვე ამჟღავნებდა. უკრავდა საქსოფონსა და ფორტეპიანოზე. უკვე 16 წლის ასაკში ქალაქის კლუბებში გამოდიოდა. მისი კუმირები ბი-ბი კინგი, ჯონი ეისი და სხვა ვარსკვლავები იყვნენ, რომელთა ჩანაწერებსაც ხშირად უსმენდა, შესრულებისას კი მათ ბაძავდა კიდეც. ლოიდის კვარტეტი 1966 წელს შეიქმნა, რომლის შემადგენლობაში კეიტ ჯარეტიც შედიოდა. ბენდმა მალე მსოფლიო ტურნე მოაწყო, რის შემდეგაც მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ჯაზ-ბენდად აღიარეს, ჩარლზ ლოიდი კი, წლის საუკეთესო ჯაზ-შემსრულებლად დაასახელეს.

ჩარლზ ლოიდის კვარტეტი პირველი ამერიკული ბენდია, რომელმაც კონცერტი საბჭოთა კავშირში გამართა – მოსკოვში, ლენინგრადსა და ტალინში, რაც იმ დროს სასწაულს უფრო გავდა. ამ ტურნეს შემდეგ ლოიდის დისკოგრაფიაში ალბომი In the Soviet Union გაჩნდა. 1966 წელს ჩანერილი ცოცხალი ალბომი Forest Flower კი პირველი ჩანაწერია, რომელმაც „ოქროს“ სტატუსი მიიღო და მთელ მსოფლიოში რამდენიმე მილიონიანი ტირაჟით გაიყიდა.

ამის შემდეგ ლოიდმა სცენა რამდენიმე წლით მიატოვა და მხოლოდ 1981 წელს დაუბრუნდა, როდესაც მიშელ პეტრუჩიანიმ თავის ბენდში მიიწვია. შე-



კადრი ფილიძის „მალანჟოლია“

დეგ, კვლავ სოლო კარიერისთვის მოიცალა და კიდევ ერთი, ახალი კვარტეტი ჩამოაყალიბა.

ამავე კონცერტის მეორე ცნობილი პერსონა, Grammy-ს მფლობელი, დრამერი სონი ემორი იქნება, რომელიც საკუთარ ბენდთან, Cachet Fusion-თან ერთად (ისააკ უესტი – ბასი და ვოკალი; კრის ჰარისი – გიტარა, ვოკალი; ბრაიან ლოპესი – საქსოფონი; რენდი ჰოქსტერი – კლავიში) დაუკრავს. ფესტივალს 29 ოქტომბერს „ჯაზ-როკის“ პიონერის, ლარი კორიელისა და მისი ტრიოს კონცერტი განაგრძობს, 30 ოქტომბერს კი ჯაზ-ფესტივალს „ნეო სოულის“ დედოფალი, ერიკა ბადუ დაასრულებს.

ოთხი „გრემის“ მფლობელი, ერიკა ბადუ, ალბათ, განსხვავებული გემოვნების მქონე ადამიანებს მოჰგვრის სიამოვნებას. ერიკა რაიტის (ეს მისი ნამდვილი გვარია) მუსიკალური კარიერა 7 წლის ასაკში იწყება, როცა მან მშობლიურ დალასში, სკოლის სცენაზე სოულის სტილის სიმღერები და საეკ-

ლესიო ჰიმნებიც კი შეასრულა. დედა მსახიობი ჰყავდა, ბებია – მომღერალი, რომელიც 70-იანი წლების სოულის სტილის სიმღერებს მაგნიტოფონით ასმენინებდა და გოგონას გემოვნების ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა.

მიუხედავად იმისა, რომ ერიკა ლუიზიანას უნივერსიტეტში, თეატრალური ხელოვნების ფაკულტეტზე სწავლობდა, პროფესიული მუსიკოსის კარიერაზე ფიქრი არასოდეს შეუწყვეტია. მღეროდა ადგილობრივ კლუბებში, ხოლო მას შემდეგ, რაც ცნობილმა მუსიკალურმა მენეჯერმა, კედარ მესენბურგმა მოისმინა და მისით აღფრთოვანებული დარჩა, დამოუკიდებელ სტუდიაში ჩაწერა შესთავაზა.

ერიკა ბედუს სადებიუტო ალბომი 1997 წელს, სახელწოდებით Baduzim (ცნობილ ბასისტ რონ კარტერთან და ჰიპ-ჰოპერებთან ერთად), რამდენიმე თვეში მილიონობით ტირაჟით გაიყიდა და რადიოჩარტებში მე-12 ადგილზე მოხვდა. ეს იყო ბრწყინვალე დასაწყისი,

რომელსაც თავბრუდამხვევი წარმატება და პირველი „გრემი“ მოჰყვა. მომდევნო ალბომმა Live კი განამტკიცა შეხედულება, რომ სოულის ჟანრს ახალი ვარსკვლავი შეემატა. მგრძნობიარე, ლამაზი და მოქნილი ხმის გამო მას ხან ბილი ჰოლიდის და ხანაც, ნინა სიმონეს ადარებდნენ, და ეს გადაჭარბება არ არის... მთავარია, მისი ხმის ფაქიზ ნიუანსებში სიყვარულის მოტივი და აფრო-ამერიკელი ქალების ბედი ერთმანეთში არ აგერიოთ!

„მისი სიმღერის მოსმენა სადამოობით, გაზაფხულზე გინდება. გააღებ ფანჯარას და გრძნობ ყვავილების, აკაციის და ატმების სურნელს... და ეს მუსიკა ისეთ შეგრძნებას ბადებს, თითქოს სიფხიზლე და სიმთვრალე არეული გაქვთ“ – წერს ერთ-ერთი მუსიკალური კრიტიკოსი ერიკა ბადუს ლირიკული ალბომის New Amerykah, Part Two შესახებ, რომელიც 2010 წელს გამოვიდა. და მაინც, თაყვანისმცემლების დიდ ნაწილს ერიკა ბადუს „ხმამაღალი“ ვოკალი და ფერა-



ნახეფახი
 ანთროპული ისტორიის
 ქართული კომპანია

ჯანმრთელობის საიდუმლო თვით ბუნებაშია

უკვე მეორე ათწლეულია, მთელ მსოფლიოში განსაკუთრებით პოპულარული ხდება ნატურალური, ეკოლოგიურად სუფთა მცენარეული საშუალებებისგან დამზადებული პრეპარატები და მათზე მოთხოვნა დღითიდღე იზრდება. ამ ტენდენციას არც საქართველო ჩამორჩება. კომპანია „ნატურფარმი“ უკვე ათი წელია ქართულ ფარმაცევტულ ბაზარს მცენარეული სამკურნალო-პროფილაქტიკური საშუალებებით ამარაგებს. გარდა იმისა, რომ მცენარეული საშუალებებისგან დამზადებული მედიკამენტები ეფექტიანია, მათ გვერდითი ჩვენებები პრაქტიკულად არ გააჩნია, რაც პრეპარატების მიღების შედეგად გამოწვეულ დამატებით გართულებებს გამორიცხავს. ზამთრის მოახლოებასთან ერთად განსაკუთრებით აქტუალური ხდება გაციების, ხველებისა და ანთების საწინააღმდეგო საშუალებები, რომლებიც გარდა ყველასთვის ცნობილი ქიმიური და სინთეზური სამკურნალო პრეპარატებისა, „ნატურფარმის“ მცენარეულ პროდუქციაშიც შეგიძლიათ მოიძიოთ. წარმოგიდგენთ რამდენიმე მათგანს:

ევალიანის ფოთოლი

ანტისეპტიკური და ანთების საწინააღმდეგო საშუალება.

ახასიათებს ამოსახველებელი და დამამშვიდებელი თვისებები.

ჩვენება: გამოიყენება პირის ღრუს და ლორწოვანი გარსის ანთებითი და სასუნთქი გზების რესპირატორული დაავადებების, ლარინგიტების დროს.

გამოიყენება ინფიცირებული ჭრილობების, აბსცესების, ფლეგმონის, ჩირქოვანი მასტიტის, ქალთა სასქესო ორგანოების ანთებითი დაავადებების შემთხვევებში.



კულმუსის ფესვი და ფესურები

ამოსახველებელი საშუალება.

პრეპარატი ხელს უწყობს ნახველის გადაადგილებას ქვემო სასუნთქი გზებიდან სასუნთქი ტრაქტის ზემო ნაწილში და შემდგომში მის ევაკუაციას.

ჩვენება: გამოიყენება ბრონქიტის, ზედა სასუნთქი გზების ანთებითი დაავადებების – ტრაქეიტების და ბრონქიტების მკურნალობისას, რომელთაც თან ერთვის დიდი რაოდენობით ლორწოს გამოყოფა. ეფექტიანია გასტროენტერიტების და არაინფექციური წარმოშობის ფალარათის, პირის ღრუს ლორწოვანი გარსის და ღრძილების ანთების, თავის ტკივილის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის, ქალის სასქესო ორგანოების და ღვიძლის დაავადებების, ბუასილის დროს.



ვირისტარფას ფოთოლი

ამოსახველებელი საშუალება.

პრეპარატს ახასიათებს პირის ღრუს, ყელის ლორწოვანი გარსის შემომგარსველი მოქმედება, იცავს მათ გალიზიანებისაგან და არბილებს ნახველს, აჩქარებს მის ევაკუაციას.

ჩვენება: ეფექტიანია კომპლექსურ თერაპიაში ლარინგიტების, ტრაქეიტების, ქრონიკული ბრონქიტის, ბრონქული ასთმის, ფილტვების ანთების, გაჭიანურებული ხველის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის, თირკმლის, შარდის ბუშტის ანთებისა და ფილტვების აბსცესის დროს.

ინფიცირებული ჭრილობების, ფურუნკულოზისა და კანის წყლულოვანი დაავადებების სამკურნალოდ გამოიყენება საფენების, კომპრესების და აბაზანების სახით. ქერტლისა და თმის ცვენის დროს მცენარის ნახარში გამოიყენება შესაზელად.



ქირტაპილას ფესვი და ფესურები

ამოსახველებელი საშუალება.

ასტიმულირებს ტრაქეისა და ბრონქების ეპითელიუმის აქტივობას, აგრეთვე, აძლიერებს ზედა სასუნთქი გზების ლორწოვანი გარსის სეკრეტორულ ფუნქციას. პრეპარატი გლუვ კუნთებზე ახდენს სპაზმოლიზურ მოქმედებას, რაც განპირობებულია ფლავონური ნაერთების, კერძოდ, ლიქვირიტოზიდის არსებობით. გააჩნია ანთების საწინააღმდეგო მოქმედება.



ბრონქონატი

ამოსახველებელი, ანთების საწინააღმდეგო საშუალება.

შემადგენლობა: ტუხტის ფესვები, ვირისტარფას ფოთოლი, თავშავას ბალახი.

პრეპარატის შემადგენლობაში შემავალ კომპონენტებს გააჩნიათ ამოსახველებელი, ანტიმიკრობული და ანთების საწინააღმდეგო მოქმედება. ბრონქონატს ახასიათებს პირის ღრუს, ყელისა და ხახის ლორწოვანი გარსის შემომგარსველი მოქმედება და იცავს მათ გალიზიანებისაგან, ათხიერებს და არბილებს ნახველს, აგრეთვე, აჩქარებს მის ევაკუაციას.

ჩვენება: გამოიყენება ზედა სასუნთქი გზების მწვავე და ქრონიკული ანთებითი დაავადებების – ბრონქიტის, ტრაქეიტის, პნევმონიის, ბრონქოექტაზიის დროს.



ცაცხვის ყვავილი

ანთების საწინააღმდეგო და სპაზმოლიზური საშუალება.

პრეპარატი ხასიათდება ანტიმიკრობული, ანთების საწინააღმდეგო, ოფლმდენი და სიცხის დამწვევი მოქმედებით.

ჩვენება: გამოიყენება გინგივიტების, ანგინის, ბრონქიტების, მომატებული ნერვული ალგზნებადობის დროს, აგრეთვე, საჭმლის მონელებისა და ნივთიერებათა ცვლის დარღვევების პროცესებში. რეკომენდებულია ნერვული ალგზნების, კრუნჩხვების, უძილობის შემთხვევაში. ეფექტიანია თირკმლების, ღვიძლის და ჰიპერტონული დაავადებების დროს. იყენებენ დამწვრობის, წყლულების, ბუასილის და რევმატიზმების შემთხვევაში.



დოვანი ტემბრი ურჩევნია; მაგრამ ეს უკვე გემოვნების საკითხია, რომელიც იმედია, ჩვენს მსმენელს არ უმტყუნებს.

3 „მელანქოლია“

როგორც „ბარსელონასა“ და „მანჩესტერის“ ფანები ელიან ხოლმე საყვარელი გუნდის თამაშებს, დაახლოებით ისე ელოდნენ მთელი ზაფხულის განმავლობაში ლარს ფონ ტრიერის თაყვანისმცემლები მის ახალ ფილმს საქართველოში. ბათუმის კინოფესტივალზე იმედგაცრუების შემდეგ, როდესაც „მელანქოლიის“ ჩვენებას ორგანიზატორები ყოველდღე ჰპირდებოდნენ მაყურებელს, როგორც იქნა, ფილმი ეკრანებზე გამოვიდა. კანის კინოფესტივალის სკანდალმა რეჟისორისადმი ინტერესი კიდევ უფრო გაზარდა, ხოლო ფილმის ტრიერის ნახვის სიხშირემ ინტერნეტში სარეკორდო მაჩვენებელს მიაღწია.

„მელანქოლია“ ერთგვარად იმეორებს „ანტიქრისტეს“ ესთეტიკას: შენელებული მაგიურობით მოვარაყებულ კადრები, ტემპო-რიტმის უცვლელობა და ადამიანის, როგორც კოსმიური და სექსუალური არსების უცნაური სინთეზი... ტერენს მალიკისგან განსხვავებით, რომელიც „სიცოცხლის ხეში“ სამყაროს შექმნას ერთი ოჯახის ისტორიით ჰყვება, „მელანქოლიაში“ სიცოცხლე სწორედ კოსმიური კატასტროფით, პლანეტების შეჯახებით მთავრდება. ადამიანები მხოლოდ ჭვრეტენ, ან აკვირდებიან პლანეტა „მელანქოლიას“, რომელიც ერთდროულად მაცდური და საშიშია. მიუხედავად იმისა, რომ კატასტროფა გარდუვალია, მათ რეალურად არაფრის შეცვლა არ შეუძლიათ.

„ანტიქრისტესგან“ განსხვავებით, რომელშიც ძალადობრივი და პორნოგრაფიული სცენები აშკარად თვალშისაცემია, „მელანქოლია“ დახვეწილად და ლამის უბინოდ მოგეჩვენებათ. ინტელექტუალი ქერა – კირსტენ დანსტი, რომელმაც კანის ფესტივალზე ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის „პალმის რტოც“ მოიპოვა, ფილმში ცივი, მაცდური და ჭკვიანი ქალის შთაბეჭდილებას ტოვებს. ლარს ფონ ტრიერის ბოლოდროინდელი მუზა, შარლოტა გინსბურგი კი უსიტყვოდაც

დრამატული და დამაჯერებელია. არანაკლებ შთაბეჭდავია მამაკაცთა რაზმიც – ჰოლივუდის მომცრო ტალანტი და ქარიზმატული კიფერ საზერლენდი და ერთდროულად – ჭკვიანი და ვნებინი ნორვეგიელი, ალექსანდრ სკარსგარდი.

მოკლედ, თუ აღმოდოვარის ახალ ფილმში („კანი, რომელშიც ვცხოვრობ“ ჯერ კიდევ კინომანების ვნებათაღელვას იწვევს) ანტონიო ბანდერასი ახალი როლითა და პლასტიკურ-ქირურგიული ოპერაციებით არ დაგაკმაყოფილებთ, გამოსავალი ლარს ფონ ტრიერის კოსმიურ ტანჯვაში შეგიძლიათ ეძიოთ. „მელანქოლია“ კინოთეატრ „ამირანის“ აფიშაზე კარგა ხანს იქნება.

4 ვიზუალური კულტურა და რელიგიური იმპულსები

22-30 ოქტომბერს სამხატვრო აკადემიის საგამოფენო დარბაზში ერთობ უცნაური კონცეფციის გამოფენა მოენწყობა. სახელწოდება „ვიზუალური კულტურა და რელიგიური იმპულსები“ მხოლოდ ერთი შეხედვითაა შემამშინებლად ინტელექტუალური. სინამდვილეში, ეს მხატვრობისა და რელიგიური თემების ხელახლა გააზრებასა და მის თანამედროვე ინტერპრეტაციას ნიშნავს. გამოფენის კურატორის, ანა მგალობლიშვილის თქმით, სხვადასხვა თაობისა და სრულიად განსხვავებული სტილის მხატვრების ერთ სივრცეში თავმოყრა რელიგიურ-კულტურულ თემსა და სხვა დატვირთვას ანიჭებს.

კარგად ნაცნობი და უფრო უცნობი გია ბულაძე, ვიზიონერი დავით ალექსიძე, რომანტიკოსი და ექსპრესიონისტიც ოლეგ ტიმჩენკო, შესანიშნავი ფერმწერი გოგა მაღლაკელიძე, ლამის მითოლოგიური ირაკლი ფარჯიანი, მგრძობიარე ესმა ონიანი, ნაკლებად „ცნობადი“ ლევან მარგიანი, სრულიად მოულოდნელი დავით გაგომიძე... ეს მხოლოდ იმ მხატვართა არასრული სიაა, რომელთა შემოქმედებას აკადემიის თითქმის შეკეთებული დარბაზი ოქტომბრის ბოლომდე მასპინძლობს.

არანაკლებ მნიშვნელოვანია მოხსენება, რომელსაც ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორი, ხელოვნების თეორიის

კრიტიკოსი, ჯეიმს უილკინზი წაიკითხავს. „ეს არის კვლევა, თუ როგორ ტრანსფორმირდება თანამედროვე მხატვრობაში რელიგიური შინაარსი, თემები, სიუჟეტები და რა განაპირობებს რელიგიური იმპულსების ცვლილებებს თანამედროვე ხელოვნის შემოქმედებაში“ - აღნიშნავს ჩვენთან საუბარში გია ბულაძე.

5 „სიზმარი მედეას სიზმარზე“

„ევროპის სახლი“ წარმოადგენს ცნობილი ფრანგი ქორეოგრაფის, ანჟელინ პრელჟოკაჟის ბალეტის „სიზმარი მედეას სიზმარზე“ ფრამენტებს, რომელიც მან 2004 წელს პარიზის „ოპერა გარნიეს“ შეკვეთით დადგა. ეს არის პროექტის „ერთიანი და მრავალსახოვანი ევროპა XX და XXI საუკუნეების ბალეტის ფონზე“ მხოლოდ ნაწილი, რომელსაც ფილოსოფოსი, დამოუკიდებელი ჟურნალისტი და არტ-კრიტიკოსი ხათუნა მზარელუა მოხსენებისას და დისკუსიის ფორმატით წარმოადგენს.

ავტორი კარგა ხანია ცხოვრობს შვეიცარიაში და იკვლევს თანამედროვე დასავლური ქორეოგრაფიის სოციალურ და კულტურულ ასპექტებს. არის რამდენიმე მნიშვნელოვანი პუბლიკაციის ავტორი; თანამშრომლობდა ჟურნალ „ამარტასთან“, სადაც სისტემატიურად აქვეყნებდა სტატიებს თანამედროვე ქორეოგრაფიის მნიშვნელოვან მოვლენებსა და ქორეოგრაფიულ ფესტივალებზე.

ანჟელენ პრელჟოკაჟის ქორეოგრაფია და კონკრეტულად სპექტაკლი „სიზმარი მედეას სიზმარზე“ (რომელსაც დაინტერესებულნი თავის დროზე ნახავდნენ კიდევ ტელეარხ MEZZO-ზე) კიდევ ერთი კულტ-საგანმანათლებლო ნაბიჯია ბერძნულ-კოლხური მითის ხელახლა გააზრებისათვის. ევროინტეგრაციის გზაზე შემდგარი საქართველო კი, ალბანელი წარმოშობის ფრანგი ქორეოგრაფის თითქმის ბრწყინვალე და პროვოკაციულ ირონიას, ჯანსაღად და რაციონალურად შეხედება.

როგორ შევინარჩუნოთ ჯანმრთელი კანი, თმა და ფრჩხილები

საიდუმლო არაა, რომ სუფთა, ლამაზი, ჯანმრთელი, მოვლილი კანი, თმა და ფრჩხილები ქალის სილამაზის ძირითადი მახასიათებელია. მრავალი მიზეზი იწვევს კანის, თმის და ფრჩხილების დაზიანებას: გენეტიკური წინასწარგანწყობა, ჰორმონალური დისბალანსი, კანის და მისი დანაშაუტების დაავადებები, არახელოვნად სისხლმომარაგება... ყველაზე ხშირი მიზეზი კი ორგანიზმში კვებითი ნივთიერებების უკმარისობაა.

კანის სილამაზის შესანარჩუნებლად სახურველია დღის განმავლობაში 1.5-2ლ არაგაზირებული მინერალური წყლის ან უშაქრო ხაის მიღება. ძალი ხელს უწყობს კანის უჯრედების განახლებას. მოძრაობა და მასაჟი აუმჯობესებს სისხლმომარაგებას და კანს ჯანმრთელ ფერს ანიჭებს. მზის სხივები აუცილებელია ორგანიზმისთვის, მაგრამ ხშირი ვარუჯვა საადრევედ აბერებს კანს.

თმის სილამაზის შესანარჩუნებლად საჭიროა შამპუნი შეარჩიოთ თქვენი თმის ტიპისთვის. სველი თმა პანსახიციოთ შეიფუთეთ და მხოლოდ ნაწილობრივად შეშროალი თმა დაივარცხნეთ და გაიშროეთ. შეძლებისდაგვარად ურიდეთ თმის ფენით გაშრობას. დაივარცხნეთ თმა ნაზად ყოველდღე ფართოკბილებიანი სავარცხლით. ეს აუმჯობესებს კანის სისხლმომარაგებას.

ფრჩხილების ხამავრეხა და სილამაზეუ დიდ გავლენას ახდენს ვარუშო ფაქტორებს. შეეცადეთ საქმარობის დროს გამოიყენოთ სელენოზინი. ვაქლიბეთ ფრჩხილები ერთი მიმართულებით - ნაბინიდან ცენტრისკენ. ღაქის მოსამორებლად გამოიყენეთ უაცეტონი ღაქის მოსამორებელი ხითები, რომლებიც შეიცავენ ფრჩხილის გასამავრებელ ზეთებს.

"შერცის სპეციალური დრაჟე"- შეიცავს სავანებოდ შერწეულ და იდეალურად შერწეულ ვიტამინებს, მიკროელემენტებს და ამინომჟავებს, რომლებიც უზრუნველყოფენ კანის, თმებისა და ფრჩხილების ოპტიმალურ კვებას და ბუნებრივ სილამაზეს.

მერსის სპეციალური დრაჟე

ღღაფი მხოლოდ
2 ღრაჟე!

"უზადოდ ჯიხაღა ჯანი"



მეხცის სპეციალური დრაჟე ფოხმეღა B-ვიტამინების ჯომღლექით და B-ჯახოტინით, განაჰიხობებს ჯანის უჯრედების ყოველღი აღღგენა-განახლებას.

"ჯანსაღი, მბზინავი თმა"



მეხცის სპეციალური დრაჟე შეიცავს ვიტამინ A-ს, ჯაცოემის ჰანთოთენატს და ფოღის მეღვას, ხაც უზრუნველყოფს თმის ძიხების ჯვებას და თმის სტრუქტურის აღღგენას.

"ღამაზი, მტეიცე ფრჩხილები"



მეხცის სპეციალური დრაჟეში შემავალი ბიოტინი, ხეინასთანდა ამინომჟავებთან ჯომბინაციაში განაჰიხობებს ფრჩხილების სნახფ ზხდას, ზეღაჰიხის სიღლევეს და იცავს მათ განშევეებისაგან.

გამოამეღავნეთ თქვენი სიღამაზე



ჭამა ამერიკულად

ავტორი თამარ ჯინიასია



LOFT: თანამედროვე, ინდუსტრიული / **სამზარეულო:** თანამედროვე ამერიკული / **შეფ-მზარეული:** თეკუნა გაჩეჩილაძე

საფირმო კერძი: BLT ბურგერი/ **მისამართი:** თბილისი, ვაკე, ი.მოსაშვილის ქ. 11

სამუშაო საათები: 12:00 - 03:00 (პარასკევი-შაბათი 12:00 - 05:00) / **დამატებითი მომსახურება:** Wi-fi

„ამ კაცმა ნიუ-იორკელებს ტაქსები ისეთი უბნებისკენ მიატრიალებინა, სადაც ადრე გახედვაც კი არავის წარმოედგინა“ – „ნიუ იორკ ტაიმის“ ჟურნალისტმა ეს კომპლიმენტი ნიუ-იორკელ რესტორანტორს, ქით მაკნელის გაუკეთა. მაკნელი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც რესტორანი გახსნა უბანში, სადაც 1900-იან წლებში მეყასბეთა ბიზნესი ყვაოდა, ნახევარი საუკუნის შემდეგ კი, იქაურობა ნელ-ნელა იქცა მაღალი კლასის ღამის კლუბებისა და რესტორნების რაიონად.

თბილისში მსგავსი „ურბანულ-კულინარიული გარღვევები“, თითქმის უკონკურენტო პეროვსკაია-ქიაჩელის ეპოქის შემდეგ, მხოლოდ რამდენიმე წლის წინ დაიწყო. ახლახან კი, მას შემდეგ, რაც მოსაშვილის ქუჩაზე გახსნილ ამერიკულ რესტორან LOFT-ში ვისადილე, მივხვდი, რომ LOFT-ის წყალობით კიდევ ერთი მოდური მიკრო-უბანი იქმნება.

LOFT-ის კლიენტურა ორ გამოკვეთილ კატეგორიად იყოფა: ისინი, ვისაც უყვარს ზორბა ამერიკული ულუფები და ამერიკული სასადილოების არაფორმალური გარემო; და ყველა დანარჩენი თბილისელი, რომლებშიც ჯერ კიდევ ძლიერია სტერეოტიპი, რომ ამერიკული სამზარეულო მხოლოდ „მაკდონალდსია“. ამ ახალი რესტორნის ტერასაზე შებიჯებისთანავე პირველი კატეგორიის სტუმრები წამიერად გადაიან პორტირებას ამერიკულ პოპ-კულტურაში, ახლები კი, მის აღმოჩენას იწყებენ.

მე LOFT-ის კლიენტების პირველ კატეგორიას მივეკუთვნები, ამიტომ მენიუში დაეხარბდი ყველაფერ იმას, რაც მოგონებების გაღვივებაში დამეხმარებოდა: სტარტერად – მდოგვისა და თაფლის სოუსის ხათრით, ქათმის ისრები ავირჩიე, ბურგერებიდან – საფირმო „ლოფტი“.

იმავე მოგონებების გამო, ვერ გაუძელი ცდუნებას და „NY hot dog“ გავსინჯე, თუმცა, ამ შეცდომას აღარ გავიმეორებ – ჰოთ დოგში უჩვეულებრივესი სოსისი დევს, რომლის ჩაკებრისას აშკარად ვერ აღვიდგინე ის განწყობა, რაც გრინვიჩ ვილიჯში ქალაქში გახვეული ცხელი ჰოთ-დოგის მირთმევისას მქონდა.

ამერიკულ ნოსტალგიას ბოლომდე არც ოქროსფრად დაბრანული ხახვის რგოლები

ბი აკმაყოფილებს – LOFT-ში ეს რგოლები არც ისე ფუმფულა და წვნიანია. სამაგიეროდ, მადისაღმძვრელია ხბოს მედალიონები ბალზამიკოს სოუსით – ამ სოუსის სახელწოდება უპრეტენზიოდ კი უღერს, მაგრამ, სინამდვილეში ხბოს შებრანულ ხორცთან ერთად ბევრ სხვადასხვა გემოდ იმლება. ბურგერი „ლოფტი“ კი, გორგონზოლას ყველით, ასევე წარმოუდგენლად მრავალფეროვან გემოს ქმნის – ყოველ ლუკმაზე რომ იცვლება.

LOFT-ში, მხოლოდ მსუბუქად დანაყრების შემდეგ, იქვე დამზადებული კენკრის ლიმონათის დაგემოვნების მერე მივხვდი, რატომ ვიგრძენი ამ გარემოში თავი ასე კომფორტულად. აქ, ამერიკული კვების რიტუალის აღსადგენად, თითქმის ყველაფერი გაუკეთებიათ: ჭერში საგანგებოდ გაშიშვლებული სქელი მილებით, ინდუსტრიული სტილის სანათებითა და ბეტონის კედლის ფრაგმენტებით, აქაურობა მაქსიმალურად მიუმსგავსებიათ ნიუ იორკის არქიტექტურულ სიმბოლოს – „ლოფტს“ – ყოფილ საწარმოს, რომელიც, შემდეგ, საცხოვრებელ სივრცედ გადააკეთეს. სასცენო რეკვიზიტებით გამოუყენებიათ ამერიკული სასადილოსთვის დამახასიათებელი იაფფასიანი აქსესუარებიც – მეტალის სკამები, საფერფლეები, მაგიდის სანათები. პლასტმასის ბოთლებით სავსე იმ კალათებსაც კი, რომელსაც შეკვეთის მიცემის შემდეგ აუცილებლად მოგიტანთ ოფიცინტი, კეტჩუპით, მაიონეზით, ტობასკოსა და ჩილით გაზავებული ამერიკული პოპ-კულტურის სურნელი უღის.

ერთი სიტყვით, LOFT-ში ჭამა აშკარად ჰგავს განზოგადოებულ ფრაგმენტს ამერიკული კინოდან – კარგად დანაყრბულზეც კი ნერწყვი რომ გადაგება, როცა ხედავ, თუ როგორ მადიანად ილუქმება გემრიელ ბურგერს ფილმის გმირი.



სასარბებლო ინფორმაცია:

- ▶ **LOFT-ის ოფიცინტი ჯერ არ „გაფუჭებულიან“** – თავზიანად გემსახურებიან და კერძის არჩევაშიც გეხმარებიან.
- ▶ **თუ მანქანით მიხვალთ, წინასწარ მოემზადეთ სირთულეებისთვის.** პარკინგი LOFT-ის ერთ-ერთი მთავარი მინუსია.
- ▶ **ბოლომდე ათვისეთ LOFT-ის ბარი** – ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელების მრავალფეროვანი და ძალიან ორიგინალური მენიუ აქაურობის ერთ-ერთი მთავარი პლუსია.
- ▶ **LOFT-ში უსაქმოდ თითქმის არცერთი წუთით არ გტოვებენ.** თუკი სწორად შეუკვეთავთ – თავისი სტარტერ-სალათიან-მთავარ კერძიანად, პირის საცმაცუნო ყოველთვის გექნებათ, ეს კი ზოგაჯის ნერვებს და სადღივ უკეთ გერგება.



ავიარაღირთავები მსოფლიოს ნებრსმოვანი მომსახურებით



მანკაკიანი ავთორიზაციის რეგისტრირებული - პეგასუსის 65/07 (თბილისის პორტის რაიონი)
Courtyard Marriott - ქსანთის რაიონი, თბილისის რაიონის მოთხრობის რაიონის
მომსახურების სერვისის ცენტრი
რეგისტრირებული ავთორიზაციის რეგისტრირებული სერვისის ცენტრი

2 40 00 40
www.flypgs.ge





სულ ზეიმი

ერთი მეგობარი მყავს, თაზო. ახლა ძალიან შორსაა, სადღაც, იერუსალიმთან. მე და თაზო დიდი ხნის წინათ დავმეგობრდით. ჩვეულებრივ, არ ვფიქრობ ხოლმე, რატომაა ვინმე ჩემი მეგობარი. თაზომ კი იფიქრა და ერთხელ მითხრა, რა გვაკავშირებს: ორივეს ყველანაირი წვრილმანი გვიხარია, მისი თქმით, პატარა სიხარულებს ხალხი ვართ.

ნანა კორქია-სამადაშვილი

პატარა სიხარული უამრავია, დიდ სიხარულზე გაცილებით მეტი. დიდი სიხარული სულ რამდენიმე მაგონდება, და მხოლოდ მათ იმედად რომ მეცხოვრა, დიდი ხნის მკვდარი ან ძალიან ბოლმიანი ქალი ვიქნებოდი. თაზომ მითხრა, რომ დიდი სიხარული, მგონი, საერთოდ არ ახსოვს. აი, რა უნდა გავგხარებოდა მაინცდამაინც, გაგიუბამდე, გასული საუკუნის 60-70-იან წლებში დაბადებულებს?

პატარა სიხარული კი სულ გვაქვს. კარგი დარი, ვინმეს სტუმრობა, ჯენის ჯოპლინი, გემრიელი საჭმელი, ახალი პერანგი – ხომ სასიხარულოა? თუ ვინმე მოგეწონა და იმასაც მოეწონე – ამას რა სჯობს? და თუ ისეთ ვინმეს გადაეყარე, ვისაც შენსავით უხარია ვილნიუსიდან ჩამოტანილი ნამდვილი ჭვავის პური – მეტი რაღა...

დაუფერებლად ბრიყვული ფილმი ვნახე. იმდენად ბრიყვული იყო, რომ არცკი ჩამეძინა – თვალებს და ყურებს არ ვუფერებდი და სხვისი სისულელე ძალიან მიხაროდა. იქ ერთი მსუქანი ქალი თავის დაქალს უხმენს, რომელიც მესამეს უხსნის, ის კაცი ახლაა ასე დათაფლული, მერე, ჯვარს რომ დაინერთ, აუცილებლად მოგატყუებს, გივალატებს, გცემს და დედას გიტირებსო. და საყვარელი, მსუქანი ქალი ამ კეთილ გოგოს ეუბნება, გოგო, ახლა, რომ მოვდიოდი, გარეთ ბავშვები დავინახე, ეზოში ბურთს თამაშობენ, და ჩადი ერთი, თუ და ხარ, და უთხარი, რომ მაინც მოკვდებიან და

ტყუილად უხარიათო.

დაიხოცებიან, აბა, რას იზამენ! რასაკვირველია, ხიროსიმაც იყო, დრეზდენის დაბომბვაც და ვიეტნამის ომიც – ვიცი, ბატონო. ისიც ვიცი, რომ სიბერე და გარდაცვალება არ ამცდება,

პატარა სიხარული უამრავია, დიდ სიხარულზე გაცილებით მეტი. დიდი სიხარული სულ რამდენიმე მაგონდება, და მხოლოდ მათ იმედად რომ მეცხოვრა, რომ მეცხოვრა, დიდი ხნის მკვდარი ან ძალიან ბოლმიანი ქალი ვიქნებოდი.

და სულ არ მიხარია, მაგრამ რა ვქნა, გადავირიო? ამას სჯობს, მიხაროდეს, რომ თაზო სადღაც, იერუსალიმთან, თავს კარგად გრძნობს და ძალიან უხარია, რომ ამ ზამთარს არ შესცივდება, და ისიც გაუხარდება, რომ მასზე ვწერ.

იან ანდერსონს ერთი შესანიშნავი სიმღერა აქვს, „სიმღერები ტყიდან“. იქ

მღერის, აქ დღესასწაული მთელი ცხოვრება გრძელდებაო. იან ანდერსონი ძალიან მაგარი მუსიკოსი და უაღრესად სასიამოვნო კაცია. ის ერთმა ასევე ძალიან კარგმა და ნიჭიერმა კაცმა „გამაცნო“ – და უცებ მითხრა, სიმღერა კი კარგია, მაგრამ ეგრე არ ხდებაო. ადამიანი ტანჯვისთვის იბადებაო. აბა, სულ დღესასწაული ვის გაუგონიაო.

ცოტა მეწყინა. მე მეგონა, რომ ერთად კარგ დროს ვატარებთ, სხვა თუ არაფერი, იან ანდერსონს ვუსმენთ, და მასაც უხაროდა და ასეთებზე არ ფიქრობდა. შევმცდარვარ, მაგრამ ეგ არაფერი. თაზო რომ აქ მყოლოდა, აუცილებლად გაიცინებდა: Бог – святая боль... აი, ვითომ, რატომ?

დღეს ფრანკფურტში მივდივარ, წიგნის ბაზრობაზე. რასაკვირველია, შეიძლება, თვითმფრინავში ბომბი აღმოჩნდეს, ან აეროპორტში ტერორისტმა ამაფეთქოს. მაგრამ ამაზე არ ვფიქრობ. მე ვფიქრობ, რომ ათას რამეს ვნახავ და ძველ მეგობრებსაც გადავეყრები. მერე ჩამოვალ და ჩემს პესიმისტ მეგობარს იქაურ ამბებს მოვუყვები, და მერე იან ანდერსონს მოვუსმენთ. საჩუქარსაც ჩამოვუტან, ისეთს, რომ გაუხარდეს.

და მერე, ძალიან მალე, თაზოც ჩამოვა, და ეს ამბავი უკვე დიდი სიხარული იქნება. უბრალოდ, მანამდე ხომ უნდა მივალნიო, და ამიტომ სულ ვცდილობ, ცოტა გიჟივით, რომ მიხაროდეს, მიხაროდეს, მიხაროდეს...

Build Your Team With Sheraton Dream...



დაჯავშნე 20 ოთახზე მეტი ოქვენი ჯგუფისთვის და მიიღეთ:

- განთავსება სასტუმროს ორადგილიან ნომერში
- ბუფეტის ტიპის საუზმე
- გამაჰანსადებელი ცენტრით სარგებლობა: ღია, დახურული და ზავშვთა აუზები, საუნა, ჭაკუნი, ჰამამი - თურქული აბანო, ორთქლის ოთახი
- 30% ფასდაკლება ყველა SPA მომსახურებაზე
- ერთი უფასო კონტინიტი ღამის კლუბ კალადიუმში შესვლისთანავე
- სპეციალური შემოთავაზება კონპორატული საღამოს მოსაწყობად ღამის კლუბში კალადიუმში



და

შემოთავაზების ღირებულება

სრული საკონფერენციო პაკეტი:

- სათათბირო ოთახი
- ორი ყავის შესერება
- ბუფეტის ტიპის ვახშამი

ერთი ჯგუფისთვის
ორადგილიან ნომერში \$ 90



პირობები:

- ფასები მოცემულია თითო ოთახზე, ერთი ღამით, ორადგილიანი დაკავებულობის შემთხვევაში
- მოცემულ ფასზე არ ვრცელდება სხვა სპეციალური შემოთავაზებები
- დამატებითი პირისათვის თანხა შეადგენს 50 აშშ დოლარს
- ზემოსტანებული ფასები არ შეიცავს 18% დღგ-ს
- შემოთავაზება ძალაშია 2011 წლის 31 დეკემბრამდე
- ზემოსტანებული ფასები ექვემდებარება 18% დღგ - ს გადახდას
- სასტუმრო იტოვებს უფლებას გააუქმოს ან შეცვალოს შემოთავაზება ნებისმიერ დროს
- შემოთავაზება ძალაშია თავისუფალი ოთახებისა და საკონფერენციო დარბაზების შემთხვევაში



დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ დაგვიკავშირდეთ: + 995 422 229022

sheraton.com/batumi

SPA სიამოვნება

ექსკლუზიური შემოთავაზება



\$139

შემოთავაზება შეიცავს:

ერთი ოთახი
ერთი ღამით


- განთავსება სასტუმროს დელუქსის ტიპის ორადგილიან ნომერში
- 6 წლამდე ასაკის ბავშვისათვის უფასო განთავსება
- ბუფეტის ტიპის საუზმე ორ კაცზე
- გამაჰანსადებელი ცენტრით სარგებლობა: ღია, დახურული და ზავშვთა აუზები, საუნა, ჭაკუნი, თურქული აბანო, ორთქლის ოთახი
- ერთწერადი SPA ზურგის მასაჟი ზრდასწრაფლისათვის
- ერთწერადი SPA ფეხის ტერაპის წერტილოვანი მასაჟი ზრდასწრაფლისათვის
- 30% ფასდაკლება სასტუმროს ყველა SPA მომსახურებაზე
- უფასო საშვი ღამის კლუბში კალადიუმში



შემოთავაზების პირობები:

- ფასები ხელმისაწვდომია მინიმუმ ორი ღამისათვის შემთხვევაში
- შემოთავაზება ვრცელდება ორ ზრდასწრაფლსა და ორ ბავშვზე, 6 წლის ასაკამდე
- დამატებითი ადამიანისათვის თანხა შეადგენს 39 აშშ დოლარს
- ზემოსტანებულ ფასებზე ვრცელდება 18% დღგ.
- შემოთავაზება ძალაშია 2012 წლის 31 მაისამდე
- სასტუმრო იტოვებს უფლებას გააუქმოს ან შეცვალოს შემოთავაზება ნებისმიერ დროს

shine
By Sheraton
spa



დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ დაგვიკავშირდეთ: + 995 422 229000

Sheraton Batumi Hotel



აგონია წუმკეში

ცხოველების ფერმაში დაიბადე. ჩემი „რესპუბლიკა“ ძალიან ჰგავდა ცხოველების ფერმას, ანუ ოკუპირებულ, იზოლირებულ გარემოს. იქ ტელევიზორი მხოლოდ 2 არხს უჩვენებდა.

ბაბა ნახუსრიშვილი

ლეგენდარული „მოამბით“ და „ვრემია-თი“. დრო კომბაინით იწყებოდა და ფეხბურთით მთავრდებოდა. „მოამბე“ და „ვრემია“ კი – პათეტიკით. გასტრონომებში არაფერი არ იყო, და ამ „არაფერს“ პროდუქტი ერქვა. კაფეებიც არ იყო. იყო რესტორნები და სახლებში ქეიფი. დრო მიედინებოდა წყნარად და მდორედ, რადგანაც დროსაც ჰქონდა ბრძანება, – უნდა ედინა, გასულიყო. მაგრამ, თურმე, ის დრო მენატრება. სისტემის გამო კი არა, ჩემი ახალგაზრდობის გამო, როცა მთელი ცხოვრება წინ მქონდა. ვფიქრობდი, რაღაც შეიცვლებოდა, ფერმა გარდაიქმნებოდა, იმიტომ, რომ მიწოდდა უფრო კულტურულ გარემოში მეცხოვრა. სისტემა კი, თურმე, წრეზე ტრიალებს. „ის ბრუნავს“ – როგორც ჯორდანო ბრუნო ამბობდა. და, თითქოს, ასე – ბრუნვა-ბრუნვით დაგზრუნდით სახეცვლილ ფერმაში, სადაც არც ცხოველები შეცვლილან და არც სისტემა. ახლაც ისევ ღორებს მიჰყავთ „სტოსი“. მე კი, რა უცნაურია, თითქოს დროში დაკარგულივით, ისევ ძველი ფერმა მენატრება – ასეთი მახინჯი და, რატომღაც, მაინც ძვირფასი.

ვიხსენებ ლუდხანას რუსთაველის გამზირის კუთხეში. „წუმკე“ ერქვა. ბიჭები შევედით. არქეოლოგობას ვაპირებდით. დიპლომზე ვმუშაობდით, მაგრამ ლექსებს ვწერდით. ამოვიღე ჯიბიდან დიდი ბლოკნოტი და ჩემი „შედევრები“ ბიჭებს წაუფუკითხე. მერე ბევრი დავლიეთ. გვერდით მაგიდასთან ხანდაზმული „ბასიაკი“ იდგა. ტლუ, კეთილი თვალებით. ხინკალზე და

ლუდზე დავბატიფე. მერე მეგობრებთან ერთად ყბედობა გავაგრძელე. იქიდან სხვაგან წავედით. ის ჩემი „გენიალური“ ბლოკნოტი კი „წუმკეში“ დამრჩა. სხვაგან ვატარებდით დროს. უცებ ერთმა ჩემმა ძმაკაცმა მითხრა, სასწრაფოდ „წუმკეში“ უნდა დავბრუნდეთ... თურმე ბლოკნოტი დამრჩენია. დაკეტილი იქნება, არ ღირს-

და ახალი დროს მოვიდა. ახალი ფერმის ახანება დაიწყო. თითქოს გავთავისუფლდით კველი კომპლექსებისგან, მაგრამ რამდენი ახალი შევიძინეთ... ახალი შვიდი...

მეთქი. მაინც ვნახოთო და, წავედით. „წუმკე“ დაკეტილი იყო. ის ტლუ, მაგრამ კეთილთვალეობანი „ბასიაკი“ დამხვდა კარებთან ატუზული, ჩემი ბლოკნოტით ხელში. თითქოს იცოდა, რომ დავბრუნდებოდი და ჩემი ნაჯღაბნი ნაგავს არ გაატანა.

ახლაც მახსოვს იმ „ბასიაკის“ კეთილი ღიმილით გამთბარი სახე და ლუდხანა „წუმკე“, რომელიც მას შემდეგ აღარც მი-

ნახავს, რადგან ძალიან მალე სამოქალაქო, „ეროვნული“ ომის ცეცხლში დაინვა.

საჩებურეკეც მახსოვს, სადაც ფეხზე ვიდექი და ცხელ ჩებურეკებს ველოდებოდი. ოთხკუთხედი მაგიდები, ცარიელი სივრცე და მშრალი კანონი... ამ გაგანია მშრალი კანონის დროს ერთ კეთილ, ხნიერ დამლაგებელ ქალს ჩუმად მოჰქონდა ხოლმე ჩვენთვის არაყი. ამ სასმელს „აგონია“ დავარქვით. ასე იმიტომ დავარქვით, რომ ორჭიქაში აგონიურ მდგომარეობაში გვაგდებდა და ცოტა ხნით, ამქვეყნად ყველაფერს გვაგინებდა.

– ჩემი ბიჭები მოვიდნენო, – იტყოდა ხნიერი ქალი და „აგონიას“ გემრიელ ხინკალს მოაყოლებდა...


დრო კი გადიოდა, რადგან ნაბრძანები ჰქონდა.

და ახალი დროც მოვიდა. ახალი ფერმის აშენება დავიწყეთ. თითქოს გავთავისუფლდით ძველი კომპლექსებისგან, მაგრამ რამდენი ახალი შევიძინეთ... ხშირად მენატრება ის „ძველი“, არა – ტოტალიტარიზმი, არა ის მკვდარი, უაზრო სიცარიელე, არამედ რაღაც სხვა, იოლად სახელსაც რომ ვერ მოუძებნი...

„ბევრი ვიდავეთ, სისადავე გაქრა დავაში. და გვეგონა ომი თამაში... რწმენა, გართობა, ეს იყო ჩემი ახალგაზრდობა“.

თუ შენი საქმე გიყვარს, უნდა აკეთო. სხვას არაფერს აზრი არა აქვს. და, ვინ იცის, იქნებ, ოდესმე ფერმასაც ეშველოს რამე!..

ახალი მსოფლიო,
ახალი ხედვა,
ახალი შესაძლებლობები



THEMATV

უკვე კავკასიაშია

ახალი HD არხები FTV, MCM & MEZZO-ს შემეყმნელებისაგან

THEMATV-ის წარმომადგენლობა კავკასიაში:

მობ.: +995 599 56 23 65

ელ ფოსტა: ladob@thematv.com

www.thematv.com



სხვისი სურვილების ტყვეობაში

ანასტასია, სანამ პატარა იყო, დიდხანს იჯდა ხოლმე მზეზე, მერე სარკესთან გარბოდა და ამონებდა, გაუჩნდა თუ არა ჭორფლი სახეზე. ანასტასია მაშინ პეპი გრძელნიინდას ბაძავდა. თმასაც ისე ივარცხნიდა, როგორც წიგნში დახატულ პეპის ჰქონდა და საერთოდ, უნდოდა ვილა „ყიყლიყოში“ ეცხოვრა მარტოს, მშობლების გარეშე და პეპი ყოფილიყო.

ენო ბაქიშვილი

ანასტასია ახლა 14 წლისაა და ჭორფლს ნაირ-ნაირი კოსმეტიკური საშუალებებით ებრძვის. ებრძვის წონასაც, არა, მსუქანი ნამდვილად არ არის, უფრო გამხდარი ეთქმის, მაგრამ არც ისეთი თხელია, როგორც ის გოგონები, პოდიუმებზე რომ გამოდიან. ჰოდა, შიმშილობს. არ ჭრის დედის ხვეწნა-მუდარა, არც მამის გაბრაზება.

უკვე კარგა ხანია, თოჯინებით აღარ თამაშობს. რამდენიმე „ბარბი“ ჯერ კიდევ შემორჩა. ხანდახან, როცა დრო აქვს, კაბებს უკერავს ხოლმე. ბარბიც დაახლოებით ისეთია, როგორც ის გოგონები – ფილმებიდან და რეკლამებიდან.

ანასტასიას ძალიან უნდა მოერგოს სტანდარტებს, იმ სტანდარტებს, რომელსაც ყველანი ერთად ვუნესებთ – ძირითადად, მედიის საშუალებით. ანასტასიას ჰგონია, რომ მის თანატოლ ბიჭებსაც ისეთი ქალები მოსწონთ, როგორსაც ფილმებში და ტელეეკრანებიდან ხედავენ. ამიტომაც ცდილობს, სწორედ იმ ქალებს დაემსგავსოს. ამაში ანასტასიას ყველაზე უკეთ რეკლამები ეხმარება: კოსმეტიკური საშუალებები, ტრენაჟორები, ნაირ-ნაირი დიეტები! სულო და გულო! არჩევანი დიდია! რალაცაზე მიუწვდება ხელი, რალაცაზე – არა. მაგრამ მთავარია, ცდილობს.

დიდ ქალაქებში რეკლამა განსაკუთრებით აგრესიულია. რეკლამა ყველგანაა – ქუჩაში, ტრანსპორტში, ტელევიზორში,

ინტერნეტში... სადმე მიუვალ ტყეში თუ აღმოჩნდები პიკნიკზე, იქაც მოგაგნებს – მობილურ ტელეფონზე მესიჯი მოვა და გამცნობს, რომ რომელიღაც კოსმეტიკური ფირმის რომელიღაც ნაწარმზე რომელიღაც მაღაზიაში დიდი ფასდაკლებაა.

**აი, სურათი რომელიღაც
ჭურწლიდან: ლამაზი
მანქანა. მანქანასთან
ლამაზი ქალი.
ანასტასიას ვეკითხები,
უნდა თუ არა ამ ქალის
აღბილას ყოფნა.
ჯერ ფიქრობს,
მერე თავს
თანხმობის ნიშნად
მიქნევს.**

დაახლოებით ერთნაირი რეკლამები მსოფლიოს დიდი ქალაქების ბილბორდებზე. ნაგვის ურნებიც, სავარაუდოდ, ყველა ქალაქში ერთნაირად მოხატული პოლიეთილენის ქილებით და ჭრაჭუნა ქალაღებითაა სავესე.

რეკლამის სამიზნე ხომ ძირითადად ქალები ვართ. მაგრამ თუკი ჩვენ, უფრო-

სებმა, მათმა ნაწილმა მაინც, ასე თუ ისე ვიცით, როგორ არ უნდა აღმოვჩნდე რეკლამის ტყვეობაში და, ავად თუ კარგად, ვახერხებთ საკუთარი სურვილების თავსმობვეულისგან გამორჩევას, თინეიჯერ გოგონებს ეს ჯერ არ შეუძლიათ. ამიტომაც, ნებდებიან და მიჰყვებიან დინებას.

რეკლამა მხოლოდ და მხოლოდ შემადგენელი ნაწილია იმ აგრესიის ნაკადისა, რაც, ძირითადად, მედიით ვრცელდება. ინფორმაცია, რომელიც დღეს შეუზღუდავია და სწორედ მრავალფეროვნების სამსახურში უნდა იდგეს, პირიქით, ერთფეროვნებას უწყობს ხელს და, უპირველეს ყოვლისა, ინდივიდუალიზმს ებრძვის.

აი, სურათი რომელიღაც ჟურნალიდან: ლამაზი მანქანა. მანქანასთან ლამაზი ქალი. ანასტასიას ვეკითხები, უნდა თუ არა ამ ქალის ადგილას ყოფნა. ჯერ ფიქრობს, მერე თავს თანხმობის ნიშნად მიქნევს. ვცდილობ, ავუხსნა, რომ ქალი მხოლოდ აქსესუარია, მეტი არაფერი, თოჯინაა, შინაარსისგან დაცლილი ბარბია და აქ იმიტომ დააყენეს, რომ მამაკაცებს ასე სურთ.

ყურადღებით მისმენს, მერე თვალეში ცრემლი უდგება, მაგრამ მაინც ამბობს – მე მინდა ეგეთივე ლამაზი ვიყო, როგორც ის...

მე მაინც ჯიუტად მგონია, რომ ანასტასია სხვისი სურვილების ტყვეობაშია.

გაგანოლი

ნიმუსული 100გ

იდეალური გამოსავალი ტკივილისა და ანთების დროს

შეიძლება თუ არა ერთდროულად დაგამარცხოთ ტკივილი და ანთება?

თანამედროვე მედიცინა მიმართულია ისეთი მედიკამენტების შექმნისკენ, რომლებიც მცირე დროში ეფექტურად ახდენენ დაავადების ამა თუ იმ სიმპტომის კუპირებას. განსაკუთრებული მოთხოვნა დღეს წაყენება ტკივილგამაყუჩებელ და ანთების საინინალმდეგო საშუალებებს. ტკივილის დროს ძირითადი მოთხოვნაა მისი სწრაფი მოხსნა, ხოლო ანთების მკურნალობისას მნიშვნელოვანია, რომ პრეპარატს შეეძლოს მინიმალური გვერდითი მოვლენები, ანთების საინინალმდეგო თერაპია ხომ გაცილებით ხანგრძლივ დროს მოითხოვს.

პრეპარატი, რომელიც ერთდროულად აკმაყოფილებს როგორც ტკივილის, ასევე ანთების საინინალმდეგო მკურნალობის მოთხოვნებს არის უნიკალური ტექნოლოგიით დაშაბებული მედიკამენტი - "გაგანოლი".

"გაგანოლის" ტაბლეტი პირის ღრუში მოხვედრისთანავე წყლის გარეშე იხსნება. მისი შენოვა პირის ღრუდან იწყება, რის გამოც ტკივილგამაყუჩებელი ეფექტი უმოკლეს დროში დგება. მალალსელექტიური მოქმედების გამო, მინიმუმამდეა შემცირებული მისი გვერდითი ეფექტები ხანგრძლივი გამოყენების შემთხვევაშიც (მათ შორის კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მხრივ). ზოგიერთ ადამიანს ჩვევად აქვს ტკივილგამაყუჩებელი საშუალების წყალში გახსნა და ისე მიღება, რაც "გაგანოლის" შემთხვევაშიც შესაძლებელია. თუმცა მისი მთელი უპირატესობა ის არის, რომ "გაგანოლის" მიღება შეიძლება ნებისმიერ სიტუაციაში და არ არის საჭირო ჭიქა წყლის ძებნა.



დავით აღმაშენებლის 148/2
საინფორმაციო სამსახური 2 967 227
პრეპარატს მიღებს წმ. გივჩილი ქობულაძის
გვერდითი მოღონების შესახებ დეტალური
ინფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს!

გისურვებთ ჯანმრთელობას და სულიერ სიმშვიდეს!





კლანშეები, კლანშეები, კლანშეები...

საბეჭდი მანქანა გახსოვთ? მე ხანდახან ბუნდოვნად ჩამესმის ეს მონოტონური ხმა -ჩხაკ-ჩხუკ, ჩხაკ-ჩხუკ, ჩხაკ-ჩხუკ... შეიძლება ვინმეს სახლის რომელიმე მიყრუებულ კუთხეში ან სულაც სარდაფშიც ახლაც გაქვთ მიგდებული, როგორც ერთი უსარგებლო ნივთი, რომლის გადაგდებაც გენანებათ. თუ მართლაც ასეა, დროულად მოისროლეთ სანაგვეზე, იმიტომ, რომ როგორც ამბობენ, მალე მის ადგილს სარდაფში თქვენი პერსონალური კომპიუტერი დაიკავებს!

ენო ნატროშვილი

მნიშვნელობა არ აქვს რამდენ ბირთვია-ნია მისი პროცესორი, რამხელაა მონიტორის დიაგონალი ან ოპერატიული მეხსიერება, გადაგდება მაინც მოგიწევთ. ჰოდა, ნოუთბუქიც ზედ მიაყოლეთ და გული საერთოდ არ დაგწყდეთ!

კომპიუტერების ეპოქა უკვე ბოლო წლებს ითვლის, ჩვენ ყველა ერთად ახალ, პოსტკომპიუტერულ ერაში ვცხოვრობთ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, პლანშეტების ეპოქაში.

ვის უნდა დაეწყო ახალი ეპოქა? ვის შეეძლო ეთქვა, რომ კაცობრიობას კომპიუტერები აღარ სჭირდება, რომ ნოუთბუქების და ნეტბუქების დრო წავიდა? რომ მორიგი ტექნოლოგიური გარღვევა მოხდა? რა თქმა უნდა, თავზეხელაღებულ სტივ ჯობსს, სილიკონის ველის როკ-ვარსკვლავს..

შარშან, Apple-ს ვაშლის ტაბლეტის პრეზენტაციაზე, როგორც ყოველთვის, ლურჯ ჯინსსა და შავ როლინგში გამოწყობილმა სტივ ჯობსმა დარბაზში შეკრებილებს „პოსტკომპიუტერული“ მონყობილობა წარუდგინა“. ეს არის საუკეთესო რამ, რაც ცხოვრებაში შემიქმნია“, – თქვა მან და მაშინვე ყველამ დაიჯერა, რომ ამ სათამაშოსმავარი, უკლავიატურო, დახვეწილი დიზაინის მქონე მონყობილობის გარეშე, რომელიც რალაციტო გასუქებულ iPhone-ს ჰგავდა, ისინი ცხოვრებას ველარ გააგრძელებდნენ. ეს ჯადოსნური მონყობილობა იყო: მულტიმედიური სენსორულ-ლექრანიანი პლანშეტით მომხმარებელი

ინტერნეტითაც ისარგებლებს, ფილმებსა და სატელევიზიო შოუებსაც ნახავს და ელექტრონულ წიგნებსა და ჟურნალებსაც წაიკითხავს.

ვის შეეძლო ეთქვა, რომ კაცობრიობას კომპიუტერები აღარ სჭირდება, რომ ნოუთბუქების და ნეტბუქების დრო წავიდა? რომ მორიგი ტექნოლოგიური გარღვევა მოხდა? რა თქმა უნდა, თავზეხელაღებულ სტივ ჯობსს, სილიკონის ველის როკ-ვარსკვლავს.

iPad გააღმერთეს. სტივ ჯობსის ფილოსოფიამ ისევ გაამართლა: ადამიანებს წარმოდგენაც არ ჰქონდათ, რომ პლანშეტი ასეთი სასარგებლო, საყვარელი და საჭირო გახდებოდა. ადამიანებმა ხომ ხშირად არ იცინან, რა სურთ... გრძნობენ, რომ რაღაც ისე არ არის, მაგრამ კონკრეტულად

რა? სწორედ ამას ხვდებოდა ჯობსი.

წლის ბოლოს Apple-მა 15 მილიონი iPad გაყიდა. სხვაგვარად შეუძლებელიც იყო. ჯობსის მსგავსად ტექნოლოგიების ბიზნესის სხვა არცერთი წარმომადგენელი არ ფიქრობდა, რომ შედეგი მხოლოდ ტექნოლოგიებისა და ჰუმანიტარული მეცნიერებების სინთეზს მოაქვს, რომ კომპიუტერის დედაპლატის დიზაინიც კი, რომელსაც ადამიანი ვერ ხედავს, ძალიან დახვეწილი უნდა იყოს, რომ მთავარი კრიტერიუმი ესთეტიკა და ინოვაციურობაა, თუმცა, ამავდროულად, მოხერხებულობასა და მრავალფუნქციურობაზეც უნდა ეზრუნა. უცნაურია, მაგრამ სტივ ჯობსმა, რომელმაც პერსონალური კომპიუტერის ეპოქა შექმნა, იგი თავადვე, სიკვდილამდე ერთი წლით ადრე დაასრულა, რათა ტექნოლოგიური სამყაროსთვის დაეტოვებინა სრულიად ახალი ერა – მარტივი და გასაგები მულტიმედიური სენსორულ-ლექრანიანი მონყობილობებით, რომლებიც მოდიდან მინიმუმ მომდევნო 10 წლის განმავლობაში არ გადავა. თუმცა არავინ იცის, რა იქნება შემდეგი. ინსაიდერები უკვე საუბრობენ საიდუმლო „ანდერძზე“, რომელიც ჯობსმა Apple-ს დაუტოვა. წინასწარი გათვლებით 2017 წლისთვის 250 მილიონი ტაბლეტი გაიყიდება. პლანშეტების პოპულარობის პიკი ჯერ კიდევ არ დამდგარა, ასე რომ, წინ გველის პლანშეტების რბოლა, პლანშეტების ომი, პლანშეტების ეპიდემია, პლანშეტების ბუმი, პლანშეტები, პლანშეტები, პლანშეტები...

დისკუსია

სტუდენტების პროტესტი და თვითმმართველობა

მოდერატორი გიორგი ცხადია



მონაწილეები:

ვატო ბჟალავა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი

ანი ჭანკოტაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის I კურსის მაგისტრანტი

საბა ქავთარაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი

გიორგი გოგუა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი

ალექსანდრე კობერიძე

ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი

ბოლო ხანს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა აქტიურად დაიწყეს ადმინისტრაციის მიმართ პრეტენზიების ხმამაღლა გამოთქმა. სტუდენტების ნაწილი ფიქრობს, რომ ხელისუფლების მიერ განხორციელებული რეფორმა დასრულდა და მან განსაკუთრებული შედეგი ვერ გამოიღო – უმაღლესი განათლების ხარისხი რადიკალურად არ გაუმჯობესულა. სტუდენტების აზრს, როგორც წესი, არ იზიარებენ სახელმწიფო უნივერსიტეტის თვითმმართველობები, რომლებიც ამ დაპირისპირებაში ადმინისტრაციის მხარეს იკავებენ. სახელმწიფო უნივერსიტეტების პრობლემებზე სასაუბროდ სამი სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები მოვიწვიეთ.

თსუ-ის რექტორმა, სანდრო კვიციანი, სასწავლო წლის გახსნის ცერემონიაზე აღნიშნა, ვისაც უნივერსიტეტში სწავლა არ მოსწონს, შეუძლია, სხვაგან გადავიდესო. მართლაც, 21-ე საუკუნეა და უამრავი შესაძლებლობა გაქვთ. რატომ არ იყენებთ ამ „მანსს“? რატომ სთხოვთ ადმინისტრაციას და თვითმმართველობას, რამე შეცვალოს? ან, საერთოდ, რა პრეტენზიები გაქვთ მათთან?

გიორგი გოგუა: ამ შემთხვევაში, უნივერსიტეტი სახელმწიფოს მიერ მოდელია. როდესაც ქვეყანა დემოკრატიითა და ლიბერალური ღირებულებებით ინონებს თავს და ამავე დროს, სახელმწიფო უნივერსიტეტში, სტუდენტებს, განსხვავებული შეხედულების გამო, კარისკენ მიუთითებენ, ეს ნონსენსია, გამოდის რომ, თუ საქართველოში ვცხოვრობ და, ვთქვათ, პოლიტიკური მდგომარეობა არ მომწონს, სხვა ქვეყანას უნდა მივაშურო?

ანი ჭანკოტაძე: ზუსტად ასეა, იმიტომ, რომ არჩევანი, ფაქტობრივად, არ არის. ვერ ერთი, კერძო სასწავლებლები უფრო ძვირი ღირს და მეორე, არავის აქვს უფლება, დაგაყენოს ამ არჩევანის წინაშე. ამ პროცესში მთელმა საზოგადოებამ უნდა მიიღოს მონაწილეობა. მთავარი პრობლემა კი ის არის, რომ სახელმწიფო არ იღებს პასუხისმგებლობას განათლების უფლების რეალიზაციაზე. არადა, ვიდრე ეს არ მოხდება, ადმინისტრაციასთან წერილობრივად დავა, შედეგს ვერ მოიტანს.

ლამა ქავთარაძე: ჩემი აზრით, მთავარი პრობლემა ის არის, რომ ჩვენთან სწავლა არაპრესტიჟულია. უფრო სწორად, პრესტიჟულია ძალიან ცოტასთვის. თუნდაც, უნივერსიტეტი რომ ავიღოთ, ხალხი იქ განათლების მისაღებად არ მიდის. უნივერსიტეტში, რომ სწავლისთვის შესაფერისი გარემო იყოს, პირველ რიგში, უნდა იყვნენ მოტივირებული სტუდენტები. როცა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა, მაგალითად, ჩემს ფაკულტეტზე, 700 კაციან კვლავ ჰაიპერად ლამის ყოველ მეორე მსურველს ლეზულობს, ეს პრობლემაა.

ანი ჭანკოტაძე: კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც სტუდენტებს სწავლის მოტივაცია არ აქვთ, ის არის, რომ დიპლომი მომავალში სამუშაოს პოვნის გარანტიას თითქმის არ იძლევა, სამწუხაროდ, უნივერსიტეტში სწავლა არ ნიშნავს, რომ განათლებას იქენ და, შესაბამისად, აქ გატარებული დრო, არც მომავალი პროფესიული წარმატების საფუძველია.

ბიორბი ბობუა

უნივერსიტეტი სახელმწიფოს მიერ მოდელია. როდესაც ქვეყანა ლიბერალური ღირებულებებით ინონებს თავს და ამავე დროს, სახელმწიფო უნივერსიტეტში, სტუდენტებს, განსხვავებული შეხედულების გამო, კარისკენ მიუთითებენ, ეს ნონსენსია, გამოდის, რომ თუ საქართველოში ვცხოვრობ და, ვთქვათ, პოლიტიკური მდგომარეობა არ მომწონს, სხვა ქვეყანას უნდა მივაშურო?

ალექსანდრა კობერიძე

არიან სტუდენტები, რომლებიც ორიენტირებულნი არიან სწავლაზე, არიან ისეთნიც, რომლებსაც სამოქალაქო აქტივობა იტაცებთ, თუმცა, ორივე კატეგორია თანაბრად იზღუდება. აქ, ასეთი პრინციპით ხდება დაყოფა – „ჩვენი და „არაჩვენი“ სტუდენტი, ანუ ადმინისტრაციასთან დაახლოებული სტუდენტები და დანარჩენები. თუ ადმინისტრაციასთან არ ხარ „მინებებული“ გასაქანს არ მოგცემენ.

ალექსანდრა კობერიძე: რა თქმა უნდა, არიან სტუდენტები, რომლებიც ორიენტირებულნი არიან სწავლაზე, არიან ისეთნიც, რომლებსაც სამოქალაქო აქტივობა იტაცებთ, თუმცა, ორივე კატეგორია თანაბრად იზღუდება. აქ, ასეთი პრინციპით ხდება დაყოფა – „ჩვენი და „არაჩვენი“ სტუდენტი, ანუ ადმინისტრაციასთან დაახლოებული სტუდენტები და დანარჩენები. თუ ადმინისტრაციასთან არ ხარ „მინებებული“ გასაქანს არ მოგცემენ.

სახელმწიფო უნივერსიტეტში ხომ არის სისტემა, რომლითაც, წესით, უნდა გვარდებოდეს ადმინისტრაციასა და სტუდენტებს შორის ურთიერთობები. თვითმმართველობას ვგულისხმობ.

ალექსანდრა კობერიძე: თვითმმართველობა ადმინისტრაციაზე დაყრდნობილი და მხოლოდ მის მითითებებს ემორჩილება. აქედან გამომდინარე, ის ადამიანები, ვისაც კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით საკუთარი, დამოუკიდებელი შეხედულებები გააჩნიათ, იზღუდებიან. მაგალითად, ასეთ ფაქტს გავიხსენებ: ჩვენ, ევროკავშირის ელჩის, ფილიპ დიმიტროვის მოწვევა გვინდოდა, მაგრამ ადმინისტრაციამ ამის უფლება არ მოგვცა. მიზეზი მარტივია – არ უნდათ, რომ აქტიურები ვიყოთ. იგივე მიზეზით არ დაგვიფინანსეს რამდენიმე პროექტი.

რატომ არ მუშაობს თსუ-ში თვითმმართველობა?

ლამა ქავთარაძე: ეს ძალიან რთული პრობლემაა, დაწყებული – კონტინგენტით, ვინც მიდის თვითმმართველობაში, დამთავრებული – სისტემით. ის ადამიანები, ვინც თვითმმართველობაში რეალურ ძალაუფლებას ფლობენ, ძირითადად, დაბალი აკადემიური მოსწრების სტუდენტები არიან. გარდა ამისა, თვითონ სისტემაშია პრობლემა. თვითმმართველობა უნდა იყოს დამოუკიდებელი, ნაცვლად ამისა, ის არა მხოლოდ ადმინისტრაციაზე, არამედ ზოგადად პოლიტიკურ სისტემაზეა მიბმული. კონიუნქტურას ემორჩილება.

შეგიძლია, თვითმმართველობის ყველა წევრზე ვთქვათ, რომ ისინი მაღალი აკადემიური მოსწრებით არ გამოირჩევიან?

გიორგი გოგუა: ყველაზე ვერ ვიტყვით, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ვისაც იქ ვხედავთ, მაღალი აკადემიური მოსწრებით არ გამოირჩევიან. თუმცა, სათავეში უფრო გონიერი ტიპები ჰყავთ. ისინი, ვის-



ანა ალაქს ტაბატაძე
პროექტიდან „ომი“ (კოლაჟი)

ანი ჟანკოტაძე

თვითმმართველობის სისტემა ვერ მუშაობს, რადგან სინამდვილეში ეს არ არის სტუდენტების თვითმმართველი ორგანო. პარლამენტი ამტკიცებს თვითმმართველობის შესახებ კანონს, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილებას ერთპიროვნულად იღებს პრეზიდენტი და თანამონაწილეობის პრინციპი, მინიმუმამდეა დაყვანილი. თავად მოდელი გამორიცხავს სტუდენტების თანამონაწილეობას.

თანაც პირადად გვექონდა შეხება, ძირითადად, დამსჯელი ზონდერ ბრიგადების როლს ასრულებენ, – მმართველ-მართულის მოდელია: ის მართავს, ვისაც მეტი რესურსი აქვს, დანარჩენები საცეცების როლს ასრულებენ. თუ ლექტორის წინ ვინმე დემონსტრაციას გამართავს, პლაკატებს ჩამოახვევენ, თუ პრეზენტაციას გააკეთებს, უნივერსიტეტის პრობლემებზე, გაიყვანენ და სცემენ. ის სტუდენტები, ვისაც სწავლა უნდათ, თვითმმართველობაში იშვიათად მიდიან.

და რატომ ხდება ასე?

ლაშა ქავთარაძე: თუ სწავლობ, თვითმმართველობის ექსკურსიებისთვის დრო არ დაგრჩება.

გიორგი გოგუა: ვინც უნივერსიტეტის ადმინისტრაციის იდეებისა და ღირებულებების მატარებელი არ არის, თვითმმართველობაში ვერ მოხვდება.

ილიაუნშიც იგივე სიტუაციაა? ანუ ის სტუდენტები, ვისაც სწავლა აინტერესებთ, თვითმმართველობაში არ მიდიან?

ვატო ბჟალავა: არა, ჩვენთან ცოტა სხვა სიტუაციაა. თვითმმართველობას უფრო პიარის ფუნქცია აქვს, შოუებს დგამენ, ბავშვებს უშვებენ უცხოეთში და თვითონაც დადიან.

და სტუდენტებს თუ ეხმარებიან ადმინისტრაციასთან ურთიერთობასა და პრობლემების მოგვარებაში?

ვატო ბჟალავა: მართალი გითხრათ, სტუდენტებმა არც კი იციან, რისთვის არსებობს თვითმმართველობა.

ანი ჩანკოტაძე: ბუნებრივია. თვითმმართველობის სისტემა ვერ მუშაობს, რადგან სინამდვილეში ეს არ არის სტუდენტების თვითმმართველი ორგანო. პარლამენტი ამტკიცებს თვითმმართველობის შესახებ კანონს, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილებას ერთპიროვნულად იღებს პრეზიდენტი და თანამონაწილეობის პრინციპი, მინიმუმამდეა დაყვანილი. თავად მოდელი გამორიცხავს სტუდენტების თანამონაწილეობას.

გასაგებია, რომ უამრავი პრობლემაა, მაგრამ რატომ განუხებთ ეს პრობლემა მხოლოდ თქვენ, სტუდენტების მცირე ნაწილს?

ლაშა ქავთარაძე: ზუსტად იმის გამო, რაც უკვე აღვნიშნე: სწავლა არ არის პრესტიჟული. უნივერსიტეტში მიდიან დროის გასაყვანად.

ალექსანდრე კობერიძე: ჩემი აზრით, ცოტა განსხვავებულ მოვლენასთან გვაქვს საქმე. ეს არის ნიჰილიზმი, რომელიც საზოგადოებასა და განათლების სისტემაშია დამკვიდრებული. სტუდენტებს აქვთ განცდა, რომ ვერაფერს შეცვლიან და, ამიტომ, ხელი აქვთ ჩაქნეული.

ლაშა ქავთარაძე: არის სტუდენტების კიდევ ერთი კატეგორია, – „პიონერები“, რომლებიც ყველაფერს გაუაზრებლად, მექანიკურად აკეთებენ.

გიორგი გოგუა: „პატრიოტთა ბანაკები“, ალბათ, გახსოვთ. მე ერთ-ერთ ასეთ ბანაკში ვიყავი, სადაც გუბერნატორი გვესტუმრა. ბანაკი მოგწონთო, ჰკითხა ბავშვებს, კი, მოგწონსო, მიუგეს იმათ. საქმელიო? კი, გემრიელიაო. შემდეგ, გუბერნატორმა: ახლა არჩევნები რომ მოვა, შალვას ხომ არ მისცემთ ხმას, ხომ იცით, ვისაც უნდა მისცეთო? დაახლოებით იგივე ხდება აქაც. პატრიოტების ბანაკი არ არის, მაგრამ, სამაგიეროდ, თვითმმართველობისაა. სტუდენტების უმრავლესობას სწავლა დიდად არ აინტერესებს – მინიმალური ქულებით ჩააბარა და „ჩალიჩობს“, რომ მინიმალური ზღვარიც გადალახოს.

მაგრამ, ეს ხომ არ არის დანაშაული?

ლაშა ქავთარაძე: მე ვფიქრობ, სირცხვილია, როცა უნივერსიტეტში მოსახვედრად, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 25 ქულაა.

ლაშა ქავთარაძე

საპროტესტო აქციაზე მხოლოდ 500 ადამიანი მოვიდა, აქედან 300 ილიაუნის და სამხატვრო აკადემიის სტუდენტები იყვნენ, თსუ-დან მხოლოდ 200 იყო. ამიტომ, არ მაქვს იმედი, რომ თსუ-ში რამე გამოსწორდება. სტუდენტები არაფერს აკეთებენ, ინიციატივას არ იჩენენ. ცვლილებებს ზემოდან წამოსული ნება სჭირდება.

ვატო ბჟალავა

ილიაუნის თვითმმართველობას უფრო პიარის ფუნქცია აქვს, შოუებს დგამენ, ბავშვებს უშვებენ უცხოეთში და თვითონაც დადიან. მართალი გითხრათ, სტუდენტებმა არც კი იციან, რისთვის არსებობს თვითმმართველობა.

ვატო ბჟალავა: არა მგონია, სწორი იყოს, მე-12 კლასებს ასეთი მაღალი მოთხოვნები წაუყენოთ. იცით, ამით რა მოხდება? ქვეყანაში სტუდენტი აღარ დარჩება. მე, მაგალითად, სკოლაში კარგად არასდროს ვსწავლობდი, უნივერსიტეტში რომ მივედი, მერე დავინყე.

ალექსანდრე კობერიძე: მე ვიცნობ ისეთ სტუდენტებს, რომლებმაც გამოცდებში 25 ქულა მიიღეს, მაგრამ ახლა კარგადაც სწავლობენ და წარმატებასაც აღწევენ. სტუდენტს უნივერსიტეტმა უნდა მისცეს ბიძგი.

თემას დავუბრუნდეთ: ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემები არც უნივერსიტეტს და არც თვითმმართველობას არ აინტერესებს. მაინტერესებს, რას ვაკეთებთ სტუდენტები ამის საპასუხოდ?

ლაშა ქავთარაძე: იმის გარდა, რაც ყველამ ნახა (იგულისხმება, თსუ-ში სასწავლო წლის გახსნის ცერემონიაზე გამოთქმული პროტესტი – გ.ც.), გამოვთქვამთ პროტესტს ლექტორებთან, რომლებიც, ხშირ შემთხვევაში, უფუნქციოები არიან და ვერაფერს აკეთებენ. პირადად მე, არაერთხელ დამიფიქსირებია პროტესტი ადმინისტრაციასთანაც. თუმცა ამ ადმინისტრაციაშიც, ვის უნდა მიმართო, ვერაფრით გავრკვევი – ერთი მეორესთან გაგზავნის, გაპამპულავენ, ასე რომ ვთქვათ.

ამ პროტესტს რამე ორგანიზაციული ფორმა აქვს?

ანი ჭანკოტაძე: ჩვენ გვაქვს „ლაბორატორია 1918“, რომელიც არის სტუდენტების თვითორგანიზებული ჯგუფი, მაგრამ ეს ჯგუფი უფრო განათლების პრობლემებზეა ორიენტირებული და თსუ-ს ადმინისტრაციასთან ურთიერთობებს ნაკლებად ეხება. მთავარი პრობლემა მაინც განათლების ხარისხი და მის მიმართ სახელმწიფოს მიდგომაა.

ვატო ბჟალავა: ჩვენთან სასწავლო ლიტერატურის მოპოვების პრობლემაც იყო. თსუ-ში საჭირო წიგნები ქართულად არ იყო. სტუდენტები შეიკრიბნენ, გააპროტესტეს და ადმინისტრაციამ მასალების თარგმნა თავად ლექტორებს დაავალა.

გიორგი გოგუა: თსუ-ში ამ პრობლემაზე ჟურნალისტური გამოძიება და აქცია „თარგმნე!“-ს პრეზენტაცია ჩავატარეთ, მაგრამ იმავე დღეს აქციაში ჩაბმულ სტუდენტებს ფიზიკურად გაგვისწორდნენ.

რატომ არ უჩივლეთ?

გიორგი გოგუა: არ ვუჩივლეთ, რადგან სამხილები არ გვექონდა.



ანა ალექს ტაბატაძე
პროექტიდან „ომი“ (კოლაჟი)

ლაშა ქავთარაძე: გამოვიდოდა, რომ სისტემის ქვედა დონეს ზედა დონესთან ვუჩივლებდით, ეს კი უაზრობაა.

გიორგი გოგუა: როდესაც მე და ლაშას გვეჩხუბებოდნენ, დაცვა 100 მეტრში იდგა და მშვიდად გვაკვირდებოდა.

თუ დაცვა ასეთი „დაკვირვებულია“ და პოლიციაც არსად ჩანს, მაშინ როგორ ახერხებთ თავის დაცვას?

ლაშა ქავთარაძე: ვცდილობთ, საჯარო გაგზადოთ ყველა ასეთი ფაქტი, მაგალითად, სოციალურ ქსელებში, რომ რექტორის ყურამდე მიაღწიოს.

ალექსანდრე კობერიძე: ჩვენ, თავად დაცვა გაგვისწორდა, სამართალდამცავი ორგანოები არც კი ჩაერივნენ. ადმინისტრაციამ ერთ-ერთი დაცვის წევრზე გადატეხა ჯოხი და პრობლემაც ასე ამონურეს. კი, ფიზიკურად გვისწორდებიან, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვითრგუნებით, პირიქით, უფრო ვძლიერდებით.

ვატო ზუალავა: მერე, როცა ასეთი პრობლემები გაქვთ, სწავლისთვის გცხელათ?

ლაშა ქავთარაძე: მეორე დღესვე მოვანყვეთ აქცია, მაგრამ მხოლოდ 500 ადამიანი მოვიდა, აქედან 300 ილიაუნის და სამხატვრო აკადემიის სტუდენტები იყვნენ, თსუ-დან მხოლოდ 200 მოვიდა. ამიტომ, არ მაქვს იმედი, რომ თსუ-ში რამე გამოსწორდება. სტუდენტები არაფერს აკეთებენ, ინიციატივას არ იჩენენ. ცვლილებებს ზემოდან ნამოსული ნება სჭირდება.

ანუ თქვენ თვლით, რომ ცვლილებები ზემოდან მოდის?

გიორგი გოგუა: გულის სიღრმეში ყველამ ვიცით, რომ უნდა მოვითხოვოთ, რომ ცვლილებები ქვემოდან უნდა დაიწყოს. მაგრამ ამისთვის სტუდენტთა ორი მესამედის ნება მაინც უნდა იყოს. როდესაც 15 000 ადამიანი ერთად გამოვა ქუჩაში და ცვლილებებს მოითხოვს, აქციებს შედეგი მოჰყვება. 1 %-ს და 75 %-ს შორის დიდი განსხვავებაა, – ჩვენ, ჯერ მხოლოდ 1 % ვართ. დღეს, სტუდენტებს ურჩევნიათ, ექსკურსიაზე იარონ, კლუბში გაერთონ, ვიდრე ამ პრობლემებზე პროტესტით თავი შეინუხონ. ასე რომ, ცვლილებებისთვის დიდი დრო დაგვჭირდება.



მესამე „ტერმინალის“ გასასვლელი

თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი – ჯონ მაკკოვიჩიდან თემურ ჩხეიძემდე

ავტორი დავით ბუხრიკიძე

დრომ და გამოცდილებამ დაადასტურა, რომ ე.წ. კენტავრ-ფესტივალების არსებობისათვის საუკეთესო გამოსავალი ერთი მხრივ, თეატრის ვარსკვლავების რეკლამა და სანახაობის იმიტაციის შექმნაა; მეორე მხრივ, კლასიკოსი-რეჟისორების მონვევა და მეტ-ნაკლებად დახვეწილი სპექტაკლების გამოძებნა. როგორც ჩანს, თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის დირექციამ ეს გამოცდილება როგორცაე გაითვალისწინა და წლევანდელი, მესამე და თითქმის სამკვირიანი პროგრამა კინოვარსკვლავ ჯონ მაკკოვიჩსა და უბრალოდ კარგ რეჟისორს, თემურ ჩხეიძეს შორის ჩააგდია.


გადაჭრით ვერ ვიტყვით, ეს სტრატეგიის ნაწილი იყო თუ უნებლიეთ, ან სარეკლამოდ მოფიქრებული იმპროვიზებული სვლა. ნებისმიერ შემთხვევაში,

ფესტივალის დირექტორის, ეკა მაზმიშვილის აზრით, „ყველაზე დიდი მონაპოვარი ფესტივალის მაყურებელია. იზრდება ინტერესი და ინტერესთან ერთად, უფრო მძაფრი ხდება კამათი სპექტაკლებისა და მთლიანად ფესტივალის ირგვლივ. თუმცა, ხელოვნების ყველა ნამუშევარი რისკთანაა დაკავშირებული. ავტორს თუ რეჟისორს თანამოაზრეებთან ერთად, ყოველთვის უხდება რისკის განევა. ქართველმა მაყურებელმა კარგად იცის ამ რისკის ფასი და მისი თანამონაწილეც ხდება. და ამიტომაც, ფესტივალისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც პუბლიკაა“.

თუ ფესტივალის ორგანიზატორებს მართლაც მაყურებლის გემოვნება და სამომავლო პრიორიტეტები აღეულებოდა, სასურველია, მეტი ყურადღება დაუთმონ წარმოდგენების ხარისხს და არა რაოდენ-

ობას. ისევე, როგორც ქართული და საერთაშორისო პროგრამის ბალანსს. შეძენილი აბონემენტების მფლობელებმა უნდა იცოდნენ, რომ ტოპ-სპექტაკლი მაინც ჩამოაღწევს საქართველოში და წლევანდელის მსგავსად, შვეიცარიელი რეჟისორის ფინზი-პასკას შესანიშნავ „დონკა, წერილები ჩეხოვის“ ბედს არ გაიზიარებს...

ალარაფერს ვამბობთ სპექტაკლების სელექციის უფრო გამჭვირვალე და გასაგებ პოლიტიკაზე და 2011 წელს დაარსებულ პროგრამა „ნიუზე“, რომელმაც ხარისხთან დაკავშირებით ბევრი კითხვის ნიშანი გააჩინა. თუმცა ის ფაქტი, რომ თბილისის ფესტივალი საერთაშორისო ევროპული გაერთიანების (EFAA) წევრი გახდა, ძალიან მნიშვნელოვანია; თუნდაც სამომავლოდ განსახორციელებელი პროექტებისათვის. ასე რომ, საფესტივალო პოლიტიკისა და



პერსპექტივის აღქმა-შეფასება ცალკე საუბრის თემაა, რომელსაც „ცხელი შოკოლადი“ მომავალშიც დაუბრუნდება.

ამჯერად, ფესტივალის საერთაშორისო პროგრამის ყველაზე მნიშვნელოვან სპექტაკლებს შევხებით. დასაწყისი ცოტა ავანტურული და უფრო სარეკლამო აღმოჩნდა – „ჯოჯოხეთური კომედია, სერიული მკვლელის აღსარებანი“, რომელიც საოპერო დადგმებში განაფულმა ავსტრიელმა რეჟისორმა, მაიკლ შტურმინგენმა ვენაში დადგა. სპექტაკლი ოდნავ დამინტრიგებელი, ზომიერად ინტელექტუალური, მაგრამ მოსაწყენია. ცხადია, ჯონ მალკოვიჩის სტუმრობა ფესტივალის შესანიშნავი რეკლამაა, თუმცა, საბოლოოდ, იმედგაცრუებულნი გაცილებით მეტნი აღმოჩნდნენ, ვიდრე მოცარტისა (მისი საოპერო არიები ორკესტრის თანხლებით ცოცხლად სრულდება სცენაზე) და ერთ დროს ვალმონის როლის შემსრულებლის თაყვანისმცემლები.

საათისა და ორმოცი წუთის განმავლობაში უდავოდ მომხიბლავმა მალკოვიჩმა მინიმალური აქტიორული ენერჯითა და „ვან მენ შოუს“ ტიპური ამერიკული იუმორით მაქსიმალური შედეგი მიიღო: რუსთაველის თეატრში შეკრებილი და საოპერო-დრამატულ ჟანრში ნაკლებად გათვითცნობიერე-

ბული პუბლიკა ისეთი შარმით გააცურა, როგორც მისმა სცენიურმა გმირმა ჯეკ უნტერვეგერმა შეაცდინა და მერე დახრიო ახალგაზრდა ქალები. სხვათა შორის, ამ „საბედისწერო“ ქალების როლებს საოპერო დივები ანსახიერებენ.

ინტელექტუალური პრეტენზიის სპექტაკლი ტრადიციულ ავსტრიულ კულტურულ არქეტიპებს ეყრდნობა: ფსიქონალიზს, ოპერასა და ლიტერატურას. რეალურად მომხდარ ამბავს (ავსტრიელმა სერიულმა მკვლელმა, პოტემა და ჟურნალისტმა, ჯეკ უნტერვეგერმა ათობით მსუბუქი ყოფაცქევის ქალი დახოცა ევროპისა და ამერიკის ქალაქებში) რეჟისორმა ერთგვარი კონცეფტუალური ახსნა მოუძებნა. სცენაზე ვენის აკადემიის ორკესტრი ზის, ორი სოპრანო – კირსტენ ბლეიზი და მარტინ გრიმსონი „შეცდენილებს“ შეძლებისდაგვარად თამაშობენ და საოპერო არიებს მონდომებით მღერიან. ძირითადად, მოცარტის ოპერებიდან.

თელ-ავივის დასი „კლიპა“ და რეჟისორი იდიტ ჰერმანი სპექტაკლ „ობსერვატორიაში“ პუბლიკას საშუალებას აძლევს თეატრის უსაზღვრო სამყაროში გადაეშვას. ხოლო მულტიმედიაურ, აბსტრაქტულ მოჩვენებებსა და ბგერებს საკუთარი წარმოსახვა შეუსაბამოს. თქვენ წყალქვეშ

ჩაძირული სამყაროს სტუმარი ხდებით – რბილი იატაკი, რომელზეც შეგიძლია დაჯდე ან დაწვე, უცნაური ბგერების საუფლოში გაეხვიო... შავი სივრცე – ლანდების, თოჯინების და საგნების ჯადოსნურ ყუთად გადაიქცევა.

თუ „ობსერვატორია“ პროგრამა „ნიუს“ ერთ-ერთი ყველაზე „უჟანრო“, მაგრამ გამორჩეული სპექტაკლია, გეორგ ბიუნერის მიხედვით დადგმული „ვოიციკი“, ცნობილმა კიევიურმა დასმა სახელწოდებით „ბერეზილი“ (რეჟისორი ალექსანდრ კოვშუნი) სოციალური დრამის ელემენტებით გაზავებულ ექსპრესიონისტულ წარმოდგენად აქცია. სპექტაკლი სიმბოლოებისა და საგნების ერთგვარი „საწყობია“, რომლის ესთეტიკაში დღემდე საგრძნობია ყოფილი სამხატვრო ხელმძღვანელის, ავანგარდისტი რეჟისორის, ანდრეი ჟოლდაკის გავლენა.

აღსანიშნავია, რომ თეატრი 1921 წელს, კიევი, თეატრალურმა რეფორმატორმა ლეს კურბასამ დააარსა და სახელწოდება „ბერეზილი“ უწოდა. 30-იანი წლების ბოლოს, საბჭოთა რეპრესიების მძვინვარებისას, ლეს კურბასი დააპატიმრეს და სიკვდილით დასაჯეს, თეატრი კი ხარკოვში გადავიდა და დღემდე განაგრძობს არსებობას; თუმცა უკვე ტარას შევჩენკოს სახელწოდებით.



„ფიზიკური თეატრის“ ფერმკრთალი, მაგრამ ჩვენთვის ჯერ კიდევ უცნობი გაკვეთილი გერმანიაში მომუშავე ექსპერიმენტულმა დასმა სახელწოდებით DO, კეთილი ზრახვებით უფრო დაგვასწავლა. სპექტაკლში „ჯალათი“, რომელიც გერმანიაში მცხოვრებმა რუსმა რეჟისორმა ევგენი კოზლოვმა დადგა, ერთმანეთს ერწყმის აბსურდის თეატრსა და თანამედროვე ცეკვის ელემენტები. არცთუ ნატიფი მასხარების გულუბრყვილო ხუმრობები ზოგჯერ გაჯერებულია შავი იუმორით, ხოლო მომავადობელ, უცნაურად კომიკურ ამბებს სხვა განზომილებაში გადაყვავართ. იქ, სიჩუმისა და ხმაურის საზღვარზე უცნაური ხალხი ბინადრობს; იქ, მოქანავე ლამპიონების შუქზე იდუმალი ლანდები მოძრაობენ და მაყურებლის ნარმოსახვას აშფოთებენ...

პიესაში სამი გმირია, ე.წ. დაწყვეტილი სამეული: ბრმა, ყრუ და მუნჯი. ისინი თითქოს დაუსრულებელ თამაშს გვთავაზობენ თემაზე – ვინ იქნება შემდეგი მსხვერპლი? პერსონაჟები მუდმივად ცვლიან როლებს, რითაც დამაინტრიგებლად იცვლება ხედვის და შეფასების არეალიც. „ჯალათში“ ნაჩვენებია დანაშაულიც, სასამართლო პროცესიც და საჯარო სიკვდილით დასჯაც. შთამბეჭდავი და ხმაურიანია მუსიკალური გაფორმებაც.

ცეკვის თეატრის ექსპერიმენტული კომპანია DO ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ჯგუფია, რომელმაც პოსტკომუნისტური საბჭოეთიდან დასავლეთ ევროპაში გასვლა და იქ შემოქმედების გაგრძელება მოახერხა. ვლად პანფილოვთან და ტატინა ბოგანოვასთან (დასი „პროვინციული ცეკვები“, ეკატერინბურგი) ერთად ევგენი კოზლოვმა ერთ-ერთმა პირველმა შექმნა ექსტრემალური თეატრისა და ცეკვის ენა, რომელიც „რუსული მოდერნიზმის“ სახელითაცაა ცნობილი. უხეში, ბრუტალური, მაგრამ, ამასთანავე, პოეტური დაძაბულობითა და ექსპრესიით გამორჩეული სპექტაკლი, ცხადია, არც საშა ვალცის ქორეოგრაფიის ნატიფ სირთულეს გულისხმობს და არც უილიამ ფორსაიტის სრულყოფილი ტექნიკის დემონსტრირებას. თუმცა, ჩვენი სინამდვილისთვის უცნობი „ფიზიკური თეატრის“ ჟანრული ელემენტების ცქერათვისება პუბლიკისთვის ურიგო ნამდვილად არ უნდა იყოს.

რადგან თანამედროვე „ცეკვის თეატრის“ რადიუსში ვიმყოფებით, ბარემ სამხრეთ-კორეულ და იაპონურ თეატრალურ დასებებსაც შევხებით, რომლებიც არცთუ კარგი ხარისხით, მაგრამ ერთგვარი ეგზოტიკით დაგვამახსოვრდა. სპექტაკლი უცნაური სახელწოდებით „და-რუ-მა-სა-ნ-გა-კო-რო-

ნ-და“ (სიტყვასიტყვით, „თოჯინა დარუმა დაეცა“) იაპონური დაჭერობანას თამაშის სახელწოდებაა. სათაურის ათი მარცვლი ათვლას, ან თამაშს უფრო გამოხატავს. ტერმინი „დარუმა“ კი ძენ ბუდიზმს უკავშირდება, რომელსაც „ბოდჰიდჰარმას“ სახელწოდებით იცნობენ.

იაპონიაში, „დარუმა-სანს“ ან „მისტერ დარუმას“ თოჯინას ეძახიან, რომელსაც ბერის გამოსახულება აქვს. გადმოცემის თანახმად, ბერმა ხანგრძლივი მედიტაციის შედეგად ხელ-ფეხი დაკარგა, ამიტომაც თოჯინას კიდურები არა აქვს. სწორედ დაკარგულ კიდურებს უკავშირდება სპექტაკლის „დანაღმული“ ველი.

ვითომ იმპროვიზებულად „აკინძული“ პატარა ამბები ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ვითარდება, მაგრამ ყოველი მათგანი საბოლოოდ, დანაღმულ ველს უკავშირდება. მაგალითად, ჰუმანიტარული დახმარების მისიით უცხო ქვეყანაში გაგზავნილი ორი იაპონელი ოფიცერი მოულოდნელად აღმოჩნდება დანაღმულ ველზე; იაპონელი მეომარი (იაკუძა), ბრძანებას იღებს, გაემგზავროს ნაღმების მოსაძებნად; ქალი, რომელსაც ფეხის ნაცვლად პროტეზი აქვს, თავს მოვალედ თვლის გაანადგუროს ყველა ნაღმი; კაცი, რომელიც სამხედრო ქარხანაში ნაღმებს ამზადებს ამ ამბავს



ოჯახს უმაღლეს; ლტოლვილთა ჯგუფი სა-
ცხოვრებელ ადგილს ტოვებს, რადგან მათ
სოფელში ნაღმები მრავლადაა და მათზე
ყოველდღე ვილაც ფეთქდება...

რეჟისორი იოჯი საკატე, რომელიც
დოკუმენტური დრამების დადგმებითაა
ცნობილი, ამჯერად იმპროვიზაციას და
უმეტესად „ფიზიკური თეატრის“ ელემენტ-
ებს ეყრდნობა. შემთხვევით (ან იქნებ
განზრახ?) რიტმი და სტრუქტურა ირლ-
ვევა და მაყურებელი რაღაც მომენტში
სპექტაკლის სადავებს ხელიდან უშვებს.
და ვიდრე იაპონელი რეჟისორი საკუთარ
დადებულ „ნაღმზე“ აფეთქდებოდა, სა-
მხრეთ კორეულმა დასმა სახელწოდებით
SUNGSOO HN RISK-UP GROUP საბალეტოდ
მომზადებულ პუბლიკას მეოცე საუკუნის
ლამის ყველა დიდი ქორეოგრაფის საყვარ-
ელი ბალეტი „კურთხეული გაზაფხული“
წარუდგინა.

სამხრეთ კორეულმა რეჟისორმა და ქო-
რეოგრაფმა სიუნგსუ ანმა პროფესიული
განათლება ნიუ-იორკის ჯულიარდის ცნო-
ბილ მუსიკალურ სკოლაში მიიღო, თუმცა,
ეს ცოდნა გაცილებით მეტს უნდა ნიშნა-
ვდეს, ვიდრე სხეულების რეაქციის შესწა-
ვლა, ან ბალეტში მხატვრული ტანვარ-
ჯის ელემენტების გამოყენების უნარი.
სტრავინსკის ბალეტს ხუთი ტანმორჩილი

მოცეკვავე ასრულებს (ორი მამაკაცი და
სამი ქალი) კარგი მოძრაობებით და რით-
მის არცთუ კარგი გრძნობით. გამორჩეულ-
მა მოცეკვავეებმა ლამის ნახევარი საათი
მშვიდობიანად ჩამთავრეს და ეს ნიშნავდა,
რომ ფესტივალის მორიგი აქცია, პირობო-
თი სახელწოდებით – „უანრული მრავალ-
ფეროვნების თავისებურებანი“, დასრულე-
ბულია...

ალარაფერს ვამბობთ მეორე მოქმედე-
ბაზე სახელწოდებით „სხეული“, რომელიც
დისკომუსიკისა და ჰიპ-ჰოპის ისეთი ნაზა-
ვია, რომელიც საშუალოდ კარგ მოცეკვა-
ვესაც არ შეუზღებოდა. საფესტივალო
განაცხადში დასის მოხვედრა ცოტა უც-
ნაურია, მეტი რომ არა ვთქვათ... არადა,
თავად ქორეოგრაფი სიუნგსუ ანი ამბობს,
რომ მისი „საცეკვაო ფილოსოფიის მიზა-
ნია გონებისა და სხეულის ბალანსირება
თანამედროვე საცეკვაო ტექნიკის მეშვეო-
ბით“. მიუხედავად იმისა, რომ ქორეოგრა-
ფის სტილი ორიგინალურია და ამკარად
განსხვავდება ევროპული საცეკვაო ფი-
ლოსოფიისგან, მეორადი ხარისხი ამკარად
თვალში საცემია.

ამ ფონზე ლამის დახვსებულ კლასიკად
შეიძლება აღიქვას სამსუნგის ოპერისა და
ბალეტის თეატრის მიერ წარმოდგენილი
ბალეტი „ამორძალები“ (ქორეოგრაფი –

ნუნგზარ მაღალაშვილი, მუსიკა – ვახტანგ
კახიძე). „ვახტანგ კახიძესთან ერთად შე-
ვექმენით ახალი, მუსიკალურ-სცენური
ვერსია. ლეგენდა ამორძალებზე ძალიან
მრავალფეროვანია და განსხვავებული ინ-
ტერპრეტაციის საშუალებას იძლევა, რო-
გორც ლიბრეტოს გადამუშავების, ასევე
დადგმის თვალსაზრისით. ამორძალების,
იასონის და არგონავტების მითოლოგიუ-
რი კავშირის ჩვენეული ინტერპრეტაციით
შევეცადეთ შეგვექმნა ახალი ისტორია
ამორძალებზე, სადაც მთავარი იქნებოდა
მამაკაცისა და ქალის ურთიერთობა“ –
აღნიშნულია პროგრამაში, თუმცა წმინ-
და სცენური და ქორეოგრაფიული მნიშ-
ვნელობით სპეტაკლი არც ამორძალებზე
გვეუბნება რაიმე ახალს და არც არგონა-
ვტებზე.

სამწუხაროდ, ფესტივალის ერთ-ერთი
ყველაზე გამორჩეული სპექტაკლი, „დონკა,
წერილები ჩეხოვს“ (პროგრამაში მითი-
თებულია, რომ „აკრობატულ თეატრთან“
გვექნება საქმე) გზაში „დაიკარგა“; უფრო
ზუსტად, სპექტაკლის დეკორაციებმა, რო-
მელიც უაღრესად მნიშვნელოვანია, თბილი-
სამდე ვერ ჩამოაღწია. ავტორი და რეჟისო-
რი – დანიელ ფინზი პასკა, კომპოზიტორი
– მარია ბონზანიგო, მხატვარი – ჰუგო
გარჯიულო და აკრობატიკაში განრთვნილი



მსახიობები საოცარ სანახაობას გვპირდებიან, როგორც დიდი რუსი მწერლის 150 წლისთავის აღსანიშნავად დაიდგა.

ფინზი პასკა და მთელი დასი – ცირკის მოცეკვავეები, აკრობატები და ჟონგლიორები თითქოს ყირამალა აყენებენ ჩეხოვის კლასიკურ დრამებსა და მოთხრობებს. „დონკა“ მსოფლიოში აღიარებულ თეატრალურ ფესტივალზე არაერთხელ წარმოადგინეს და ყველგან წარმატებით. სპექტაკლი მწერლის მთელი ცხოვრების ლირიკული კომენტარია: დღიურები, ჩანაწერები, ნაშრომები... ფინზი პასკა ცდილობს განმარტოს ავტორის კომენტარები და მის შემოქმედებაში გამეფებული მაგიური პაუზების მნიშვნელობა ახსნას; თანაც ცირკისა და აკრობატის ელემენტებით!!!

ამ სპექტაკლ-პიტის ნაცვლად, მარჯანიშვილის თეატრში ასევე ფინზი პასკას იმპროვიზებული ქმნილება „იკაროსი“ ვიხილეთ. ეს არის სპექტაკლი-იგავი, რომელიც თავისუფლებას ყველაზე სასწრაფო ვითარებაშიც კი შეასწავლის. „ფრენის სწავლა ადვილია, მთავარია როგორ გაიქცევი საავადმყოფოდან!“ – ეუბნება საავადმყოფოს პალატაში როკო (ამ როლს თავად ფინზი პასკა ასრულებს) კლინიკის პაციენტს, რომელსაც ორივე ფეხი ამპუტირებული აქვს! ინტელექტუალურ მაყურებელს აუ-

ცილებლად გაახსენდება ჩაპლინის კალვერო „რამპის ჩირაღდნებიდან“, ფელინის კლოუნები და ვიარქესლავ პოლუნიის მიმოდრამები.

ცალკე აღნიშვნას იმსახურებს ინტერნაციონალური სპექტაკლი „კაპიტან კორელის მანდოლინა“, რომელიც კინომანებს შესაძლოა ახსოვდეთ ჯო მედენის ამავე სახელწოდების ცნობილი ფილმიდან, რომელშიც მთავარ როლებს პენელოპა კრუსი (პელაგია) და ნიკოლას კეიჯი (კაპიტანი კორელი) ასრულებენ. ლუი ბერნიეს და მაიკ მარანის სცენური ვერსია ლევან წულაძემ დადგა; თოჯინები ნინო ნამიჭეიშვილმა დაამზადა, მუსიკა ვახტანგ კახიძემ დაწერა და პლასტიკაზე გია მარლანიამ იზრუნა.

თეატრ „მერკურისა“ (დიდი ბრიტანეთი) და კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის თანაპროდუქცია „ომისა და მშვიდობის“ მორიგი ვარიაციაა.

ბრიტანელი მსახიობებისა და ქართველი მეთოჯინეების თანაგანცდები არც გულწრფელია და არც ბოლომდე პოეტური. სპექტაკლი, რომლის ქართული ვერსია უკვე თეატრის რეპერტუარშია, ხელოვნურ შთაბეჭდილებას ტოვებს. სანთლების ლიცლიცი, მაცხოვრის ხატები და ჩრდილების თეატრის თამაში უკვე ნასწავლ და

გამეორებულ საშინაო დავალებას ჰგავს. თეატრალურ აუცილებლად გაახსენდებათ ეპიზოდები პოეტური „ფაუსტიდან“, დეტალები „ქალი ძალიდან“, მსუბუქად ეროტიკულ-პოეტური ხატები „ჭოლასეული“ შექსპირიდან...

ფესტივალის ორი საუკეთესო სპექტაკლი ბოლოსთვის შემოვიჩინებ: თემურ ჩხეიძის „ბიძიას სიზმარი“ სანკტ-პეტერბურგის დიდ დრამატულ თეატრში და IRAN THEATER WORKSHOP-ის მიერ წარმოდგენილი სპექტაკლი „ტერმინალი“ (მარჯანიშვილის თეატრის დიდი სცენა).

როდესაც „ტერმინალი“ ვნახე, უეცრად აღმოვაჩინე, რომ ჩვეული აღწერილობითი ლექსიკაც დამიძველდა და სარეცენზიო ტექნოლოგიაც. მონაცრისფრო უნიფორმებში გამონყობილი სამი ქალი, დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში, სიჩუმედან ამოზრდილ დრამატულ ტექსტს, თითქოს თქვენს თვალწინ თხზავს. კარგა ხანია, სცენაზე არ მინახავს სასწრაფო ვითარების ასეთი თავშეკავებული და უპრეტენზიო გამოცემის მანერა და ტექნიკა; მსახიობთა ამგვარი სიმშვიდე, რომლებიც ახალგაზრდა ასაკის მიუხედავად, ევთანაზიაში გამოცდილი ექიმებივით იცნობენ სიკვდილს. უფრო ზუსტად, ნელა, მაგრამ ფიქსირებულ მიზნებზე სიკვდილისაკენ!



მკაცრი, პროზაული და პოლიტიკური მეტაფორები რომელსაც დრამატურგი და რეჟისორი სიამაკ ეჰსაი თხზავს, თითქმის იდეალურ, სტერილურ სიჩუმესა და სცენურ გარემოში იკითხება. მოქმედება სადღაც გადაკარგულ ტერმინალსა თუ დიდი აეროპორტის ტუალეტში ხდება. უნიტაზებისა და კედლების ქათქათა თეთრი ფერი ერთდროულად კონტრასტულ და სარკასტულ დატვირთვას ატარებს, რასაც მთელი ძალით მხოლოდ ფინალში შევიგრძნობთ.

სცენური მინიმალიზმი, ისევე როგორც კონცეფტუალური მხატვრობა და კოსტიუმები, ზუსტადაა მოფიქრებული. სისხლის ლაქა, რომელიც სპექტაკლის ფინალში ტუალეტის თეთრი კედლიდან ჟონავს, ისეთივე მნიშვნელობას იძენს, როგორც ვთქვით, წითელი ვარდი ხრიკ უდაბნოში. მაგრამ ეს მხოლოდ თეატრალური, ან პოეტური მეტაფორა როდია, ეს რეალური სიკვდილიცაა, რომელიც ქალების უსამართლოდ, უჩუმრად წართმეულ ცხოვრებაზე მიგვანიშნებს.

მოკლედ, თბილისის მესამე საერთაშორისო ფესტივალი მესამე „ტერმინალად“ იქცა, რომლის ეგზისტენციური „გასასვლელი“, სამწუხაროდ, ვერაფრით აღმოაჩინა დუმილს და ფიქრს გადაჩვეულმა მცი-

რერიცხოვანმა პუბლიკამ მარჯანიშვილის თეატრის დარბაზში.

შთამაგონებელ-აკადემიურ აკორდად ჟღერდა ფესტივალის ბოლო დღეს წარმოდგენილი თემურ ჩხეიძის „ბიძიას სიზმარი“. დოსტოევსკის ცნობილი მოთხრობის სცენური ვერსია რუსთაველის გადაჭედილ თეატრში ხანგრძლივი (დაახლოებით სამი საათი), აკადემიურად დახვეწილი და კარგი ხელნაკეთივით უბრალო იყო. პუბლიკის ათწუთიანი მხურვალე აპლოდისმენტები კი ნიშნავდა, რომ ჩხეიძის სპექტაკლის ლამის ტრადიციული შეფასება – დახვეწილი, მაგრამ მოსაწყენი და ძველმოდური – ერთგვარად გაბათილებული აღმოჩნდა.

შეიძლება ბევრი რამ სადავო ან უკვე ყავლგასულად მოგეჩვენოთ, მაგრამ დოსტოევსკის ფარსს (რომელშიც, სხვათა შორის, უკვე დაცინვითაა ნახსენები სიტყვა „კომუნისმი“, ხოლო „ოტენესტენინი ზაპისკი“ განიხილება როგორც არასერიოზული ლიტერატურული ჟურნალი და არა ლიტერატურული არტეფაქტი) რეჟისორმა ოდნავ ზეანუელი, ოდნავ ირონიული და რაც მთავარია, სიზმრისეული იერი შესძინა. მაგალითად, სცენოგრაფიული გადაწყვეტა, მუსიკალური ზარდახშების ეპიზოდები, ან ზინორკას უჩვეულო რომანსი. რეჟისორი მეცხრამეტე საუკუნის რუსული პროვინ-

ციის გროტესკულ, მაგრამ სოციალურად ზუსტ პორტრეტს ქმნის; ყოველგვარი ყალბი პათოსის გარეშე.

თემურ ჩხეიძის სპექტაკლი კარგად ნაკეთი მიზანსცენებით, სცენური ატმოსფეროს ზუსტი შეგრძნებით, მონაცრისფრო-ყავისფერი გამით, კარგი კოსტიუმებით (მხატვარი ემილ კაპელუში) და ბრწყინვალე აქტიორული ანსამბლით გამოირჩევა: ალისა ფრეინდლიხი, ოლეგ ბასილაშვილი, პოლინა ტოლსტუხი, მარია ლავროვა... „ბიძიას სიზმარი“ რუსეთის ყველაზე პრესტიჟული თეატრალური პრემიის, „ოქრის ნილაბის“ მოსაპოვებლად რამდენიმე ნომინაციაში იყო წარდგენილი: საუკეთესო რეჟისურა, საუკეთესო მხატვრობა, ქალისა და მამაკაცის მთავარი როლები.

რუსთაველის თეატრში შეკრებილ მაყურებელს თემურ ჩხეიძემ კლასიკის ენაზე კიდევ ერთხელ შეახსენა რა ხანმოკლე და მოუხელთებელია ამქვეყნიური ბედნიერება; მაშინაც, როცა არცთუ კარგი ხარისხის ფესტივალს კარგი ბოლო აქვს! იქნებ, მომავალ წელს, უკეთესად დაპროექტებულ მეოთხე საერთაშორისო „ტერმინალს“ პატარა გასასვლელი მაინც მოუძებნოთ, ხოლო მძაფრი განცდები საბაჟოზე დაკარგული დეკორაციების გარეშეც შევიგრძნოთ?!

ლამაზი ქალების სოფელი

ავტორი ნინო ბაქიშვილი
ფოტო დარო სულაკაური

დუისი ლამაზი ქალების სოფელია. ყველანი, ვისაც შეეხვდი, მიუხედავად იმისა, რომ სოფლად ცხოვრობენ და საკმაოდ მძიმე ყოფა აქვთ, ლამაზები არიან – მომხიბვლელები, ელეგანტურები; განსაკუთრებით, გოგონები – რალაცნაირი ღირსების გრძნობით მოსეირნეები სოფლის ორღობეებში.

დუისი პანკისის ხეობაშია. აქ პირველად მოხვედრილი, მხოლოდ ქალების ჩაცმულობაზე თუ იფიქრებთ, რომ ქისტეთში ხართ, რადგან ყველა, დიდიან პატარიანად გამართული, თავანკარა ქართულით საუბრობს.

დუისი მხოლოდ იმით განსხვავდება მეზობელი ქართული სოფლებისგან, რომ აქ ორი ლამაზი მეჩეთი დგას, სახლებს და ღობეებს კი ნახევარმთვარის გამოსახულებები ამშვენებს. დანარჩენი ისეა, როგორც ყველგან: დგას ტიპური გამგეობის შენობა, სკოლა, საბავშვო ბაღი და ძირითადად, გასული საუკუნის 70-80-იან წლებში აგებული სახლები. მთელ სოფელში სულ რამდენიმე სახლია ახალაშენებული. დუისიც ისე ცხოვრობს, როგორც დანარჩენი საქართველო – არ ულხინთ, მაგრამ შრომობენ და თავი ძირითადად, პატარა საოჯახო მეურნეობებით გააქვთ.

ბიჭებიც კარგები ჰყავთ ქისტებს, მაგრამ ახლა მარტო ქალებზე ვწერ. ეგ კი არა, დუისში ყოფნისას არცერთ მამაკაცს არ დავლაპარაკებია. რატომღაც ვიფიქრე, ახალგაზრდობილს მათი ნდობის მოპოვება გამიჭირდებოდა, თან მინდოდა, მარტო ქალებზე დამეწერა.

პანკისში წასვლა მას შემდეგ გადავწყვიტე, რაც ინტერნეტში დუისში გამართული ერთი აქციის ვიდეოჩანაწერები ვნახე. დუისელი შორენა ხანგოშვილი მოულოდნელად დააპატიმრეს და ნარკოტიკები „აღმოუჩინეს“. შორენა უკვე ოთხი წელია, რაც სოფელში „როდი სკოტის ფონდში“ ბავშ-

ვებს ინგლისურს ასწავლის. სანამ სოფელში დაბრუნდებოდა, თბილისში, „ჯიპას“ (საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი) ჟურნალისტიკასა და მედიამენეჯმენტის მაგისტრატურა გაიარა.

მისი დაპატიმრების შესახებ რომ გაიგეს, დუისელებმა რამდენიმე აქცია გამართეს. მთელი სოფელი გამოვიდა – ბავშვებმა სკოლა გააცდინეს და მასწავლებლის გათავისუფლების მოთხოვნით უფროსებთან ერთად დადგნენ. აქციაზე ქალები აქტიურობდნენ – ძალიან გამართულად, ღიად გამოხატავდნენ პროტესტს. იგრძნობოდა, რომ იოლად არ დანებდებოდნენ. „მთლიან ქისტობას ლაფი გადაასხეს! ვიბრძოლებთ მისი სახელის გადასარჩენად“ „მთელი სოფელი ფეხზე დადგა, ჩავალთ თბილისში, მთელ მსოფლიოს გავაგებინებთ!“ „თუკი ასეთი უდანაშაულო გოგო დააკავეს, მაშინ ყველანი უნდა ველოდოთ დაპატიმრებას!“ – ამბობდნენ ქისტი ქალები.

ასეთი სოლიდარობის აქცია საქართველოში, მით უმეტეს, რეგიონში აქამდე არასდროს მინახავს. ქისტი ქალები, რომლებიც დარწმუნებულები იყვნენ, რომ შორენა უსამართლოდ დასაჯეს, შეგუებას არ აპირებდნენ. ხელისუფლებამ, რომელსაც ნებისმიერი აქციისა და პროტესტის იგნორირება ან აბსურდად ქცევა შეუძლია, უკან დაიხია – შორენას გირაო გადაახდევინეს და გამოუშვეს.

ქალებმა მითხრეს, რომ შოკირებულები იყვნენ მომხდარით, ცხადად დაინახეს, საფრთხე მათაც ემუქრებოდათ და აქციაზე სპონტანურად გავიდნენ. მხოლოდ ერთი მიზანი ჰქონდათ – უსამართლოდ დაპატიმრებული შორენა გაეთავისუფლებინათ და როგორც ერთმა თქვა, მისი „ღირსება აღედგინათ“. ჩემთან საუბარში დუისელი ქალები, ამ სიტყვას – „ღირსებას“, ხშირად ახსენებდნენ. აქაურებისთვის ღირსების





**დუისი ლაიაში
ქალების
სოფელია.
ყველანი,
ვისაც შევხვდით,
მიუხედავად
იმისა, რომ სოფლად
სსოვრობენ და საკმაოდ
მძიმე ყოფა აქვთ,
ლაიაში არიან –
მოხიზვლები,
ელბანტურები;
ბანსაქუთრებით,
ბოზონები
– რალაქნაირი
ღირსების ბრძოლით
მოსაირაები სოფლის
ორღობეებში.**

აღდგენა იმდენად მნიშვნელოვანი ამბავია, რომ მამაკაცებმა ქალებს აქციაზე გასვლა არ დაუშალეს, მართალია, უფრო ქალები აქტიურობდნენ, მაგრამ აქციაზე მამაკაცებიც მათ გვერდით იდგნენ...

ჩემი მასპინძელი დუისში სწორედ შორენაა. პირველად მასთან მივიღივარ, „როდი სკოტის“ ფონდის ოფისში. ჯერ ადრეა, მოსწავლეები არ არიან, ცარიელ საკლასო ოთახში ვსხედვართ და ვსაუბრობთ. დუისში ყოფნისას ყველაზე მეტი დრო შორენასთან გავატარებ და ყველაზე მეტი რამ ქისტის ქალების შესახებ სწორედ მისგან გავიგე...

მას შემდეგ, რაც 1997 წელს თელავის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა, ნათესავებთან ერთად საცხოვრებლად ჩენეთში წავიდა. საქართველოში მამინ ცხოვრება ძალიან ჭირდა, გროზნოში კი თავის რჩენა უფრო იოლი იყო. ორ წელიწადში ჩენეთის მეორე ომი დაიწყო და შორენას ჯერ სარდაფში ცხოვრება მოუწია, ხოლო შემდეგ – სხვა დევნილებთან ერთად, გროზნოს დატოვება. სანამ მის ახლოს, ქუჩაში ბოში არ დაეცა, ვერ იჯერებდა ომის დაწყებას: „დერეფნები გახსნეს და შატლის მხრით გადმოვედით. მახსოვს, ოქტომბერი იყო და საშინლად ციოდა. განადგურებულები ვიყავით. იყვნენ ქალები, რომელთაც ომში სამი შვილი და მეუღლე დაკარგეს. დუისში ბალი გამოიკეტა და შენობაში ლტოლვილები შესახლდნენ. ჩემს ოჯახში 15 უცნობი ადამიანი ცხოვრობდა. მერე დავემგობრდით. ჩენები სულიერად ძალიან გაუტეხლები არიან, სწამთ ღმერთი... ეს რომ არ იყოს, და სიკვდილის შემდეგ სიცოცხლის რომ არ სჯეროდეთ, ამდენს ვერ გადაიტანდნენ...“

შორენა ბევრს მელაპარაკება საკუთარ ცხოვრებაზეც, აქაურებზეც, ადგილობრივ სანესჩვეულებო სამართალზეც. ვხვდები, რომ დაპატიმრებაზე საუბარი არ სურს და მეც აღარ ჩავეძიე.

შორენამ სკოლა ქართულად დაამთავრა, შემდეგ – თელავში უნივერსიტეტი, და როგორც ამბობს, არა მხოლოდ ის, არამედ, პანკისის მთელი მოსახლეობა საკმაოდ ინტეგრირებული იყო ქართველებთან. საშუალო სკოლა აქ თავიდანვე ქართული იყო, უმაღლეს განათლებასაც უმეტესად ქართულ უნივერსიტეტებში იღებდნენ,

ქართველებისა უკეთ ესმოდათ, ვიდრე, მაგალითად, მონათესავე და მუსლიმი ჩენებისა, მაგრამ დღეს სიტუაცია შეიცვალა: „ჩენების შემოსვლამ რელიგიისკენ შემოაბრუნა აქაურები. მანამდე, რელიგია ძალიან დასუსტებული იყო ჩვენს ხეობაში. ჩენების შემოსვლით უკუპროცესი დაიწყო, ისევ რელიგიას მიუბრუნდნენ, 2001 წელს ახალი მეჩეთიც აშენდა... ორი კვირის წინ ქორწინება ვიყავი და ახალგაზრდების 95 % მუსლიმანურ წესზე იყო ჩაცმული. ლამის იყო, ჩემი ჩაცმულობისა შემრცხვა. მე არ მახსოვს, რომ ადრე ახალგაზრდას დღეში ხუთჯერ ელოცოს. მარტო ბებიები ლოცულობდნენ. დღეს კი ძალიან ხშირად ადამიანს რცხვინია იმის თქმისა, რომ არ ლოცულობს. ჩენი ლოცვა ძალიან რთულია. ლოცვის წინ უნდა დაიბანო არა მხოლოდ ხელ-პირი, არამედ ფეხებიც. თავისუფალი კი ხარ არჩევანში, თუ გინდა ილოცებ, თუ გინდა – არა. შეიძლება, პირდაპირ არ გაგკიცხონ, მაგრამ საზოგადოებრივი აზრი იმდენად მომართულია შენს წინააღმდეგ, რომ მაინც შეგრცხვება“.

ჩემი მასპინძელი მარტოხელა დედაა და მეთორმეტეკლასელ გოგონას ზრდის, რაც ქისტური ტრადიციით იშვიათობაა, რადგან თუკი აქ ოჯახი ინგრევა, შვილები, როგორც წესი, მამასთან რჩებიან. ქალი საკუ-

თარ ოჯახში ბრუნდება და შეუძლია, ისევ გათხოვდეს. შორენა მიხსნის, რომ ქალს ოჯახში ძმა ხვდება თავისი ცოლ-შვილით და უხერხულია, მამის სახლი საკუთარი შვილებით შეიქნოს. შეიძლება ასე იმიტომაც ხდება, რომ ქალმა თავის პირად ცხოვრებას მიხედოს და ისევ გათხოვდეს. ქალებს, როგორც წესი, ბავშვების მიტოვება უჭირთ და ამიტომაც, იძულებულები არიან, ბევრი ისეთი რამ აიტანონ, რაც ჩვენთვის ძნელად გასაგებია. მაგალითად, ქმრის მეორე ცოლი, მაგრამ ამაზე, ქვემოთ...

„აღზრდა ბევრს ნიშნავს. მე ყოველთვის ვიცოდი, რომ ჩემი ოჯახის ღირსება უნდა შემენახა. მართალია, 16-17 წელია ქმარს გაყრილი ვარ და მარტო ვცხოვრობ, მაგრამ მახსოვდა და მახსოვს, რომ ჩემს უკან ჩემი ოჯახი დგას. როცა ბავშვობიდან იზრდები და შთაგაგონებენ, რომ აუცილებლად უნდა დაიცვა წეს-ჩვეულებები, მერე უკვე ნაკლებად ფიქრობ საკუთარ ბედნიერებაზე“ – მითხრა შორენამ.

სოფელში გავდივარ. უცნაურად მეჩვენება ის, რომ აქ ქალები სხვადასხვანაირად ჩაცმულები დადიან – ზოგი ტრადიციული ისლამური სამოსითა – თმა არ უჩანთ, გრძელი, კოჭებამდე კაბები აცვიან; დანარჩენები – ჩვეულებრივად. ოღონდ ეგაა, ტრადიციის შესაბამისად, ქალების უმეტესობას თავზე ახურავს. გათხოვილი ქალი აქ თავსაბურავის გარეშე ვერ გაივლის. ასეთია ადათი.

ადათ-წესებს ყველანი ემორჩილებიან. დიდებიც და პატარებიც. სხვანაირად ამ თემში ცხოვრება წარმოუდგენელია. თემი ძლიერია და ერთი ადამიანი, მით უმეტეს, ქალი, ვერაფერს გახდება. აი, ისეა, როგორც ვაჟას დროს: „თემს რაც სწადიან, მას იზამს, თავის თემობის წესითა...“ აქაურმა ქალებმა მითხრეს, რომ ბავშვობიდან იციან – კაცი მათზე მაღლა დგას და უნდა დემორჩილონ. ბიჭებს, სულ პატარაობიდანვე აჩვენებენ, რომ კაცები არიან და ღირსეულად უნდა მოიქცნენ. მაგალითად, პატარა ბავშვს მოხუცებიც კი ფეხზე უდგებიან, იმიტომ, რომ თავიდანვე იცოდეს, მამაკაცია და უპირატესობა აქვს...

აქ თვლიან, რომ ქალი მდიდარია თავისი ოჯახითა და შვილებით. ქალები, რომლებიც საერთოდ არ გათხოვილან, პანკისში



**როგორც
ქალისტვის, ისე
მამაკაქისთვის
სოლ-ქმრული
ლალატი
მიუღებელია,
მაგრამ ქაქს ამისთვის
არავინ გაქისხავს.
მომხდარა ისეც,
რომ ლალატის გამო
ქმას საქუთარი
და მოუქლავს. ამ
გადაწყვეტილებას
მთელი გვარი იღებს
და ეს, როგორც წესი,
ოჯახის ღირსების
ალსადგენად კითდება.**

დიდი იშვიათობაა. ამას გარდა, არსებობს ბევრი წესი, რომელსაც დღემდე იცავენ. მაგალითად, თუკი ოჯახში სტუმრებია და რაღაც საკითხს განიხილავენ, ქალს არა აქვს უფლება საერთო საუბარში ჩაერთოს და საკუთარი აზრი გამოხატოს. ქალის მოვალეობაა, აცადოს მამაკაცებს. თუმცა, როცა მარტო დარჩებიან, ცხადია, შეუძლიათ ქმრებს საკუთარი მოსაზრებები გაუზიარონ და თუ დასჭირდათ, კატეგორიულად იყენებენ.

აქაური ადათები ქალების მიმართ მკაცრია. ქალი იძულებულია ქმრის საქციელზე ხშირად თვალი დახუჭოს. რელიგიურად, როგორც ქალისთვის, ისე მამაკაცისთვის ცოლ-ქმრული ლალატი მიუღებელია, მაგრამ კაცს ამისთვის არავინ გაქისხავს. მომხდარა ისეც, რომ ლალატის გამო ქმას საკუთარი და მოუქლავს. ამ გადაწყვეტილებას მთელი გვარი იღებს და ეს, როგორც წესი, ოჯახის ღირსების ალსადგენად კითდება. შორენამ მითხრა, რომ ეს დიდი ტრაგედიაა ყველასთვის და თავისთავად ეს ფაქტი, მკვლევლობა, ღირსებას კი არ აღუდგენს ოჯახს, არამედ, პირიქით, შავ ლაქად მიყვება საუკუნეების მანძილზე.

„რა თქმა უნდა, მკვლევლობა გაუმართლებელია. მიუხედავად იმისა, რომ რელიგიურობამ მოიმატა, ამგვარი შემთხვევები აღარ ხდება. წლებია, მსგავსი რამე არ მომხდარა“ – თქვა დუისის საჯარო სკოლის დირექტორმა ლილი სვიაკაურმა. ეს მართლაც მძიმე თემაა და ქალებს ვატყობდი, რომ ყველაზე მეტად ამ თემაზე საუბარი უმძიმდათ.

პანკისის ხეობა ახმეტიდან სულ რამდენიმე კილომეტრშია და ქისტები ძალიან ინტეგრირებულები არიან ქართველებთან, მაგრამ შერეული ქორწინებები, როგორც წესი, არ ხდება. თუკი მოხდა, ბიჭისგან ითხოვენ მუსლიმური წესების დაცვას, მაგალითად, წინდაცვეთას, ამის შემდეგ, შეიძლება მიიღონ ქართველი სიძე. მაგრამ უმეტესწილად, იმისთვის, ვინც მშობლების დაუკითხავად ქართველს გაყვება ცოლად, მამის ოჯახის კარი სამუდამოდ იკეტება. „აქ ერთი მასწავლებელი ქართველს გაჰყვა ცოლად, – მითხრა შორენამ, სამუდამოდ მოიკვეთეს. მეზობელ სოფელში ცხოვრობს

და კარგი ოჯახი აქვს. დედამისიც კი ვერ დაიტოვა, დაკრძალვაზეც არ მოუშვეს“...

დუისში საკმაოდ დიდი სკოლაა, ორი სექტორით – ქართულით და რუსულით. ქისტების უდიდესი ნაწილი ქართულ განათლებას იღებს, რუსულად ჩეჩნეთიდან დევნილი მოსახლეობის შვილები სწავლობენ. მოსწავლეთა საკმაოდ დიდი ნაწილი სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლას აგრძელებს და ქართულ უნივერსიტეტებში მაღალი ქულებით ხვდება. მშობლები ყველანაირად ცდილობენ, რომ გოგონებს კარგი განათლება მისცენ. ქისტები ფიქრობენ, რომ ქალი რადგან სუსტია და მას უფრო მეტად სჭირდება განათლება, კაცი ფიზიკური შრომითაც კარგად გაიტანს თავს. თანაც, მიაჩნიათ, რომ ქალისთვის მნიშვნელოვანია ფინანსური დამოუკიდებლობა. ამიტომაც, დუისში უფრო მეტი ქალი უმაღლესი განათლებით, ვიდრე მამაკაცი...

პანკისელი ქისტების ცხოვრება უკანასკნელი წლების მანძილზე მაინც შეიცვალა – ჩეჩენი დევნილების შემოსვლის შემდეგ აქაურ ქისტებს შორის გავრცელებული, ზეპირ ტრადიციით გადმოცემული ისლამი არაბულმა ნიგნის რელიგიამ – ყურანზე დაფუძნებულმა ისლამმა შეცვალა. ეს სწავლება აქ ჯერ ჩეჩენმა დევნილებმა გაავრცელეს, ხოლო შემდეგ მათ ადგილობრივი ახალგაზრდებაც შეუერთდნენ, რამდენიმე

მათგანმა სასულიერო განათლება არაბულ ქვეყნებში მიიღო. 2001 წელს დუისში მეორე მეჩეთი აშენდა. ახლა ძველი თაობა ძველ მეჩეთში ლოცულობს, ახალგაზრდების უმეტესობა კი – ახალში.

ამ ცვლილებას უცხო მზერისათვის თვალშისაცემს სწორედ ქალების სამოსი ხდის. ის, ვინც ახალ რელიგიას მისდევს, ტრადიციულ ისლამურ სამოსს ატარებს. სკოლის მოსწავლეების ნაწილიც ასე შემოსილი დადის. სიმართლე რომ ვთქვა, ჩემთვის ცოტათი უცნაური იყო სკოლის დერეფნებში ისლამურ წესზე ჩაცმული გოგონების დანახვა. თუმცა, ვალიარებ, ძალიან ლამაზები იყვნენ ასე ჩაცმულები. ისიც მითხრეს, რომ თავად გოგონებს ეს ძალიან მოსწონთ და ბევრი თინეიჯერი გოგონა, რომლის მშობლებიც ისევე ძველ მეჩეთში დადიან და არ თხოვენ შვილებს ისლამურ წესზე ჩაცმას, თვითონ ცდილობს თავსაფარი მოიხვიოს და კოჭებამდე კაბით იაროს.

მადინა სკოლაში გავიცანი. გაკვეთილები უკვე დამთავრებული იყო, როცა სამასწავლებლოში დავსხდით და ვისაუბრეთ. ის ერთადერთია, ვინც ჩემთან რუსულად საუბარს ამჯობინებს. სკოლა დუისში დამთავრა, შემდეგ გროზნოში გადავიდა საცხოვრებლად. ომის შემდეგ ოჯახთან ერთად დუისში დაბრუნდა. ახლა ოთხი შვილი ჰყავს და სკოლაში მათემატიკას ასწავლის. მუსლიმური ტრადიციის მიხედვით აცვია, რადგან ის და მისი მეუღლე ახალ მეჩეთში დადიან. მეუბნება, რომ ისლამის წესების დაცვა სულაც არ არის ძნელი, განსაკუთრებით მაშინ, თუკი ამ ყველაფერს გულით აკეთებ, მიყვება იმაზე, რომ მისი გოგონებიც ისლამური ტრადიციის მიხედვით იმოსებიან. რატომღაც მომეჩვენა, რომ ცოტა ზედმეტად ამხვილებდა ყურადღებას სამოსზე და იმაზე, რომ ქალს თმა არ უნდა გამოუჩნდეს.

რამდენიმე წლის წინ რელიგიურ ნიადაგზე დაპირისპირება მართლაც იყო, მაგრამ ახლა მშვიდობიანად ცხოვრობენ – ვისაც რომელ მეჩეთში უნდა, იქ დადის და ლოცულობს. ისინი, ვინც ახალ რელიგიას მისდევენ, საკუთარ თავს „ჯამაათის ხალხს“ ეძახიან, დანარჩენები მათ „ვაჰაბიტებად“



არ ვიცი, შეიძლება კორექტულად პერს მოვიქნის, მაგრამ ვისაც შევხვდი, თითქმის ყველა ქალს ვკითხა, იყვნენ თუ არა ბედნიერები. ამ კითხვაზე პირდაპირ პასუხს თავს არ იღებდნენ, თითქოს, უხერხულობდნენ ამაზე ხმამაღლა საუბარს. ამბობდნენ, ჩვენი ოჯახი და შვილები ჩვენთვის ბედ- ნიერებაო. ერთადერთი, შორენა შეეცადა აეხსნა, როგორ უყურებენ და როგორ ესმით ქისტ ქალებს ბედნიერება: „იმდენად არიან ბედნიერები, რამდენადაც თავიანთი უფლებ- ებისთვის არ იბრძვიან. ბავშვობიდან იცი, რომ დასაყრდენი უნდა იყო, შენზეა ბევრი რამ. ოჯახის სიმყარე ქალზეა დამოკიდებული. თუ ქალმა გაუძლო, ის ოჯახი არ დაინ- გრევა და არ დაიქცევა. აქ ამბობენ, კარგი ქალი ცუდი კაცისგანაც კარგს გამოიყვან- სო. ამიტომ, ქალს დიდი პასუხის- მგებლობა აქვს. დღევანდელ ცხოვრებაში ქალი უფრო ინარჩუნებს საკუთარ ქალურობას, ვიდრე ადრე. ფასეულობების გადახალისება ხდება, მაგრამ აქაური ურთიერთობების ძირითადი ბირთვი მთლიანად შენარჩუნებულია...“

მოიხსენიებენ. ერთმა მოხუცმა ქალმა მითხრა – აი, თქვენ ხომ გყავთ იელოველები, ისე არიან ესენიც, სექტააო. ეს ახალი რელიგიის მიმდევრებს სწყინთ და მიხსნიან, რომ წიგნზე, ყურანზე დაფუძნებულ სუნიტურ ისლამს არაფერი აქვს საერთო საფრთხობელად ქცეულ ვაჰაბიზმთან.

კიდევ ერთია – ახალი რელიგიის მიმდევრები კონსერვატულები ჩანან, მაგრამ ქალებს უფრო ლიბერალად ექცევიან. მაგალითად, საოჯახო საქმეებში ცოლებს ეხმარებიან – ადრე შეშის ან წყლის მოტანა კაცისთვის სათაკილო საქმედ ითვლებოდა, ახლა ამ საქმეს ქისტი მამაკაცები ჩვეულებრივ აკეთებენ. აქამდე მამაკაცისთვის სირცხვილი იყო, შეიღს რომ სხვების თანდასწრებით მიფერებოდა, ან უბრალოდ, ხელში აეყვანა, დღეს მეც კი ვნახე სოფელში ასეთი წყვილი – ახალგაზრდები იყვნენ, ალბათ, სეირნობდნენ ან სადმე სტუმრად მიდიოდნენ. ქალს მსუბუქი ჩანთა მოჰქონდა, ბავშვი მამას ეჭირა. ცხადია, სულაც არ გამიკვირდა, მაგრამ თურმე ამგვარ სურათს ქისტეთში, მაგალითად, 10 წლის წინ ნამდვილად ვერ ნახავდით.

ორცოლიანობა პანკისელ ქისტებს შორის ჯერ კიდევ გავრცელებულია, თუმცა, ისე არა, როგორც მაგალითად, ერთი საუკუნის წინ. რელიგიურად ორცოლიანობა ნებადართულია, თუმცა, ბევრ კაცს ნამდვილად არა ჰყავს ორი ცოლი. ფინანსურადაც ძნელია ორი ოჯახის შენახვა, მაგრამ თუ ოჯახში ბიჭი არ არის, მაშინ კაცი მთელი გვარის წინაშეა მოვალე, მეორე ცოლი შეირთოს, ხოლო პირველი იძულებულია, ხმისამოულებლად შეეგუოს ბედს. აქ მემკვიდრე მხოლოდ ბიჭია, ქალს მემკვიდრეობა არ ეკუთვნის, თუ გათხოვდა, წაიღებს მზითვეს და ეგაა.

ქალებს, ცხადია, ორცოლიანობა არ მოსწონთ: „ეჰ, შვილო, მძიმეა ჩვენი ქალების მდგომარეობა, როცა ადათ-ნესებს შეჩვეულები არიან, წყნარდებიან და ბედს ეგუებიან. ატყუებენ ქმრები, შენ მიყვარხარო, მერე მეორე ცოლთან გადავლენ, იმას ეუბნებიან, აბა, რომ არ მიყვარდე, ხომ არ შეგირთავდიო და ასეა...“ – მითხრა ზიზიმ. მის მეზობლად ერთ კაცს ახლახან მოუყვანია მეორე ცოლი. პირველი ცოლი მამის

სახლში დაბრუნებულია. „იტირებს, იტირებს და ისევ უკან მოვა, აბა შვილებს ხომ არ დატოვებო“ – ლაპარაკობდნენ ქალები.

ზიზი ყველაზე უფროსია მათ შორის, ვინც დუისში გავიცანი, 70 წლისაა. თანაც, ყველაზე ლალი და გულლია. ახლა ავადაა, მაგრამ მაინც მუშაობს. საინტერესო საქმე აქვს – ძველი ტრადიციული წესით ქუდებს კერავს. სახელოსნო ეზოშივე აქვს მოწყობილი. 90-იანებში, როცა ცხოვრება გაჭირდა, ზიზიმ ის საქმე გაიხსენა, რომელსაც დედამისი მისდევდა და თექის მოთელვა დაიწყო. მისი ნახელავი უცხოეთშიც გაუტანიათ, მითხრა – პოლანდიაში და გერმანიაშიც იყიდება ჩემი თექის ნაწარმიო.

ქისტურ ტრადიციებსა და ადათ-ნესებზე ყველაზე თავისუფლად ზიზი მელაპარაკა. სალამო იყო, ციოდა, მის პატარა ოთახში, ლუმელთან ვისხედით და ვსაუბრობდით. ხანდახან ზიზის შვილიშვილები და რძლები შემოდის. შვილიშვილები – გოგონები, დიდი, ბრიალა თვალებით. ზიზი მშობლებს და პანკისის ხეობის ძველ ამბებს იხსენებდა, საკუთარი ავადმყოფობის და თბილისში მკურნალობის შესახებაც მომიყვა. ქალების მდგომარეობაზე რომ ვკითხე, ყოყმანის გარეშე მომიგო: „დაძაბულები არიან, მიუქარნიათ თუ არ გითხრეს ეგა! აქ, ქალი ქმრის დავალებით უნდა მოიქცეს, ყველაფერი უნდა დაუჯეროს. არა მარტო ქმარს, არამედ, მის მშობლებს და ძმებს. თუ ასე არ მოიქცევა, მერე ქმარი აუცილებლად დააყვედრებს. ჩვენთან დედამთილ-მამამთილს ძალიან მაგარი დაფასება აქვს. ქალი დატანჯულია, რასაც მამაკაცი აკეთე-

ბს, ის უნდა გააკეთოს. მე კმაყოფილი ვარ ქართველებისა, უფრო მსუბუქი წესია ქალის მიმართ. აქაური ქალები ძალიან ბევრს შრომობენ, გინდაც თქვან, არაო, ეგრეა“...

არ ვიცი, შეიძლება კორექტულად ვერც მოვიქცი, მაგრამ ვისაც შევხვდი, თითქმის ყველა ქალს ვკითხე, იყვნენ თუ არა ბედნიერები. ამ კითხვაზე პირდაპირ პასუხს თავს არ იღებდნენ, თითქოს, უხერხულობდნენ ამაზე ხმამაღლა საუბარს. ამბობდნენ, ჩვენი ოჯახი და შვილები ჩვენთვის ბედნიერებაო. ერთადერთი, შორენა შეეცადა აეხსნა, როგორ უყურებენ და როგორ ესმით ქისტ ქალებს ბედნიერება: „იმდენად არიან ბედნიერები, რამდენადაც თავიანთი უფლებებისთვის არ იბრძვიან. ბავშვობიდან იცი, რომ დასაყრდენი უნდა იყო, შენზეა ბევრი რამ. ოჯახის სიმყარე ქალზეა დამოკიდებული. თუ ქალმა გაუძლო, ის ოჯახი არ დაინგრევა და არ დაიქცევა. აქ ამბობენ, კარგი ქალი ცუდი კაცისგანაც კარგს გამოიყვანსო. ამიტომ, ქალს დიდი პასუხისმგებლობა აქვს. დღევანდელ ცხოვრებაში ქალი უფრო ინარჩუნებს საკუთარ ქალურობას, ვიდრე ადრე. ფასეულობების გადახალისება ხდება, მაგრამ აქაური ურთიერთობების ძირითადი ბირთვი მთლიანად შენარჩუნებულია...“

ისე კი, მიუხედავად იმისა, რომ შემოდგომის ნათელი დღე იდგა და გულლია მასპინძლები მყავდა, მაინც გულდამძიმებული წამოვედი ლამაზი ქალების სოფლიდან – დუისიდან.

P.S. უკანა გზაზე, მანქანაში გამახსენდა ალაზა, ალბათ, ყველაზე ელვარე და ტრაგიკული ქალი ქართული ლიტერატურის ისტორიაში. მთელი გზა ვცდილობდი, ოდესღაც ზეპირად ნასწავლი „სტუმარ-მასპინძლის“ სტროფები გონებაში აღმედგინა: „გამოჩნდა ქალი ლამაზი, შავის ტან-საცმლით მოსილი, როგორც ალვა ტანადა, ვარსკვლავი, ცივად მოცილილი...“ მერე შევყვი, შევყვი და იმ მომენტთან რომ მივედი, როცა ჯოყოლა ამბობს: „იტირე, მაღლი გიქნია, მე რა გამგე ვარ მაგისა“ ცოტათი გულიც კი დამწყდა, მამაკაცები რომ არ გავიცანი – რა ვიცი, ეგებ რომელიმე დუისელი ბიჭი ჯოყოლა ალხასტაისძისთვის მიმემგავსებინა.





ქართული ოსნებების ფაბრიკა

ავტორი ნინო ლომაძე

სანამ წერას დავასრულებ, ბერას ცხოვრება რადიკალურად იცვლება – მისი მამა, ყველაზე უჩინარი ქართველი მილიარდერი გადაწყვეტს, რომ პოლიტიკოსი გახდეს.

ბოტანიკური ბაღის სამხრეთ-დასავლეთით, გზატკეცილის პირას, გალავნის გადაღმა, ძველი ბოტანიკის ინსტიტუტის აგურის, ორსართულიანი შენობა ჩანს. აგურის ფასადზე დიდი, თეთრი ასოებით წერია: Georgian Dream Studios. ბერა ივანიშვილთან პირველ შეხვედრაზე „ქართული ოცნების“ სტუდიაში მივდივარ.

მანქანას გარეთ ვაჩერებთ. ჭიშკართან, დაცვის ჯიხურში თანამშრომლებს ჩემს სახელს და გვარს ვკარნახობ. სანამ ველოდები, ბაღს ვათვალიერებ.

მარცხენა კიდესთან ეზოს დაბალი ხეივანი მიუყვება და, თუ ორიენტაცია არ მღალატობს, „ბიზნეს ცენტრთან“ მიდის. ჩიტები ჭიკჭიკებენ, ჰაერში ხასხასა მოლინა და ყვავილების სურნელი ტრიალებს. „აი, ეს არის ჩვენი სტუდია, – მეუბნება ქეთი, პიარსამსახურის თავაზიანი თანამშრომელი, თან ხის თეთრ კარს მსუბუქად აღებს და მრგვალ ჰოლში შევდივართ.

ჰოლში სინათლე ორი ფანჯრიდან შემოდის და ოთახის ცენტრში, დიდ შვიდექიმიან ვარსკვლავსა და მის გარშემო, წრეზე ამოტვიფრულ ლოგოს ეცემა – თეთრ მარმარილოზე შავი ასოებით სტუდიის სახელი წერია. ნარწერა მზის შუქს ირეკლავს

და ანარეკლი ჭერისკენ „აღმართულ“ სინათლის სვეტში იფანტება.

თეთრ კედლებზე ბერას რამდენიმე ფოტო ჰკიდია, სხვადასხვა მუსიკოსთან ერთად. მხოლოდ რიანა მეცნობა. დანარჩენების ვინაობას მოგვიანებით ვიკითხავ.

ბერას თეთრ მისაღებ-მოსასვენებელ ოთახში ველოდები, რომელსაც ყველა „ლაუნჯს“ ეძახის. დაცვის, პიარ სამსახურის, სტუდიის თანამშრომლები, მეგობრები, კომპოზიტორები, ამერიკელი და ქართველი რეჟეტიტორები, პროდიუსერები, სონგრაიტერები, სტილისტები, ქორეოგრაფები – 16 წლის ბერა ივანიშვილის სტუდიაში სულ ფუსფუსია.

მისი ხმა მესმის. სიმღერ-სიმღერით მოდის. ჰოლში თანამშრომლებს მხიარულად, თბილად, ჰიპ-ჰოპ ჟესტებით ესალმება.

„როგორ ხარ, თამთა, გენაცვალე? რა მაგარი სახელი დაგარქვით, არა? ა, ქეთი! ჰეი, ბექა!..“ – ოთახში ტრიალებს, მღერის, ცეკვავს. რამდენიმე წუთში მეც მამწნევს. ფორმალური „გამარჯობა, სასიამოვნოა-თი“ ვეცნობით ერთმანეთს და თეთრ დივანზე ვსხდებით.

* * *

ბერა საქართველოში მედიამ პირველად ორი წლის წინ შეამჩნია, როდესაც ბათუმის ჯაზ-ფესტივალზე, ფრანგულ ენაზე რეპი იმღერა. „ყველაზე დიდი ქველმოქმედის“ უჩინარი ცხოვრების წესს მიჩვეულმა

მედიამ, მისი შვილის ეს ექსტრავაგანტური დებიუტი სატელევიზიო სიუჟეტების და სტატიების თემად აქცია. წლების მანძილზე „ივანიშვილის რეპერი შვილის“ შესახებ სულ რამდენიმე დეტალი ვიცოდით: რომ სნუპთან ერთად ფრანგულ ენაზე რეპი იმღერა, რომ ბერა ალბინოსია, რომ მალე ბოტანიკის ინსტიტუტის ყოფილ შენობაში საკუთარი სტუდია ექნება და კიდევ რამდენიმე ასეთი.

2011 წელს კი, ბერას პოპულარიზაცია ორგანიზებული კამპანიით დაიწყო: „ფეისბუქზე“ მისი ოფიციალური გვერდი გაჩნდა – BERA official/Musical Band; ზაფხულში ბერა ნაციონალურ არხებზე გამოჩნდა; რუსთაველის კინოთეატრის დარბაზში და ბათუმში კლიპის პრეზენტაციაზე ბერა ქართველ ფანებს შეხვდა. „მე თქვენში ვარ შეყვარებული, ყველაში ერთად“, – უპასუხა გოგონას, რომელმაც ჰკითხა თუ ჰყავდა შეყვარებული. წელს, „ქართული ოცნების სტუდიაში“ თინეიჯერი მომღერლების შესარჩევად კონკურსიც გამოაცხადა. ათასზე მეტი განაცხადი შევიდა. ქართული ოცნების სახელოსნომ გამარჯვებულები მსოფლიო შოუ-ბიზნესის ვარსკვლავებად უნდა აქციოს. „ჩემი ოცნებაა, ქართველ ნიჭიერ მომღერლებს დავეხმარო. დრომ სტუდიოს ბავშვები მიიწვია, – ბიონსეს, ამერიკის პოპულარულები გახდნენ. მიიწვია, გვიცნობდნენ, როგორც მართლა მუსიკალურ ერს. ჩვენი ბავშვების შთამომავლებს არ გვაქვს უფლება, ჩრდილში ვიყოთ. მე თუ შევძლებ ჩემი წილი იყოს ამ წარმატებაში, ბედნიერი ვიქნები“, – ამბობს თინეიჯერი ბერა ივანიშვილი.

ქართველ ფანებთან შეხვედრაზე, საქართველოში დაბრუნებაზეც საუბრობს: „ფეხები მიკანკალებდა ქართულ მიწაზე ფეხი რომ დავდგი... მე ასეთი ლამაზი ქვეყანა არსად მინახავს... ცაქ კი სხვანაირი იყო საქართველოში“, – მის სიტყვებს დარბაზში ოვაციები და ტაში მოჰყვება.

სექტემბრის დასაწყისში, როდესაც ჩვენ პირველად შეხვედით, „ფეისბუქზე“ ბერა უკვე 117 ათასზე მეტ გულშემოტკივარს „მოსწონს“.

* * *

„პრობლემა არ არის“, – საუბარს მანყვეტინებს, როდესაც ვუხსნი, რომ მასზე დანერა მის სახლში მისვლას და მისი ოჯახის წევრებთან შეხვედრასაც გულისხმობს. თუმცა, პიარ-სამსახურის თანამშრომლების ტაქტიანი კომენტარებით ვხვდები,

რომ ჩვენი წინასწარი შეთანხმება ივანიშვილების „პირად სამყაროში შესვლას“ არ ითვალისწინებს.

პირველ დღეს სტუდიას ვათვლიერებ. შენობაში სამი ფეშენებელური ხმის ჩამწერი ოთახია, რომელიც ამერიკელი აკუსტიკდიზაინერის შექმნილია. მეორე სართულზე რომ ავდივართ, ერთ-ერთის კართან ოქროსფერ აბრას ვამჩნევ, წარწერით – Mr. Dream.

– ეს ბექას კაბინეტია? – ვეკითხები.
– არა, ეს ჩემი ოთახია... იქ ეცინც შედის, ველარ გამოდის... ეცინება და ოთახში შედის.

* * *

– აი, მოდიან, – გვეუბნება დაცვის თანამშრომელი და ბიზნეს ცენტრისკენ გვანიშნებს. შენობიდან სპორტულად ჩაცმული ათამდე ადამიანი ძუნძულით გვიახლოვდება. ჩვენ მანქანიდან ვაკვირდებით. ორს შორიდანვე ვცნობ – ბერას ბავშვობის მეგობარი გიორგი და სტუდიის თანამშრომელი, ამიკო, მისი ბექეკოალი. კიდევ ერთი, დაცვის უფროსი უნდა იყოს. ბერა დილაობით ორი საათი ბოტანიკურ ბაღში ვარჯიშობს. დღეს ჩვენც თან მივყვებით, „ცხელი შოკოლადის“ ფოტოსესიისთვის პიარ სამსახურმა ეს გარემო შეარჩია.

ბიზნესცენტრი ასე ახლოდან არასდროს მინახავს. ბეტონის, მეტალისა და მინის გიგანტური კონსტრუქცია ქალაქის თავზე გადმომდგარი, თანამედროვე ძლევა მოსილების სიმბოლო მგონია. მინის კომპლექსში ლითონის ძაბრები მზეზე ელავს. გამჭვირვალე კედლებს მიღმა მხოლოდ ცარიელი სივრცე მოჩანს. ბაღშიც არავინაა. შენობის აღმოსავლეთ ნაწილი ოთხი, ან ხუთი სართულის სიმაღლის მინის ნაგებობით სრულდება, რომლის შუაგულში უშველებელ, ვერცხლისფერ სფეროს ვხედავ. ეს შორიდანაც შემიმჩნევია. მგონი, მის პირდაპირ, ვერტმფრენის ასაფრენი მოედანია. უენდელ სტივენსონის „კარგი ოლიგარქიდან“ მახსოვს, რომ ეზოში ანიშ კაპურისა და ჰენრი მურის სკულპტურები მიმოფანტული. მანქანიდან, თეთრი ფერის ორ ქანდაკებას მოვკრავთ თვალს, მაგრამ მხოლოდ კონტურებს ვარჩევთ. კარგად მესმის, რომ ვერცხლისფერ ბურთზე, ვერტმფრენზე, „დორა მაარზე“ და სხვა დეტალებზე საუბარს შეთანხმება არ ითვალისწინებს.

უზარმაზარ სფეროს ვუყურებ და ვცდილობ წარმოვიდგინო, რას შეიძლება გრძ-

ნობდე, როცა მინის ოთახში ვერცხლისფერი „დედამინა“ გაქვს.

* * *

ბერას პირადი ტრენერი და მისი ახალი მეგობარი გიგა ავარჯიშებენ. გიგა ერთი თვის წინ, კუს ტბაზე გაიცნო, ის მსოფლიო ჩემპიონია წესების გარეშე ბრძოლაში. „ხანდახან კუს ტბაზეც ავდივარ ხოლმე, მომწონს სხვებთან ერთად ვარჯიში. სპორტსმენები გავიცანი იმ დღეს, სირბილში შევეჯიბრე და ყველას გავუსწარი. „რივოკში“ მაგარი ვარ, ვერავინ მისწრებს. გიგასაც კუს ტბაზე შეხვდი. დავმეგობრდით და ახლა მთელ დღეებს ერთად ვატარებთ, ჩემთან სტუდიაში.“ სპორტსმენები ხან გარბენებს აკეთებენ, ხან ადგილზე ხტან. ფოტოგრაფი ბერას დასდევს და აპარატს აჩხაკუნებს. სასაცილო სცენაა. იქვე, ხანშიშესული ქალი, პატარა ნიჩბით, ყვავილების გარშემო მინას ბარავს. „დილით ედემის ბაღში ყოფნას არაფერი სჯობს, – მეუბნება, იხრება და თავის სამუშაო იარაღებს მიწიდან კრეფს, – იცით, ამ ბაღში რამდენი უნიკალური ჯიშის მცენარეა? კი, ყველას უშვებენ, უბრალოდ, სიღრმეშია და აქამდე ალბათ ამიტომ აღარ ამოდიან ხოლმე. არადა, ნახეთ, როგორი სიმშვიდეა.“

ვარჯიშის მერე, ერთი საათით, ბერა ტანსაცმლის გამოსაცვლელად, შინ, „ბიზნეს ცენტრში“ ბრუნდება. ჩვენ კი, სტუდიაში ველოდებით.

* * *

ბერა საფრანგეთში დაიბადა. ოჯახში ის მეორე შვილია, სულ ოთხნი არიან: უტა, ბერა, გვანცა და ცოტნე. ბერა რომ გაჩნდა, მისი მშობლები, საფრანგეთში საცხოვრებლად ახალი გადასულები იყვნენ. ძმები პარიზის ერთ-ერთ საჯარო სკოლაში შეიყვანეს. მშობლებს არ უნდოდათ მათ შვილებს ელიტურ სკოლაში ესწავლათ და მხოლოდ ვინრო, ბურჟუაზიულ საზოგადოებასთან ჰქონოდათ შეხება.

საუბარს თეთრ „ლაუნჯში“ ვწერთ. მეჩვენება, რომ რაღაცნაირ, ბუფერულ ზონაში მოვხვდი. ეს ვრცელი, თეთრი სივრცე გალერეას ჰგავს, სადაც ჩემთვის უცნობი სამყაროს მხოლოდ სიმბოლოების დათვლიერება შეიძლება. პიარის თანამშრომლები, მცირე ყოყმანის მერე, მარტო გვტოვებენ. როცა პირისპირ ვრჩებით, ბერას საუბრის ტონი და მიმიკა იცვლება. გაცილებით უფროსს ჰგავს.



* * *

„კი, განსხვავებული ვიყავი სხვა ბავშვებისგან, პირველ რიგში, მაინც, გარეგნობით. ყველასგან განსხვავებული – თეთრი. თან, ზედმეტად ქართული მომენტები მქონდა, რაც იმათ არ ესმოდათ – მეგობრობა, გვერდში დადგომა, ოჯახის პატივისცემა. ქართველობა არის ჩემი ძალა, ჩემი სიამაყე, ჩემი მოტივაცია. ქართველებმა სხვანაირი მეგობრობა, დედა-შვილობა, და-ძმობა იციან. ჩემია და მე ვარ ამათი. არცერთი მეგობარი არ შემომრჩა საფრანგეთიდან. ერთი მყავდა და, მერე ისიც გადაიკარგა. ფრანგად თავი არასდროს მიგრძენია. ერთი წელი ჭორვილას სკოლაში ვიარე. მოკლედ, თავიდან ფეხებამდე ქართველი ვარ“.

ბერამ საშუალო სკოლა წელს დაამთავრა. სწავლის გაგრძელებას კოლეჯში და უნივერსიტეტში აღარ აპირებს, რეპეტიტორებთან დადის. „არ მინდა უნივერსიტეტში ტყუილად მოვცდე მხოლოდ იმიტომ, რომ „დიდი რომ ვიქნები“ დიპლომი მქონდეს“.

* * *

ბერამ სიმღერების პროფესიულ სტუდიებში ჩაწერა 14 წლისამ დაიწყო, ძირითადად თბილისში, რუსთაველის სახელობის თეატრის სტუდიაში, რომელიც თეატრის რეკონსტრუქციის პარალელურად მამამისის სახსრებით აშენდა. სწორედ იქ გაიცნო ბექა ნიკოლაიშვილი, „ქართული ოცნების“ ხმის რეჟისორი და კომპოზიტორი ავთო ბადუაშვილი. მაშინ, ჯერ კიდევ, რეპს ფრანგულ ენაზე მღეროდა.

ბექა: ჩვენთან რომ მოვიდა, პატარა იყო. ასეთი ჟინი, ასეთი მიზანდასახულობა, ასეთი მისწრაფება ბევრში არ დამინახავს. როცა ფრანგული ტექსტების თარგმნა ვთხოვე, გაირკვა, რომ ეს ადამიანი წერს ძალიან სერიოზულ თემებზე, ძალიან ღრმა ტექსტებს. თან, ბერა წერს ქართულად, ბერა წერს ინგლისურად, ბერა წერს ფრანგულად“.

ორი წლის წინ საერთო ნაცნობმა საფრანგეთში პოპულარული რეპერი როფი გააცნო. როგორც ბერა მიამბობს, ნაცნო-

სტუდიაში სამი ფეხნეხელური ხმის ჩამწერი ოთახია,

**მეორე სართულზე რომ
ავლივართ, ერთ-ერთის
ქართან ოქროსფერ
აბრას ვამჩნევ,
წარწერით – Mr. Dream.**

– ეს ბექას კაბინეტია?

– ვეკითხები.

– არა, ეს ჩემი

ოთახია... იქ ვინც

შედის, ვეღარ

გამოდის... ესინება და

ოთახში შედის.

„პრობლემა არ არის“, – საუბარს მანყვეტიწებს, როდესაც ვუხსნი, რომ მასზე დანერა მის სახლში მისვლას და მისი ოჯახის წევრებთან შეხვედრასაც გულსხმობს. თუმცა, პიარ-სამსახურის თანამშრომლების ტაქტიანი კომენტარებით ვხვდები, რომ ჩვენი წინასწარი შეთანხმება ივანიშვილების „პირად სამყაროში შესვლას“ არ ითვალისწინებს.

ბისტვის როფს უთქვამს: მომიყვანეთ, ეს პატარა ბერა, ვნახო, ერთი რა შეუძლიაო. 2010 წლის მისში ბერა, ბექა, ავთო და ირაკლი (ბერას მენეჯერი) შეხვედრაზე წავიდნენ.

ავთო ბადუაშვილი დეტალურად ჰყვება, როგორ ჩაფრინდნენ ტულუზაში და იმავე საღამოს, როგორ მივიდნენ როფისთან სტუდიაში. „როფიმ ეგრევე უთხრა: აუცილებლად ერთად უნდა ჩავენოთ ალბომიო. პირველ დღეს სტუდიაში ბერამ რაც იბაზრა, როფს ისე მოეწონა, სთხოვა, ეს ტექსტი მე მომეციო. ბერა დათანხმდა და თავისი ტექსტი როფს დაუთმო. არადა, მეორე დღეს დაფეთი აქვთ ჩასანერი... დილაა. ვიკრიბებით ყველანი ლობიში და ვეკითხები: რამე გაქვს-მეთქი? არაო, მპასუხობს. რას ვიზამთ. მივდივართ სტუდიაში, ესენი შედიან კაბინაში, ჩვენ აქედან ვუყურებთ. მაგრა ველავთ, ვნერვიულობთ. უცბად, ბერა იწყებს და გადის ბოლომდე. არ ვიცი, რა ქნა, ნა ხადუ დაწერა თუ რა. აუ, ესენი ჩანერის მერე წამოხტნენ და ტაშს უკრავენ. მგონი, ეწყინათ კიდევ, ალბათ, იფიქრეს, ეს ტექსტიც თუ ჰქონდა გუშინ, რატომ არ გვაჩვენაო. მაგარი იყო რა“.

* * *

როფი, ემიგრანტი კომოროს კუნძულებიდან, 20 წლის ასაკში უკვე პარიზის კოლექტიური ჰიპ-ჰოპ ჯგუფის Mafia K'1 Fry-ის წევრი იყო. თავისი დაუნდობელი და სასტიკი ტექსტებით სახელმწიფოს, სისტემას, პოლიციას უპირისპირდება და ემიგრანტების, პარიზის ბარაკებში მცხოვრები ადამიანების ყოფას აღწერს, ვინც „ცხოვრობს იმისთვის, რომ ელექტროენერჯის საფასური გადაიხადოს“.

როფთან მოლაპარაკებები რალაც ეტაპზე შეწყდა. „გაუგებრობები მოხდა. ამიტომ, ფრანგული კარიერიდან მარტო ლამაზი მოგონებები დამრჩა“. ბერა ფიქრობს, რომ საფრანგეთში რეპი სხვანაირად ესმით. თელიან, რომ რეპერი აუცილებლად

არაბი, ან შავკანიანი უნდა იყოს, ქუჩაში იზრდებოდეს, ბარაკებში ცხოვრობდეს. ბერას სიმღერის ტექსტები კი, საზგასმით კორექტული და პათეტურია. „ჩემ სიმღერაში გინებას ვერ ნახავ, იმიტომ, რომ ვიცი, ამას დედაჩემმა უნდა მოუსმინოს, ჩემმა პატარა დამ უნდა მოუსმინოს. მანდილოსნებმა უნდა მოუსმინონ. ქართველმა ქალებმა, დედებმა უნდა მოუსმინონ. თავს არ მივცემ უფლებას, რომ მათ ეს ვაკადრო. ცხოვრებაში არასდროს ვიგინები, ამიტომ ეს არც სიმღერაში მჭირდება“.

* * *

„ქართული ოცნების სტუდიას“ დღეს ამერიკელი პარტიორები ჰყავს. ბერას ახალი, ინგლისურენოვანი ალბომი ამერიკული ბაზრისთვის მზადდება. მანტერესებს, როგორ აპირებენ ბერას მუსიკის პრომოუშენს ჰიპ-ჰოპის სამშობლოში და სტუდიის მენეჯერთან, ირაკლი ლარიბაშვილთან შეხვედრას ვითხოვ. მპასუხობენ, რომ მენეჯერის ერთი თვის განრიგი უკვე განსაზღვრულია და ინტერვიუსთვის დროის შერჩევა შეუძლებელია.

ჰიპ-ჰოპი ნიუ-იორკის, ბრონქსის ბინძური, ბნელი, ლატაკი, ხმაურიანი ქუჩების სუბკულტურაა. ქუჩის არტისტების – რეპერების, ბრეიკდანსერების, გრაფიტის მხატვრების შექმნილი არტი, ხისტი და უხამსია, აგრესიული და ცინიკურია ელიტის, ყველანაირი ძალაუფლების და მანიპულაციის მიმართ. ჰიპ-ჰოპი დამკვიდრებულ ნორმებს ბრძოლას უცხადებს, ბერას ტექსტებში კი, ყველაფერ არსებულთან, წარსულთან, ტრადიციულ ღირებულებებთან სრული ჰარმონიაა. ერთადერთი მისი „ცელქობა“ ეგო-თრიფინგის რამდენიმე მაგალითია, რომელსაც სტუდიაში შემთხვევით მოვკარი ყური: „მე ვარ იქ, სადაც ვერ იქნები ვერასდროს“; „ჩემი მოადგილის მოადგილის მოადგილე მოგხედავს“ (ჯერ უცნობი სიმღერებიდან); „ორმაგი ფასი დაადეთ ბერას ნახმარს“ („ჰიპ-ჰოპ ვალსი“).

ამბობს, რომ ორასამდე სიმღერა უკვე მზად აქვს, მაგრამ სწორ დროს ელოდება. „მინდა, ქართველი მსმენელის წინაშე ღირსეულად წარვსდგე... ქართველებზე ფულს მე არ ვაკეთებ. ჩემი მიზანია დავეხმარო, ხელი შევეწყო...“ მის სიტყვებზე „ქართუ ჯგუფის“ ძველი განცხადება მახსენდება: „ბიძინა ივანიშვილს საქართველოში ბიზნესი არა აქვს, აქ მხოლოდ საქველმოქმედო საქმიანობითაა დაკავებული“.

* * *

იმ დღეს, როცა ბოლო ინტერვიუ უნდა ჩავენო, ბერას პიარ სამსახურის თანამშრომელი მიჩეკავს, – „დღეს თქვენთვის სიურპრიზი გვაქვს... 3-ზე ხომ ნამდვილად იქნებით?“ თხუთმეტი წუთით ადრე მატყობინებენ, რომ ბერას დედა, ეკა ხვედელიძე შეხვედრაზე გვთანხმდება. „მანც გითხარით, რომ მოემზადოთ“.

ბერას დედა, საშუალოზე მაღალი, გამხდარი, მომხიბვლელი ქალია. ღია ფერის თმა და მუქი თვალები აქვს. სტუდიაში ბერასთან ერთად მოდის. შავი, ვინრო შარვალი, კონვერსის შავი კედები და კაპიუშონიანი მოსაცმელი აცვია. თმა შეკრული აქვს, ისე, როგორც ინტერნეტში გამოქვეყნებულ რამდენიმე ფოტოზე მინახავს. მშვიდი ხმის ტემბრი და დახვეწილი მანერები აქვს. საუბრისას თვალებში გიყურებს და გაკვირდება. ემოციურია. შეილების ისტორიების გახსენებისას გული უჩუყდება. „მშობლები ჩემთვის იმაზე მეტი იყვნენ, ვიდრე უბრალოდ მშობლები, – მითხრა ბერამ რამდენიმე დღით ადრე, – და მე არ მაქვს საუბარი მატერიალურზე. იმდენი რამე გააკეთეს ჩემთვის, იმდენი სიყვარული მარუქეს, რომ არ ვიცი, როგორ გამოვხატავ ამ მადლიერებას მათ მიმართ“.

„...რა შეცვლის შეკრული ოჯახის სითბოს, როცა ვიმარჯვებთ, ვიმარჯვებთ ერთად! ... ნახეთ, სად ვართ დღეს, ნახეთ, ხვალ სად ვიქნებით.“





**„ჩემ სიმღერაში ბინებას ვერ ნახავ, იმიტომ, რომ ვიცი, ახას
დღაჩემი უნდა მოუსმინოს, ჩემი პატარა და უნდა მოუსმინოს.**

**ანდროსება უნდა მოუსმინონ. ქართულმა ქალბა, დღეება უნდა
მოუსმინონ. თავს არ მივსებ უფლებას, რომ მათ ეს ვაჰადრო.**

... ვინც არ უნდა გავხდე, ვიქნები მისი პატარა“.
ბერას სიმღერიდან „დედა“

ისევ თეთრ ოთახში, თეთრ დივანზე
ცხედვართ.

„...ელდარ შენგელაიას მოვუყევი ეს ამ-
ბავი და მითხრა, კარგი სცენარია ფილ-
მისთვისო. ბერას ვამზადებდი დასაძინე-
ბლად. ისეთი პატარა იყო, ჯერ პამპერსი
ეკეთა. და აი, უცბად, ბიძინა მოვიდა. რო-
გორც კი გაიგონა მამამისის ხმა, ტანით
პირდაპირ ჰაერში აფრინდა და მამამისს
ჩაეხუტა. აი, ასეთი, რაღაც განსაკუთრე-
ბული ურთიერთობა ჰქონდათ. ახლაც ასე
არიან – არა როგორც მამა-შვილი, არამედ
როგორც მეგობრები.

... ლამაზი ქართული სიტყვაა – ანცი, აი, ასეთი იყო. ძალიან კეთილი ცელქო-
ბები ჰქონდა. ორი წლის იყო, როდესაც
საქართველოში ჩამოვედით ცოტა ხნით.
ბერას ჰქონდა თავისი საყვარელი სათა-
მამო, რომელთან ერთად იძინებდა და
ყველგან თან ატარებდა. ჩვენი ნათესავის
შვილს ძალიან მოეწონა ეს სათამამო. მე
არ მიყვარს, როდესაც მშობლები აიძულე-
ბენ ბავშვებს, სხვებს დაუთმონ თავიანთი
ნივთები და ამიტომ ცოტა ავიფოფრე,
რომ დამეცვა ბერა. უცებ ბერამ აიღო სა-
თამამო და ბავშვს აჩუქა. ეხლაც მეტირე-
ბა რომ მახსენდება, იმიტომ, რომ ძალიან
ემოციური სცენა იყო. დავიბენი. ასეთი
სიკეთის გამოვლინება მოულოდნელი იყო.

აქ ბერაც ერთვება და დედას სთხოვს
ბლიც-კითხვებზე პასუხები გასცეს: ბერას
ყველაზე ცუდი თვისება?

ეკა ხვედელიძე: გააჩნია რომელი კუ-
თხიდან შეხედავ. ძალიან პრინციპულია.
აზრს იოლად ვერ შეაცვლევინებ. დიდი
დრო გჭირდება მის დასარწმუნებლად. ეს
კარგი თვისებაცაა.

ბერა: ყველაზე კარგი თვისება?

ეკა ხვედელიძე: კეთილი ხარ საოცრად.

ბერა იმეუშნება, სიამოვნებისგან თი-
თქოს აყრიალებს და ხმამაღლა იცინის.
„მამაჩემი ცნობილი პიროვნებაა, – მისს-

ნის, – და რაღაც მომენტში დედიკო ჩრ-
დილში ექცევა. ძალიან ბევრმა არ იცის,
რომ დედაჩემი არის ოჯახის ფუნდამენ-
ტი. დედიკო რომ არ ყოფილიყო, მამაჩემი
დღეს არ იქნებოდა იქ, სადაც არის.

ეკა ხვედელიძე: ვაიმე, ბერა, დიდი მა-
დლობა.

ჩვენ ბავშვები ძირითადად უცხოეთში
გავზარდეთ. და სულ გვეძინოდა, ქართუ-
ლი არ დავიწყებოდათ. გვინდოდა ქარ-
თველებად გავგეზარდა. ამიტომ, სადაც
მივდიოდით, სულ ვეუბნებოდით ხოლმე:
აი, ეს მთები ხომ მოგწონთ, მაგრამ სა-
ქართველოში მთები გაცილებით ლამაზია.
წაიყვანდით ზღვაზე და ვეუბნებოდით:
თქვენ არ იცით, როგორია საქართველოში
ზღვა, როგორი შავი ქვიშაა, მაგნიტური
და სასარგებლო. სულ ამ გაგებით ვზრ-
დიდით, რომ საქართველო უნიკალური
ქვეყანაა, რომ ქართველები განსხვავებუ-
ლი, განსაკუთრებული ხალხი ვართ.

ჩვენს ოჯახში ყველას გვიხარია ნების-
მიერი ქართველის წარმატება. შესაბამი-
სად, მგონია, როდესაც ჩემს შვილს რაღაც
წარმატება აქვს, სხვასაც უნდა გაუხარ-
დეს. მაგრამ, სამწუხაროდ, ყოველთვის
ასე არ ხდება. ამას წყენასაც ვერ დაარქ-
მევ, ყველას თავისი ინტელექტი, ხასიათი,
ფსიქიკა აქვს. ზოგი ავადმყოფი ფსიქიკის
ადამიანია და იმისგან არ უნდა გეწყინოს.
ჭრელია საზოგადოება. ის, რაც არ გვკლავს
– გვაძლიერებს. ასეც უნდა იყოს. მა-
გრამ, როგორც დედას, – მწყინს.

ბერა: ჩემზე ცუდად რომ ლაპარაკობენ,
იმას განვიცდი, რომ დედაჩემი განიცდის.
როგორც კაცს კი არ მწყინს, როგორც
შვილს მწყინს. ისინი ამას ვერც აცნობი-
რებენ.

ეკა ხვედელიძე: каждый мыслит в меру
своей испорченности. ბიძინას სახელიდან
გამომდინარე, მე, ყოველთვის დამკვირვებ-
ლის როლში ვარ. როდესაც სადმე ერ-
თად მივდივართ, ბიძინას ძალიან დიდი
ემოციებით ხვდებიან. მე, როდესაც გვერ-

დიდან ვუყურებ, ძალიან კარგად ჩანს, ამ
დროს ვინ ვინ არის. ხშირად მართლდებ-
ა ჩემი წინასწარ განწყობები. აი, ორი
წლის წინ რაღაც მოხდა და ვამბობდი –
არა, არა, ეს პიროვნება არ არის ისეთი,
მაგრამ არ დამიჯერეს. ბოლოს, იმ პიროვ-
ნებამ თვითონ დაამტკიცა ვინც იყო. ესენი
უფრო ლოგიკურები არიან, მე უფრო ინ-
ტუიციური. კაცისთვის ეს ძალიან კარგია,
კაცი ლოგიკური უნდა იყოს.

ბერა: კი, მით უმეტეს, როცა ასეთი
ქალი გყავს...

* * *

„ბერას ძალიან ბევრი საქმე აქვს. მეტი
შეხვედრა აღარ დაგჭირდებათ, არა?“
მეკითხება პიარ სამსახურის თანამშრო-
მელი.

ინტერვიუდან მესამე დღეს, ბიძინა ივა-
ნიშვილის პოლიტიკაში მოსვლის პირველ
განაცხადთან ერთად, ბერას „ფეისბუქის“
გვერდზე, მისი პირველი პოლიტიკური
პოსტი ჩნდება: მოვიდა დრო, ერთად ავი-
ხდინოთ ქართული ოცნება!

ერთ-ერთი ინტერვიუს დროს, ბერამ
მითხრა, რომ როცა თბილისში ჩამოვიდა,
სტუდია უკვე დარეგისტრირებული, სახე-
ლი კი შერჩეული დახვდა: „ქართული ოც-
ნება“. „აი, ასე მოხდა, დავმთხვავა. მანამდე,
მე სულ ინგლისური დრიმ მიტრიალებდა
თავში.“

დღეს ბერა „ფეისბუქზე“ უკვე 155
ათასს „მოსწონს“.

სექტემბრის დასაწყისში, როდესაც
მის პროფაილზე მუშაობას ვინყებდი, 16
წლის ბერა ყველაზე მდიდარი ქართველის
რეპერი შვილი იყო, რომელიც ჰიპ-ჰოპის
ვარსკვლავობაზე ოცნებობდა. ბიძინა ივა-
ნიშვილის პოლიტიკაში წასვლის განცხა-
დებასთან ერთად, ივანიშვილების იმიჯს
თითქოს კონტექსტი შეეცვალა. ბერას
კორექტული ქართული რეპი კი, მამის,
აღბათ, ყველაზე მომგებიან პოლიტიკურ
ინვესტიციად იქცა.

კოტე ყუბანეიშვილი სამყაროს წინააღმდეგ

ავტორი ნიკო ნერბაძე, ფოტო ლევან ხარხელიძე

კოტე შონ კონერვიითა – ალბათ, კარგა 20 წელი იქნება, რაც ასაკი აღარ მომატებია. რომ შეხედავ, ვერ იტყვი, რომ უკვე სამოცსაა გადაცილებული. თავადაც ერთგვარი სიამაყით ამბობს, იმ დღეს კლასელები შემხვდნენ და რომ გენახა, გული გაგისკდებოდა, ყველანი ბებრები იყვნენო. თავად კოტეზე ვერაინ იტყვის – ბებერიანო. ლაპარაკითაც ასე, 25 წლის ავანგარდისტ პოეტს უფრო ჰგავს. როგორც თავად ჰყვება, შესაბამისად ცხოვრობს კიდევაც.

კოტე: როდესაც გავიღვიძებ, რაღაც მოტივი მაქვს ბავშვობიდან ჩარჩენილი. ველოდები ამ მოტივს და მერე მთელი დღე იმ რიტმით დავდივარ. შეიძლება ღამე ჩამოჩრეს რაღაცა. ან, შეიძლება, დილის ამინდზე ავეწყო. ასე ცცხოვრობ, სხვანაირად ჩემთვის წარმოუდგენელია.

– ისე, თავად თუ გრძნობ ასაკს?

კოტე: გრძნობ – არა გრძნობ... რა მნიშვნელობა აქვს? მაინც იმდენის ხარ, რამდენისაც ხარ. ისე კი ვგრძნობ, როგორ არა ვგრძნობ. ვგრძნობ კი არა, დედა მეტყვენება.

ესეც კოტეა. ვიდრე საუბარში ჩაერთვებოდეს, ძირითადად საკუთარი ლექსებით და გინებით ლაპარაკობს. როდესაც გახურდება, მერე ლექსებს უკლებს. გინებას კი უმატებს. გინებაც თავისებური აქვს – კი არ ილანძლება, უფრო პუნქტუადაც ან საზგასასმელად იყენებს. მაინცდამაინც არც იმის შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ გულიდან ამოსდიოდეს. დაუფიქრებლად არ ამბობს. უფრო ის ჩანს, რომ ეფექტის მოხდენა უნდა. ახდენს კიდევაც.



* * *

– რამდენად ბუნებრივად მოგდის ეპატაჟი? თუ შეგნებულად უმატებ ხოლმე ტემპერატურას, მარილისათვის?

პოეტს სჭირდება გესლი, როგორც ნიადაგს თესლი. ეს არის მთელი ჩემი პოეზიის მამოძრავებელი. რალაცაზე ნერვები თუ არ გეშლება, შენი დედაც მოვტყან და შენი პოეზიისაც. მთელი აზრი ის არის, რომ შენ ხარ მემბრანა, რომლითაც საზოგადოება აღიქვამს საკუთარ პულსს. პოეზია ერესია. თუ ვილაცას შენი მოკვლა არ უნდა, მაშინ, როგორც პოეტი, ხარ დეგენერატი. მოსაკლავად თუ არაინ მოდის და ყველას მართლა უყვარხარ, შენი დედაც მოვტყან. ვის რალად უნდა შენი პოეზია.

ადრე კოტეს ასეთი ამბავი აქვს მოყოლილი: აჭარაში ვიყავი ჩასული და ასლან აბაშიძემ მითხრა, ერთ კარგ ავანგარდისტ პოეტს უნდა შეგახვედრო. საქართველოში არ იცნობენ, არადა ძალიან მაგარიყო. მე კიდევ ვუპასუხე, მე იმ ავანგარდისტი პოეტის დედაც მოვტყან, სახელი რომ არ მეცოდინებო. კოტე მერე განმარტავდა, იმიტომ კი არა, რომ მაინცდამაინც მე უნდა მცოდნოდა იმის სახელი. არამედ, იმიტომ, რომ ყველა უცნობი ავანგარდისტი პოეტის დედაცო. პოეტი უნდა ჩანდესო.

– ბოლო შენი გამოჩენა ის იყო, რომ „იუტუბის“ კლიპში ქართულ ტელევიზიებს ახურავდი თავზე...

გუშინ დამირეკეს „იმედიდან“. „იცით, გადაცემაში გვინდა მოგიწვიოთ, პოლიტიკაზე არ იქნება ლაპარაკი და, მოდი, ქართულად განქორწინება განვიხილოთ“. მე რა, განქორწინების ექსპერტი ვარ? არ მინდა მძღნერში გამოჩენა.

– ყურადღების ცენტრში ყოფნა არ გაკლია? არა. სულ არ მინდა სადმე გამოჩენა. არც მჭირდება. არიან ვილაცები, ვისაც სჭირდებათ გამოჩენა. მაგალითად, პაატა ქურდაძეს სჭირდება. სჭირდება, რომ იჯდეს ამ პარიზში და საქართველოზე წეროს. იმიტომ, რომ თუ არ წერა და არ გამოჩნდა, არც არავინ გაიგებს მის შესახებ. მე კიდე, არც ეს პოეზია მჭირდება არაფერში. შარის გარდა არაფერია. ეს პოეზია ჩემი დანამატია, მე კი არა ვარ ამ პოეზიის დანამატი. ირაკლი (ჩარკვიანი) ასე იყო. იმისგან კი არ გამომდინარეობდა სიმღერა... ირაკლი უსიმღეროდაც ირაკლი იყო. უბრალოდ სიმღერაც ყველაზე კარგად შეეძლო.

– კი, მაგრამ თუ არ გამოჩნდი, ზემოქმედება როგორ უნდა მოახდინო, როგორც პოეტმა?

ზემოქმედება რატომ უნდა მოვახდინო?

– რომ, აი, ამბოხი, ერესი...

კოტე: პოეზიის ფუნქცია არ არის ეგ – ამბოხი და წინააღმდეგობის განევა. კი, შეიძლება ერთგვარად იყოს კიდევ, მაგრამ რალაც აღარ მომწონს ეგ.

– კი მაგრამ, ამ წუთას არ ამბობდი მაგის საპირისპიროს?

ვამბობდი კი, მაგრამ მერე მივხვდი, რომ არავის ეგ არ სჭირდება. გამოდის, რომ რალაცას ვახვევ ხალხს თავზე და არ მინდა ეგ მე. რად მინდა? ეს ხალხი ჩემზე უფრო არავის არ ეზიზღება. მე მართლა მაგათი დედა რომ მოვტყან. თუ არ გაქრებიან, კიდევ... ქალიან კაციანად.

პოეტს სჭირდება გესლი, როგორც ნიადაგს თესლი. ეს არის მთელი ჩემი პოეზიის მამოძრავებელი. რალაცაზე ნერვები თუ არ გეშლება, შენი დედაც მოვტყან და შენი პოეზიისაც. მთელი აზრი ის არის, რომ შენ ხარ მემბრანა, რომლითაც საზოგადოება აღიქვამს საკუთარ პულსს. პოეზია ერესია.

– მართლა ეგრე ფიქრობ?

ხანდახან. მანვება ხოლმე და მერე ვხვდები, რომ მეც მანდა ვარ და მეც იგივე ქართველი ვარ. ეს ერთგვარი სანვაია. ერთგვარი კი არა, ერთადერთი სანვაია პოეზიის. ეს მიუღებლობა...

– მარტო ევა საკმარისი? რამდენიც გინდა იმდენი პოეტი, რომელსაც, როგორც ჩანს, არავინ და არაფერი მოსწონს საკუთარი თავის გარდა...

არა, საკმარისი როგორაა. ეს სიტყვა უნდა... ეს სიტყვა ბორბალივით უნდა გახდეს. ცა-ფირუზ-ხმელეთ-ზურმუხტო უნდა გახდეს. ეფექტი უნდა მოჰყვეს, რომ – ვა! ასე უბრალოდ როგორ ამბობო. შენს თავს უნდა სთხოვდე პირველ რიგში. თუ შენს პო-

ეზიასაც ასე აფასებ და უშვებ მარტო იმას, რაც მიგაჩნია, რომ სრულყოფილია, ზუსტია და მაქსიმალურად კომპაქტურია, მარტო ეს გაძლევს გარკვეულ შედეგს.

პრობლემა ისაა, რომ საქართველოში უბრალოდ არაფრის კეთება არ უნდათ. ერთი მხრივ, ძალიან ორთოდოქსები ვართ, დოგმატურები. პოეზიაშიც ეგრეა. ძალიან ცრემლიანია და, შესაბამისად, ძალიან დიდი გულის ამოლება სჭირდება, რომ ნაღდი გახდეს. ძალიან ცხიმიანია ქართული საჭმელი და დიდი ფილტრაცია სჭირდება. კარგი პროდუქტია, მაგრამ თან ცხიმების აჭრა უნდა, რომ ადვილად გადასამუშავებელი გახდეს. იგივე რომ იყოს, მაგრამ ცოტა შემცირებული. ამდენი ყაიმილი რომ არ გქონდეს. ჭამის წინ ერბო რომ არ დალიო და მერე ხაჭაპურზე ზემოდან სულგუნი არ დაადო. ეგაა ჩვენი პოეზია, ჩვენი სიმღერაც და ჩვენი მოთხოვნაც ერთმანეთის მიმართ. სიყვარულიც ეგრეა და მეგობრობაც ეგრეა. და ამ ყველაფერს უკიდურესობები ახლავს თან. საუკეთესო მეგობრები ერთმანეთს ეფიცებიან, როგორ მიყვარხარო და მერე ორ საათში ზურგსუკან ახურავენ ერთმანეთს. ოთახი თუ აქვთ გასაყოფი, და ძმას კლავს და მამა შეილს. ერთი დიაზუპამი სჭირდება ყველას.

– და რა არის ეგ დიაზუპამი?

ეგ დიაზუპამი პლანი იქნებოდა, მაგრამ ისე, რა ვიცი... ერთი კარგად უნდა დაგვენძრეს.

– მეტი რალა უნდა დაგვენძრეს?

არ გვეყო. სულ გადავრჩით. ერთი საფუძელიანად უნდა დაგვენძრეს და მერე იქნება მივხვდეთ რალაცას. მაგრამ ეგეც, აბა, როგორ უნდა უსურვო საკუთარ ქვეყანას. ამათ უმეტესობას ჰგონია, რომ ჯერ ფული უნდა იშოვო, გამდიდრდე, და მერე გახდები ბედნიერი. ჯერ ბედნიერი უნდა გახდე და დამშვიდდე და მერე, ნელ-ნელა, თუ გაგიმართლა, შეიძლება ფულიც იშოვო.

– შენ თვითონ როგორ გაქვს ფულის საქმე?

ხან როგორ, ხან როგორ. ახლა 5 ლარი მაქვს ჯიბეში. ცოტა ხნის წინ მეტი მქონდა, მაგრამ დავხარჯე. სამი თვის განმავლობაში ნახევარი ევრობა მოვიარე. ბავშვობის ოცნება ავისრულე და რაზეც ადრე ვკითხულობდი, საკუთარი თვალით ვნახე.

– ბევრს კითხულობდი?

ორმოცის ვიყავი, ლექსების წერა რომ დავიწყე. იცი, როგორ დავიწყე? დღემ 18



საათი ვმუშაობდი. ეს 18 საათი გადატანითი მნიშვნელობით კი არა, მართლა. ოთხი საათი მეძინა ხოლმე. დანარჩენ დროს მარტო ვკითხულობდი, ინგლისურს ვსწავლობდი და ვწერდი. მეტი არაფერი მიკეთებია.

- ახლა?

ახლა, ცხადია ეგრე აღარ გამოძდის. საქმეა გასაკეთებელი, იქ მისასვლელი, აქ მუშები... ისე კი სიამოვნებით გავიმეორებდი იგივეს ფრანგული ენის სასწავლად.

- მერე, საქმეები?

ჰო, საქმეებიც და ყველაფერი დანარჩენიც. წესით კაცს სულ არ უნდა გაინტერესებდეს გარშემო რა ხდება. შენი საქმე უნდა გქონდეს, რა ვიცი, ცხვარი გყავდეს ან რამე ეგეთი. სულ არ უნდა ვიცოდე ვინაა პრეზიდენტი. ისევე, როგორც არ ვიცი, რა დღეა დღეს. სამშაბათია თუ ხუთშაბათი?

- ოთხშაბათი.

ჰოდა, ეგრე. მოკლედ, მე რომ დავშორდე ამ ყველაფერს, უკვე აღარ გამომივა. თავის დროზე რომ დავკარგულიყავი, კიდევ გამომივიდოდა, მაგრამ ეხლა ვეღარა. უკვე ის დროა, რომ არაფერში აღარ უნდა ვჩანდე.

- რატომ?

იმიტომ, რომ კარგი იქნებოდა. როცა შენი საქმე შესრულებულია, უნდა წახვიდე. მე გავაკეთე უკვე და ეხლა საკუთარ თავს ვუშლი. რომ მოვმკვდარიყავი, უკეთესი იქნებოდა ჩემთვის. ეხლა კიდევ, საცხოვრებელი ფული მინდა, ვილაცას ნერვები ეშლება ჩემზე... მოკლედ, ცოცხალი ხელს ვუშლი ჩემივე საქმეს.

* * *

კოტე ყუბანეიშვილი, როგორც პოეტი ბევრმა „რეაქტიული კლუბიდან“ გაიცნო. თუმცა, საკუთარი თავის „კლუბის წევრად“ აღქმა არ მოსწონს. გაერთიანება კი არ იყო, მე ვიყავი და ირაკლი იყო. ჩვენ თვითონ ვიყავით ჩვენი თავი, ამბობს (დანარჩენ „რეაქტიულ“ პოეტებს არც ასხენებს). ირაკლი ჩარკვიანზე ლაპარაკი კოტემ ორჯერ დაინყო და ორივეჯერ უცებ სხვანაირი გახდა. როგორც წესი, ცოტა სხვაგანმყოფი გამომეტყველება აქვს ხოლმე. კარგსაც ამბობს, მაგრამ იქვე ან ცუდსაც მიაყოლებს, ან მიაგინებს, მაგრამ ეგეც ისე... ლაპარაკობს, მაგრამ შეუძლია არც ილაპარაკოს. ფეხზეც ჰკიდია! ირაკლის რომ ასხენებს, იცვლება. უფრო ჩართული ხდება. ხმაში პატივისცემა გამოერევა. არა

ისეთი, მკვდარზე ლაპარაკისას სათქმელი რომ უნდა აწონ-დანწონო, არამედ გულწრფელი, განსაკუთრებული პატივისცემა. კოტესგან უცნაურად ჟღერს. ეს პატივისცემა ხმაში ჩვენი საუბრისას კიდევ სულ ორჯერ ჩაუდგა – მაიაკოვსკიზე და ტარიელ ჭანტურიაზე საუბრისას.

- ახლებიდან თუ მოგონს ვინმე?

ზვიად რატიანი. ეხლა, მისი ლექსები მთლად საჩემო არ არის, ჩემთვის ცოტა ზედმეტად სერიოზულია, მხიარული არ არის, მაგრამ ესეც, რა ვიცი... მთავარია, რომ იგრძნობა, რომ ნამდვილი პოეტია.

**ვბრძნობ
ხოლმე, რომ
ახსოვს
მარტო ვარ
და ტიპი არა მყავს,
ვისაც შევხვდები და
დაველაპარაკები.
სიამოვნებით
მეჩვენებოდა
ურთიერთობა 3-4
კასთან, რომლებსაც
ჩემზე ბევრად
ბანსხვავებული და
კარგი აზრი აქვს
და იქნებ რაღაცები
მესწავლა.**

– ბოლო დროს ჩვიან ხოლმე, რომ თაობების ცვლა არ ხდება საქართველოში. რომ აი, წავიდა, ვთქვით, რომიკო სტურუა და მაგის ადგილას მომსვლელი არავინაა...

რობიკო სტურუა თვითონ ფუნქციონერის შვილი იყო და კომუნისტებიც მშვენივრად გამოიყენა. მერე კიდევ იმხელა სიმაღლეებს მიაღწია, ისე ჩასვა რაღაცები ამ ქართულ ხასიათში... ისე დაინახა ეს აბსურდი, ქაოსი, თავისი სიმბოლოებით... მაგრამ, მე ყოველთვის ნერვებს მიშლიდა.

- რატომ?

იმიტომ, რომ ტირანი იყო. ის არ გაახარა, ეს არ გაახარა, არც არავინ გაზარდა, რომ საქმე გაეგრძელებინა... მე შეიძლება,

ტიპს ვერ ვიტანდე, მაგრამ თუ დავინახავ, რომ რაღაც გამოსდის, პირველი მე გამოვალ და ვიტყვი კარგია მეთქი. რობიკო სტურუა პირიქით იყო. ჰოდა, გინძრევს ეგ ადამიანს. ბოლოს რომ ვეღარ ქნა რობიკომ, ერთადერთი ის შეძლო, რომ ეგ სპექტაკლი დაედგა. იმიტომ, რომ უკმაყოფილო წასულიყო. რითია უკმაყოფილო, ხუი ეგო ზნა-ეტი. თავის თავით, ალბათ.

* * *

კოტე თავისი თავით უკმაყოფილო ნამდვილად არ არის. როგორც უნდა, ზუსტად ისე ცხოვრობს. ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობს. პატარა, შავი GAP-ის ბლოკნოტი აჩუქეს და ნელ-ნელა ავებს ლექსებით. ზოგიერთი მარტივი კუპლეტია (გამებვიით არისო, ამბობს), ზოგი კი, რამდენიმე გვერდზე გრძელდება.

- მერე, რას უშვები ამ ლექსებს?

მერე ვაკითხებ ვილაცებს, ვისი აზრიც მაინტერესებს. ისე, „24 საათის“ დამატება Weekend-ში ბეჭდავენ ხოლმე ყოველ კვირა. მეტი მაინცდამაინც არსად. ის კი არა, ამას წინათ გამოვიდა წიგნი, სადაც ედგარ პოს „ყორანის“ თარგმანებია, სხვადასხვა ქართველი პოეტებისა. მაინცდამაინც ჩემსას აქვს მინანერი, რომ ესო, თარგმანი კი არა, უფრო კოტესეული ხედვააო, თუ რაღაცა ეგეთი. რა სისულელეა. რა ჩემი ხედვა. ვცადე, ზუსტად ის გადმომეცა, რა ლექსიც არის. და ვინც წაიკითხავს და რამის აზრზეა, მიხვდება რომ ზუსტად ეგრეა.

– არ გწყდება გული, როდესაც რაღაცას გულით იტყვი და ბევრს ავტომატურად ის რეაქცია აქვს, რომ აი, კოტე გიყუა, ნახეთ რა-ებს ლაპარაკობს.

გული როგორ არ მწყდება. ხანდახან ვგრძნობ ხოლმე, რომ აბსოლუტურად მარტო ვარ და ტიპი არა მყავს, ვისაც შევხვდები და დაველაპარაკები. სიამოვნებით მექნებოდა ურთიერთობა 3-4 კაცთან, რომლებსაც ჩემზე ბევრად განსხვავებული და კარგი აზრი აქვს და იქნებ რაღაცები მესწავლა. შეიძლება გამტყდომოდა, რომ, აი, ჩამოვრჩი, მაგრამ, მერე, ამასაც ჩემთვის გამოვიყენებდი. ეხლა კიდევ ვიხედები და გარშემო სიცარიელეა და ყველა მიტყდება და არც არავინ არა მყავს, რომ ვეკამათო მაინც.

ლიტერატურულ კაფეში ვართ. კოტე ხმა-მალლა, ყველას გასაგონად ლაპარაკობს. ხელს შლის და აქეთ-იქით იყურება. გვერდზე მაგიდებიდან ყველა თვალს არიდებს.

კოპე
მარჯანიშვილის
სახელობის
სახელმწიფო
დრამატული **თეატრი**

პრემიან ფრილი

პრემა მხედველი
(მოლი სუინი)

რეჟისორი თემურ ჩხეიძე



მარჯანიშვილის ქ.№8
ტელ.: +995 32 295 59 66 / 2 47 57 68 (საღარო);
+995 32 2 95 35 82 (საინფორმაციო)
ფაქსი: +995 32 2 95 40 01

WWW.MARJANISHVILI.COM

 / **MARJANISHVILI.THEATRE**



გოტნიეს ფანტაზიების სამყარო

ჟან კოლ გოტნიეს შთაბოძებების წყარო

ავტორი სიუზან ორლინი, ფოტო REUTERS
ინტელისურიდან თარგმნა თამარ ალავეიძე
პირველად დაიბეჭდა ჟურნალ „ნიუ-იორკერის“ 2011 წლის 26 სექტემბრის ნომერში



ერთ მშვენიერ დღეს, როდესაც ჟან პოლ გოტიე სახლში თავის კატას აჭმევდა, მოულოდნელად აღმოაჩინა, რომ კონსერვის გაცივებული ქილა, თუ კი მას სახურავსა და ძირს მოაჭრი, შეიძლება, ტრადიციულ აფრიკულ სამაჯურს დაამსგავსო.

იმეათად თუ მოუვა აზრად ვინმეს მსგავსი რამ და კიდევ უფრო ძნელი წარმოსადგენია, რომ კონსერვის ქილა ვინმემ მართლაც გამოჭრას, ვერცხლში ამოავლოს და მოდის კოლექციის აქსესუარად აქციოს.

თუმცა მოდის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი და გამჭრიახი დიზაინერი ჟან პოლ გოტიე, რომელიც მზა სამოსის საკუთარ ხაზს 1976 წლიდან აწარმოებს, სხვებს არ ჰგავს, თუნდაც იმით, რომ ბევრი ჩვეულებრივი რამ მისთვის სრულიად უჩვეულოა.

მას სძულს ფრანგებისათვის ჩვეული შეფასება „არა უშავს რა!“ (pas mal) და საუბრისას უპირატესობას ყოველთვის აღმა-

ლი შუბლი და ლამაზი მოყვანილობის პირნიკაპი აქვს. გამობზევილი ყურები, რომლებიც ჩვეულებრივზე ოდნავ დაბლა აქვს, მას თავისებურ მომხიბველობას სძენს. ის საკმაოდ ფოტოგენურია, სახის ცოცხალი და თბილი გამომეტყველება, მას არანაკლებ სასიამოვნო შესახედს ხდის სატელევიზიო ეკრანზეც. თუმცა შეკითხვაზე „ოდესმე თუ უფიქრია მოდელის კარიერაზე“, თითქმის გულწასულმა მიპასუხა „მე და მოდელია? არა, რას ამბობთ?! არასდროს! საკუთარი გარეგნობით არასდროს ვყოფილვარ მოხიბლული“. მას ყოველთვის უჩვეულო, ხანდახან ზედმეტად უჩვეულო შესახედაობის ადამიანები მოსწონდა, თუმცა საკუთარ ცხვირ-პირს (კლასიკური პროფილით), განსაკუთრებულად არ მიიჩნევს.

ბუნებრივი მამისა და კლერკი დედის ოჯახში, ჟან პოლი ერთადერთი შვილი იყო. პარიზის გარეუბანში მცხოვრებ ოჯახს

ბას ვერ აღწევდა. ერთხელ, გაკვეთილისას მასწავლებელმა გოტიეს ხატვისას წაასწრო და დასჯის მიზნით, ზურგზე მიკრული ამ ნახატით აიძულა, ყველა საკლასო ოთახი შემოეველო. თუმცა, სასჯელმა უკუშედეგი გამოიღო, გოტიეს ჩანახატზე ბიუსპალტერსა და ბადე-კოლგოტებში მოკაზმულმა ქალმა, ავტორს, სასაცილოდ აგდების ნაცვლად, სკოლის ბიჭებში პატივისცემა და აღიარება მოუტანა. „ეს ერთგვარი პასპორტი იყო“, – ამბობს გოტიე – „მივხვდი, რომ თუ ჩანახატებს გავაკეთებდი, ყველაფერი კარგად იქნებოდა.“

გოტიე მუშაობისას პირველად გასულ ზაფხულს, პარიზში, 2011 წლის შემოდგომის მაღალი მოდის ჩვენების მზადებისას ვნახე. მისი სათავე ოფისი Champs-Élysées-ს „ოქროს სამკუთხედის“ ნაცვლად (სადაც მაღალი მოდის სახლების უმეტესობა განთავსებული) Marais უბანში, Rue Saint-Martin -ის ხმაურიან ქუჩაზე, სავაჭრო კავშირის ყოფილ შენობაში მდებარეობს. ჩემი მისვლისას, დერეფანში რამდენიმე უჩვეულოდ მაღალი და გამხდარი გოგონა მიმოდიოდა. ვინაიდან მათი უმეტესობა გადანაჭერ ქსოვილში და უხეშ, სამუშაო ჩექმაში იყო გამოწყობილი (ერთ-ერთის მაისურს „მე დაკავებული ვარ, შენ – მახინჯი, სასიამოვნო დღეს გისურვებ“ წარწერა ამშვენებდა), მივხვდი, რომ ისინი სუპერმოდელები უნდა ყოფილიყვნენ.

ზედა სართულზე, სამუშაო ოთახში გოტიე წავით განწყობილ მუქ ლურჯ გამჭვირვალე კაბას, დახვეწილი პირ-სახის მქონე ამერიკელ თინიეჯერ მოდელს, კარლი კლოსს არგებდა. გოტიეს, ჩვეულებისამებრ, შავი პოლოს ტიპის მაისური, შავი ფერის ჯინსები და გაქეჩილი ფეხსაცმელი ეცვა. მიუხედავად იმისა, რომ კლოსის კაბა დრამატული იყო და წარმოუდგენლად რთულად გამოიყურებოდა, გოტიემ სულ მარტივად ამიხსნა: „ეს უბრალოდ შარფია და პატარა წავის არშია – მთელი კაბაც ეგ არის. ეს არაფერია, დამიჯერეთ, არაფერი!“ თუმცა, ეს კაბა რაღაც განსაკუთრებული იყო: მდიდრული, ქალური და კლასიკური. გოტიე სწორედ სექსუალურობაზე მიმანიშნებელი თარგით გახდა პოპულარული, თუმცა ხშირად მისი სამოსი, თუნდაც ეს მუქი ლურჯი კაბა, ყოველგვარი შოკის მოგვრის გარეშე, ძალიან ლამაზია.

ოთახში სასიამოვნო და საქმიანი ფუსფუსი იყო: კოლექციის ჩანახატები ყველა პორიზონტალურ ზედაპირზე იყო მოფენილი; საკიდებზე ჩამწკრივებული კაბები, სამუშაო მაგიდა ძვირფას ხელთათმანებს, თმის ორნამენტებს, Werther's Original-ის კანფეტების

მას სძულს ფრანგებისათვის ჩვეული შეფასება „არა უშავს რა!“

და საუბრისას უპირატესობას ყოველთვის აღმატებით ხარისხს ანიჭებს: „მგონია, რომ ნითელი თმა სიურპრიზია, სასიამოვნო სიურპრიზი! ის სუპერლამაზია!“

ტებით ხარისხს ანიჭებს: მაგალითად: კატის საკვების ქილა „სუპერ-სუპერ ლამაზია!“ ბრიტანელი პანკები „სუპერელეგანტურები“ არიან, „ის ლარიბი კაცი რომ შემხვდა, რომელსაც დიდი ზომის სვიტერი პალტოზე ჰქონდა გადმოცმული, ჩემი აზრით, სუპერლამაზი იყო!“, „მგონია, რომ ნითელი თმა სიურპრიზია, სასიამოვნო სიურპრიზი! ის სუპერლამაზია!“ – ამბობს ის სუბ-კულტურებზე საუბრისას, რომლებიც წლების მანძილზე მისი დიდი ინტერესისა და შთაგონების წყარო იყო.

30 წლის განმავლობაში გოტიეს მოდის „ჭირვეულ ბავშვს“ (enfant terrible) უწოდებდნენ, თუმცა, ახლა, 59 წლის ასაკში, ის აღარც „ბავშვია“ და ონავარი ბუნების მიუხედავად, იმდენად დიდია მასში ტრადიციისადმი პატივისცემა, რომ მისი „ჭირვეულად“ შერაცხვაც შეუძლებელია. თმა, რომელსაც ყოველთვის მოკლედ შეჭრილსა და ოქროსფრად შეღებილს ატარებდა, ახლა უკვე შევერცხლილ, კოხტა ვარცხნილობად გადაიქცა. მას მაღა-

მოკრძალებული სახსრები გააჩნდა. გოტიე დიდ დროს ქერივი ბებიის სახლში ატარებდა, რომელიც მასთან ახლოს ცხოვრობდა და ქალბატონებს სილამაზესა და კეთილდღეობასთან დაკავშირებულ კონსულტაციებს უწევდა. ბებიის ნებართვით, გოტიე ხშირად ესწრებოდა ამ კონსულტაციებს და ისმენდა იმ სასონარკვეთილი ქალების ამბებს, რომელთა მიმართ მეუღლეებს ლტოლვა დაკარგვოდათ. ბებია მათ გარდერობის გამოცოცხლებას ურჩევდა.

გოტიე ხშირად იხსენებს ბებიას, მის ექსცენტრულ ბუნებას კი საკუთარი შთაგონების ერთ-ერთ წყაროდ ასახელებს (მაგ, ბებია ხშირად შიდა საცვალის ამარა გადიოდა გარეთ). დედის სიყვარულის მიუხედავად, გოტიე მას ბებიასთან შედარებით ნაკლებ საინტერესო პიროვნებად მიიჩნევს.

სკოლაში გოტიეს არაერთი შეურაცხყოფის ატანა უწევდა იმის გამო, რომ ის თანატოლ ბიჭებს არ ჰგავდა, თუნდაც იმით, რომ სპორტის ვერცერთ სახეობაში წარმატე-



ყუთს (გოტიეს, მაღალი მოდის შემდეგ, ყველაზე მეტად ტკბილული უყვარს), მწვანე სატინისა და ხავერდის ქსოვილებს და ბუმბულს დაეფარა. ბუმბულები, ამ შემთხვევაში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო, რადგანაც კოლექცია „შავი გედი“-ს თემას ეძღვნებოდა. წინა კოლექციების შთაგონების წყარო განსხვავებული იყო: ფრიდა კალო, ჯეიმს ბონდი, რელიგიური ხატწერა. ამჯერად კი „შავი გედი“. ჩვენებამდე 48 საათზე ნაკლები რჩებოდა, კაბების დიდი ნაწილი კი ჯერ ისევ დაუსრულებელი იყო.

ის, რომ გოტიე მაღალი მოდის კოლექციებს აკეთებს, ცალკე აღნიშვნის ღირსია. მისი მაღალი მოდის სახლი ერთ-ერთია იმ თერთმეტთაგან, რომლებიც Chambre Syndicale de la Haute Couture-ის მიერაა აღიარებული. გოტიემ ეს საქმე 1996 წელს დაიწყო – იმ დროს, როდესაც უფრო მეტი მაღალი მოდის სახლი იხურებოდა, ვიდრე იხსნებო-

და ნათესაების მხარდაჭერით (მისი ბიძაშვილი, ეველინი, სვიტერების ქსოვაში, შენობის კონსიერჟი კი კერვაში ეხმარებოდა. მენიუში აქსესუარებს ქმნიდა და ტექნიკურ საკითხებს აგვარებდა), გოტიემ პირველი კოლექცია 1976 წელს პარიზის პლანეტარიუმში წარადგინა. ავეჯის გადასაკრავი ტილოსა და საშარეულოს ჭურჭლის სადგამებისაგან შექმნილი კოლექცია ცხრა მოდელმა წარადგინა. სექსუალური და იუმორისტული შტრიხებით განყოფილ სამოსში მოდის არაერთი ლეგენდარული თემა (ბაიკერის ქურთუკები, საბალეტო კოსტიუმები) სრულიად არაპროგნოზირებადი ფორმით იკვეთებოდა, უბრალო, მოკრძალებული ქსოვილები კი მნახველში რელიგიურ მოტივებსა და ბიბლიურ ალუზიებს აღძრავდა და უჩვეულო, კონტრასტულ განწყობილებებს ქმნიდა. საოცარია, მაგრამ ეს, ერთი შეხედვით არათავსებადი კომპონენტები სრულიად ჰარმონიულად

როულ მოდელზე აკეთებდა, რომელთაგან ზოგი თავგადაპარსული ან ტატუირებული იყო (ან ორივე ერთად), ზოგიც ჭარბწონიანი, ასაკოვანი – სამოდელი ბიზნესისთვის უჩვეულო. სილამაზის იდეალს მისთვის მკაცრი, ანდროგენური გარეგნობის ფრანგი მოდელი ფარიდა ხელფა წარმოადგენდა, რომელიც პირველად სწორედ გოტიემ გამოიყვანა პოდუიმზე და პოპულარულიც მას შემდეგ გახდა. გოტიეს პირველ ჩვენებას სულ ცხრა ჟურნალისტი ესწრებოდა, მაგრამ კოლექციამ შეძლო საკმარისი ყურადღება მიეპყრო იმისათვის, რომ მომდევნო ორი წლის განმავლობაში სამოსი პარიზის პრესტიჟულ ბუტიკ Bus Stop-ში გაყიდულიყო.

მის პირველ ქმნილებებს ე.წ „ტატუირებული კანის“ სამოსი მიეკუთვნებოდა: გრძელმკლავებიანი, ტანზე მომდგარი, ნეილონის წელვადი ზედატანები, რომლებზედაც გაფურჩქნილი ვარდები, „პირსინგანი“ გულეები და ბოდინარტისათვის დამახასიათებელი ეთნიკური შტრიხები იყო დატანილი. თუმცა, გოტიეს თავის ქმნილებებში, გამოგონების გარდა, მისთვის საინტერესო ტრადიციების ელემენტებიც ჰქონდა ასახული: სანვიმარი ლაბადა და მეზღვაურის მაისური – ზედმინწვნილ „ფრანგული“ ნივთები, რომლებიც არასდროს ემორჩილებოდნენ მოდის ცვალებადობას. ამ შემთხვევაში, განსხვავებული ოყო მხოლოდ მათი გოტიესეული აღქმა: რატომაც არ უნდა ექცია უბრალო სანვიმარი ლაბადა კაბად?! ან რატომ არ შეიძლებოდა ასეთი ლაბადა წითელი სატინისაგან შეეკერა? რატომაც არა?!

გოტიე იხსენებს, როგორ გაიცნო 1987 წელს, პარიზის გარეუბანში მადონა, მისივე კონცერტის შემდეგ. მადონას „Holiday“-ს სატელევიზიო ვერსიის პირველად ნახვის მერე, გოტიე მისი დიდი გულშემმატიკივარი გახდა. „მისი ჩაცმულობა ფანტასტიური იყო! ო, ღმერთო! ბადე-კოლგოტები, სამკაული, მუცელი, პატარა ჩექმები! ამ ყველაფერმა ჩემი მემამბოხე სული გამახსენა!“ – იხსენებს გოტიე. თავის მხრივ, მადონაც გულშემმატიკივრობდა გოტიეს შემოქმედებას. 1985 წელს ამერიკის მუსიკალურ დაჯილდოებაზე იგი გოტიეს შავი კაბით წარსდგა, რამდენიმე თვის შემდეგ კი, იმავე კაბით (ამჯერად თეთრ ფერში), ფილმის პრემიერაზე გამოცხადდა. ამ დროისთვის გოტიეს მგზნებარე გულშემმატიკივართა საკმაოდ დიდი აუდიტორია შემოეკრიბა (1985 წელს მისი კოლექციის ჩვენების სანახავად 4000 ადამიანს მოეყარა თავი) და პირველი ბუტიკიც უკვე გახსნილი ჰქონდა პარიზში, სადაც საკუთარი კონცერ-

მაშინ, როდესაც ქრისტიან ლაკრუასა და ჯონ გალიანოს შემოქმედებაში ფუფუნება იყო გამეფებული და მათი სამოსი ექსკლუზიურობისა და სიმდიდრის შეგრძნებას აღვივებდა, გოტიეს ყურადღება ქუჩაში მიმდინარე ამბებისთვის მიექცა.

და. ამ დროისათვის, მას მოდის ინდუსტრიაში მოღვაწეობის 25 წლიანი გამოცდილება უკვე ჰქონდა. სკოლა 1970 წელს, ადრეულ ასაკში მიატოვა და Pierre Cardin-ის სტუდიაში ასისტენტად მოეწყო. კარდენის შემდეგ, გარკვეული პერიოდი Jacques Esterel-ის და Jean Patou-ს მოდის სახლებში მუშაობდა. ეს უკანასკნელი ძველმოდური სახლი იყო, სადაც გოტიეს, მისი ჩაცმის უჩვეულო სტილის გამო, ხშირად ირონიულად უყურებდნენ: „როდესაც ერთ დილას სამსახურში ცხენოსნის ჩექმებით მივედი, გაყიდვების კონსულტანტმა ასაკოვანმა ქალებმა მკითხეს: „თქვენი ცხენი სად არის? გარეთ დატოვებ?“ – იხსენებს ჟან პოლი.

1974 წელს გოტიე Cardin-თან დაბრუნდა და აშშ-ს ბაზრისთვის მზა სამოსის დიზაინი და წარმოება ჩაიბარა. იმავედროულად, მისი მეგობარი და პარტნიორი, ფრანსის მენიუჟი, არწმუნებდა, ტანსაცმლის საკუთარი ხაზი შეექმნა. დაზოგილი თანხით და მეგობრების

ერწყმოდა ერთმანეთს. ეს განუმეორებელი სულისკვეთება და პარადოქსული ხელწერა გოტიეს შემოქმედებას დღემდე გასდევს. მაშინ, როდესაც მისი თაობის არა ერთი ახალგაზრდა დიზაინერის (ქრისტიან ლაკრუა და ჯონ გალიანო) შემოქმედებაში ფუფუნება იყო გამეფებული და მათი სამოსი ექსკლუზიურობისა და სიმდიდრის შეგრძნებას აღვივებდა, გოტიეს ყურადღება ქუჩაში მიმდინარე ამბებისთვის მიექცა: ტრადიციულ კილტებში გამოწყობილი ლონდონელი მოზარდები, ტოტალურად ტატუირებული ფეტვიანები, ტრადიციულ სამოსში გამოწყობილი აფრიკელი ქალები.

მოდელების არჩევანიც, მისი უსაზღვრო სამყაროს შექმნის მცდელობის ნაწილი იყო. სამოცდაათიანი წლების მსოფლიო პოდუიმს ძირითადად ქერათმიანი მოდელები „დაპატრონებოდნენ“ (ჯერი ჰოლი, მარგო ჰემიფი, შერილ ტიჟი), გოტიე კი არჩევანს სხვადასხვა რასის და ნაკლებად პოპულარულ



ტის შემდეგ ეწვია კიდევ მადონა. „ნარმო-გიდგენიათ?!“ ხმადაბლა მითხრა გოტიემ. „იმ დროს, დიდი ვარსკვლავებიც კი, თხოვების ნაცვლად, ყიდულობდნენ სამოსს“.

ამ დროისთვის გოტიეს უკვე რამდენიმე წლის დაწყებული ჰქონდა კორსეტის ტიპის კაბებზე მუშაობა. პირველად კორსეტი ბებიის ტანზე უნახავს: ორაგულისფერი ვარდისფერი კორსეტი, რომლის მდიდრული ქსოვილი და უნაზესი ნაკერები დღემდე შემორჩა მის მესხიერებას. „სრულიად აღფრთოვანებული ვიყავი. ბებიამ ამისხნა, რომ კორსეტს წელის დასაწვრილებლად ატარებდა და იმისათვის, რომ, რაც შეიძლება ვინროდ გადაეჭირა კორსეტის თასმები, მუცლის შესაკუმშად, ძმარსაც კი სვამდა.“ მადონასადმი დიდი სიმპატიის გამო, გოტიემ მას კორსეტის კაბის შექმნა შესთავაზა (მოგვიანებით, ცნობილი Blond Ambition მსოფლიო ტურნესათვის, გოტიემ, მომღერლის

ტნიორებს. როცა 1990 წელს მენიუში გარდაიცვალა, გოტიეს ძალიან გაუჭირდა მათ მიერ ერთობლივად შექმნილი საქმის გაგრძელება. მოუხედავად ფიქრისა, თავი მიენებებინა მოდისათვის, გოტიემ საბოლოოდ მაინც დარჩენა არჩია და მეტიც: მან მაღალ მოდას მოჰკიდა ხელი (რასაც მენიუში წლების მანძილზე ურჩევდა). ეს ძალიან საპასუხისმგებლო ნაბიჯი აღმოჩნდა, გაცილებით რთული, ვიდრე მზა სამოსის შექმნა. იმისათვის, რომ მაღალი მოდის სინდიკატისაგან ოფიციალური ნებართვა მიიღო, საჭიროა კერძო კლიენტურისათვის შესაკერად მზა სამოსის შექმნა, მინიმუმ 15 თანამშრომლის დაქირავება სრული განაკვეთით და წელიწადში ორჯერ, სულ მცირე 35 კოსტიუმისაგან (დღის და ღამის) შემდგარი მაღალი მოდის კოლექციის წარდგენა. მაღალი მოდის სახელები მეტწილად წაგებაზე მუშაობენ. ისინი დიზაინერის ყველაზე წარმოსახვითი ფან-

დამატებით სიამოვნებას ჰგვრიდა – აქ ის თავის ნამუშევრებს დაფუსფუსებდა, მკერავებთან, მქარგავებთან, კორსეტისა და ქუდეების სპეციალისტებთან მუშაობდა. შედეგად კოლექციები ერთი მეორეს ენაცვლებოდა.

2003-2010 წლებში, საკუთარი ბრენდებისათვის კოლექციების შექმნის პარალელურად, გოტიეს Hermès-ის სახლში შემოქმედებითი დირექტორის პოზიცია ეკავა. მას შეუმოსავს ფულიც ბინოში, კეტრინ დენევი, ლეიდი გაგა, ბეიონსი და არაერთი სხვა ცნობილი ადამიანი; დამატებით შექმნილი აქვს კოსტიუმები ალმოლოვარის კიდევ ორი ფილმისთვის და ტანსაცმლის ლიმიტირებული კოლექცია ამერიკული სავაჭრო ქსელი Target-სათვის.

ამჟამად გოტიე პარიზში ცხოვრობს, მისი მეგობარი მამაკაცი კი – საბერძნეთში, თუმცა ერთმანეთს შეძლებისდაგვარად ხშირად ხვდებიან. გოტიე ფიქრობს, რომ ვერასდროს შეძლებს ვინმესთან ისე ახლო ურთიერთობას, როგორც მენიუჟთან: „ჩვენ ერთად რალაცის შექმნა შევძელით, ჩვენ დავაარსეთ ჩემი კომპანია, რომელიც შვილივით გვყავდა“. დროის უდიდეს ნაწილს გოტიე სამუშაო პროცესში ატარებს, თავისუფალ დროს კი კინოში დადის და წიგნებს კითხულობს. ამ ბოლო დროს ცოტა გულჩათხრობილი და ფილოსოფიური გახდა. წარსულთან შედარებით, ახლა ის უფრო ხშირად უბრუნდება ძველ კოლექციებს, მაღალი მოდის ჩვენებისთვის კი დაახლოებით 45 კოსტიუმს ქმნის – უფრო მეტს, ვიდრე სავალდებულო 35 კოსტიუმია, მაგრამ არა იმდენს, რამდენსაც მაღალი მოდის კოლექციების საწყის ეტაპზე აკეთებდა (125 კოსტიუმამდე). მოუხედავად იმისა, რომ მუდმივი თანამშრომლების სახით არაერთი მკერავი, ასისტენტი და საზოგადოებასთან ურთიერთობის კონსულტანტი ჰყავს, დიზაინს მხოლოდ თვითონ აკეთებს: მაღალი მოდის, მზა სამოსის ხაზის კოლექციები, სამკაული, მამაკაცთა ხაზი, საზღვაო კოლექცია, აქსესუარები, სუნამოების შეფუთვა, ნაქსოვი სამოსის კოლექცია, ქალის თეთრეული და საბავშვო ხაზი. საუკეთესო ასისტენტი ბოლოს მარტინ მარჟიელა ჰყავდა, რომელმაც, თავად გოტიეს კურთხევით, 20 წლის წინ ტანსაცმლის საკუთარი ხაზის შექმნა გადაწყვიტა და გოტიესგან წავიდა. „გულახდილად გეტყვით, რომ მომავალში, ვისურვებდი ჩემი სამუშაოს ნაწილის სხვისთვის დელეგირებას, მაგრამ შეუძლებელია ვინმეს ასწავლო. ისეთი ადამიანი უნდა მოვძებნო, რომელიც ჩემს მგრძობიარე სულს შეეფერება“.

მადონას „HOLIDAY“-ს სატელევიზიო პერსიის პირველად ნახვის მერე, გოტიე მისი დიდი გულშემატკივარი გახდა.

„მისი ჩახვულობა ფანტასტიური იყო! ო, ღმერთო! ზაღა-კოლბოტაზი, სამკაული, მუსიკა, კატარა ჩიქმები! ამ ყველაფერმა ჩემი მთავრობა სული გაამხსენა!“


დაკვეთით, 358 კოსტიუმი შეკერა).

გოტიესათვის ბევრი რამ შეიცვალა, მადონას Blond Ambition ტურნესათვის კოსტიუმების შექმნის შემდეგ: პოპ-ვარსკვლავთან ასოციაციამ მას ტანსაცმლის დიზაინერისათვის უჩვეულო აღიარება მოუპოვა. მზა ტანსაცმლის ხაზის გარდა, გოტიემ დამატებით კინოს კოსტიუმებზე დაიწყო მუშაობა. მას შექმნილი აქვს კოსტიუმები ალმოლოვარის ფილმისათვის „კიკა“ და ლუკ ბესონის „მეხუთე ელემენტი“-სათვის. დამატებით, გოტიემ სუნამოს ხაზიც გამოუშვა სახელწოდებით Jean-Paul Gaultier, რომლის ბოთლსაც კორსეტის ფორმა ჰქონდა და ალუმინის ქილაში იყო მოთავსებული (ეს სუნამო 65 მილიონ ბოთლზე მეტი ოდენობით გაიყიდა).

Blond Ambition-ზე მუშაობისას, ფრანსის მენიუჟს შიდა აღმოაჩნდა. მენიუჟი პირველი ჩვენებიდან მოყოლებული მართავდა გოტიეს საქმეებს და მათ 15-წლიანი ურთიერთობა აკავშირებდათ, როგორც პარ-

ტაზიის ცხოვრებაში გადმოტანას ემსახურებინ. იშვიათად თუ იყიდის ვინმე მაღალი მოდის სამოსს, ვინაიდან ერთი ასეთი კოსტიუმის ღირებულება საშუალოდ 15.000 აშშ დოლარს აღწევს. კლიენტთა უმრავლესობა მაინც დიზაინერის მზა ტანსაცმლის ხაზზე აკეთებს არჩევანს, ან სუნამოზე, მაღალი მოდის კოლექციები კი დიზაინერის ბრენდის ღირებულების აღქმას ამაღლებს მხოლოდ.

მაღალი მოდის სახლის დაფუძნების შემდეგ, გოტიემ პირველი ჩვენება 1997 წელს გამართა, ნიკოლ კიდმანი კი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ვინც მისი კოლექციიდან კაბა შეიძინა. „ღმერთო ჩემო, ნიკოლ კიდმანი“ – იხსენებს გოტიე – „აი, კლიენტი ამას ერქვა!“ მოუხედავად თავდაპირველი განწყობისა, გაეკეთებინა მხოლოდ ერთი კოლექცია, გოტიემ მალე აღმოაჩინა, რომ მაღალი მოდის კოლექციის შექმნისას მინიჭებული თავისუფლება საოცრად ხიბლავდა. გარდა ამისა, ყოველდღიურად ატელიეში ყოფნა





ჰონ სტინბეკი, სინისძირის სანატორიუმი, 1947

სამოთხის აღმოსავლეთი

ინტერვიუ სუზან შილინგლოუსთან
ავტორი ნინო ჩიბაძე

„რუსეთში, სადაც კი მივედი, საქართველოს ჯადოსნური სახელი მუდამ წინ გვხვდებოდა. ისინი, ვინც იქ არასოდეს ყოფილან და ისინიც, ვინც შეიძლება იქ ვერასდროს მოხვდნენ, საქართველოზე ერთგვარი ვნებიტა და დიდი აღფრთოვანებით ლაპარაკობდნენ. ნამდვილად ვიფიქრეთ: რუსების უმეტესობას ეტყობა, იმედი აქვს, რომ თუ წესიერი და ღირსეული ცხოვრებით იცხოვრებენ, გარდაცვალების შემდეგ სამოთხეში კი არა, საქართველოში მოხვდებიან.“ – ვკითხულობთ ჯონ სტეინბეკის „რუსული დღიურის“ ერთ-ერთ თავში, რომელიც საქართველოს ეძღვნება. 1947 წელს ჯონ სტეინბეკმა ფოტოგრაფ რობერტ კაპასთან ერთად საბჭოთა კავშირში იმოგზაურა. თითქმის სამთვიანი მოგზაურობის შედეგად დაწერილი წიგნი, ისევე როგორც კაპას უნიკალური ფოტოსურათები, დღემდე ერთ-ერთ მნიშვნელოვან დოკუმენტურ მასალად ითვლება იმ პერიოდის საბჭოთა კავშირის რეალური ყოფის შესახებ.

სტეინბეკისა და კაპას ვიზიტიდან 64 წლის შემდეგ საქართველოს მწერლის შემოქმედების მკვლევარი, პროფესორი სუზან შილინგლოუ ესტუმრა. შილინგლოუს საქართველოში ვიზიტი ჯერ კიდევ 2007 წელს დაიგეგმა, როდესაც ის სან ხოსეში ქართველ კინოდოკუმენტალისტ ოლივო ულენტს შეხვდა. რეჟისორი ფილმს იღებდა სტეინბეკის „რუსულ დღიურზე“. პროფესორის ვიზიტი საქართველოში 4 წლის შემდეგ, ამერიკის საელჩოს ხელშეწყობით შედგა.



ფოტო: შაპა ზიზაძე

პროფესორი შილინგლოუ, თქვენ უკვე 20 წელზე მეტია სტეინბეკის შემოქმედებას იკვლევთ. როგორ დაინტერესდით მისი ლიტერატურით და რას მიიჩნევთ სტეინბეკის, როგორც მწერლის მთავარ ღირსებად?

სან ხოსეს უნივერსიტეტში ვასწავლიდი, სადაც სტეინბეკის შესახებ უამრავი მასალა ინახება: წიგნები, სტატიები, წერილები... ყველაფერი, რაც მასთანაა დაკავშირებული. 1987 წელს სტეინბეკის ცენტრის ხელმძღვანელობა შემომთავაზეს. სიამოვნებით დავთანხმდი. სტეინბეკი დიდი ხნის განმავლობაში არ მქონდა წაკითხული, ამიტომ თავიდან დავიწყე მისი კითხვა და შესწავლა. ჩავწერე ინტერვიუები ადამიანებთან, რომლებიც მას იცნობდნენ და რომლებთანაც მწერალი მეგობრობდა. სხვანაირად დავიწყე

ფიქრი კალიფორნიაზე, ადგილზე სადაც სტეინბეკი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. მისი შემოქმედება დამეხმარა შემეყვარა ეს ადგილი, მისი სილამაზე, ადამიანები, ისტორია, კულტურა, ბუნება. თითქოს მისი თვალებით ვუყურებდი ყველაფერს.

სტეინბეკის შემოქმედებაში, რაც ყველაზე მეტად მომწონს და მაოცებს, მისი წიგნების თემატიკაა. ის წერს ისეთ თემებზე, რაც ადამიანებს მართლა აღელვებს, რეალურ ცხოვრებაზე წერს, რაც ყველასთვის საინტერესოა. მისი პროზა ძალიან ზუსტი და გასაგებია, ამიტომ ადამიანებს ყველგან ესმით და მოსწონთ ის, არ აქვს მნიშვნელობა ამერიკაში იქნებით თუ საქართველოში. ავიღოთ თუნდაც „მრისხანების მტევნები“, – ადამიანები, რომლებსაც საკუთარი სახლიდან

ასახლებენ, ეს მთელი მსოფლიოს პრობლემაა, ისევე, როგორც იქ ასახული სხვა სოციალური პრობლემები.

ეს წიგნი – „მრისხანების მტევნები“, რომელმაც სტეინბეკს მსოფლიო აღიარება და პულიცერის პრემია მოუტანა, მისი სოციალური კონტექსტის გამო, საბჭოთა კავშირში დიდი პოპულარობით სარგებლობდა. თუმცა, თავის დროზე, წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში წიგნი ამერიკის სასწავლებლებსა და ბიბლიოთეკებში აკრძალული იყო. რატომ იყო ამერიკაში პირველი რეაქცია ასეთი ნეგატიური?

ადამიანების ნაწილმა იფიქრა, რომ სტეინბეკი იტყუებოდა, რადგან ასეთი სიღარიბე და ასეთი პრობლემები არ შეიძლებოდა ყოფილიყო ამერიკაში, მით

უმეტეს კალიფორნიაში. „დაუფერებელია, არ შეიძლება ასე ცუდად იყოს საქმე“ – ამბობდნენ მაშინ წიგნის კრიტიკოსები. კალიფორნიელები გაბრაზდნენ, რომ ასეთ ხარბებად იყვნენ გამოყვანილები. ზოგს წიგნის ენა არ მოეწონა, – სტეინბეკი ისე წერდა როგორც სინამდვილეში ლაპარაკობდნენ ადამიანები. თუცმა ძალიან მალე ჯონ ფორდის ეკრანიზაციაც გამოვიდა და ფილმმა და იქ ასახულმა რეალურმა კადრებმა დაადასტურა, რომ სტეინბეკი არ ტყუოდა.

გარდა ამისა, წიგნში კოლექტიური მუშაობის მაგალითები და მისი უპირატესობა იყო ნაჩვენები, რაც ინდივიდუალისტურ ამერიკაში, ცოტა არ იყოს, სოციალისტურად მოეჩვენათ.

სტეინბეკი და კაპა საბჭოთა კავშირში 1947 წელს, ცივი ომის დასაწყისში ჩამოვიდნენ. ეს, პრაქტიკულად, დასავლეთში პირველი რეპორტაჟი იყო საბჭოთა კავშირზე. როგორ ფიქრობთ, რატომ გადაწყვიტეს მათ ზუსტად იმ პერიოდში ჩამოსვლა?

1947 წელი იყო პერიოდი, როცა ამერიკამ ჯერ კიდევ არ იცოდა, როგორი დამოკიდებულება უნდა ჰქონოდა საბჭოთა კავშირთან. ისინი მოკავშირეები იყვნენ ომში, მაგრამ ომი უკვე დამთავრდა და რუსეთმა სრულიად განსხვავებული მიმართულებით განაგრძო განვითარება. რკინის ფარდა, ცივი ომი – ამ ყველაფერმა საბჭოთა კავშირი მოკავშირიდან მტრად გადააქცია. მგონია, რომ სტეინბეკისა და კაპასთვის ეს მოგზაურობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო. მათ უბრალოდ აინტერესებდათ ენახათ, როგორი იყო ცხოვრება საბჭოთა კავშირში. მით უმეტეს, სტეინბეკიც და კაპაც თავის დროზე სამხედრო რეპორტიორები იყვნენ და სხვადასხვა კონფლიქტის გაშუქების გამოცდილებაც ჰქონდათ.

წიგნში სტეინბეკი ამას არ აღწერს, მაგრამ, საბჭოთა კავშირში ყოფნისას, ხომ არ შეხვედრიან ისინი პოლიტიკოსებს?

არა, მათ ამის სურვილი არც ჰქონიათ. მათ არ უნდოდათ სტალინთან ან სხვა მაღალ ჩინოსნებთან შეხვედარა, არც განსაკუთრებულ პატივს და ყურადღებას ითხოვდნენ, მათ უბრალო ადამიანების ცხოვრების ნახვა სურდათ, მუშებთან, არტისტებთან, მწერლებთან საუბარი უნდოდათ, რომ ამ ქვეყნის და მისი ხალხის

შესახებ რაც შეიძლება მრავალფეროვანი შთაბეჭდილება შექმნოდათ.

ქალბატონო შილინგლოუ, რა გეგმები გაქვთ საქართველოში? სტეინბეკისა და კაპას ნაკვალევს თუ მიჰყვებით?

საქართველოში პირველად ვარ და მინდა ვნახო ის ადგილები, სადაც სტეინბეკი და კაპა დადიოდნენ. წიგნში საქართველოს გამორჩეული ადგილი უჭირავს, ამიტომ ჩემთვის ძალიან საინტერესოა აქაურობა საკუთარი თვალით ვნახო.

რეჟისორმა ოლივო ჟენტიმა ზუსტად იცის ის ადგილები, სადაც კაპა იღებდა

**საქართველო
საბჭოთა
კავშირისთვის
დაახლოებით
იგივე იყო,
რას ამერიკისთვის
კალიფორნია.
სტეინბეკის „რუსულ
დღიურში“ კარბად ჩანს,
რომ კალიფორნიის
მსგავსად, ეს სწორედ ის
ალთქმული მიწაა, სადას
ყველას სურს მოხვედრა.**

ფოტოებს. მან შეისწავლა თუ სად და როგორი რაკურსით იღებდა რობერტ კაპა საქართველოში. ნამდვილად სასიამოვნო და საინტერესოა მასთან ერთად ამ ადგილების ნახვა.

„რუსულ დღიურში“ მწერალი საქართველოს მართლაც განსაკუთრებული მონდომებით და გატაცებით აღწერს, როგორ ფიქრობთ, რატომ მოეწონა ასე გამორჩეულად საქართველო? რით მოიხიბლა?

ფიქრობ, რაც მას ყველაზე მეტად მოეწონა საქართველოში, იყო ხალხი, მათი ენერჯია, რაც მან აქ ყოფნისას იგრძნო. ასევე, ბუნება და საჭმელი. მან დაინახა, რომ ეს განსაკუთრებული ადგილი იყო საბჭოთა კავშირში, რომელსაც ყველა შენატროდა. მე ეს თვითონაც მაქვს გა-

მოცდილი: როცა 1989 წელს პირველად ჩავედი მოსკოვში, ყველა მეუბნებოდა, რომ იქ არის ქართული რესტორანი, სადაც აუცილებლად უნდა წავსულიყავი: „მათ საუკეთესო სამზარეულო აქვთ, ეს საუკეთესო რესტორანია მოსკოვში და აუცილებლად უნდა წახვიდე იქ“ – მესმოდა ყველასგან.

საქართველო საბჭოთა კავშირისთვის დაახლოებით იგივე იყო, რაც ამერიკისთვის კალიფორნიაა. „რუსულ დღიურში“ კარგად ჩანს, რომ კალიფორნიის მსგავსად, ეს სწორედ ის ალთქმული მიწაა, სადაც ყველას სურს მოხვედრა. სტეინბეკიც განსაკუთრებით მოიხიბლა ამ ქვეყნით. გარდა ამისა, მას ძალიან უყვარდა ისტორია, ძველი მითები და ლეგენდები. საქართველო კი განთქმულია ამით. საინტერესოა, რომ, როცა ის ამერიკაში დაბრუნდა, მალევე დაწერა წიგნი East of Eden (სამოთხის აღმოსავლეთი), სადაც აშკარად იგრძნობა საქართველოს გავლენა და აქ მიღებული შთაბეჭდილებები.

როგორ აღიქვას „რუსული დღიური“ ამერიკაში? როგორი გამოხმაურება მოჰყვა მას 1948 წელს წიგნად გამოცემის შემდეგ?

ზოგ მიმომხილველს მოეწონა, ზოგს ნაკლებად. ზოგს უფრო მეტად პოლიტიკური კონტექსტი აინტერესებდა და უნდოდა მეტი გაეგო სტალინზე და სხვა პოლიტიკოსებზე, ამ მხრივ, ისინი იმედგაცრუებულები დარჩნენ, რადგან წიგნი არ იყო საკმარისად კრიტიკული კომუნისტური რეჟიმის მიმართ. თუმცა, ბევრი ძალიან კმაყოფილი იყო: „აქამდე არაფერი ვიცოდით საბჭოთა კავშირზე და ახლა რაღაც მაინც ვიცით“ – წერდნენ მიმომხილველები.

სტეინბეკმა დაწერა წიგნი, რომელმაც დიდად არც ისინი გაახარა, ვისაც საბჭოთა რეჟიმის მძაფრი კრიტიკის წაკითხვა უნდოდა, და არც ისინი, ვინც ამ სისტემის ქებას მოელოდა. თუმცა, წიგნში, უფრო ირონია იგრძნობა სისტემის მიმართ. მკითხველს შესაძლებლობა აქვს ჩაუღრმავდეს და საკუთარი დასკვნები გააკეთოს.

ეს წიგნი, საბჭოთა კავშირში, 1990 წლამდე არ დაბეჭდილა, როგორ ფიქრობთ, რა იყო ამის მიზეზი?

რა თქმა უნდა, ბევრი რამ არ მოეწონებოდათ. „რუსული დღიური“ მთლიანობაში მაინც კრიტიკული იყო. არაერთი კომენტარი იყო, სადაც კარგად ჩანდა მწერლის



ქველი თბილისი, 1946

კატუსი

მაშინ,

*როდესაც თვითმკვლელობების რიცხვი
გეომეტრიული პროგრესიით იზრდება,
შვილივით გაზრდილი ჩემი კატუსი
სხეულში წყლის ჩაქცევით გარდაიცვალა*

– სანყენია... მე და ოთახი

*ველარ ვიტანთ ადამიანებს – და რომც ვკვდებოდეთ,
ჭიქა წყალსაც კი ნუ მოგვანვდით.*

დღეს: მაგიდაზე პურის ნამცეცები ვარ

– შავი დღისათვის არავინ შემინახავს.

დღეს: გადამწვარი ნათურა ვარ

– ჩემი უჰაერობა აღარ ანათებს.

დღეს: ხის ტოტზე გამობმული ცელოფანი ვარ

– იოცნებე!

*და ნათელია დღესავით,
რომ ფანჯრის რაფაზე დასვენებული კატუსი
მე მოვკალი, ხოლო
ოთახის კუთხეები
უკან, ბოტანიკის მასწავლებელთან მაგ ზავნიან
და თავჩაქინდრული
ვიმეორებ:
გაკვეთილი არ ვიცი*

...

*მე რა ვიცოდი,
თუ უდაბნოს ყვავილს
წყალი არ უყვარდა?!*

სა, მოგვიანებით სტეინბეკმა ვიეტნამის ომზე არაერთი ჟურნალისტური წერილი დაწერა, სადაც ჩრდილოეთ ვიეტნამის კომუნისტურ რეჟიმს აკრიტიკებდა.

მისი მეორე ვიზიტი 1963 წელს შედგა. რა მიზნით ჩამოვიდა ამჯერად სტეინბეკი აქ და თუ აისახა ეს შემდგომში მის ნაწერებში?

ეს კეთილი ნების ვიზიტი იყო, ის თავის ქვეყანას და დემოკრატიათა წარმადგენდა საბჭოთა კავშირში. ამჯერად ის პატრიოტული განწყობით ჩამოვიდა.

მას სურდა ეჩვენებინა რკინის ფარდის მიღმა მყოფი ქვეყნისთვის, რომ მწერლებს დემოკრატიულ ქვეყნებში არჩევნის საშუალება აქვთ. ის განსაკუთრებით შეწუხებული იყო იმით, რომ საბჭოთა არტიტებს თავისუფლებას უზღუდავდნენ. სტეინბეკი ფიქრობდა, რომ ხელოვნება მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს კრეატიული, როცა თავისუფალი არჩევანი გაქვს. მას უნდოდა დისიდენტ მწერლებს შეხვედროდა და გასაუბრებოდა, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებამ ყველანაირად შეუშალა ამაში ხელი. მას ბევრი არაფერი დაუწერია ამ ვიზიტზე, არსებობს მისი ცოლის წერილი, რომელთან ერთადაც იყო ის ჩამოსული. სტეინბეკის მეუღლე აღნიშნავს, რომ მისთვის ძალიან დამლღელი იყო ასე დეტალურად განერილი გრაფიკი და შეგრძნება, რომ მუდმივად ვილაც უთვალთვალებდა. თუმცა, სტეინბეკის თქმით, ამჯერად ბევრად უკეთესი სიტუაცია იყო მის წინა ვიზიტთან შედარებით.

პროფესორი შილინგლოუ, ამ ეტაპზე რა თემაზე მუშაობთ და რა მიმართულებით აპირებთ სტეინბეკის შემოქმედების კვლევის გაგრძელებას?

ახლა ვამთავრებ ჯონ სტეინბეკის პირველი ცოლის, კეროლ სტეინბეკის ბიოგრაფიას, რომელმაც ძალიან დიდი გავლენა იქონია მის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

სულ ახლახან გავაკეთე ინტერვიუების წიგნი იმ ადამიანებთან, რომლებიც სტეინბეკს იცნობდნენ, ასევე ვმუშაობ „რუსული დღიურის“ პროექტზე ოლიგო ჟღენტთან ერთად.

სუზან შილინგლოუ მეორე ფილმის კონსულტანტი იქნება, რომელიც სტეინბეკისა და კაპას საქართველოში მოგზაურობას ეძღვნება.

ირონია კომუნისტური რეჟიმის მიმართ. ჩანს, რომ სტალინის მიმართ სტეინბეკი სულაც არ იყო პოზიტიურად განწყობილი. მთელი რიგი ბიუროკრატიული პრობლემები, რასაც ის წიგნში აღწერს,

არასახარბიელოდ წარმოაჩენდა საბჭოთა კავშირს. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ აქ პირდაპირი კრიტიკა არ ყოფილა, საბჭოთა ხელისუფლებისთვის მაინც არ იქნებოდა მოსაწონი და მისაღები. გარდა ამი-

FM
სენტი
98.0



უკვდავება რამე ფორმით – ადამიანის ერთ-ერთი ყველაზე ძველი, თუმცა განუხორციელებელი ოცნებაა. საუკუნეების განმავლობაში ჩვენ ვაგებდით პირამიდებს, ვჩხაპნიდით ჩვენს სახელებს ლოდებსა და ხეებზე, ვცდილობდით, ჩაგვედინა არნახული გმირობა – რათა ჩვენი სახელები ისტორიისთვის მაინც ყოფილიყო უკვდავი. ეს იყო იმორტალიზმის ძველი, პრიმიტიული და არაინტერაქტიული ფორმები.

უკვდავების ამ მარადიულ ოცნებას მეოცე საუკუნეში ტექნოლოგიური პროგრესის დახმარებით ახალი სუნიტვა გაეხსნა, ფრთები გაშალა და უფრო კონკრეტულად სანე მიიღო – ცნობიერების ატვირთვა, ასე ჰქვია „ახალ როკენროლს“.

ნანყვეტი სტუდენტური გაზეთიდან, კალიფორნია 1993წელი

დაბადება

იყო საღამო, იყო დილა – მეექვსე დღე. ძველი აღთქმა, დაბადება დაახლოებით 2800 წლის წინ

გამოღვიძება ჰგავდა დინამიტის აფეთქებას ტბაში, თევზების ამოტივტივებას სიღრმიდან. ტკივილის, მოლოდინების, სიბოზის და შიშის გარეშე.

არარსებობის უცნაური, უხეში შეგრძნება, დროში არეული კადრები, ათიათას ნაწილად დაშლილი, დანანვერებული ცნობიერება, რამდენიმე წუთის წინ ეს გაყინული, დაბლოკილი ინფორმაცია იყო.

– გილოცავთ გამოღვიძებას – ენერა კიტჩური ფერადი ნეონის ასოებით დაბალ ჭერზე ჩემი თვალების გასწვრივ.

რამდენიმე ექიმი, თბილი ღიმილით, მზიანი დერეფანი, ტანსაცმელი, ოთახი, რბილი წითელი სავარძელი... როგორც „დაბადების დღის ვიდეო-ოთახში“ მაჩვენეს – ჩემს დაბადებას სამი ადამიანი ესწრებოდა.

– თავს ძალას ნუ დაატანთ – მეუბნება ვილაც ქალი – დრო არის საჭირო იმისათვის, რომ სხეული და ცნობიერების პროგრამა სინქრონული გახდეს. ნელ-ნელა ყველაფერი გაგახსენდებათ.

...ჩამავალი მზის სხივები ზღვის ტალღე-ბივით იღვრება უზარმაზარი, კათოლიკური ეკლესიებისთვის დამახასიათებელი ფანჯრებიდან და მთელ ოთახს ანათებს, ცა ჟანგისფერია, მზე – შორი, ისეთი გრძობა მაქვს, თითქოს ის ორი საათის წინ გაჩნდა, თავში

სადღაც ნაკითხული ფრაზა მიტივტივებს – „ქარი იმიტომ უბერავს, რომ ხეები ირხევიან“ „საყოველთაო გამოღვიძების ცენტრი“ 2123 წელი

თებერვლის ბეტონისფერ თბილისში ფოთლებჩამოცვენილი ხეები ირხეოდნენ, მეგობარი გოგოსგან მიტოვებული, ცივ, არეულ ოთახში – მე ვფიქრობდი – შესაძლებელია თუ არა მომავლის დაჰაკვა რამე ხერხით? მაგალითად, ინტერნეტის გამოყენებით?! შეიძლება თუ არა ზეგავლენა „არამატერიალურ“ მომავალზე, ასეთივე „არამატერიალური“ ციფრული ინსტრუმენტების გამოყენებით?

მომავალი საკმაოდ არასტაბილური, ქაოტური სისტემაა, შეუცნობელი მოვლენების უსასრულო ოკეანე, სადაც დიდი ტალღები შეუმჩნეველი წვეთების გროვავა, ხოლო ცუნამები ოდესღაც წყალში ჩაგდებული კენჭების შედეგი. ასეთი ბუნდოვანი სივრცე მშვენიერი მასალაა შესწავლისა და ჰაკინგისთვის.

დილა იმ არსების კოდური სახელი იქნება, რომელსაც შევქმნი მომავლის დასაჰაკად. ის იქნება დეტონატორი, რომელიც ათასი წლის შემდეგ გამოიღვიძებს და თავის გააქტიურების საათს დაელოდება.

ტიფლისის ერთ-ერთი გეტო მარტი, 2010

სწოხიერების ატვირთვა

„მინა იყო უსახო და უდაბური, ბნელი იდო უფსკრულზე და სული ღვთისა იძვროდა წყლებს ზემოთ.“

ძველი აღთქმა, დაბადება რამდენიმე ათასი წლის წინ

კიბერნეტიკის ფუძემდებელი, ნორბერტ ვინერი, ჯერ კიდევ 50-იან წლებში გვასწავლიდა, რომ ადამიანი შეგვიძლია განვიხილოთ როგორც ინფორმაციული პატერნი, სიგნალი. ნებისმიერი მყარი ინფორმაცია და სიგნალი კი კოპირებადი. შესაბამისად, ამტიკცებდა ვინერი: თუ ჩვენ გვექნება ტექნოლოგია, რომელიც იდეალურად „დააკოპირებს“ ან გადააწყობს ამ სიგნალს – ჩვენ შეგვეძლება, ტელეგრაფის კაბელებითაც კი „გადავაგზავნოთ“ ადამიანი ერთი ადგილიდან მეორეში.

არის თუ არა ადამიანის ტვინი ბიოლოგიური მანქანა, რომელიც „ანარმოებს“ აზრებს და იღვებს? შეიძლება თუ არა მისი მათემატიკური მოდელის შექმნა? შეიძლება თუ არა ცნობიერების „დაკოპირება“ და მისი უნიკალური ნეირონული კავშირებისა და

მოგონებების ტრანსფერი ერთი ადგილიდან მეორეში? შეიძლება თუ არა ცნობიერების „გადატანა“ მისი ბიოლოგიური რეზიდენციიდან არაბიოლოგიურ სუბსტრატში, მაგალითად, რობოტის სხეულში ან კომპიუტერულ ქსელში?

ათეისტები თვლიან, რომ ორგანიზმი [სისტემა] კვდება, როცა წყვეტს ცხოველ ფუნქციონირებას, რელიგია თვლის, რომ არსება განაგრძობს სიცოცხლეს, როგორც არამატერიალური ღვთაებრივი სუბსტანცია [სული], კიბერნეტიკის მიხედვით კი, სისტემა მკვდარია, როცა მისი ინფორმაცია იმდენადაა შერყვნილი და დაკარგული, რომ აღდგენას არ ექვემდებარება.

კიბერნეტიკოსი ვალენტინ ტურჩინი წერს: „ადამიანი, საბოლოო ჯამში, კიბერნეტიკული სისტემაა – მატერიის ორგანიზაციის გარკვეული ფორმა, რომელიც შეიცავს მრავალდონიანი მართვის იერარქიას. ის, რასაც ჩვენ ვეძახით ჩვენს სულს ან ცნობიერებას, ასოცირდება ამ იერარქიის უმაღლეს დონესთან. ამ ორგანიზაციას ძალუქს გაუძლოს საკუთარი სამშენებლო მასალის ნაწილობრივ ან, შესაძლოა, მთლიან გამოცვლასაც კი. ის, რაც გადარჩება, იქნება არა უბრალო მატერიალური სუბსტრატის [სხეული ან ტვინი], არამედ მისი კიბერნეტიკული მოწყობა, შინაგანი „მე“-ს უნიკალური ვარიანტი“.

როგორც ცნობიერების ატვირთვის ამ „რბილი“ მიდგომის მომხრეები, ჩვენ ვთვლით, რომ თუ კი ორგანიზმის სამშენებლო მასალა გენებია, ადამიანის „მე“-ს სამშენებლო ბლოკები – ბიმება-ასოციაციური იეროგლიფები, რომლებიც კონკრეტული ადამიანის მოგონებათა უნიკალურ ჯაჭვებს და კომპლექსებს შეიცავენ.

ადამიანი საკუთარ იდენტობას, საკუთარ მე-ს სწორედ ბიმების საფუძველზე აგებს. ბიმებისგან შედგება მეხსიერება – ის მულტიმედიაური არქივი, სადაც ინახება იმიჯები, ხმები, სუნები, სიტყვები, პროექციები და ა.შ. ხოლო ამ ყველაფრის ნარმოდგენა ციფრული სახითაც შეიძლება.

კომპიუტერული ტექნოლოგიების შეუფერხებელი განვითარების პირობებში – ახლო ან შორეულ მომავალში, ჩვენ გვექნება ნარმოუდგენელი სიძლიერის სუპერკომპიუტერები, „სენსიტიური“, მოაზროვნე ქსელები, ხელოვნური ინტელექტი და საოცარი ტექნოლოგიები, რომლებიც შეძლებენ ადამიანების რეინკარნაციას ციფრულ სამყაროში.

თუ კი ჩვენ შევძლებთ ამა თუ იმ ადამიანის შესახებ ტერაბიტობით ინფორმაციის

შეგროვებასა და შენახვას, მაშინ მომავლის ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიები ამ ინფორმაციულ არქივზე დაყრდნობით მას ახალ „სიცოცხლეს“ მისცემენ.

ციფრულ გარემოში რეინკარნირების შემდეგ, „მეორედ მოსულებს“ შეეძლება ცხოვრება Second Life-ს მსგავს სამგანზომილებიან ვირტუალურ სამყაროში გააგრძელონ, ან ჩვენ შეგვეძლება ამ გაცოცხლებული ცნობიერებების „ჩამოტვირთვა“ ბიო ან არა-ბიოლოგიურ სხეულში.

ამ ფუტურისტული იდეების განსახორციელებლად ჩვენმა თანამოაზრე მოძრაობა „ტერასემმა“ უკვე შექმნა ვებ საიტი – უცნაური-სოციალური ქსელი, სადაც ნებისმიერ ჩვენგანს შეუძლია საკუთარი „ცნობიერების ფაილების“ შექმნა – ანუ მოგონებების შენახვა მომავლისთვის.

პიროვნების დეტალურ მონაცემთა ბაზის არსებობის შემთხვევაში, მომავლის ხელოვნური ინტელექტის სოფტს შეუძლია „გაცოცხლოს“ პიროვნების ცნობიერება. პიროვნების ცნობიერების ფაილი კი შეიძლება ჩაიტვირთოს კომპიუტერიდან – რობოტის ნანოტექნოლოგიურ ან ბიოლოგიურ სხეულში იმისთვის, რომ მან ისეთივე სრულფასოვანი არსებობა განაგრძოს, როგორც ადამიანმა.

ცნობიერების ფაილი უნიკალური „ბიმების“ ისეთ რაოდენობას შეიცავს, რომელიც სავსებით საკმარისია, იმისათვის, რომ პროგრამაში კონკრეტული ადამიანის ცნობიერების სიმულაკრი ჩაეშვას. ასეთი ფაილი კიბერნეტიკული ბიოსტაზის მდგომარეობაში მანამ იქნება, სანამ მომავლის ტექნოლოგიები საშუალებას არ მოგვცემს, ხელახლა გამოვალვიძვოთ ოდესღაც გარდაცვლილი ადამიანები.

ნანყვეტი მოხსენების ტექსტიდან. „ტიურინგის ეკლესიის“ აღმოსავლური ფრთა, თბილისი 2011 წელი

ლილა

ჩვენ არ ვქმნით სახე-ხატებს, ჩვენ ვქმნით ორგანიზმებს

ანარქო-ბიოკოსმისტების პარტია, დაახლოებით 100 წლის წინ

თუ ადამიანებს შეუძლიათ „დააკონსერვონ“ საკუთარი არსებობა, გაავზავნონ ის მომავალში – რატომ არ შეიძლება მომავალში გაავზავნო ადამიანები, რომლებიც არასოდეს არსებობდნენ?

გადავწყვიტე შემიქმნა ალტერნატიული

ისტორია, ხელოვნური პერსონა, რომელიც არასოდეს არსებობდა და „შემენახა“ ის თანამედროვე ვებ და არამარტო ვებ-ტექნოლოგიების გამოყენებით, იმის იმედად, რომ ის ოდესმე დაიბადება.

და თუ ოდესმე მომავალი „მოხდა“, თუ ტერასემის ჰიპოთეზები ოდესმე გამართლდა და უცნობ მომავალში „გაცოცხლების“ ტექნოლოგიები განვითარდა – მაშინ ეს პროექტი მომავლის დაჰაკვის მცდელობად ჩაითვლება.

დილას ცნობიერების კონსტრუირება მისი პიროვნული შაბლონის „წერით“ დავინყე.

არარსებული ცნობიერების დაპროგრამება კოლაჟების გადაბმას ან მძაფრსიუჟეტინი-ნი-მულტიმედიაური-ლიტერატურის-კეთებას გავს – სიყვავებს და მოგონებებს ხმები, მუსიკა, ფოტოები და ვიდეოგამოსახულება ემატება.

დილა დაუსრულებელი არსებაა, ერთგვარი ციფრული ფრანკენშტეინი, რომლის ცნობიერების კოდის შედგენა პირადი მოგონებებისა და ფსიქოლოგიური ტესტებისგან დადინყე.მისი სიზმრების დღიური კი იმ ადამიანთა ხილვებით შევავსე, რომლებმაც თავისი ისტორიები სპეციალურად „სიზმრების რეგისტრაციის“ პროექტისთვის შექმნილ საიტზე დატოვეს.

ამ არარსებული ადამიანის ბიოგრაფიის დანარჩენი ნაწილი კი სრული ფიქციაა. ეს იმ ინფორმაციის ერთობლიობაა, რომელიც მეგობრების „ფეისბუქის“ პროფილებიდან, ბლოგებიდან, გუგლის საძიებო სისტემიდან თუ ახლობლების ფოტოაპარატებიდან მოვიპარე, ნაპოვნ პეიზაჟებს და საგნებს ჩემსმიერ გამოგონილი აღწერილობა დაფუძნაზე.

დილას მოგონებების წერის პარალელურად მივხვდი, რომ სრული ლეგიტიმაციისათვის მას სხეული სჭირდება. ფესტივალი „არტის-ტერიუმში 2010 – წარმოიდგინე მომავალი“ დილას მოგონებებისთვის სხეულის შერჩევის კარგი შანსი აღმოჩნდა. „ქარავანის“ ნანგრევებში, ქვედა სართულზე მდებარე ერთ-ერთი ოთახი რამდენიმე დღით „სხეულის გაზიარების ცენტრად“ ვაქციე – ნებისმიერ მსურველს ჰქონდა საშუალება ჩაებარებინა თავისი გენეტიკური ნიმუში.

ამ კიბერპანკური ალქიმის პროცესში 23 ადამიანი მონაწილეობდა. ერთ-ერთი მათგანი, ათასი წლის შემდეგ თავის სხეულს დილას მოგონებებს გაუზიარებს.

ეს მომავალი შეიძლება არც არასოდეს მოხდეს ან პირიქით – შეიძლება, მომავლის დილა არქივებში ამ ნაწერებს ნაანყდეს.

ტიფლისი, ვაზისუბნის დასახლება 2011 წელი


ინსტრუქცია სხეულის გაზიარებისთვის: ა) ჩვენ გვაქვს უცნობი ადამიანის მოგონებები შენახული ციფრული სახით.

ბ) არსებობს „შვეიცარიის დნმ ბანკი“, რომელიც ნებისმიერ ადამიანს მოგონებებისა და დნმ-ის უვადოდ შენახვის სერვისს სთავაზობს.

გ) ჩვენ გვსურს ამ ბანკში აქამდე არარსებული პიროვნების მონაცემები შევინახოთ. მისი მოგონებები უკვე არსებობს, მისი სხეულის დნმ-ის დონორი შეგიძლიათ თქვენ გახდეთ.

დ) ამ შემთხვევაში თქვენი გენეტიკური კოდი უვადოდ შეინახება თქვენთვის უცხო ადამიანის მოგონებებთან ერთად, როგორც ერთი კონკრეტული, თითქოს არსებული ადამიანის მონაცემები.

ე) თუ თანახმა ხართ, გაუზიაროთ თქვენი სხეული უცნობი ადამიანის მოგონებებს, მონერეთ ხელი კონტრაქტს, მიიღეთ მონაწილის სერტიფიკატი და ჩააბარეთ თქვენი გენეტიკური სემპლი – ნერწყვი ან თმის ლერი.



2010 წელი,

„სხეულის გაზიარების ცენტრი“, ტიფლისი

ქიმიური, ატომური და სიფრული ბალაქტიონები

„მასში იდუმალ ძილით ძინავთ ახალ ქაოსებს“

გალაკტიონ ტაბიძე

ნებისმიერი ადამიანი ბევრნაირად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ.

მაგალითად, რა შეიძლება ვთქვათ 1913 წლის გალაკტიონის იმ ღამის ვერსიაზე, რომელიც თავის ცნობილ „მე და ღამეს“ წერდა?

პირველი იქნება მოლეკულარული გალაკტიონი, ანუ – იმ მოლეკულების და უჯრედების ერთიანობა, რომლისგანაც შედგებოდა ჩვენი მცირე კვლევის სუბიექტი.

გენეტიკური გალაკტიონი – გენების ის წყობა, რომელიც ყველა ადამიანისთვის უნი-

კალურია. ამ კოდის დაფაზე ჩამოწერილი ჩვენ შეგვიძლია ვუთხრათ მოსწავლეებს – ბავშვებო, ეს არის გალაკტიონი, და რაღაც თვალსაზრისით მართლებიც ვიქნებით – ეს იქნება გალაკტიონი გენეტიკურ დონეზე.

სოციალური გალაკტიონი – ასაკი, ნაციონალიზაცია, ენა, ბეჭედი პასპორტში.

ინტელექტუალური ან ემოციონალური გალაკტიონი.

ქიმიური გალაკტიონი – იმ ლამეს მისი მთელი სხეულის ქიმიური შემადგენლობა.

ადამიანის „მე“ უამრავი განსხვავებული ინფორმაციული შრისგან შედგება.

მაგრამ როგორ გალაკტიონს ვიცნობთ ჩვენ – ადამიანები, რომლებიც იმ საოცარი ლამიდან ათასობით ლამის შემდეგ გავჩნდით?

გალაკტიონის ის ვერსია, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ, ანუ გალაკტიონი, რომელიც გადაურჩა სიკვდილს – ინფორმაციული გალაკტიონია.

ჩვენ გვაქვს ინფორმაცია მის შესახებ და ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომელიც მან თავად დაგვიტოვა – ლექსები, წერილები, ჩანახატები, ფოტოები, აუდიო-ჩანაწერები – აი, რისგან შედგება ჩვენი გალაკტიონი დღეს. მაგრამ ის პასიური ობიექტია. ჩვენ ვერ დაგვრუნდებით 1913 წლის იმ ლამეში, ვერ დაუფსვამთ კითხვებს გალაკტიონს, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია გალაკტიონ ტაბიძის, უფრო სწორად, მისი ინფორმაციული ვერსიის მოდელირება კომპიუტერში. ჩვენ შეგვიძლია წარსულში დაბრუნების ნაცვლად – მისი გადმოტანა ანმეში და მისი გა-ინტერაქტიულება. ჩვენ შეგვიძლია მისი „ცნობიერების ატივირთვა“ არტ პრაქტიკით.

2011 წელი,

„თანამედროვე ხელოვნების ცენტრი -თბილისი“, ნაწყვეტი სემინარიდან

სამბანჯომილიანი
ვირტუალური „კანთორნი“
ანუ APP ადამიანური სულბის
ინჟინერიისთვის

დილასთავის დნმ კანდიდატების შერჩევის შემდეგ განუწყვეტლივ ვფიქრობ იმ იდეის დახვეწაზე, რომელსაც „ცნობიერების ატივირთვის ხელოვნებას“ ვეძახი.

2011წელი, მეგობრის სახლი

„ცნობიერების ატივირთვის ხელოვნება – ინტერდისციპლინარული მიმდინარეობა ხელოვნებაში, რომელიც ჩაისახა 21-ე საუკუნის



დასაწყისში – ნეირომეცნიერების, კიბერნეტიკისა და ფუტურიზმის გადაკვეთაზე. მიმდინარეობის წარმომადგენელთა აზრით წინა საუკუნის კონტრკულტურული გამოხატვის ხერხები აკუმულირდა კომპიუტერული პროგრამებისა და ვირტუალური რეალობის წარმოება/მონმარებაში, ხოლო ხელოვნების ახალ ინსტრუმენტარიუმს მათ დაამატეს – მეცნიერებათა მთელი დარგები. ისინი გატაცებულები იყვნენ ხელოვნური ინტელექტის თეორიებით და მომავალისა და წარსულის დაჰაკვის წყურფილით. მათი აზრით, ეს სფერო, პირველ რიგში, იმ ახალ ჰიბრიდს უნდა აეთვისებინა, რომელიც დამოუკიდებელი მეცნიერისა და ვიზიონერი ხელოვანის სინთეზით იქმნებოდა. პირველად სწორედ მათან მიმართებაში გამოიყენეს ფიზიკოს ფრიმენ დაისონის სიტყვები: „არტისტების ახალი თაობა, რომელიც წერს გენეტიკურ კოდს ისე მარტივად, როგორც ბაირონი და ბლეიკი წერდნენ ლექსებს“.

ვიკიპედიის ბოტი, 2017 წელი, ძველი ინტერნეტი წარმოდგინე, საშუალება რომ გქონდეს

პირადად გაესაუბრო ადამიანს, რომელიც შენგან ძალიან შორსაა ან სხვა ეპოქაში ცხოვრობდა და უკვე მოკვდა. წარმოდგინე, რომ პირადად მისგან შეგიძლია გაიგო რას განიცდიდა, რას ფიქრობდა სამყაროზე, კაცებზე, ქალებზე...

თიმოთი ლირის თავის წიგნში „ქაოსი და კიბერკულტურა“ უწერია:

„თუ ინდივიდი სიცოცხლის შემდეგ, 20 წლის განმავლობაში აღრიცხულ ყოველდღიური ფიქრებისა და ქმედებების შესახებ კომპიუტერულ ჩანაწერებს ტოვებს, მაშინ მის შვილთაშვილს ერთი საუკუნის შემდეგ საშუალება ექნება აღადგინოს მისი ჩვევები და მენტალური საქმიანობა. შთამომავლობას შეეძლება „გაზიაროს და ხელახლა განიცადოს წინაპრების გამოცდილება“ უმცირეს დეტალებშიც კი“

კიდევ უფრო საინტერესოა ადამიანისგან „ამოღებული“ ცოდნის ცხოვრებაში გადმოტანა. მისი რწმენა და მიდრეკილებები წარმოდგენილი იქნება, როგორც ალგორითმების ნაკრები, რომლებიც მართავს პროგრამას. პროგრამას, რომელსაც შეუძლია ამ ინდივიდის იდენტურად მოქცევა.

იგივე იდეა აქვს რუდი რუკერსაც, რომელიც მსგავს პროგრამას „ლაიფბოქსს“ არქმევს: „ჩვენ შეგვიძლია ადამიანის მოგონებებს შევხედოთ როგორც ჰიპერლინკებით შეკრულ მონაცემთა ბაზას, რომელიც შეიცავს ფაქტებსა და რეაქციებს. მეხსიერება ისევეა სტრუქტურირებული, როგორც ვებ-საიტი, სიტყვებით, საუნდებით და ვიზუალურებით, რომლებიც ტრილიონობით ბმულითაა შეკრული ამ სუპერბლოგში... მე ვხედავ ლაიფბოქსს, როგორც ვებსაიტს ან აპლიკაციას, რომელიც შეიცავს უზამაზარ პირად მონაცემთა ბაზას“

რუკერის წარმოდგენით ლაიფბოქსი, ერთი მხრივ, პასიური ინფორმაციული არქივია – ერთგვარი ინდივიდუალური გუგლი, მეორე მხრივ კი, პატარა ყუთია, რომელსაც ადამიანი თავის ისტორიას უყვება. რუკერის აზრით „ლაიფბოქსს“ შეუძლია ატივირთული მონაცემების ისეთ ალგორითმებად დალაგება, რომლებსაც შეუძლიათ „აზროვნების“ დაწყება კომპიუტერში და ადამიანი განაგრძობს სიცოცხლეს ახალი ფორმით ელექტრონულ უკვდავებაში.

ამ იდეის განსხვავებული ვერსიები მოუხვენრად ტრიალებს სხვადასხვა სახის პოსტ-კიბერპანკ თუ ტექნო-სოციუმების ელექტრონებით დამუხტულ ჰაერში.

თანამედროვე ჩატ-ბოტების და 3D ავატარების ტექნოლოგიის მარტივი გამოყენებით,

ჩვენ შეგვიძლია შევადგინოთ სხვადასხვა მწერლების ვირტუალური ავატარები და მათი პირადი პროფაილები.

ნებისმიერ მკითხველს შეეძლება ნებისმიერ დროს კომპიუტერის ეკრანიდან დაელაპარაკოს თავისი საყვარელი ავტორის ვირტუალურ კლონს. რაც მეტი ინფორმაცია გვექნება ამა თუ იმ პიროვნებაზე, მით უფრო ადვილია მისი ვირტუალური ორეულის შექმნა.

გალაკტიონ ტაბიძე უფრო ადვილად რეკონსტრუირებადია, ვიდრე ილია ჭავჭავაძე, თავის მხრივ ის უფრო ადვილად რეკონსტრუირებადია, ვიდრე ერეკლე მეორე, თუმცა ერეკლე მეორის ბოტი უფრო მარტივი ასაგებია.

მათთვის, ვინც პირველად ესწრება ჩვენს შეკრებებს და არაა გათვითცნობიერებული ტერმინებში: ჩეთ-ბოტი, როგორც იცით, მარტივი კომპიუტერული პროგრამაა, რომლის მიზანია ადამიანებთან ურთიერთობა ტექსტური თუ აუდიო შეტყობინებების საშუალებით. ის შედგება სპეციალური ფანჯრისგან, სადაც თქვენ შეგყავთ ტექსტი, მისაღება, კითხვები და რომელსაც ბოტი პასუხობს წინასწარ დაპროგრამებული პასუხებით. დღეს ქსელში ათობით სახეობის ბოტი არსებობს, რომლებიც საუბრობენ ნებისმიერ თემაზე – ამინდის პროგნოზიდან დაწყებული, სექსის გავლით ეგზისტენციალიზმამდე. თუმცა, არცერთი მათგანი აქამდე არ ყოფილა დაფუძნებული რეალური ადამიანის მოგონებებზე.

ბოტებს პროგრამისტები წერენ, მაგრამ ამ ბოტების „გონება“ არ შედგება ამ კონკრეტული ადამიანების მქსიერებისგან. როგორც ნესი, ბოტის დაპროგრამების დროს მოარულ ფრაზებს იყენებენ, ხოლო შემდგომში ბოტის მქსიერება ივსება მასთან მოსაუბრე ხალხის ფრაზებით.

ჩეთ-ბოტების უმრავლესობა ერთგვარი ციფრული მოჩვენებებია, რომელთა „სული“ მათთვის უცნობი ადამიანების კოლექტიური ქვეცნობიერით ივსება.

ჩვენს შემთხვევაში ჩეთ-ბოტები გამოყენებული იქნება, როგორც ტექნოლოგიური მედიუმი, მაგიური ბურთი, რომელიც საშუალებას გაძლევს ესაუბრო დიდი ხნის წინ გარდაცვლილ ადამიანებს. ან ესაუბრო ადამიანებს, რომლებიც ცოცხლები არიან, მაგრამ სხვა ადგილას იმყოფებიან. ამ შემთხვევაში ისინი იქნებიან რამდენიმე ადგილას ერთდროულად – ერთი, „ორიგინალი“ ბიოლოგიური ვერსია, იქნება თავის აბაზანში, კაფეში, სცენაზე, მაკდონალდსში და ა.შ. მათი ციფრული ვერსია კი, ჩვენი კომპიუტერის ეკრანზე.



ამ ვირტუალურ კლონებს, გარკვეული ტრენინგის შემდეგ, მათი ბიოლოგიური „ორიგინალისგან“ დამოუკიდებლად, ინტერვიუების მიცემაც შეეძლება.

თუ პროექტი და ავტორი უფრო სერიოზულად „გაზურდებიან“ – გენეტიკური/ევოლუციური პროგრამირების გამოყენებით და ჩეთ-ბოტის ხელოვნური ინტელექტის სისტემებზე დაყრდნობით უკვე დღესაც შესაძლებელი ისეთი სისტემის დაპროგრამება, რომელიც თვითონ აგენერირებს ახალ წინადადებებს, მისაღმებებს და ფრაზებს ამინდზე, სამყაროზე, პოლიტიკაზე, ცოცხლებზე, მკვდრებზე – მისი ბიოლოგიური პატრონისგან დარჩენილი მონაცემების საფუძველზე.

ამის მაგვარი პროგრამები დღესაც შეიძლება ნახოთ, მაგალითად My Next Tweet ანალიზებს თქვენს პოსტებს ტვიტერზე და სიტყვების მარტივი გადანაცვლებებით ადგენს თქვენს შემდეგ პოსტს. მაგრამ, რა თქმა უნდა, ჩვენ უფრო საინტერესო სოფტზე ვლაპარაკობთ, ვიდრე უბრალო სიტყვებით თამაშია.

ასეთი სოფტის გამოყენებით გარდაცვლილ პოეტებს და სცენარისტებს სიკვდილის შემდეგაც შეეძლება წერონ ახალი ნაწარმოებები, ან ისაუბრონ უცნობებთან.

მათი შემოქმედება ორ ნაწილად შეგვიძლია დავყოთ – მაგ. ზაზა ბურჭულაძის შემოქმედების ბიოლოგიური და პოსტ-ბიოლოგიური ეტაპები.

შეგვიძლია, ეს პროცესი უფრო პოეტურად განვიხილოთ – წარმოიდგინეთ თქვენი ქვეცნობიერის უნივერსალური CUT-UP მანქანა, რომელიც აგენერირებს ფრაზებს და წინადადებებს, თქვენივე ფრაზებისა და წინადადებებისგან, ან წარმოიდგინეთ, რომ ნაწარმოებს წერთ, როცა გაქვთ ძალიან მაღალი სიკვება ან ხართ ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ. ამ კონდიციების მიუხედავად – იქნება თუ არა ამ დროს თქვენს მიერ ნახევრად-არაცნობიერ მდგომარეობაში წარმოქმნილი ან დაწერილი სიტყვები თქვენი? რა თქმა უნდა, იქნება. ხოლო სოფტი, რომელიც დეტალურად და გაცილებით ფიზიკურად აანალიზებს „საკუთარი“ შემოქმედების ყველა ნიუანსს და დაფუძნებულია მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ ინფორმაციაზე – გაცილებით „თქვენი“ ფრაზების ავტორი იქნება.

ასეთ შემთხვევაში ამ სახის პროგრამა ახალი კუთხით დაგვანახებს მეოცე საუკუნის ერთ-ერთ პოსტმოდერნულ დილემას „ავტორობის“ საკითხზე, თუმცა ეს ცალკე ძალიან დიდი და საინტერესო თემაა და, რა თქმა უნდა, ეს ოპცია პროგრამაში არჩევითი უნდა იყოს და არა სავალდებულო. გარდა ამისა, სრულიად არაა აუცილებელი – ავტორი არ ეწეროს ცოცხლებში, იგივე ოპციის გააქტიურება შესაძლებელია უიქენდებზე, დღესასწაულებზე ან, როცა ავტორს შემოქმედებითი კრიზისი შეაწუხებს. :]

თანამედროვე ავტორებზე დიდი დოსიეს გაკეთება შეიძლება, იმიტომ, რომ მათ თავად შეუძლიათ ჩაერთონ ავატარის შექმნის პროცესში. ჩვენ შეგვიძლია ავტორებს შევავსებინოთ სოციოლოგ ბენიბრიდჯის კითხვარები, რომლებიც გათვლილია ადამიანის მისწრაფებების, მისი „მე“-ს მაქსიმალური კონსტრუირებისთვის. როგორც თვითონ ბენიბრიჯი ამბობს, ასეთი კითხვარების შევსების შედეგად ნებისმიერი ადამიანი შეიძლება „გაცოცხლებულ“ იქნას მომავლის სუპერკომპიუტერებში, რამდენადაც კითხვარებიდან და დღიურებიდან მიღებული ინფორმაცია მისი შესაძლო რეაქციებისა და ქცევების შესახებ – იქნება თითქმის 100%-იანი.

რუკერის Lifebox-ისგან განსხვავებით ჩვენი კიბერ-კლონები იქნებიან ჩეთ-ბოტები,

წარმოდგენილები ვებ-საიტზე, როგორც სამგანზომილებიანი ბიუსტები – რეალურად არსებული ადამიანების ინფორმაციული ორეულები, რომლებიც მზად არიან თავიანთი ისტორია და ნაწარმოებები მოუყვინდინებინებოდნენ ცოცხალ შთამომავლებს თუ თანამედროვეებს. შესაბამისად, 20-30 ან შესაძლოა უფრო მეტი წლის მერეც კი – ნებისმიერ მკითხველს საშუალება ექნება დაელოკალირდეს თანამედროვე ქართველ ავტორებს ინტერნეტით. დღეს შექმნილი ავტარები იმის გარდა, რომ იქნებან თანამედროვე კულტურის შემნახავი ტანკერები – ასევე იქნებიან ჟამთააღმწერები პირველი პირიდან. ამის გარდა, კლასიკური ავტორების პროფილებისა და ავტარების შექმნა – სახალისო კრეატიული მიდგომა იქნება განათლების სფეროშიც, მოსწავლეებს შეეძლებათ გაეცნონ მაგ. გალაკტიონის ბიოგრაფიას და ლექსებს მის ავტართან საუბრის შედეგად.

ის შეგიძლია წარმოვიდგინოთ როგორც კლასგარეშე საკითხავი მასალა მოსწავლეებისთვის, რომელთათვისაც გაცილებით აქტიუალური და ჩამთრევი იქნება საუბარი სუპერთანამედროვე ინტერაქტიულ პროგრამასთან, ვიდრე ინფორმაციის მოძიება ბიბლიოთეკებსა თუ მიმოფანტულ ორგანზომილებიან წიგნებში. ევოლუციურ კონსერვატორთა დასაწყნარებლად ვიტყვი, რომ ასეთი სახის „ვირტუალური პანთეონი“ არ არის საფრთხე წიგნების კითხვისთვის და ის ვერ ჩანაცვლებს სასწავლო პროცესს, თუმცა საგრძნობლად გაახალისებს და გაათანამედროვეებს მას. საკლასო ინტერაქტიულობას ჩვენ აუცილებლად უნდა დავამატოთ კრეატიული, ციფრული ფსიქოაქტიურობა თუ გვინდა, რომ ჩვენი შვილები 21-ე საუკუნის პლანეტარულ მოქალაქეებად იზრდებოდნენ. აქვე, მინდა გავახარო პატრონობებიც – გარდა იმისა, რომ ეს იქნება პირველი ქართულენოვანი ჩეთ-ბოტი – ის შეიძლება განიხილოთ თქვენი ქვეყნის ნოუ-ჰაუდ განათლების სფეროში. აქვე დავამატებ, რომ როცა ვამბობ განათლების სფეროს, არ ვგულისხმობ, რომ ეს პროექტი აუცილებელი სიახლეა, ის ისედაც იარსებებს ქსელში თუ მას არცერთ კომპიუტერულ კლასში არ წარადგენენ. და პროექტის განხილვა განათლების სფეროში – ასევე ერთ-ერთი ვერსიაა იმ ბევრ სხვა ვერსიას შორის – სადაც და რა ფორმითაც შეიძლება საბოლოოდ განხორციელდეს გარდაცვლილთა რეკონსტრუქციისა და თანამედროვეთა რბილი, ციფრული „ატივითვის“ პროექტი.

მაგალითად – პირადი ციფრული არქივისა და ჩეთ-ბოტების გადაკვეთა, განათლების

ან სახალისო ვებ-პროექტების სფეროს გარდა, შესაძლებელია გაცილებით დაშორებულ სფეროშიც .

წარმოდგინეთ ინტერაქტიული საფლავები, სადაც წლების მერეც შეგიძლიათ გაე-საუბროთ დაკარგულ ანლობელს. კომპანიას ან თავად თქვენ შეგიძლიათ ააციფრულოთ ადამიანი და მისი კიბერ-კლონი, რომელიც წარმოდგენილი იქნება მის საფლავის ქვაზე მიმარებელი გამოსახულებით – 90%-იანი სიზუსტით გაგცემთ იგივე პასუხებს, რასაც გეტყვოდათ თავად თქვენი მეგობარი.

ტექნოლოგიები იცვლება და ცვლის საზოგადოებას და ინდივიდებს, შესაბამისად იცვლება რეალობის ვერსიები და მსოფლალქმნა და, ვინ იცის, იქნებ, უახლოესი ათწლეულების განმავლობაში, ასეთი სახის საფლავები ძალიან ჩვეულებრივი მოვლენა გახდეს ტექნოლოგიურად განვითარებულ საზოგადოებებში.

იქნებ, ასეთი სახის ცნობიერების კლონი – ჩვეულებრივ კომპიუტერულ სოფტებში მოგვევლინოს – ხასიათების და გენეტიკური კოდების შაბლონებით, მოგონებების default ვერსიებით და user friendly ლილაკებით, რომელთა დახმარებით მომავლის ჰაკერები ან დაინტერესებული მომხმარებლები მარტივად შექმნიან ახალ ან აალორძინებენ წარსული დროის აჩრდილებს.

2011 წელი,

ნაწყვეტი სიტყვით გამოსვლიდან, კიბერპანკების მიტინგი, ტიფლისი

ვირტუალური პანთეონის იდეის განსახორციელებლად ჩვენ დაგვჭირდება კარგი ჯგუფი:



ერთი გარდაცვლილი მწერალი [და სპეციალისტი ამ მწერლის ბიოგრაფიისა თუ შემოქმედების საკითხში]

ერთი ცოცხალი მწერალი, რომელიც დაინტერესებული იქნება თანამშრომლობაში.

დიზაინერი, რომელიც შექმნის მწერლების სამგანზომილებიან ბიუსტებს.

ვებ-პროგრამისტი, რომელიც შექმნის ვებ-პლატფორმას მონაცემთა ბაზისთვის და „ა-ლაპარაკებს“ გამოსახულებას.

პროგრამისტი, რომელიც დაწერს ბოტს რეალური ადამიანის მოგონებების საფუძველზე.

ვიდეო-მემონტაჟე, რომელიც გააკეთებს პრომო ვიდეოებს, კონცეფციის მაქსიმალურად მარტივი ახსნით. და ფონდი, ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი, რომელიც ამ ყველაფერს დააფინანსებს.

რამდენიმეთვიანი მუშაობის შემდეგ კი ჩვენ გვეყოლება ბიოლოგიური არსების კიბერნეტიკული კოპიო – მისი მესხიერების შემნახველი ინტერაქტიული პროგრამა, რომელიც დაამარცხებს სიკვდილს და დარჩება რობოტულ „ხმად მლაღადებლისა“ უკვდავების შესახებ მომავლადევი სამყაროს უდაბნოში.

ბოლობოლო, საკუთარი სახელების წერა სკოლის მერხებზე, გრაფიტით ამოყვანა ქალაქის კედლებზე, შეილების კეთება, ფოტოების გადაღება, „здесь был вась“ და ძეგლების აღმართვა და მილიონი სხვა ბანალური, განწირული საქციელი – იმ ფარული ინსტინქტის ძახილია ჩვენი სულების სიღრმიდან, რომელმაც გაცნობიერა ადამიანური დრამა და მარადიულად ცხოვრება სწყურია.

2011 წელი,

ამონარიდი პროექტის პრეზენტაციის აუდიო-ჩანაწერიდან

დაზაღება №203

– თავს ძალას ნუ დაატანთ – მეუბნება ვილაც ქალი – დრო არის საქირო იმისათვის, რომ სხეული და ცნობიერების პროგრამა სინქრონული გახდეს. ნელ-ნელა ყველაფერი გაგახსენდებათ.

...უცნაური ლურჯი პლანეტა მოჩანს უზარმაზარი, კათოლიკური ეკლესიებისთვის დამახასიათებელი ფანჯრებიდან, ცა შავია როგორც ძილი, პლანეტა თითქოს ამ ფანჯრებისკენ მოძრაობს, ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ის ორი საათის წინ გაჩნდა. თავში სადღაც გაგონილი ფრაზა მიტივტივებს – „ქარი იმიტომ უბერავს, რომ ხეები ირხევიან“

3012 წელი.

ექსპერიმენტალური დისპანსერი „გამოღვიძების ცენტრი“, მთვარე.



all I know

ავტორი ანა კორძაია-სამადაშვილი
 ფოტო ბესო უზნაძე

ალბათ, ბესო ბევრად უფრო რადიკალური ხელოვანია, ვიდრე აქ მცხოვრებთა უმრავლესობას ესიამოვნებოდა. რა გაეწყობა.

სინამდვილეში, საშიში არაფერი ხდება. უბრალოდ, პორტრეტები, სექსი და ყვავილები ბესო უზნაძისთვის თანაბრად მნიშვნელოვანი და საინტერესოა. და ყველაფერს თითქოს ერთნაირი სუნი ასდის.

– სიკვდილის. – თქვა ბესომ.

ნამუშევრების ახალი ციკლი, **all I know**, არის ის, რაც ორმოცს გადაცილებული, ორი ქვეყნისა და ორი კულტურის შვილმა დაინახა და გაიგო, რომ მშვენიერები ვართ და ვკვდებით.

თავის წიგნში „უბრალოდ, ბავშვები“ პატი სმიტი რობერტ მეპლტორფის მიერ გადაღებული ერთი პორტრეტის ისტორიას ჰყვება:

„...მე თავი ციტატებით მქონდა სავსე. მას – მხოლოდ შუქჩრდილით.

– ეგაა, – თქვა მან.

კიდევ რამდენიმე კადრი გადაიღო.

– არის.

– რა იცი?

– ვიცი.


...როცა დღეს ამ ფოტოს ვუყურებ, საკუთარ თავს ვერ ვხედავ. მე ვხედავ, რომ ჩვენ ვართ.“

მე, ვაგლახ, პატი სმიტი არ ვარ. არანაირად არ მინდა, ბესო რობერტ მეპლტორფს შევადარო – რა საჭიროა?! უბრალოდ, როცა ამ ფოტოებს ვუყურებ, სულ მახსენდება, როგორ ამბობდა გადაღების დროს ბესო უზნაძე: „არის!“, და ვხედავ არა საკუთარ თავს, მეგობრებს, უცხო მამაკაცებს თუ მშვენიერ ყვავილებს, არამედ იმას, რა ვართ.























ფოტო: REUTERS

ფრანკფურტის ბაზრობის შემოგარენი

ავტორი აკა მორჩილაძე

საინტერესო ის იქნებოდა, დონ კიხოტი რომ ფრანკფურტის ნიგნის ბაზრობაზე მოხვედრილიყო.

ალბათ, ესპანეთის პავილიონში მივიდოდა და იქ ერთგვარი განსჯის შემდეგ არტურო პერეს-რეპერტეს რომანების კითხვას შეუდგებოდა. ჩამოჯდებოდა იქვე, ადგილის პოვნა ყოველთვის შეიძლება.

თუმცა, იმ ძველი საუკუნის კაცს, ალბათ გარშემო ჩამომდგარი თითქოს სამუდამო ხმაური მეტად შეაწუხებდა. მეორე მხრივ კი, დარბაზების განათებით იქნებოდა კმაყოფილი, მოგეხსენებათ, იმ ძველი დროის მკითხველებს სანთლის შუქზე უხედებოდათ ნიგნების ფურცვლა.

ხმაური კი მართლაც, ო-ჰო-ჰო, გვარიანი დგას ფრანკფურტის ნიგნის ბაზრობაზე. გასაკვირიც არაა, ათიათასობით ადამიანი მოძრაობს უშველებელ დარბაზებში და მათ შორის ისე, რომ შიდა ავტობუსებიც კი მოიხმარება.

ყოველ ოქტომბერს ფრანკფურტი არის ადგილი, სადაც მთელი მსოფლიოს გამომცემლები და ნიგნით მოვაჭრენი შეიკრიბებიან ხოლმე და დარბაზებში მოხეტიალე, მორბენალი, თუ უბრალოდ მთვლემარე ნიგნის მკითხველთა და მოყვარულთა თვალწინ, დიდ საქმეებს აგვარებენ.

დიდი საქმეები ახალი ნიგნების გამოცემის უფლებების ყიდვა-გაყიდვაა.

მსოფლიოში უამრავი ნიგნის ბაზრობაა, მაგრამ იმათ შორის ყველაზე დიდი ფრ-

ნაკფურტისა გახლავთ, დიდი საქმეებიც, როგორც ამბობენ, იქ იჩარხება ხოლმე.

საქმეთა ჩარხვის გარდა, ფრანკფურტის ნიგნის ბაზრობა კულტურულ ღონისძიებებსაც უზვად წარმოადგენს ხოლმე, იქ, ყოველ ქვეყანას თავისი პავილიონი აქვს და იქვე ცალ-ცალკე კუთხეებს აწყობენ იმ ქვეყნების გამომცემლები.

რახან ბაზრობა მაინც ნიგნისაა და რაც არ უნდა ვაჭრობა მიმდინარეობდეს გამომცემელ-აგენტთა შორის, ნიგნი მაინც კულტურას ნიშნავს და ამიტომ იქ ლამის ყოველ ორმოცდაათ ნაბიჯში კლუბია გამართული, სადაც რაგინდარა სანიგნე, თემაზე საუბრობენ. იქვეა განთქმული ლურჯი სავარძელი, სადაც იმ სავარძელზე მეტად განთქმულ საერთაშორისო მწერალს ჩასვამენ ხოლმე და მასთან საუბარი ტელეარხებით გადაიცემა. ავტოგრაფების მაგიდებიცაა და მთელი ამბებიც, ორომტრიალია, მოკლედ, მწერალი ლაპარაკობს ხალხი კი გადი-გამოდის და ეს, რალაცით, იარმარკებსაც გაგვახსენებს, თეატრის ნაკუნსაც და ათას სხვა ძველ ევროპულ ამბავსაც. თუმცა, იქ, ევროპა კი არა, მთელი მსოფლიოა გამოფენილი.

მრავალ ასეთ თავშეყრათა და დაგეგმილ ამბავთა შორის ერთ-ერთი ცნობილია წლის პატივდებული სტუმარი ქვეყნის წოდება, თითქმის არასდროს ყოფილა რომ სტუმარი გამეორებულიყო.

გარეგნული იერიითაც, სტუმარი ქვეყანა გამორჩეულია ხოლმე და ღონისძიება-

თაც ყველაზე მეტს მართავს, არამხოლოდ ბაზრობაზე, არამედ ქალაქშიაც. ეს საპატიო ამბავია, კაი დიდი ფულიც ჯდება და მხოლოდ იმ ქვეყნის საზოგადო იერზე კი არ მოქმედებს კარგად, არამედ იმის მწერლებსა და გამომცემლებს ძალიან ნაადგება ხოლმე.

არავინ ამბობს, რომ ესა თუ ის ქვეყანა საპატიო სტუმრად რომ არ ყოფილიყო, მის ნიგნებს და სამწერლო და საგამომცემლო კულტურას ვერავინ გაიცნობდაო, მაგრამ ბევრი ქვეყნისთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

ადრეც რომ ვყოფილვარ ფრანკფურტის ბაზარზე, იქ წლის სტუმრად თურქეთი იყო. ახლა უნდა ნახოთ თქვენ თურქეთის სტენდები და იმათი ფართობი. ერთ-ერთი საუკეთესოა და თურქ ავტორებსაც იმას აქეთ კაი ხნის გარღვეული აქვთ საერთაშორისო საგამომცემლო კედელი. ეს, რა თქმა უნდა, მხოლოდ პატივცემული სტუმრობით არ ხდება, არამედ ქვეყნის შიგნით მწერლობის მოხმარების აუცილებელი პროგრამებითაც, რაც უამრავ ქვეყანაში მოქმედებს.

წლეულს ასეთი სტუმარი იყო ისლანდია.

ისლანდია განთქმულია ძველი მწერლობით და არის პატარა ქვეყანა დედამიწის კიდზე. ევროპის მკითხველებში კი ისლანდია ცნობილია თავისი დეტექტიური ლიტერატურით, რომელიც ბოლო ხანს ძალიან ნამოქაჩაა, რახანდა მოხერხებულად აედევნა სკანდინავიურ დეტექტიურ

ფრანკფურტის ბაზრობას კი კარგი ისიც აქვს, რომ ამდენი წიგნის შემხედვარე, სულ ხასიათზე ვერ იქნები.

ფურცვლას არ უნდა, სიარულიც ყოფნის. მიღისარ და ბოლო არა აქვს, გადაღისარ ხილვაზე, შეღისარ ისევ წიგნებში, გამოღისარ, აღისარ, ჩაღისარ. სულ წიგნები და წიგნები.

ლიტერატურას, ახლა მეტად მოდაში მყოფს.

იმავე დროს, ისლანდია არის ქვეყანა, სადაც დანაშაული თითქმის არ ხდება და დეტექტიური ლიტერატურა კი უფრო მოგონილია, ვიდრე ნამდვილი ცხოვრებიდან გამომდინარე. ეს უცნაურობა იმაზეც მიგვანიშნებს, რომ მწერლობა კვლავაც გამონაგონის ამბავია, თუმცა კი დღევანდელ მწერლობაში და მასთან ერთად საგამომცემლო და სავაჭრო საქმეში მეტი და მეტი მოთხოვნა არაგამოგონილ წიგნებზე, ნონ-ფიქშენზე.

ამის შესახებ ფრანკფურტშიაც ბევრს ლაპარაკობდნენ და მიანიშნებდნენ და ეგ ამბავი ისედაც ცნობილია, ევროპის წიგნის დახლებს რომ გადახედავ, ანდა მეტროში გადაშლილ წიგნებს, დაინახავ, რომ ნონ-ფიქშენი ინტერესის საგანია. ოღონდ, ეს ნამდვილია, რომ მოვაჭრენი და გამომცემლები უფრო, სწორედ ნონ-ფიქშენისკენ უბიძგებენ ახალ ავტორებს.

ისლანდიას რომ მივუბრუნდეთ, იმათთვის ფრანკფურტის საპატიო სტუმრობა დიდი ამბავი ჩანდა. იმ პატარა კუნძულზე ლიტერატურულად წერას სკოლაშივე ასწავლიან, ისევე როგორც, ევროპის ბევრ სხვა ქვეყანაში და ბავშვი რომ მეხუთე კლასიდან მოთხრობის წერას სწავლობს, დიდი საქმეა. მხატვრული ლიტერატურის გამოცემის მხრივ ისლანდია პატარა ქვეყანად ითვლება, სულ 1500 მხატვრული წიგნი გამოდის წელიწადში. მაგრამ ეს წიგნები, თარგმნილი და გამზადებული უკვე მეტ და მეტ ადგილს იკავებს ევროპის წიგნის მაღაზიებში.

ამ ისლანდიისას იმიტომ მოგახსენებთ, რომ ოთხ წელიწადში, ალბათ, საქართველო იქნება ფრანკფურტის ისეთივე სტუმარი, როგორც წელს ისლანდია და საქართველოც არის ისლანდიაზე კიდევ უფრო ძველი მწერლობის ქვეყანა, ისევე პატარა და თუმცა კი დანარჩენში ჩვენი ქვეყნები არაფრით ჰგვანან ერთმანეთს,

იმათი გამოცდილება სასარგებლო იქნება.

ესეც არის, რომ ჩვენს ქვეყანაში არ არის განვითარებული ჟანრული ლიტერატურა, რომელსაც მიაქვს დღევანდელი წიგნის მაღაზიის მხატვრული ლიტერატურისთვის განკუთვნილი თაროების უმეტესი ნაწილი, მაგრამ ვინ იცის, ეგებ, ეგ კარგიც იყოს, რომ დიდად არ აჰყვე საერთო მდინარებას და ის აკეთო, რაც უფრო უკეთ გამოგდის და თავიც იმით დაანახო.

ამ ამბების ლაპარაკი და თხრობა სულაც არ მეხალისება, იმიტომ, რომ მაინც გამოყოლილი მაქვს ის განცდა, რომ წიგნი კარაქისგან განსხვავდება და მისით ვაჭრობა ცოტა სხვანაირი უნდა იყოს, ვიდრე კარაქით ვაჭრობა, მაგრამ პირად ლაპარაკში გამოცდილ წიგნით მოვაჭრეთაგან გამიგონია, რომ სხვაობა სულაც არ არის დიდო, ორივე გასაყიდაო. ეგეთი ცნობილი ფრაზაც არსებობს, **Publishing is not about writing, it's about marketing.** იმდენად ბიზნეს გამოთქმაა, რომ ქართულად ვერც გადმოვთარგმნე ხეირიანად.

ფრანკფურტიც ამის ადგილია.

თუმცა კი, მაინც ყველანაირ გამომცემელს და აგენტს შეხვდები. იმიტომაც არის ასეთი უკიდევანო, რომ ყველა დაიტოვოს.

იქაურ წიგნის ბაზრობაზე ცალკე დგას ინგლისურ-ამერიკული შენობა. იქავე არიან სხვა ინგლისურად მოლაპარაკე ქვეყნებიც.

ცხადია, შენობა ერთადერთია, რომლის შესასვლელშიც ჩანთებს გიმონებენ.

ჰოდა, მთავარი ამბებიც იქ ხდება ხოლმე. ამ ქვეყნებს არა მხოლოდ ყველაზე ძლიერი გამომცემლობები და სააგენტოები აქვთ და არა მხოლოდ ყველაზე ფართო მკითხველი, თუნდაც მხოლოდ მათი ენიდან გამომდინარე, არამედ მათი ავტორებიც ყველაზე ცნობილი არიან მსოფლიოში. ბევრი კითხულობს, ნიშნავს, ბევრი ყიდულობს. ამიტომაც, იქ მთელი ვეშაპობა-ზვიგენობაა თავშეყრილი და მი-


დის საქმეთა ჩარხვა. ისინი ძალიან ბევრგან ყიდვიან უფლებებს და თავადაც ბევრს ყიდულობენ ერთმანეთისას. სხვას, ცოტა არ იყოს, ნაკლებად და ნაკლები და დიდი შერჩევით.

ამ ანგლო-ამერიკულ შენობაში რომ შემოხვალ, გინდა თუ არა, მაინც გაიფიქრებ, გასურს, თუ არა, რომ იყო ამ მოძრაობის ნაწილი. რალაცნაირად გასურს, იმიტომ, რომ წიგნის არსი ეგაა, რომ ნაიკითხონ და მწერლის სურვილიც ესაა, რომ თავისი წიგნით იშოვოს სარჩო-საბადებელი, მაგრამ რალაცნაირად არ გინდა, იმიტომ, რომ ფიქრობ: იმასთან რის გამოც ვწერ, ამას რა კავშირი აქვსო.

მერე ეგეც არი, ვინ გეძახის რო? იმათ თავზე საყრელი აქვთ თავისი და შემონმეებული და ჩანკნიკებული. თანაც ისეთი, რასაც მილიონები კითხულობენ, მეტროში, თვითმფრინავში, სახლში, რა ვიცი, კიდევ სად, კაფეშიც კი. შენ კიდევ ვერ კითხულობ.

თანდათან ხვდები, რომ ხარ სადღაც, სადაც თითქოს არ უნდა იყო და არც ხარ შეიძლება ითქვას, რადგან ფრანკფურტის ბაზრობაზე უსაქმოდ ყოფნა თავისთავად ტურიზმია და მეტს არაფერს ნიშნავს, საქმე კი იქ არაფერი გაქვს, იმიტომ, რომ არავის დაუძახია, მოდი, ერთი შენი წიგნი მოვსინჯოო. შეგძენება საინტერესოა, იმიტომ, რომ რალაცის ახლოს ხარ და აკვირდები, ამბებს იგებ, ტენდენციებს, მიმართულებებს, მოგიყვებიან ლეგენდებს ამ სამყაროს სიხისტის შესახებ, მრავალმილიონიანი ხელშეკრულებების ამბებს, გრიშემებს, როულინგებს, კინგებს, კლენსიებს, პრეჩეტებს, ყველაფერს აგიხსნიან, ჩემპიონთა ლიგის ისტორიებს. სასარგებლო წიგნიც შეიძლება იყიდო: „როგორ დაწეროთ ბესტსელერი?“

და როგორ დაწეროთ? მხოლოდ ჟანრულზე არ მოგახსენებთ, ისეც, ჩვეულებრივსაც, ჯენერალ ფიქშენს რომ ეძახიან. გააჩნია, როგორ უდგები საქმეს. თუ წერა



ანა ალექს ტაბატაძე
ჩანახატი პირადი ბლოკნოტიდან (ტუში, ფანქარი)

უფრო ხატვას და სპექტაკლის დადგმას ჰგავს შენთვის, მაშინ ეგ წიგნი არ გამოგადგება, თუ – სახლის შენებას, ეგებ გამოგადგეს კიდევც.

მოკლედ, სურათები ასეთია. არ ვიცი, დონ კიხოტი რას იფიქრებდა ამის შესახებ, ალატრისტეს ამბები კი მოენონებოდა, ალბათ, იმ წიგნებში, ესპანურ პავილიონებში რომ ნახავდა, მაგრამ აი, კომიქსები რომ ეთვალეიერებინა, რას გაუგებდა, არ ვიცი.

ვაჭრობასა და ალებ-მიცემობაზე ლაპარაკი შეაწუხებდა. ნამდვილად შემანახებელია და იმიტომ.

საერთოდ, ეს ფრანკფურტი არ არის სადონეიხოტე ადგილი.

ამ ადგილს, მგონი, რაბლე მოუხდებოდა. უ, რაებს ჩახვევდა, ძნელი წარმოსადგენი არ არის, რაებს ააწყობდა და ააბობოქრებდა, ნამდვილ ფოიერვერკს გამართავდა

თავისი რვეულის ფურცლებზე. სწორედ ის უნდა ყოფილიყო აქ და მისი თვალთ უნდა შეგეხებდა აქაურობისთვის.

ფრანკფურტის ბაზრობას კი კარგი ისიც აქვს, რომ ამდენი წიგნის შემხედვარე, ცუდ ხასიათზე ვერ იქნები. ფურცვლაც არ უნდა, სიარულიც ყოფნის. მიდიხარ და ბოლო არა აქვს, გადადიხარ ხიდებზე, შედიხარ ისევ წიგნებში, გამოდიხარ, ადიხარ, ჩადიხარ. სულ წიგნები და წიგნები. თუ დაიღალე და, გახვალ შიდა ეზოში, სადაც გემრიელი ფრანკფურტერები იყიდება, რომელსაც ჩვენ ივერია-სასისკის სახელით ვიცნობთ. იქაც ლუდი, იქაც ჰა, ყავა, პაპიროსი, ამბავი, ლიტერატურაზე ლაპარაკი, ლიტერატურის შორიახლო ამბებზე ლაპარაკი. და თანდათან კიდევ გაგახსენდება, რომ მწერალი ხარ და მთელი წელიწადი ათასი რამით იყავი დაკავებული, წიგნი კი არ დაგინერია.

არც დაგინცია. ვერც დაინყებდი, რახან შენი ხელობა წერაა, ათას სხვა რამეს წერ, რომ როგორმე წიგნის საწერი დრო იყიდო, იმიტომ რომ წიგნით ძნელად რომ იშოვო საცხოვრებელი ფარა, სულ არ გინდა იმეების წერა, მაგრამ აბა, მიეჩვიე და თანდათან კიდევ გითრევეს. ჰოდა, ფრანკფურტი გადასარევია მაგისტრის, უცებ გახსენდება, რომ შენი ხელობა თავიდან მთლად ხელობა არ იყო, არამედ გულისთქმა, ან რამე ასეთი და გინდა, რომ სასწრაფოდ მიუბრუნდე იმას.

ამიტომ, დიდი მნიშვნელობა არა აქვს, შიგ ბაზრობაზე ხარ, თუ მის შემოგარენში, თუ მოსაძებნია, მოგძებნიან და თუ არა და, შენ ხომ უკვე გაგახსენდა, რომ წიგნების წერა გიყვარს და გენატრება.

ამიტომ მომწონს ფრანკფურტი. რაბლე კი მაინც საჭიროა.

საქართველო და რაბბი

ავტორი ლადო კილასონია

– ჯიგრები ხართ რა, ძმაო, კაცები!

– ერთი თქვენა ხართ და კალათბურთელები!

– და როგორ არ გაქცევენ ყურადღებას, ტო?

– და ისა, აი, იქ არ გტკივთ, ერთმანეთს თავზე რო ახტებით?

ეს ფრაზები თუ კითხვები ამ ბოლო დროს სულ მესმის, ცოტა მეამაყება, ცოტა მეცინება, ცოტაც მწყინს და ეს ყველაფერი იმ სპორტის გამოა, რომელიც სიგიჟემდე მიყვარს და რომლის გარეშეც ნაღდად ვერ წარმომიდგენია საკუთარი თავი.

პირველ სამ ფრაზას კაცები გვეუბნებიან სუფრაზე, ქუჩაში, სტადიონზე, მეოთხეს კი – ქალები, სავარძელში მოკალათებულები, ფეხი ფეხზე გადადებულები და სწორედ ამ დროს ვბდებით ხოლმე ყველაზე სასაცილოები: თავანულები, ამაცი სახით, ოდნავ დაბოხებული ხმით რომ ვპასუხობთ:

– არა, არ გვტკივა! – და მართალია, თავს ვინწონებთ, მაგრამ სიმართლესაც ვამბობთ.

იმიტომ, რომ რეგბიში (რატომ ვამბობ ზოგან რაგბის და ზოგან რეგბის, ამას ქვემოთ ვიტყვი) და საერთოდ სპორტში ეგ „არ ტკივთ“, უფრო სწორედ „ეგრე არ ტკივთ“, იქ თავზე დახტომის ტკივილს, წაგებული თამაშის ტკივილი ჯაბნის, როცა ხვდები, რომ შეგეძლო, მაგრამ რაღაცა ბოლომდე არ გააკეთე, ბოლომდე არ დაიხარჯე და მოგება, როგორც მდინარეში ხელდაველებული თევზი ისე გაგისვრილდა თითებიდან.



ბასული სასუნის 60-იანი წლების ფოტო. ბიტი „ლორლი“ ფაქიმილი. „ლორლი“ მისი ბაზაში.

რაბბი დღეს ყველას მოსწონს, უფრო სწორად, ყველას სხვადასხვანაირად – ვიღაცას ანბარიში, რომელშიც წინ ვართ, ვიღაცას გაღალი დაკუნთული და ხატის წინ მუხლოდრაქილი ბიჭები, ვიღაცას საქართველოს ჰიმნზე ატირაბული სახე, მაგრამ ძალიან სოტამ თუ იხის საქართველოში, რა არის რაბბი.

ბოლო თამაშზე ჩემი ბავშვობის ძმაცაც, ბაირამას, რომელთან ერთადაც ნაღდად აღარ მახსოვს რამდენჯერ მითამაშია, ფეხი მოტყდა, ინვა ეგრე მინდორზე, კოჭი წვივზე ედო, ადგილმეცვლილი ძველები კანქვეშ აჯაფსანდალივით არეოდა, მაგრამ როდესაც აწივს და სასწრაფო მანქანისკენ გააქანეს, დაგვიძახა: პროჭები იქნებით ამ თამაშს თუ არ მოიგებთო!

რეგბიში ყველაფერი უკულმა – დაკანრული სახის და ჩალურჯებული თვალის სირცხვილს, გაქცეული მონინალმდეც ცვლის, თავზე რომ გადავიარა, ან პატარა ბავშვივით მოგატყუა და

პირლია დაგტოვა ამოდენა მწვანე მინდორზე, გადახეხილ ხელზე და მუხლებზე წასმული იოდის სიმწარეს კი, მოგების სიხარული, როდესაც ოთხმოცი წუთი შენს გვერდზე ფეხმოუცვლელად მდგომი თანაგუნდელის ოფლიანი სხეული და ბალახისა და სისხლის სუნით გაჟღენთილი მაისური ყველაზე მაგარ სუნამოდ იქცევა.

მაგრამ ის კითხვები, რომლებიც თავში ვახსენე, ამ ყველაფერმა კი არ გააჩინა, არამედ ინტერესმა, უბრალო, ადამიანურმა ინტერესმა და ეს ძალიან საამაყო ჩვენთვის, რეგბისტებისთვის. თორემ მამა მიყვებოდა როგორ გადაუვარდათ ერთხელ რაგბის თამაშისას ბურთი ტრასაზე, როგორ აიღო დამუხრუჭებული მანქანიდან გადმოსულმა მსუქანმა მძღოლმა ეს ბურთი ხელში, გაკვირვებულმა დახედა და თხოვნაზე – გადმოგვიგდეო, თანაგრძნობით სავსე ხმით უპასუხა: კი გადმოგიგ-

დებთ შვილებო, მაგრამ ამ ბურთს მგონი მანქანამ გადაუარა და გაფუჭდაო.

ჰო, რეგბი დღესდღეობით ძალიან პოპულარულია, ის ყველას მოსწონს, უფრო სწორად, ყველას სხვადასხვანაირად – ვილაცას ანგარიში, რომელშიც წინ ვართ, ვილაცას მაღალი დაკუნთული და ხატის წინ მუხლმოდრეკილი ბიჭები, ვილაცას საქართველოს ჰიმნზე ატირებული სახე, მაგრამ ძალიან ცოტამ თუ იცის ამ

ბით და თუ თამაშს კარგად არ იცნობ, ძნელია დატკბე მისი სილამაზით.

და თუ ხალხმა არ იცის რა არის რეგბი, არ დადის სტადიონზე, ვერ ტკბება მისი სილამაზით, მაშინ რატომ არის ეს სპორტი ასეთი პოპულარული? რატომ იქცა სიტყვა „რეგბისტი“ კარგი ადამიანის სინონიმად (რეგბისტი თუ ხარ მაშინ აუცილებლად მაგარი კაცი იქნები. არადა, ჩვენ ჩვეულებრივი ადამიანები ვართ,

საპირისპირო ტენდენციები) და მართლა ყოველთვის ბოლომდე იხარჯებიან, უბრალოდ, ხანდახან ეს ბოლომდე დახარჯვაც არ კმარა. კიდევ იმისი, რომ ხშირად ვიგებთ, ეს კი გუნდურ სპორტში ჩვენთან ცოტა იშვიათობა გახდა, იმისი, რომ ხელისუფლებას (რომელიც მართლა ბევრი რამით დაგვეხმარა) აწყობს პოპულარული სახეების ფონზე გამოჩენა (კარგის გვერდით ხომ შენც კარგი ჩანხარ), იმისი,



„ლოკომოტივი“ და МВТУ (Московское Высшее Техническое Училище) შავ ბანსურში - ქართული რაბანის პარაკლავი, ნოდარ ყიფიანი („ლოკომოტივის“ მწვრთნელი და შარკინაის მათემატიკი) 1969 წელი

თბილისის „ლოკომოტივი“ - თბილისის „დინამო“ დავით დავითაია, გივი ფაჩიშვილი, ვალიენტო რაფაეა 1968 წელი



საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის (ბაკა-კა-ი) გუნდი
მარცხნიდან პირველი - რაზო მესხი, მეორე - გიგა ჩაჩუაშვილი (შემდგომში - მილისიის ბანკალი), მესამე-არ ვიხსოვ, მეოთხე - ნოდარ ყიფიანი (ბუნდის კაპიტანი), მესამე - ორასტ ლიმიტრადი (დირიჟორის შვილი), მათემატიკი - მათემატიკი, მეხუთე - დიკო ოსუაშვილი, მეექვსე - ჯაზარ მბელაძე და მესამე - შაკ ასაქიანი. მესამე რიგში მესამე - ჯემალ ბაკაძე, მეოთხე - ტარიელ ნაზარაძე, ხოლო - გიორგი ტონია (იმ დროის ერთ-ერთი სწავლელი მოკაბა. მოგვიანებით - „ლოკომოტივის“ მწვრთნელი)

ქვეყანაში, რა არის რაგბი. იციან, რომ მოსწონთ, მაგრამ რატომ? ამას, მგონი არავინ უფიქრდება.

თორემ დაფიქრებისას კითხვები თავისით ჩნდება. თუ რეგბი ასეთი პოპულარულია, მაშინ რატომ არ დადის ხალხი სტადიონზე, რატომ არ ივსება ტრიბუნები, რატომ არ ყიდულობს მაყურებელი ლარიან, ორლარიან ბილეთს? იმიტომ, რომ ეს რთული თამაშია, რთული წესე-

სავსე ადამიანური სისუსტეებით და ღირსეუბნით: ვჩხუბობთ, ვიციინით, ვსვამთ, გვწყინს, გვშია, გვიხარია, გვშურს)?

პირველ რიგში, ეს ჩვენი ეროვნული ნაკრების დამსახურებაა, ბიჭების, რომლებიც იმ ფრანგული და არაფრანგული კლუბების ინტერესებს (ვისგანაც იღებენ ხელფასს და ამ ხელფასზე არიან დამოკიდებულინი), ფეხზე იკიდებენ ეროვნული ნაკრების გამო (თუმცა უკვე შესამჩნევია

რომ ხალხს უყვარს გამარჯვების გაგება, აზრი არა აქვს ნახა თუ არა, მიიღო მონაწილეობა თუ არა, გამარჯვება უხარია და მორჩა. და რაც მთავარია, იმისი, რომ ყოველთვის ვუგებთ რუსეთს!

ეს კი ჩვენთან (და არა მარტო ჩვენთან) წმინდაა!

ბექა ქურხულს უნერია თავის ჩანაწერებში: „არ მომწონს ჩემი დამარცხებული ქვეყანა და გამარჯვებული კიდევ უფრო

არ მომენონებაო!“ – და მართალია.

თუმცა მე ყველაზე კარგი საქართველო სწორედ გამარჯვებული ვნახე: ტრაბზონში, რუსეთთან თამაშზე, როდესაც პატარა ხუთითასიანი სტადიონის ტრიბუნები ქართველებით გაიტენა, ფერად-ფერადი სექტორები ქართულმა ხუთჯვრიანმა დროშებმა დაფარა და თურქული ქალაქის ვინრო ქუჩებს გრიგალივით გადაუარა ჩვენებურმა შეძახილებმა.

ის თამაში, უფრო სწორად, ის ატმოსფერო არ მავინყდება და ალბათ, არც არასოდეს დამავინყდება, იმიტომ, რომ მე ეგეთი საქართველო, როგორც იქ, იმ უცხო ქვეყანაში ვნახე, არასოდეს მინახავს, ყველანი ერთნი ვიყავით – ფულიანები, უფულოები, პოლიციელები, ნარკომანები, პოლიტიკოსები, ბანკის თანამშრომლები.

არც ის მავინყდება, როგორ ნერვიულად ირტყამდა ბიძაჩემი თენგი მუხლებზე ხელებს თამაშის წინ, როგორ ისრესდა თვალებს და როგორ ბუტბუტებდა თავისთვის – „ბიჭო! აბა, ეხლა იწყება! აბა, ეხლა იწყებაო!“ არც ჩვენი პოლიტიკოსების შარვალკოსტიუმში გამოწყობილი დელეგაცია, შავი გველივით რომ იკლაკნებოდა ჩვენს მოპირდაპირე ტრიბუნაზე. მაშინ იმის შემდეგარე როგორი გაბადრული, ბედნიერი სახეებით, ფეხზე წამოხტომით და ხელების ჰაერში აქნევით ჩაერთვნენ სტადიონზე გაჩენილ ტალღებში, მომეჩვენა, რომ სულაც არ იყვნენ წამხდრები. და, რა თქმა უნდა, ზირაქას ის ორმოცდაათმეტრიანი ლელო, რომელმაც ყველას აგვიდულა სისხლი და მიგვახვედრა, რომ კიდევ მოვუგებდით რუსებს და მოვუგეთ კიდევ, თანაც როგორ!

არ გეგონოთ ასე მხოლოდ ჩვენთან იყოს, იგივე ხდება უელსში, შოტლანდიაში, ირლანდიაში, როცა უგებენ ინგლისს. ინგლისში, როცა უგებენ საფრანგეთს, საფრანგეთში, როცა უგებენ ინგლისს.

მასხოვს ერთხელ უელსელ 12 ნომერს, სკოტ გიგზს ვუსმინე, იმ წელს უელსმა (სადაც რაგბი პირველი სპორტია) ყველა თამაში წააგო ხუთ ერზე და მხოლოდ ბოლო მატჩში, სახლში დაამარცხა ინგლისი.

თამაშის შემდგომი რეპორტაჟი იყო, სტადიონზევე ელაპარაკებოდა ქერათმიანი, თხელი გოგო:

„დღეს ჩვენ ჩვენი ხალხისთვის მსოფლიო ჩემპიონები ვართ!“ თქვა მაშინ გიგზმა და იყვნენ კიდევ, სპორტი ხომ არ არსებობს პოლიტიკის გარეშე და ამას რეგბის წარმოშობაც მოწმობს.

წარმოშობა

სკოლაში ფეხბურთის თამაშისას თექვსმეტი წლის ბიჭმა გოლი რომ ვერა და ვარ გაიტანა ბურთი ხელში აიღო, რამდენიმე მოწინააღმდეგე მოატყუა და კარის უკან დაამიწა.

ასე გაიტანა უილიამ ვებ ელისმა თავისი პირველი ლელო და გაჩნდა რაგბი.

ამბობს ლეგენდა, სინამდვილეში კი, ყველაფერი სულ სხვანაირად იყო. რაგბი არც ფეხბურთიდან წარმოშობილა და არც ქალაქ რაგბიდან (უორკშირის საგრაფო).

სულ თავიდან, ეს ერთი ხალხური თამაში იყო, რომელიც სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვანაირად ითამაშებოდა და სხვადასხვა სახელი ერქვა, მაგალითად, ძველ საბერძნეთში – „ეპისკიროსი“, საფრანგეთში – „ლია სიული“, იტალიაში – „კალჩო“, ინგლისში – „ბიგსაიდი“, საქართველოში კიდევ – „ლელო“. ეს თამაშები უხსოვარ დროიდან მოდიოდა და მათი ოფიციალური წესები არასოდეს არსებულა, მთავარი იყო ბურთი დათქმულ ნიშნულს იქით გადაგეტანა. არ არსებობდა არც მოთამაშეთა დადგენილი რაოდენობა, უბრალოდ, შეიკრიბებოდა ხოლმე ორი მხარე, გაიყოფოდა სოფელი – სოფელზე, ცოლიანები – უცოლოებზე, წვერიანები – უწვეროებზე, დათქვამდა წესებს, მონიშნავდა მოედანს, რომელიც შეიძლებოდა ერთი სოფლიდან, მეორე სოფლამდე

**შეიკრიბებოდა
ხოლმე ორი
მხარე, გაიყოფოდა
სოფელი –
სოფელზე,
ცოლიანები –
უცოლოებზე,
წვერიანები –
უწვეროებზე,
დათქვამდა წესებს,
ააგდებდა ბურთს და
ატყდებოდა ერთი
ამბავი, კიძგილაობა,
ჭყლეტა, ჩხუბი.**

„გადაჭიმულიყო“, ააგდებდა ბურთს და ატყდებოდა ერთი ამბავი, კიძგილაობა, ჭყლეტა, ჩხუბი.

მაგრამ სწორედ ინგლისში დატრიალდა მთელი ის ამბავი, რასაც მოჰყვა რაგბისა და ფეხბურთის წარმოშობა. მე-19 საუკუნეში „ბიგსაიდი“, ანუ იმ ძველ თამაშს, ყველა თამაშობდა, არისტოკრატები, ბანკირები, მაგრამ ყველაზე მეტად მუშები და ლარიბი ხალხი, რომლებიც მეტწილად ქალაქებში, იმ ქარხნების მახლობლად გაშენებულ ლარიბულ უბნებში ცხოვრობდნენ, რომლებშიც მუშაობდნენ, თამაშით კი უქმე დღეებში, პირდაპირ ქუჩაში თამაშობდნენ, რადგან ქალაქგარეთ გასვლის და მინდორზე კიძგილაობის ფული ნაღდად არ ჰქონდათ.

ჰოდა, ქუჩებში, ქვაფენილზე ჭიდაობდნენ, ურტყამდნენ, ჭყლეტდნენ ერთმანეთს და ხანდახან ტვინსაც ასხამდნენ. მერე ვილაცამ მოიფიქრა, ხალხო, რას ვხოცავთ ერთმანეთს, მოდი, ეს ბურთი ძირს დავაგდოთ და ფეხით ვაგორაოთო. ამ იდეას მომხრეებიც და მოწინააღმდეგეებიც მრავლად გამოსჩენია. ხალხი ორად გაყოფილა, ზოგს ახალი გზა აურჩევია, ზოგს კიდევ ძველი. ხელით თამაშის მომხრეებს წესები ხელმეორედ გამოუციათ 1862 წელს და რალაც-რალაცები თავისი დაუკანონებიათ, მაგალითად, მოთამაშეთა რაოდენობა – გუნდში 20 კაცი, საიდანაც 13 თავდამსხმელი, ანუ „სხვატკისტი“ იყო, ასევე დაადგინეს თამაშის დრო და მოედნის ზომა, მაგრამ მაშინ მსაჯები არ არსებობდნენ და ყველაფერს თურმე გუნდის კაპიტნები წყვეტდნენ.

საერთოდ, ეს სულ სხვა თამაში იყო, ერთი დიდი ზედახორა, რომელსაც თითქმის არაფერი აქვს საერთო დღევანდელ რაგბისთან.

მოკლედ, როგორც გითხარით, ზოგმა ხელი აირჩია, ზოგმა ფეხი, მაგრამ ასე დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა და 1863 წელს, ლონდონის ერთ-ერთ ლუდხანაში (რომელიც, როგორც ამბობენ, მასონთა ლუდხანა უნდა ყოფილიყო) შეიკრიბნენ ამ ერთი სახეობის, ორი სხვადასხვანაირად თამაშის მსურველი მხარეები, სადაც ფეხოსნებმა იმძლავრეს, ხოლო „ხელოსნებმა“, ანუ ხელით თამაშის მომხრეებმა პროტესტის ნიშნად, იქაურობა დატოვეს და ჩამოაყალიბეს რაგბის ორი კლუბი, რიჩმონდი და ბლექჰიზი. ასე გაჩნდა რაგბიცა (რომელსაც ეს სახელი იმ ქალაქის პატივსაცემად ეწოდა, რომელშიც ხელით

თამაშის მსურველების ძლიერი და მდი-
დარი კლუბი და სკოლა იყო) და ფეხ-
ბურთიც, და თუმცაღა, მეორეს ბევრად
უფრო მეტი მომხრე გამოუჩნდა, ვიდრე
პირველს, ის მაინც მოედო მსოფლიოს.

რაგბი და ფეხბურთი გაიყო, მაგრამ
ახლა თვითონ ხელით თამაშის მსურვე-
ლებს შორის იჩინა თავი განხეთქილე-
ბამ. როგორც უკვე ვთქვით, რაგბის ყვე-
ლა თამაშობდა, არისტოკრატებითა და
ბანკირებით დაწყებული, მუშებითა და
მჭედლებით დამთავრებული. პირველებს
ჰქონდათ ფული და ამბიციები, ხოლო მე-
ორეებს კუნთები და ცხენის გამძლეობა,
ამიტომაც სულ ჩაგრავენენ ფულიანებს
და არისტოკრატებსაც ბლომად შეჟავდ-
ნენ ხოლმე სტადიონზე.

მაგრამ თამაში შაბათობით იმართე-
ბოდა, შაბათი კი მაშინ, მე-9 საუკუნის
ინგლისში, მხოლოდ სანახევროდ ყოფი-
ლა უქმე, ანუ მუშები იმის გამო, რომ
თამაშზე მისულიყვნენ, იძულებულნი
ხდებოდნენ ქარხნები თუ სამჭედლოები
ნადრევად დაეტოვებინათ, რის გამოც
უფროსები ჯამაგირს აკლებდნენ. ჰოდა,
მათაც ბანკირებს კვირაში ერთხელ იმ
ნახევარი გირვანქის გადახდა სთხოვეს,
რომელსაც რაგბის გამო კარგავდნენ,
მუდმივი წაგებით გამწარებულ ბობოლე-
ბს რალა უნდოდათ მეტი?! ხელად ხელ-
ზე დაიხვიეს ეს მოთხოვნა და მუშებს ამ
ძირძველი თამაშის პრინციპებისა და მისი
ტრადიციების ლალატში დასდეს ბრალი,
1895 წელს მონვეულ კრებაზე, ჩანყობილ
არჩევნებშიც მოუგეს, ფულის გადახდა-
ზეც უარი განუცხადეს და სწორედ მაშინ
იმის დასამტკიცებლად, რომ ეს თამაში
არისტოკრატთა მიერ იყო მოგონილი, რო-
მელშიაც არასოდეს არავის აუღია ფული,
შეთხზეს ლეგენდა იმ გამხდარ, პატარა
ბიჭზე, რომელმაც ველარ მოითმინა, წე-
სები დაარღვია, ბურთი ხელში აიღო და
პირველი ლელო გაიტანა.

სინამდვილეში კი პირველი ლელო ჯიმ
მაკლიმ გაიტანა, მე-19 საუკუნის 30-იან
წლებში.

გზა საქართველომდე

საიდან მოხვდა ეს თამაში ჩვენში? ალ-
ბათ, ზღვიდან და, ალბათ, ბევრად უფრო
ადრე, ვიდრე ჩვენ გვეგონია და ფაქტები
გვეუბნებიან – ხომ შეიძლებოდა ინგლი-
სელ მეზღვაურებს, რომლებმაც ფოთში
ფეხბურთი ჩამოიტანეს, მასთან ერთად,
სრულიად შემთხვევით, სადმე გემის რო-



ანა ალქაშ ტავბლადე
პროექტიდან „ომი“ (კოლაჟი)

მელიმე ბნელ კუნჭულში მიმალული რაგ-
ბიც გადმოჰყოლოდათ ნაპირზე (ამ ვერ-
სიას ადასტურებს ბორის პაიჭაძე თავის
წიგნში „მოგონებები და გოლები“ 1926-28
წლებში ფოთის ნავსადგურის სამხრეთით
ინგლისელი მეზღვაურები რეგბისაც თა-
მაშობდნენ და მათთან ერთად მეც მი-
თამაშებდნენ, რომელმაც მაშინ ფეხი ვერ
მოიკიდა და ვერც მოიკიდედა, რადგან
იმ სალ კლდეს შეასკდებოდა, ლელობურ-
თი რომ ერქვა ჩვენში და ისევ უკან გემის
რომელიმე ნაწილში შეიყუჩებოდა თავის-
თვის და თავის დროს დაელოდებოდა.

ბუნებრივია ისიც, რომ ხალხი მათთვის
სრულიად უცხო, ახალ ხილს უფრო წა-
ეტანებოდა, ვიდრე ამ ოდნავ ნაცნობ,
მაგრამ საოცრად გართულებულ თამაშს
და უეჭველია, რომ ეს ასეც იქნებოდა.
მაგრამ, მოდი, ახლა ის ვთქვათ, რაც ნა-
მდვილად იყო.
ნამდვილად კი იყო 1929 წელს რაგბის
გუნდის ჩამოყალიბების მცდელობა, 1936-
37 წლებში აქაური მძლეოსნების მწვრთ-
ნელის, ელიაზაროვის წერილი რაგბის
დადებით მხარეებზე და ნამდვილად იყო
ფრანგი მუშა, ჟან ნო, საბჭოთა კავშირ-

ში რომ ჩამოვიდა მუშური ოლიმპიადის დროს (მაშინ ტარდებოდა ეგეთი რალაცები), რუსი ცოლი შეირთო, საცხოვრებლადაც დარჩა და რაგბის კურსების ჩატარებაც ითავა.

კიდევ იყო გივი დვალი, რომელიც მიაღვლინეს მოსკოვში ამ კურსებზე, ხოლო წლების მერე უცნაური სურათები ააფრიალა, თითქოს ქართული გუნდებისა (ეს ვერსია დღემდე დაუმუშავებელია და ბევრ ეჭვს იწვევს), მაგრამ ბოლოს მაინც სტალინმა გვიშველა, რომელმაც უეცრად მოიწადინა დიდი სომხეთის აღორძინება და ქვეყნის მთელი ყველა კუთხიდან იხმო მისი გამოჩენილი და მიმობნეული შვილები და სწორედ ასე აღმოჩნდა მარსელელი ჟაკ ასპეკიანი ერევანში. მერე სოსოს უეცრად გუნება ეცვალა, ახალ სტუმრებში საფრთხე დაინახა, ზოგი სად გადაასახლა და ზოგი სად, ჟაკი კიდევ თბილისში დაუკავშირდა ნათესავებს და აქ ჩამოვიდა.

წელიწადში რამდენიმე გრძელ წერილს წერდა საფრანგეთის მთავრობას და იხვეწებოდა, უკან, მარსელში დამაბრუნეთო, მაგრამ მანამდე ძველმა ველოსიპედისტმა თერძობას მიჰყო ხელი, საიდანაც რაგბის ბურთი ამოაძვრინა და რახან ხრუშჩოვი უკვე ამაცობდა თავისი ლიბერალური რეფორმებით, კიბერნეტიკა და რაგბი რომ დაუშვა, რომელიც აქამდე სტალინის მიერ იყო აკრძალული, 1959 წლის 15 ოქტომბერს პირველი ვარჯიში ჩაატარა, პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტებთან (დღევანდელი „ყოჩები“). ჟაკმა მეორე გუნდიც დააარსა ისინი ფესხაცმლის ქარხნის კბილებჩამოცვენილი, „ტატუიროვკებით“ მთლად დაფარული მუშებისგან და რადგან რაგბის ბურთი ერთი ჰქონდა, კვირაში სამჯერ ერთს ავარჯიშებდა, სამჯერ – მეორეს. ცოტა ხანში მესამესაც მოუყარა თავი სასოფლო უნივერსიტეტში და ასე დაიწყო რაგბი საქართველოში. იმ ისტორიულ ფოტოზე, რომელზეც აღბეჭდილი არიან პირველი ქართველი რაგბისტები, ფოტოს ავტორმა, ნოდარ ყიფიანმა, თოთხმეტის ამოცნობა შეძლო, თუმცა ოთხი დღემდე უცნობია.

როგორ კითხვობდა ეს საბჭოთა კავშირში

ქართული რაგბი არ არსებობს რუსული, ანუ საბჭოთა რაგბის გარეშე. არცერთი ნამდვილი რეგბისტი ვისაც ოდეს-

მე საქართველოში სპორტის ეს სახეობა უთამაშია, თავს „რაგბისტს“ არასოდეს უწოდებს, უბრალოდ იტყვის რეგბისტი (რეგბი რუსულადაა) ვარო და მორჩა, მაშინ როცა, ყველაზე გაუთვითცნობიერებელი გულშემატკივარიც კი, სწორ ფორმა – რაგბისტს ხმარობს, არცერთი რეგბისტი არ იტყვის შებოჭვას, იმიტომ რომ ეგ ჩვენებურად, რეგბისტულად ზახვატია, შერკინება – სხვატკა, არასწორი შემოგდება აუტში პერებროსი, სხვატკაში კი ზაბროსი.

„ჩვენ სხვანაირები ვიყავით, თქვენ კი სულ სხვანაირები ხართ!“ ყველა უფროსი თაობის საყვარელი ფრაზაა, რომელიც ასე გვიშლის ახალგაზრდებს ნერვებს, მაგრამ ქართულ რაგბიში თუ საქმე ენთუზიაზმზე, თავდადებაზე, ამ სპორტის სიყვარულზე მიდგა, არავინ დაიტრიალებს ძველებს, ანუ საბჭოთა კავშირის დროინდელ ჩვენ რეგბისტებს ვჯობებართო.

საბჭოთა პერიოდი და საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი მართლა სულ სხვანაირი იყო, ძალიან უცნაური და საინტერესო. ჩემპიონატი, რომლის მსგავსი არა მგონია რომელიმე სარაგბო ქვეყანაში არსებულ იყო და ალბათ, არც იარსებებს.

ვინც საბჭოთა რაგბის პერიოდის ისტორიები არ იცის, ის ძნელად თუ მიხვდება როგორი გაჭირვებით და რის ვაი-ვაგლახით მოიტანეს ახლა უკვე ჩვენმა ვეტერანებმა ეს თამაში დღემდე. როგორი იყო რაგბი მაშინ და რა წვალეზად ჯდებოდა

ვინც საბჭოთა რაგბის პერიოდის ისტორიები არ იცის, ის ძნელად თუ მიხვდება როგორი გაჭირვებით და რის ვაი-ვაგლახით მოიტანეს ახლა უკვე ჩვენმა ვეტერანებმა ეს თამაში დღემდე. როგორი იყო რაგბი მაშინ და რა წვალეზად ჯდებოდა მისი თამაში.

მისი თამაში.

პირველ რიგში სრული ვაკუუმი, არანაირი საზღვარგარეთული თამაშების ჩანაწერები, მასხოვს ძველები ყვებოდნენ პირველად აქ, ჩვენთან ბრიტანელი „პინგვინები“ რომ ჩამოვიდნენ (1977), მაშინ ვნახეთ ნაღდი თამაშიო, ერთხელ კიდევ ვიდევ კასეტა ჩაგვივარდა ხელში და იმ კასეტამ მთელი თბილისი მოიარა, თითომ ათ-ათჯერ მაინც ვუყურეთ, ხელიდან ხელში გადადიოდაო. იმ დროში ბურთი ტყავის იყო, წვიმაში წყლით იჟლინებოდა და ქვასავით მძიმე ხდებოდა, ბუცები უხარისხო, რაგბის თამაშები კი გასვენებას ჰგავდა – მხოლოდ ნათესავები და მეგობრები რომ ესწრებოდნენ.

მაგრამ მთავარი მაინც მსაჯობა იყო!

ერთხელ მასხოვს, პატარა ვიყავი და მამაჩემთან წავკამათდი, მსაჯმა წაგვაგებინა-მეთქი. მითმინა, მითმინა და ბოლოს რომ აღარ გაჩერდი, ხმამალა მითხრა:

გაჩუმდი, ეხლა შენ მასწავლი თამაშის ჩანცობასო!

ჩვენთან დღემდე ეგრეა: არ ვევასებით! ამან ხო ჯერ მთელი რეგბისტობა გამიფუჭა, ეხლა კიდევ მწვრთნელადაც აღარ მასვენებს! ძალით წაგვაგებინა!

აბა, რომელი მწვრთნელი ან მოთამაშე იტყვის ჩემი ან ჩვენი ბრალიაო, ეგ თვისება ჩვენთვის, ადამიანებისთვის ღმერთს არ მოუცია.

მაგრამ, როგორც კი ძველ, საბჭოთა რეგბის დროინდელ ისტორიებს მოისმენთ, ეგრევე მიხვდებით, როგორ ვატრაკებთ, თუ არ გჯერათ, მიაკითხეთ გურამ მოდებაძეს, ჩვენებურად ბურძგლას, ვაკეში, რიგის ქუჩაზე. მსაჯი ყოველთვის რუსების იყო, – მიყვებოდა ერთხელ, – მაშინ სხვანაირი რეგბი იყო, შეხვიდოდი იმათ ხუთმეტრიანში (ანუ ლლოსთან ახლოს) მოგცემდა შერკინებაში ზაბროსს (ზაბროსი – როდესაც შერკინებაში 9 ნომერი ბურთს სწორ ხაზზე, შუაში კი არა, თავისი გუნდისკენ შეაგორებს უფრო იოლად რომ მოიგონ), დანიშნავდა თავისუფალ ჯარიმას და მორჩა, შეიძლებოდა ხუთმეტრიანში მეორედ მთელი თამაში ველარ მომხდარიყავი. იცი, რა გვქონდა დამუღამებული? ჩვენი 9 ნომერი ბურთს ჩვენსკენ კი არა, იმათკენ აგორებდა, მე ბიჭებს ვეკიდებოდი (ბურძგლა დაახლოებით მეტრა სამოცდახუთია და ას კილოზე ბევრად მეტი) ორივე ფეხით წინ გადავდიოდი და იმათი სხვატკიდან (შერკინებიდან) მომქონდა ბურთი, რომ

არ დავეჯარიმებინეთ.

ჯერ ხომ მსაჯი უნდა გეყიდა, ფული გადაგეხადა და იცით რაში? წესიერად, ანუ სამართლიანად რომ ემსაჯა, თორემ შენს მხარეს დადგომაზე ლაპარაკი ზედმეტი იყო და ამაზეც თითქმის ყოველთვის უარს იღებდნენ.

როდესაც ჩანყობილ მსაჯობაზე მიდგება საქმე, სულ ერთი ისტორია მასხენდება, რომლის მომსწრე მე თვითონ არ ვყოფილვარ, გადმოცემით ვიცი და რომელიც ნალდად უნდა მოგიყვებო.

ეს ამბავი 1981 წელს ხდება. ბოლო ტურია და თბილისის „ლოკომოტივის“ გასვლა აქვს სათამაშო კიევის „ავიატორთან“, სიტუაცია კი არის შემდეგი – მესამე ადგილი, ანუ ბრინჯაოს მედლები ხელში გვაქვს, თუ ამ ბოლო თამაშს 16 ქულაზე მეტით არ ნავაგებთ – მაშინ ვერცხლი, ხოლო თუ ქუთაისის „აია“ გასვლაზე მოუგებს მოქმედ ჩემპიონს და გათამაშების მაშინდელ ლიდერ მოსკოვის „ვვა“-ს – ჩემპიონები ვხდებით. მოთამაშე მწვრთნელი მამაჩემი, დათო კილასონიაა. მოკლედ ჩადიან კიევში, სადაც აეროპორტშივე ხვდებათ იმათი კლუბის მენეჯერი და პირდაპირ ეუბნება:

„ტყუილად გარჯილხართ ამოდენა გზაზე, ბიჭების ნახევარს მანქანებს შევპირდით, ნახევარს პრემიებს, მსაჯი კიდე გრუმბინასია და თქვენ თვითონ მიხვდითო“.

ეს გრუმბინასი იყო საზიზღარი ტიპი, მის სახელს უკავშირდებოდა ყველანაირი ჩანყობა თუ მამაძაღლობა, ჭკვიანი იყო (მგონი გამომძიებელი), მაგრად ჰქონდა შესწავლილი რაგბის წესები და ისე მოხერხებულად ასრულებდა თავის საქმეს, რომ ჩვეულებრივი მაყურებელი ვერაფერს ამჩნევდა. მაგის სახელზე ერთი საჩივარი არ დანერვილა.

გაგიჟდნენ ბიჭები, მაგრამ იხტიბარი მაინც არ გაიტყნეს.

„ბოლო-ბოლო, მეც ვითამაშებ და 16 ქულით როგორ უნდა ნავაგოთ?!“ ვერ იჯერებდა თურმე მამაჩემი, რომელიც მაშინ მართლა აღარ თამაშობდა, უბრალოდ თემურ ბენდიაშვილმა, რომელსაც რუსი მსაჯის ცემისათვის დისკვალიფიკაცია მისცეს იმ წელს, სთხოვა ასე და ასეა საქმე და გუნდი უნდა ჩაიბარო.

თემურმა რომ დარეკა და ყველაფერი გაიგო, ლამის ორ საათზე ჩამოფრინდა კიევში, ბიჭები დილით ადრე გააღვიძა და იქვე სასტუმროს წინ მდებარე

წერილი საყვარელ პოეტს

*გემი იძირება – ეს არავის ადარდება;
მხოლოდ ბავშვი ტირის. წარმოიდგინე,
ლექსი რომ დაგენერა თაბახის იმ ფურცელზე,
უკანასკნელი,
ხომ შენც ბავშვივით იტირებდი,
სიკვდილის წყალში გადავარდნამდე;
ჩაიძირებოდა შენს მზერაში ქალაქი.*

*აი, ტივტივებს მოხუცი,
რომელსაც უყურებს ბავშვი. მაგრამ, რა –
რა შეუძლია მას, ლასლასის გარდა; წამოდგეს,
შესვას ზღვა თითოცრემლად – კოვზით
დანრიტოს?*

*ან იმ ქალმა – ქანდაკმა –
ფსკერის ლანდშაფტიდან როგორ ამოყვინთოს.
ორნამენტია მისი სუნთქვა; წყდება – იწყება
საჭრეთელივით მოქნეული – კაცის – ღიმღიმით.*

*ხომ შეიძლება, ის ფურცელი
ყოფილიყო წერილი – საყვარელი
და დავინწყებული ადამიანის.*

*არსებობს დაუსრულებელი ანმყო –
გზა, რომელიც ხსნილია და
ხორციით უნდა იკვებოს – არსებობს
ფშატის ხის მოლურჯო-მომწვანო სილუეტი
– ბებიაჩემის კაბა. მათი შრიალი; როცა
შლის ხელეებს და გულში მიკრავს
და ბებია ჩემი ჯვარი – რომელზეც მიმაჭედეს
ანუ ავიტანე მისი სასახლე, ხის.*

*იყო მოხუცი, ნიშნავს, არ გაექცე წარსულს,
დღითიდლე რომ გროვდება,
და არა ისე – როგორც ამონმინდო საფერფლე,
არამედ – მიუნვდომელი; სადაც ხარობს
ფშატის ხის მოლურჯო-მომწვანო სილუეტი -
ადამიანებით განაყოფიერებულ ნიადაგზე.*

*აუტანელია
იყო –*

*ვილაცის ქალი, ლამურებით სავსე მისი მუცელი –
ქვაბული – სიცოცხლე, დასაფრთხობად არსებული,
ერთხელაც, შავი კვამლივით რომ ამოვა.*

ავტოსადგომზე ავარჯიშა, შერკინებაში გვიჭირსო.

მეორე დღეს თამაში დაიწყო, მაგრამ რად გინდა! იმათ ნახევარზე გადავალთ თუ არა, გრუმბინასი იმ წამსვე ჯარიმას გვაძლევს და უკან გვაბრუნებს, ტრიბუნები სკანდირებენ „ბეი გრუზინავ! ბეი გრუზინავ!“ მონინაალმდევე გუნდიც მაგრად უხეშობს, არც ჩვენები ჩამორჩებიან და არი ერთი ამბავი. პირველი ტაიმის ბოლოს მსაჯმა რომ დასტვინა, ჩვენები ჯგუფებად დაყოფილები ჩხუბობდნენ, სამი აქ, სამი იქ. დაიწყო მეორე ტაიმი, 7 ქულით ვაგებთ და ამ დროს მოდის ცნობა, რომ ცამეტი კაცით დარჩენილი, ანუ ორკაცგადებული ქუთაისის „აია“ გასვლაზე უგებს „ვეა“-ს. იქ ამბავი ატყდა! ჩხუბი ჩხუბზე, საკაცე საკაცეზე, მაგრამ გრუმბინასი მაგრად დგას და ანგარიშიც ნელ-ნელა იზრდება.

თამაში უკვე მთავრდებოდა, 20 ქულას ვაგებდით, ბიჭების ნახევარი ჩხუბობდა, ნახევარი ბოლმისაგან ტიროდა, როდესაც მამამ ზედ მსაჯის თავზე დაკიდა მალაღობური, „სვერკა“. ამ ამბის მომსწრე მამიდაჩემი, რომელიც ტრიბუნაზე იჯდა, მიყვებოდა: გინახია, როგორ გარბიან გაცოფებული სპილოები, ან კორიდას წინა დღეს ვინრო ქუჩებში გაშვებული ხარები? თავჩაღუნულები, დაუნდობლები, ყველაფერს რომ ანადგურებენ, რაც გზაზე გადაეღობებათ, აი, ზუსტად ეგრე დაიძრა მთელი ჩვენი ნაცემ-ნაბეგვი, თვალებჩასისხლიანებული და ნიშანს მიმხვდარი შერკინება მსაჯის მოსაკლავად. გრუმბინასმა ჯერ ბურთს ახედა, შემდეგ მისკენ მთელი სისწრაფით წამოსულ ბიჭებს შეავლო თვალი, სასტვინი დააგდო და გაიქცა, ჯერ რკინის მალალ ბადეს გადაახტა, მოედანს რომ შემოსაზღვროდა, შემდეგ ტრიბუნებსაც გასცდა და გარეთ, ქუჩაში გავარდა.

„აია“-მ კი მოუგო „ვეა“-ს, მაგრამ ჩვენ მაინც ბრინჯაო შეგვრჩა.

„მასხოვს როგორ ჩუმად ვიმგზავრეთ უკან, არცერთს ხმა არ ამოგვიღია“, – თქვა ერთხელ მამამ.

თუმცა ყველა კანონს და უკანონობას აქვს სუსტი წერტილები, საიდანაც შეგიძლია შეძვრე, გამოძვრე... საბჭოთა მსაჯობასაც გამოუნახეს ეს ნაპრალი და ვინ? რა თქმა უნდა, ქუთაისელებმა!

„აია“-ს ბრწყინალე გუნდი ჰყავდა, საუკეთესო რაც კი ოდესმე გვეყოლია ქართველებს: ლილუაშვილი, ლიპარტელიანი,

ძაგნიძე, ბაჯი, შოკი, ნაჭყებია, რომელი ერთი ჩამოვთვალო, მაგრამ იმ შედეგის მიღწევა (1987, 1988, 1989* წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა, ხოლო 1987 და 1990 თასის მფლობელი გახდა), ამის გარეშე ძალიან გაუჭირდებოდა:

ქუთაისელები და კერძოდ მათი მთავარი მწვრთნელი, დუგლას კავთელაშვილი, მთავარ მსაჯს კი არა, გვერდით, „ბაკავიო“ მსაჯებს ყიდულობდა და სწორედ ამაზე იყო აწყობილი „აია“-ს სათამაშო ტაქტიკა. ნუგზარ ძაგნიძე (ალბათ, საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო რეგისტრი) საკუთარი მოედნიდან ფეხის გრძელი დარტყმით მონინაალმდევის ლელოსთან აკეთებდა აუტს, სადაც ერთვებოდა მოსყიდული „ბაკავიო“ მსაჯი, აუტის დერეფანში არასწორ მოწოდებას, როგორც გითხარით „პერებროსს“ აჩვენებდა, ბურთი ქუთაისელების ხდებოდა, დანარჩენი კი „აია“-ს (სწორედ ამ 1989 წელს შეიქმნა პირველად საქართველოს ეროვნული ნაკრები) ტანკით მიძიმე შერკინებაზე და ძაგნიძის ბრწყინვალე ფეხზე იყო დამოკიდებული, ან შეათრევდნენ და ლელოს გაუტანდნენ, ან ჯარიმას, ანდაც არეკნს.

ასეთი და ალბათ ამაზე ბევრად უფრო მრავალფეროვანი და საინტერესო იყო სა-

**რეგბი ნაბეხული
თამაშის შემდეგ
ღირსეული
მონინაალმდევის
გულით მილოცვაა,
რეგბი ულსელი
გოლიათი ალან ვინ
ჯოუნისია, ექიმს
რომ დააბვიანდა და
სალ მხარბათიშულმა
გააბრძელა თამაში,
მარცხენა ხელით
რომ ეჭირა ჩვარივით
ჩამოკიდებული
მარჯვენა გქლავი და
იმ სალი ხელით გაიხს
რომ გააქათა ზახვატი...**

ბჭოთა პერიოდი, თუმცა ყველა ისტორიას ვერასოდეს მოუყრი თავს.

**ლეგენდები და დაუნერელი
კანონები**

რეგბი ლეგენდების და დაუნერელი კანონების თამაშია. ერთი ლეგენდა უკვე იცით: ბიჭზე, რომელმაც ბურთი ხელში აიღო და ლელო გაიტანა, მაგრამ სარაგბო ლეგენდები ბევრად მეტია და ისინი ხანდახან შეიძლება სრულიად შემთხვევით გაიგოთ, როგორც მე, მაგალითად, გუშინწინ გავიგე, რომ ინგლისის რომელიღაცა გუნდის გულშემატკივრები წვიმის დროს ქოლგებს არ ხსნიან, რათა მონინაალმდევე გუნდის ფანობას ხელი არ შეუშალონ მატჩის ყურებაში.

ალბათ, ეს ლეგენდაა, მაგრამ ყველა ლეგენდას ხომ სათავეში სიმართლე უდევს, ზღაპრებსაც კი. და რეგბი რომ გულშემატკივრობის მხრივ ძალიან მშვიდი სპორტია, ეს მგონი ყველამ იცის. ყველაზე დაძაბულ მატჩებზეც კი, ორი გუნდის ფანები ერთად სხედან, ერთად წრუპავენ ლუდს და კამერის ობიექტივში მოხვედრილები ერთად იქნევენ ხელებს. ინგლისში ყველაზე მწვავე დერბის, ტურის ცენტრალურ მატჩებს, მეზობელი ქალაქების დაპირისპირებას სულ სამოცი თუ ორმოცდაათი პოლიციელი იცავს და ეს ნამდვილად იმ დაუნერელი კანონების დამსახურებაა, რომლებიც დღემდე არსებობენ რეგბიში.

პირველი და მთავარი წესია: რაც მინდორზე ხდება მინდორზევე რჩება. რაც არ უნდა მოხდეს, რამდენჯერაც და როგორ სასტიკადაც არ უნდა იჩხუბონ გუნდებმა ერთმანეთში, მატჩის დამთავრებისთანავე მთელი ის ბოლმა თუ აგრესია, იმ მწვანე მინდორზე რჩება, რომელზედაც ოთხმოცი წუთი იბულრავეს და იომეს და მესამე ტაიმზე, ანუ ბანკეტზე, რაც ასევე რეგბის ერთ-ერთი დაუნერელი კანონია, ყველა მხიარული და ლაღია.

ჰო, რეგბიში ჩხუბი მოსულა, მაგრამ თუ ფეხბურთელების ჩხუბებს შევადარებთ, განსხვავებას ეგრევე დავინახავთ, იქ ნიხლებს იქნევენ, ნახტომში აფრინდებიან ერთმანეთს, აქ კი მარტო მუშტია, დადგებიან, მიაყრიან ერთმანეთს, მერე შეწყვეტენ და ისევ გააგრძელებენ თამაშს (თუმცა პროფესიონალიზმმა და ფულმა ამ ჩხუბებს მაგრად დაურხია). ჩხუბობს მხოლოდ თხუთმეტი კაცი – თხუთმეტივე, სათადარიგოებს და გულშემატკივრებს

სასტიკად ეკრძალებათ მოედანზე შევარდნა, რაც ძალიან ცუდ შესტად ითვლება, ლაპარაკი აღარაა დროშების ან რაიმე სხვა საგნის გამოყენებაზე ჩხუბში, მარტო მუშტი (ეს ოფიციალურ წესებშიც არის გათვალისწინებული, ყველაზე სასტიკად წიხლის დამრტყმელი ისჯება).

და ეს ყველაფერი საბოლოო ჯამში, მართლა იძლევა სხვანაირ შედეგს, მიდგომას, ქმნის სხვანაირ თამაშს, სადაც არ დაგინდობენ, მაგრამ არ ეზიზღებით, სადაც შემოგასკდებიან, მუშტსაც მოგიქნევენ, გატკენენ, მაგრამ ყოველთვის დაგიფასებენ ვაჟკაცობას და თავდადებას.

ინგლისის ცნობილი მოთამაშე მაიქ ქეთი თავის ინტერვიუში მოჰყვა მაგარ ამბავს.

2003 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი იყო, ავსტრალია სახლში, სიდნეიში ეთამაშებოდა ინგლისს, მატჩის ბოლო წუთი მიდიოდა, ინგლისი 14-11 იგებდა და მსაჯმა ინგლისელთა ნახევარზე ავს-

ტრალიელებს დაუნიშნა საეჭვო ჯარიმა. კარში დასარტყმელად დაბალი და ჯმუხი ავსტრალიელი, 12 ნომერი ელტონ ფლეტლი მივიდა.

ქეთი (უკვე ვეტერანი) ამ დროს ახალი შემოსული იყო მოედანზე სათადარიგოთა სკამიდან.

„ვუყურებდი და რომ ვხედავდი, როგორი დაძაბული, შეშინებული ემზადებოდა ამოდენა კუნთის მასა ჯარიმის დასარტყმელად, – იხსენებდა ქეთი, – ყველაფერს ვხვდებოდი, ვხვდებოდი როგორ ნერვიულობდა, როგორ აწვებოდა ასიათასკაციანი ყვითლად გადაჭედილი სტადიონის და მთელი თავისი ქვეყნის სიმძიმე მხრებზე, რომ ეს ჯარიმა ყველაფერს ნიშნავდა – გაიტანდა და დამატებითი დრო დაინიშნებოდა, ვერა და ავსტრალია მსოფლიო თასს დაკარგავდა და როცა გაიტანა და თავისი მოედნისკენ გაძუნძულდა, გზაში წამოვენიე, ნეკნებზე რბილად მივარტყი ხელი და ჩუმად ვუთხარი – ყოჩაღ-მეთქი.“

და ზუსტად აი, ეს არის ჩემთვის რეგბი. რეგბი მარტო ხატის წინ მუხლმოდრეკილი და დაკუნთული ბიჭები, ან მოედანზე გამართული მუშტიკრივი (რაც ასე მოსწონს ჩვენს მაყურებელს) და მოგება კი არაა, უფრო სწორად, რეგბი საერთოდ არ არის ეგ, რეგბი ნაგებული თამაშის შემდეგ ღირსეული მონინალმდევის გულით მილოცვაა, რეგბი უელსელი გოლიათი ალან ვეინ ჯოუნისია, ექიმს რომ დააგვიანდა და ცალ მხარგათიშულმა გააგრძელა თამაში, მარცხენა ხელით რომ ეჭირა ჩვარივით ჩამოკიდებული მარჯვენა მკლავი და იმ ცალი ხელით მაინც რომ გააკეთა ზახვატი და, რა თქმა უნდა, რეგბი ის ძმაკაცები არიან, რომლებიც სწორედ იმ, უცხოეთში მწვანე, საქართველოში კი ყავისფერი მოედნიდან შევიძინეთ და რომლებიც ვიცით, ბოლომდე გაგვყვებიან.

რეგბი ხომ ერთადერთი სპორტია, სადაც მონინალმდევე წინ გყავს, უკან კი შენიანები გიდგანან!

დაფიქი, ვის ანობ შენს ჯიციბს!



ლაივ დენტი



მისამართი: ქ. თბილისი, მიცკევიჩის 15
ტელ.: 380060 871 380060



ცხრა მთას იქით-აქეთ

ავტორი რეზო თავუაშვილი

– „ეგეთებს არ ვართ! – სიცილის და-ოკებას ცდილობს ჩემი გოგო. ბავშვობის დროინდელი ფრაზა მოიშველია, რომელსაც თამაშის რაიმე წესის დარღვევისას ან „ჟილოკობისას“ ახალი წესების დასამკვიდრებლად ვიყენებდით. კარგი, ვიცი, რომ არ გიყვარს და ბუიბუბები, გული გინუხდება, როცა უკნიდან მოგეპარები და ნეკნებზე შეხებით შეგახტუნებ ხოლმე. მორჩა. ესო. ნუ გადაფიჩინდი. გააგრძელე კარტოფილის წვა და პურიც გამიფიცხე.

„ეგეთებს არ ვართ“. ჰო, „არ ვართ“, ბევრ რამეში „არ ვართ“, დღემდე ვამბობ და ვიტყვი, მაგრამ ექოდ წამოსული პასუხი დაუზარლად იმეორებს – „ვართ... ვართ!“, და მონდომებითაც ამტკიცებს, გზადაგზა ცვლის თამაშის წესებს და პირობებს, რაზეც არ ვეთანხმები. „მე ეგეთებს არ ვარ“, ზინაიდა, თავიდანვე არჩეული კანონებით ვმოქმედებ. ხომ მატყობ, დიდად არ გამოვცვლილვარ (გარეგნობას არ ვგულისხმობ). ბევრი, ბევრი დრო გავიდა, რაც არ შევხვედრილვართ, მაგრამ მე ისევ აქ ვარ, შენს სახლში, ტახტზე წამოგორებული, შენს ფუსფუსს ვაკვირდები და „ჩემ გოგოს“ გეძახი. ეგრეა და იმიტომ. შენ ჩემი ვერ-ნი გოგო ხარ.

გაანყე სუფრა, დავსხდეთ, ცოტა დავლიოთ. მე ჩემსას ვიტყვი, შენ შენი თქვი. ვიცი, ბევრი იქნება შენსკენაც წესების გარეშე გამოცხადებული ამბები... ვიცი, დიდი გოგო ხარ და ძნელია შენი რამით გაკვირვება. ყველაფერი ბევრჯერ და სხვადასხვანაირად არის მომხდარი. მშობლებმა იცოდნენ ცივი წყლის გადასხმა, როცა შენს გარშემო დატრიალებულ ამბავს მონდომებით უყვებოდი ხოლმე მოზარდი. ეგ უკვე იყო, ჩვენ დროსო, ისე გეუბნებოდნენ, თითქოს მათ ტერიტორიაზე გადახვედი და რაღაც მოიპარე, ან ცუდი რიმეიქი გააკეთე. იმათ თავიანთ დროს დატრიალებული საქმეები უფრო ღრმა, საინტერესო და ნაღდი ჰგონიათ. ჩვენ – ჩვენი. ისე, ბევრი ტრაბახობს, რომ რაღა დროს მაგის გაკვირვებაა, მრავლის მნახველი, გამოცდილი და შევი ვინმეა. არადა, კაი გაკვირვებას რა სჯობია. სიამოვნებით გავბრწყინდებოდი გაცვებისგან ჩემი მეზობელი პავლუშასა-

ვით. იყო ეგეთი. ბევრ რამეს თხზავდა, ბლანდავდა და საკაიფოდ ჰყვებოდა. ერთი პერიოდი ამოჩემებული ჰქონდა: *Меня женщина любит замужняя, доктор наук-о, და ხატავდა ამ ქალს ალუნერლად ლამაზს, ბრძენს და, რაც მთავარია, პავლუშაზე გონდაკარგულს. ბევრს ვერთობოდი მაგის სმენისას. ვის რად უნდოდა ორმოცდაათი წლის მარტოხელა პავლუშა. ბევრჯერ სცადა საწყალმა ცოლის მოყვანა, ბევრი ენერგია და გრძობა დახარჯა, მაგრამ ამოდ. უკვე აღარ იყო პავლუშას ქალი აქტუალური, იშვიათადაც აღარ ახსენებდა ხოლმე. სხვა არანაკლებ „ინტერესნი“ თემები ჰქონდა წინა პლანზე წამოწეული, როცა ეზოში კარგად შენახული, საკმაოდ მიმზიდველი სლავი ქალი შემოვიდა, პატარა ჩე-*

მოდნით ხელში. ცოტა ხანი მოშორებით შედგა, შემდეგ ბიჭების წრეში მდგარ პავლუშასთან მივიდა და ყველას თანდასწრებით უთხრა: *Я от мужа ушла. Ты мой единственный мужчина-о.* პავლუშამ გაანათა, გაცისკროვდა და ამაყი-გაოცებული მზერა გვტყორცნა. მართალია, მერე მწარედ ინანა საბედისწერო ცვლილება თავის ცხოვრებაში, მაგრამ ეგ სხვაა...

ჰო, გაღმელი ვარ, პლენანოველი სულით ხორცამდე. შენი ვაკელური დაცინვები ჩემზე არ ჭრის... რაც დამხვდა, ცოტა დარჩა, პლენანოვიც და ვაკეც, მაგრამ დარჩა. „ეგეთებს არ ვართ“ ეტყობათ სიხარულში, თავის მობრუნებაში. ადვილად ამოიცნობ ძველებს. „ძველები“ ასაკს არ გულისხმობს. იმდენმა ასაკით

კიკუშირო

*ნაჭერ-ნაჭერ გამოვექეცი არარსებულ
სასწაულებს და – ახლა ასე –
სინანულის გარეშე მიმაქვს ეს ჩემი გუდა,
მატყუარა ბავშვობით სავსე... ქარი კი
სათამაშო ხეებს აჩხარუნებს.*

*გზად ყაჯი-ბადი-აბრეშუმის ღამე მაქვს -
კატის ფეხებით მოარული სხეულზე – მერე,
ღამეც აღარ ჰყავს ღამეს და მეც – ცალი ვარ, სხეულის
გარეთ... ქარი კი,
ისევ,
სათამაშო ხეებს აჩხარუნებს.*

*გუდაში ღმერთიც მიზის – ვოლფრამის ციმციმს
მომავონებს –
შუქნიშნებად ვარიგებ ქუჩა-ქუჩა
და მაინც ვერასოდეს იკრიფება
ჩემი მკლავების მძიმე ყელსაბამი;
ვისი ყელიდანაც ჩამოწყდა,
ისიც აღარ ჩანს... ქარი კი
სათამაშო ხეებს აჩხარუნებს.*

ძველმა გამოიცვალა გამოხედვა, ისეთებს დაემსგავსნენ, რომ მუშტაიდის სარკეებიან ოთახში მგონია თავი. თვალის მოსაბეზრებლად გაბევრდნენ, მაგრამ უმცროსი თაობის „ძველებსაც“ გადავეყრები ხოლმე აქა-იქ – თავისუფალ, ლალ ხალხს. Старое племя. ბოლო მოჰკიანი მუდამ იარსებებს... გავხურდი, კარგო. მომწონხარ, როგორც ადრე, და როგორც ყოველთვის. შემოდგი ეგ ტაფა მაგიდაზე და სუფრას მივუსხდეთ. მე დავასხამ.

ოღისევისკით ვიხეტიალე (გეტრაბახები, აბა, როგორ). სად ვიყავი, სად არა. ნახევარი დედამინა შემოვიარე. ზოგიერთი ქალაქის ციხის საკეტურებიც ვამტვრიე, და ბანკისაც... კაი, ნუ იცინი. ბებერი პლენანოველი ვარ... ვაკელები ვაჟკაცი ბიჭები არიან, ახლაც ვძმაცობთ, ვინც დავრჩით... მაგრამ ჩვენ უფრო მაგრები ვიყავით. ჰო, გაღმით თქვენა ხართ, გამოღმით – ჩვენ... თუ პირიქით... თბილისი თავისუფალი ხალხის ქალაქია, შენაირების, ზინაიდა.

მოგატყუებ, რომ გითხრა, შენი სურნელი სულ თან დამსდევდა-მეთქი, მაგრამ ხშირად მახსენდებოდი. კარგობებისასაც და ცუდობებისასაც, ეგეთები კი ბევრი იყო... შენი სიცილი შემხვდა ერთხელ, ამ ტახტის და ბევრი რამის ტკივილამდე მონატრების დროს. ხეტილისას სახლზე სევდაც ხშირია. შენც ჩემი სახლის ნაწილი ხარ. შენთან ერთად სახლში ვარ, თუნდაც ცხრა მთას იქით ვიყო... თუ ატრაკებ, ფრენაც უნდა იცოდე – მონოლილი დარდის და მონატრებების გახედვანა, მაგრამ ხანდახან მიუშვებ ხოლმე მაგ გრძნობებს საჯირითოდ, ეგრეა საჭირო... ცხრა მთას იქით ვნახე შენი სიცილი. აღმოსავლეთის ორი ქვეყნის მთიან საზღვარზე გავეჭედე უფანჯრო ავტობუსში მჯდომი. გზა ვერ გავიყავით სანინალმდეგო მხრიდან ფარად წამოსულ მანქანებთან. ვინრო, ღრმა ხეობა იყო, ხმაურიანი მდინარით. ფათერაკებმა ამდევნეს ამ უცხო მხარეებში... ფანჯრიდან იქაურ გოგოს ვუყურებდი. გრძელი ფეხები, მაღალი თეძოები და წამოჯგომული მკერდი ჰქონდა. კეფაზე კოხტად შეეკრა მრგვალად დანული შავი თმა. „კენგურუზე“ დაკიდებულ ჩვილ ბავშვს დახეთქილი ტუჩებით დაღეჭილ და მომღბარ პურის ნაჭრებს აწვდიდა. ღლაპი სიამოვნებით შეექცეოდა. გოგო მონდომებით უმზადებდა საკვებს თავ-

ვთავისფერი ძლიერი ყბების მოძრაობით. მომწყურდა, ბევრი რამე მომწყურდა მაშინ, მათ შორის ლუდიც. ომახიანად გავეჭედეთ საზღვარზე. ავტობუსებმა და მინიბასებმა საერთო ენა ვერ გამოუნახეს. გადმოვძვერი გარეთ და გოგოს ვკითხე, ლუდი სად შემეძლო შემეძინა. გაყიდინებო, მითხრა. გორაკის გადაღმა მეგულება ქოხი, სადაც მიაგნებო. აღმართს აუჩქარებლად მივუყვებოდით. გოგო ბავშვის კვებას სიარულისასაც არ წყვეტდა. ლამაზი კბილები ჰქონდა და თანამგრძობი თვალები... ლუდამდე არ მისულმა ვითხოვე სითბო. სითბოს სულ ვითხოვე, ოღონდ იშვიათი ახლობლებისგან. ის გოგო ახლობელი იყო... მეთქი, მკლავს წყურვილი, ლუდის მონატრებაზე ბევრად ძლიერი. რძე ხომ არ გაქვს ლამაზ ძუძუებში, ვკითხე. მეც და ბავშვიც დავნაყრდებოდით. მაშინ გამიცინა შენი სიცილით. ცალი მკერდი ამოიგდო ბრონეულისფერი მაისურიდან. ფართოდ გაშლილ ძუძუსთავს თითები მოუჭირა და — აღარ მაქვსო, მანიშნა. მთის წვერზე ლუდი დავლიე, არ იყო ცუდი.

გაგიმარჯოს, ზინაიდა. მანახე ნემსებით დაჩხვლეთილი შენი თითები. დიდხანს გამიძლო და კარგად მიერთგულა შენმა მოქსოვილმა სვიტრმა. ახლაც მაქვს.

– გაგიმარჯოს, ჯიმა. მართალი გითხრა, აღარც გელოდი. ფრენა ვიცი და შემონახული მყავდი სათნოდ და ძვირფასად მყუდრო ადგილებში. რომც აღარ მენახე, მაინც იყავი და იქნები... ჰო, დაგცინი, აბა, რა... როგორ მეზარებოდი... არა, ტყუილს არ გეუბნები. „ეგეთებს არ ვართ“, ხომ იცი. მონატრებისხარ ბევრჯერ, მაგრამ მაგეებს არ მოგიყვები. იმ შპილკისთვის გამადლობ, ეზოში დაგდებული რომ ამომიტანე.

შენს ამბებს ვიგებდი ხოლმე. ცოტას. შენი პლენანოველი ძმაცაცები სიტყვა-ძუნწები არიან. მაგრამ მარსელის ამბავი ვიცი. თავი რომ არ დააჭერინე და სროლით რომ მოხიე იქიდან. ილბალს გისურვებდი ხოლმე, გულით... ჰა, ჰა, ჰა, მართალი ხარ, შენ რომ მოგწონს, ჩემი ძუძუსკებიც გლოცავდნენ... მითხარი, იმ გოგოს ჩემზე კარგი ჰქონდა? კარგი, დანყნარდი... სიცილთან ერთად, ძუძუსკებიც ჩემნაირი ჰქონია. შენგან მაგრად მონატრებული ძუძუსკები... მოიცა, ჭამე ჯერ...

ამას შეხედე! მე შენი „ვეჩნი გოგო“

ვარ და მე „ჩემი“ დაგიძახო, არ შეიძლება, ხომ? ახ, ცუდად ჟღერს? კაცი არავისი არ უნდა იყოს?... შენი შუბაც დავხიე, ჩემო... ჰო, ჩემი ხარ. როგორც მე – შენი, ცხრა მთას იქითაც. ნუ დაიძაბე. თავისუფალი ხარ... ჰა, ჰა, არა, ჩემგან თავისუფალს არ ვგულისხმობ, თუმცა ჩემით და ჩემგან, რალაც ნაწილით, ხარ თავისუფალი. მე შენ სიყვარულს გაძლევ, რძე კი არა და არ მაქვს.

რამდენი ახალი ჭრილობაა. მაცადე. მიყვარს მათი თვალღერება. ისინი არ მიყვარს, ვინც მოგაყენა ეგ ჭრილობები. მე მაგათი... რას ნიშნავს — ნაგლეჯ-ნაგლეჯ იცხოვრე?... ჭრილობიდან ჭრილობამდე?... ასე, ქალიდან ქალამდეც იცხოვრებდი... არ ვეჭვიანობ და არც გეკითხები მათ შესახებ... შეგხვდნენ საინტერესოები?... ნახე, როგორ დუმს მრავალმნიშვნელოვნად. კარგი, გავიარეთ, შენი იყოს, ეგრეც არის, მაგრამ მე მაგათი... ყარე ქალები, მთიან და ვაკიან ადგილებში?... რას იცინი? ახ, ვაკელებს ახლაც ყრი? შე, მართლა...

იცი, ამ სახლს რომ მართმევდნენ? კი, პაპაჩემის აშენებულია. საქმე წამოვიწყე და ბანკში ჩავდე. ვქსოვე, ვკერე, მაგრამ გაყიდვა ვერ ავანყეთ, და ბანკის ბიჭები მოვიდნენ სახლის წასაღებად. არის ერთი ბანკი... ნუ ბრაზობ... ჰო, გაიტანე, თუ გინდა, მიდი... მოკლედ, მივედი მათთან და ჩემი კლასელი არ დამხვდა თოპ-მენეჯერი, ვატო? დამეხმარა ძალიან, კარგი ბიჭია... შეიძლება მოვწონდი კიდეც ბავშვობაში... მიდი, დასაჯე, თუ გინდა. სულ წაგიღია, ბატონო, ეგ ბანკი, ეჰ!.. არა, მართლა გადამყვა. დღეს ძალიან მცირე პროცენტით ვისტუმრებ ვალს. ადვილი არ იყო. ბევრი ინვალა. ჰო, ძალიანაც ყოჩაღ. ნუ იგინები. ერთ ჩვენ უბნელსაც, ჯუჯლიკასაც გადაურჩინა ზინა. ბარგი ჰქონდათ უკვე ქუჩაში გამოლაგებული. ვატომ იჯიგრა... ერთმა ჩემმა მეგობარმა თქვა: ღირსება და ბინები დაგვრჩა, და მაგის წართმევისაც ცდილობენო. ბევრს წაართვეს... ნუ ადუღდი. მოდი ჩემთან... ბევრს ვსვამ? ცოტა მივეჩვიე... ერთ დილას, ბინდიანი ამინდი იყო, ისეთი, როგორც მაშინ საჩებურეკეში რომ წამიყვანე. თოთხმეტითხუთმეტი წლისები ვიქნებოდით. კოხტა კეპკა გეხურა და მამამენის პალტო გეცვა საყელოანეული. აშკარად დიდი გქონდა. ავლაბარში წავედით. კარგი ჩებურეკი გეგულებოდა იქ. დაბურულ,

დაბალჭერიან, მრგვალ დარბაზში ჩემი გამოჩენა გაუკვირდათ კაცებს. მარტო კაცები ისხდნენ ხის მაგიდებთან. ცოტა ხანი გვათვალიერეს. შენ მათ მზერებს არ იმჩნევდი და უდარდელად გეჭირა თავი. კარგად ვისხედით. კარგად ჩამრჩა ეგ დღე... და ერთ დილას ისევ მომინდა იქ მისვლა. შენ მომენატრე იმ ასაკის, მრავალი წლის შემდეგ. შენი მსგავსი პალტო ჩავიცვი, საყელო ავიწიე და კეპკაც დავიფხატე. ველავდი, ისევ იარსებებდა ის საჩებურეკე თუ რამე ახვრობა დამხვდებოდა მის ნაცვლად. გამიმართლა. ყველაფერი ძველებურად იყო: დაბურული, დაბალჭერიანი, მრგვალი დარბაზი და ხის მაგიდებთან მიმსხდარი კაცები. მგონი, ისევ ისინი იყვნენ. მიყურეს, ამათვალიერ-ჩამათვალიერეს, მაგრამ არავის შევეუნუხებია. მგონი, ლესბიანკა ვეგონე. შენს სახელზე ასი გრამი დაველიე ჩაის ჭიქით, ჩებურეკი მივაყოლე და მალე წამოვედი.

- ცხრა მთას იქით ვიგრძენი ეგ დილა. მაგრამ პლანეტის იმ ნაწილში, სადაც ვიყავი, სავსემთვარიანი ღამე იყო.
- მჯერა, ეგეთების მჯერა...

...

- გეყო!
მრავალვარსკვლავიანი სასტუმროს აუზთან გოგო და ბიჭი წვანან შეზღონგებზე. გოგომ ნერვული მოძრაობით გაისწორა სათვალე და გაღიზიანებულმა გახედა ბიჭს.

- ძალიან დამლაღე. ამხელა თოპ-მენეჯერი კაცი ხარ, რა ბანძი, ძველბიჭური ოცნებები გქონდა. საბჭოთა კავშირის კლასიკური ბოდვა.

- ეხ, შენ კიდევ არ იცი, რა იდიოტობებზე ვფიქრობდით, რა პერიოდი იყო. პატარა ხარ.


- რაც არ უნდა ყოფილიყო, ეგეთ რამეებზე როგორ ოცნებობდი?

- კარგი, რა იყო. მძიმე ბავშვობა გვქონდა.

- მძიმე კი არა, მახინჯვი.
- თოპ-მენეჯერობაზე ხომ არ ვიოცნებებდი? - გაგულისდა ბიჭი.

- გაჩუმდი მაინც, - აგრესიულად შეუტია გოგომ. - სამაგიეროდ, დღეს ოცნებობენ ახალგაზრდები, იმიტომ, რომ მოთხოვნაა.

- რაზე გაღიზიანდი?
- საერთოდ, რამ დაგამახსოვრა და რას მიყვებოდი?



ანა ალექს ტაბატაძე
პროექტიდან „Everyday Project“ (კოლაჟი)

- მეგონა, ცოტას გაგართობდი.
- მაგ ახვრობით?
- არ არის ახვრობა.
- კარგი იქნებოდა, ახლა გვერდით დამრამული ძველი ბიჭი ჯიმა რომ მენვეს.
- არ არის ძველი ბიჭი.
- აბა, რა არის?
- უბრალოდ, კაცია.
- გაჩუმდი, თორემ ამ ქოლგას ჩაგარტყამ თავში.... ეს ზინაიდა საიდანღა გამოჩხრიკე? კაი ჩამოსხმა.
- იყო ეგეთი გოგო ჩვენს სკოლაში.
- მოგწონდა?
- ბევრ ბიჭს მოსწონდა. სულ ჩხუბი იყო მაგის გამო.
- შენც იჩხუბე?
- ერთხელ.
- დაგჟეჟეს? - გადაიკისკისა გოგომ. ბიჭი შეზღონგიდან წამოდგა და ოფიცინანტს ლუდის მოტანა მოსთხოვა.
- როდის აქეთ სვამ, ვატატო? - გაკვირვებით გახედა გოგომ.

ფუტბალი შაგანი

საგორი ალექს ჩილვინაძე



კულტურის მინისტრი დამესიზმრა. ხუთვარსკვლავიანი სასტუმროს წინ, წითელ ხალიჩაზე კავკასიელ პოეტებთან ერთად იდგა და ფოტო-ობიექტივების წინ პოზირებდა. რატომღაც მათთან აღმოჩნდა. სტუმრების პატივსაცემად მეძავეები მოეყვანათ. ერთი შეხედვით, კულტურის სამინისტროს ბოლო სართული ელიტურ ბორდელს დამსგავსებოდა, სადაც ჩოხოსანი პოეტები კურტიზანებთან ერთად რიგ-რიგობით იკეტებოდნენ. ისმოდა მიცვალებულის ბლუზი. სამინისტროს არტ-კაფეს ვერანდაზე ვისხედით. ჩვენს უკან უილიამ ბეროუზის ფოტოს გვერდით, პოპ-არტის სტილში გადაკეთებული ვაჟას ცნობილი ფოტო ეკიდა, აი,

ის – თავის ოჯახთან ერთად რომ ზის, სახემოდუშული, გეგონება მისი თვალები ჭრილობებია, რომლითაც უამრავი ტკივილი წაუკითხავს. მოულოდნელად, სამინისტროს შენობის კედლიდან მატარებელი გამოვიდა, ვაგონების ნაცვლად ერთმანეთს ჩაბმული ძველი კაბრიოლეტებით, რომლებშიც ის პოეტები ისხდნენ და საშინელი გნიასით მოდიოდნენ. მინისტრი მომიტრიალდა და მკითხა, – ეს მატარებელი იმ მდინარეს არ ჰგავს, გველის მჭამელში მინდიას ცოლის სიზმრიდან, სადაც განწირული ადამიანები ერთმანეთს პატიებას სთხოვენ? მგონი, მთელი კულტურა ასეთი მდინარეაო. გამომცემლობა „სიესტაში“, ჩემი მაგი-

დის წინ, ვაჟას ზუსტად ის უზარმაზარი ფოტო ჰკიდა, ჰოდა სულ ეს სიზმარი მახსენდება. დღის განმავლობაში, როცა იმდენი საქმე არ გვაქვს, ათასი ვინმე შემოგვივლის ხოლმე. ვინ გინდა რომ არ მოვიდეს: ასტროფიზიკოსი, ეზოთერიკით გატაცებული ონკოლოგი, სტომატოლოგი, მუსიკოსი, რეჟისორი, მუშა, ძიუდოისტი, სტრიპტიზიორი და სხვა. მათ შორის, მწერლებიც გამოერევიან ხოლმე. ერთ ასეთ დღესაც, გაგა ნახუცრიშვილმა შემოიარა, რამდენიმე ქილა ლუდიც მოიტანა. სამუშაო დღე დასასრულისკენ მიიზღაზნებოდა. გარეთ, პატარა ეზოში დავსხედით. მაგიდაზე

ვაჟას პოემები და ნახატები ეწყობა „გველის მჭამელის“ მიხედვით კომიქსის კეთება გვექონდა დაწყებული. ნახტომ ნიგანი აიღო და საყვარელი ფრაგმენტების კითხვას შეუდგა. შემდეგ მე გამოვართვი. თავიდან საყვარელ ადგილებს ვკითხულობდი, თუმცა, თანდათან აღარც ვარჩევდი. იმდენად ზუსტი იყო, ისე ნაცნობი, მშობლიური და ამავდროულად მონყვეტილი და დაკარგული, როგორც ქალაქის პარკები, ძველ, შავ-თეთრ ფოტოებში ბავშვების მოძრაობის ბუნდოვანი გამოსახულებით და მშობლების ჩაფიქრებული მზერით... ამჟამად აქვს რაღაც საერთო ალკოჰოლით გამოწვეულ ეიფორიას და იმ ეიფორიას, პოეზია რომ ინვესს.

პოეზია ხმელეთზე მცხოვრები ზღვის ცხოველის სიზმარია, რომელსაც სურს ცაში დაფრინავდეს. პოეზია მარცვლების ძიებაა, რომელსაც ამოუცნობ, უხილავ ბარიერებს დაუშენებ. პოეზია ფანტომური სცენარია, რომელიც გვიყვება, როგორ ჩნდებიან ცისარტყელები და რატომ უჩინარდებიან. თუ ამას

აფიქსირებდი მომენტს, როდის ქრებოდა შენი მხედველობიდან საბოლოოდ. ვაჟას კითხვა უკანა გზას ჰგავს. თანდათან უახლოვდები, თანდათან ჩნდებიან ნაცნობი ადგილები, და აი, უკვე შინ ხარ. და რაც გინდა დავარქვათ ამას, ეთნოპოეზია, ეკო-ლიტერატურა თუ რაიმე სხვა, ვაჟას „გზიანი“ სიტყვა სადღაც კაცობრიობასული-ბუნება სამკუთხედში გამოგზაურებს... ერთიც არის, ვაჟას კითხვა არ გიტოვებს იმ განცდას, რომ ქართული ლიტერატურული კონტექსტი მსოფლიო კონტექსტს ისეა მონყვეტილი, როგორც ხეს დამპალი, აკრძალული ხილი.

მაგრამ ფოიერვერკსა და ფოიერვერკს შორის, ჩურჩხელასა და ქეთოს შორის მოციმციმე დღევანდელ ქართულ კულტურაში ვაჟას ადგილი არ არის. თუმცა, მის სახელს გაჰყვირიან, სადღეგრძელოებს წარმოთქვამენ, დაამღერებენ, სტენსილებსაც ხატავენ, დაფიდან – დაფაზე, სახელმძღვანელოდან – სახელმძღვანელოში ამოგზაურებენ... მაგრამ, მგონი, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ სინამდვილეში ეს ადგილი მხოლოდ ერთი ჩო-

ბემბი (ფელიქს ზალტენი) შვლის ნუკრის ნაამბობის მიხედვით გადაიღო, რომ ცნობილი ამერიკელი ფანტასტის, რეი ბრედბერის მოთხრობა „ცელი“ გაჭრილი ვაშლივით მოგვავაგონებს „გველის მჭამელის“ შინაარსს... მაგრამ ამ არაფრის-მომცემი ტრაბახის და გულზე მჯილის კვრის იქით, ცოტა თუ მიდის.

კომიქსი ჯერ არ გამოცემულა. თუმცა მასზე მუშაობა დავასრულეთ. მე მხოლოდ იდეა გამიჩნდა და შემდეგ სცენარის გამართვაში ვეხმარებოდი მხატვარს. ყველა პირობა იყო შექმნილი იმისათვის, რომ კომიქსში პოეზიის უსაფრთხო კონტრაბანდა მოგვეხდინა. ერთ ფრაგმენტს მეთედ ვუტრიალებდით, ხელახლა ვკითხულობდით ხმამაღლა. ყველა პირობა გვექონდა იმისათვის, რომ კომიქსში პოეზიის უსაფრთხო კონტრაბანდა მოგვეხდინა.

გვყავდა გმირი, რომელიც გველის ხორცის ჭამით სრულიად გარდაიქმნა, როგორც ლაბორატორიაში მომწყვდეული, არასწორი ექსპერიმენტის მსხვერპლი მეცნიერი, ან, სულაც, როგორც

პოეზია ხმელეთზე მცხოვრები ზღვის ცხოველის სიზმარია, რომელსაც სურს ცაში დაფრინავდეს. პოეზია მარცვლების ძიებაა, რომელსაც ამოუცნობ, უხილავ ბარიერებს დაუშენებ. პოეზია ფანტომური სცენარია, რომელიც გვიყვება, როგორ ჩნდებიან ცისარტყელები და რატომ უჩინარდებიან. თუ ამას ახერხებ, შამანი ხარ, მითიური წარსულის სახეცვლილ წარმოდგენაში მონაწილე მსახიობი, ჩვენებურად „ნაწილიანი“, რომელსაც ბეჭტვემ მზის ღვთაების მანათობელი ნიშანი აქვს, თავისი „წილი“, რომელიც აუცილებლად უნდა დამალოს.

ზოგი პოეტის ლექსი იმისთვის არსებობს, რომ სამყარო ენის პრიზმის მიღმა დაგვანახოს. მაგრამ არსებობენ პოეტები, რომელთაც თავად მოაქვთ სრულიად ახლებური ხედვა ენაში. ვაჟაც ასეთია. შეუძლებელია, ერთხელ იგრძნო და მერე თავი დაანებო. გამუდმებულად გინდება დაუბრუნდე, როგორც ბავშვობაში, შორდებოდი სახლს, მანქანის უკანა მინიდან გასცქეროდი და ვერ ხვდებოდი, ვერ

ახერხებ, შამანი ხარ, მითიური წარსულის სახეცვლილ წარმოდგენაში მონაწილე მსახიობი, ჩვენებურად „ნაწილიანი“, რომელსაც ბეჭტვემ მზის ღვთაების მანათობელი ნიშანი აქვს, თავისი „წილი“, რომელიც აუცილებლად უნდა დამალოს.

ზოგი პოეტის ლექსი იმისთვის არსებობს, რომ სამყარო ენის პრიზმის მიღმა დაგვანახოს. მაგრამ არსებობენ პოეტები, რომელთაც თავად მოაქვთ სრულიად ახლებური ხედვა ენაში. ვაჟაც ასეთია. შეუძლებელია, ერთხელ იგრძნო და მერე თავი დაანებო. გამუდმებულად გინდება დაუბრუნდე, როგორც ბავშვობაში, შორდებოდი სახლს, მანქანის უკანა მინიდან გასცქეროდი და ვერ ხვდებოდი, ვერ

ხოსანი ნეშტისთვის არის გამოყოფილი, რომელსაც მთის პეიზაჟების ყურება, ქალის უბეში ყურებასავით სიამოვნებდა.

არ მახსენდება სხვა ავტორი, რომელიც ერთდროულად ასე „ეყვარებოდათ“ ადამიანის უფლებათა დამცველებსაც და დამრღვევებსაც, პატრიოტებსაც და კოსმოპოლიტებსაც, ტრადიციონალისტებსაც და ლიბერალებსაც... ყველა თავის „წილს“ იღებს. ვიღაცა „ალუდა ქეთელაურს“ ტოლერანტობის ეტალონად სახავს, ვიღაც კი ყოველგვარი ბნელი ტრადიციის გასამართლებელ საბუთებს აძრობს. არც იმას ივინყებენ, რომ ვაჟას კითხვას, თურმე, ალენ დელონიც კი გამოჰყავს დეპრესიიდან, რომ დისნეიმ

ჯადოსნური სოკოების მოყვარული მავანი გურმანი, 70-იანების გარიჟრაჟზე... მეტამორფოზას და გავარდნილ სახელს კი ის კომიქსებისთვის დამახასიათებელი გაორება მოსდევს – ნალვლიანი, ჩაფიქრებული, მარტოსული სუპერ-გმირი ულმობელი არჩევანის წინაშე... კომიქსზე მუშაობის პროცესი იმიტომ აღვწერე, რომ მიხლოდა ჩემი ვაჟასთან გადაკვეთის ერთერთი წერტილი დამეფიქსირებინა.

ჩემი სიზმარი კი ასე დამთავრდა. ბოლო კაბრიოლეტში ჩვენც ვსხდებით. ვაჟას ფოტოს მივჩერებივართ და ვერაფრით ვაფიქსირებთ, როდის ქრება ის ჩვენი თვალთახედვის არედან...

ვაჟა-ფშაველა დღეს

ავტორი ლევან ბარბაქაძე

„ვაჟა განუზომლად ახლოს დგას ჩვენთან, ვიდრე თანამედროვეებთან, მაგრამ ჩვენთანაც არ დგას ძალიან ახლოს. ვაჟა-ფშაველა მომავლის პოეტია“.

თამაზ ჩხენკელი

იონანეს სახარების მიხედვით, დასაწყისში იყო სიტყვა, ანუ ლოგოსი; ეს ლოგოსი განსხვავდება და ქრისტედ იქცა. სრულიად ნათელია, რომ ბრძენი მახარობელი გულისხმობს ლოგოსის მთავარ მნიშვნელობას ანუ „აზრს“ („ლოგოსი... აზრი მისი, რაც არის“ – ჰეგელის გალაკტიონისეული ნაკითხვა). ლიტერატურის მკვლევართა აზრით კი, დასაწყისში მართლაც იყო სიტყვა, ოღონდ სხვა სიტყვა, ანუ მითოსი. მითოსი ის სიტყვაა, რომელიც მეტყველებას, თხრობას გულისხმობს, მითოსი წმინდა თხრობაა, საკრალური ნარატივია.

კაცობრიობის გარიჟრაჟზე აღრიცხვის საჭიროებამ დაბადა დამწერლობა, ხოლო მითოსმა შვა ლიტერატურა: შუმერულმა წარმოდგენებმა ღმერთებსა და ადამიანზე შექმნეს გილგამეშის ეპოსი, ხოლო უმდიდრესმა ბერძნულმა პლასტიკურმა მითოლოგიამ წარმოქმნა ჰომეროსის დიადი პოემები; მაგრამ უკვე რომაულმა ლიტერატურამ დაამკვიდრა ახალი ტრადიცია: იგი უბრალოდ დაეყრდნო ბერძნულს. ამის შემდეგ ლიტერატურა ვირუსივით მოედო მსოფლიოს, გადაეცემოდა ქვეყნიდან ქვეყანას, ხალხიდან ხალხს, ენიდან ენას. ვერგილიუსის „ენეიდა“ დაიბადა ჰომეროსის პოემებიდან, პლავტუსის კომედიები – არისტოფანეს შემოქმედებიდან, ხოლო ტაციტუსის ანალები თუკიდიდეს ისტორიიდან. ქრისტიანობის საყოველთაო გავრცელების დროს ახალმოქცეული ქვეყნები სახარებასთან ერთად „ბონუსის სახით“ იღებდნენ მზა ლიტერატურულ ფორმებს, რომელსაც უშურველად იძლეოდა დონორი ლიტერატურა: ქრისტიანობასთან ერთად ჩვენთან შემოვიდა ჰაგიოგრაფია კარგად ჩამოყალიბებული კანონებით და დადგენილი ეტიკეტით, ჰიმნოგრაფია და სხვ.

რომელი წყაროდან დაიბადა ქართული ლიტერატურა თხუთმეტი საუკუნის წინ: ბერძნულიდან, სირიულიდან თუ სომხურიდან – ამაზე მეცნიერება დავობს და კიდევ დიდხანს იდავებს; მაგრამ ის, რომ ჩვენი მწერლობა ძირითადად უცხო ლიტერატურიდან იშვა, სადავო არავისთვისაა. ქართული ლიტერატურა დაიბადა, გაიზარდა და უდიდეს სიმაღლეს მიაღწია, მაგრამ ყოველთვის არსებობდა მცირე ალბათობა, საკუთარი მითოსის წიაღიდან ახალი, სხვა, საკუთრივ ქართული წარმომავლობის ლიტერატურა დაბადებულიყო. თოთხმეტი საუკუნის მანძილზე ეს ალბათობა ალბათობად რჩებოდა, მაგრამ მითოსის მარცვალი არ მომკვდარა, იგი თავის დროს ელოდებოდა. მითოსის მარცვალი თავის ღმერთს, თავის გოლიათს ელოდა, რომელსაც ეპოქალური ამოცანა უნდა გადაეყვებინა – საქართველოს უნდა ეშვა ახალი ლიტერატურა, რომელსაც მისთვის თავისუფლება უნდა მოეტანა. ეს ტიტანური ამოცანა გადაწყვიტა ვაჟა-ფშაველამ. ვაჟამ ჩაიფიქრა, ხელახლა გაეჩინა ლიტერატურა და მასთან ერთად ქართული მწერლობა მართლაც ხელახლა დაიბადა. იგი დაიბადა ძველი შუმერისა და ჰომეროსის თანამედროვე, უძველესი ქართული მითებიდან, რომელსაც ასე სათუთად ინახავდა ჩვენი ყველაზე მითოსური მხარე – ფშავ-ხევსურეთი.

სალუსტიუსმა ატისის მითზე საუბრისას თქვა: „ეს არასოდეს ყოფილა, ოღონდ ყოველთვის არის“, რითიც ხაზი გაუსვა მითის ზეისტორიულ ხასიათს. მითის სტრუქტურალისტი მკვლევრის, კლოდ ლევი-სტროსის მიხედვით, მითში დროის გარკვეულ მონაკვეთში მომხდარი ამბები ქმნიან მუდმივ სტრუქტურას: საფრანგე-

თის დიდი რევოლუცია ისტორიული მოვლენაც არის და ზეისტორიულიც – იგი ერთხელ მოხდა და დამთავრდა, მაგრამ როგორც მოდელი მუდმივად არსებობს და მოქმედებს. შესაბამისად, ვაჟას უმთავრესი პერსონაჟი, პერსონაჟი par excellence, „დავლათიანი“, ანუ ილბლიანი, სვებდნიერი, ღვთაებრივი ბედით ანუ ხვედრით მორჭმული, ღმერთთან წილნაყარი ალუდა ქეთელაური ოდესღაც ისტორიაში ერთხელ იყო, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ის ახლა და მუდამ არ არის. ალუდა ქეთელაური ერთდროულად არის ისტორიული პირიც და პიროვნების გარდაქმნის მუდმივმოქმედი მითოსური სქემაც, რომელიც სხვის ატანას კი არა, გაგებას და მეტიც, სიყვარულსაც ბედავს. ალუდამ დიდი გზა გაიარა „თორმეტი ქისტის მამკლავიდან“ „ურჯულოს“ გაგებამდე და სიყვარულამდე. ალუდას სამშობლო კი ამ სიყვარულისგან დღესაც ისე შორსაა, როგორც ალუდას გაჩენამდე იყო. დღეს დიდ ბრიტანეთსა და გერმანიაში მულტიკულტურულობის ოდესღაც მოდური და ფრიად პერსპექტივულად მიჩნეული დასავლური დოქტრინის ფაქტობრივი კრახისა და ტოლერანტობის არასაკმარისობის შეგრძნების ეპოქაში არ არსებობს უფრო თანამედროვე გამოწვევა, ვიდრე სხვისი გაგებაა.

ის, რაც გაიგო და გაითავისა ალუდა ქეთელაურმა, ჯერ კიდევ სრულიად მიუღებელია ქართული საზოგადოებისთვის. ბერძენმა ჰომეროსმა მტრული ტროას დამცველი ჰექტორი გასაოცარი სითბოთი დახატა. ჰექტორისა და ანდრომაქეს გამოსალმებაზე („ილიადის“ მეექვსე სიმღერა) ჯერ მთელი საბერძნეთი ატირდა და შემდეგ მთელი მსოფლიო აიყოლია. ამ მოვლენას კლასიკურ ფილოლოგიაში „ჰომეროსის

ობიექტურობის“ სპეციალური ტერმინიც კი შეუქმნეს. ეს ყველაფერი ასეა, ჩვენ კი მოდი, ვიკითხოთ, მზადაა რომელიმე ქართველი, თუნდაც ეპატაჟის დიდოსტატი და სუპერსკანდალური რომანების ავტორი, აშკარა სიმპათია გამოავლინოს უკვე მითოსად ქცეული რუსულ-ქართული ომის რომელიმე რუსი მხედართმთავრისადმი?! რა თქმა უნდა, არა. იქნებ ეს მეტისმეტად ახალი და მოუშუშებელი ჭრილობაა, იქნებ რომელიმე სპარსი, თურქი, მონღოლი მეომრის სიმპათიით დახატვისთვის ვართ მზად? ისევ არა. აი, ვაჟა-ფშაველა კი 125 წლის წინათაც მზად იყო. როგორ არ დავეთანხმეთ თამაზ ჩხენკელს, როცა ის ამბობს, რომ ვაჟა-ფშაველა დღეს კიდევ არ არის ისე აქტუალური, როგორც ხვალ იქნებაო?

აკაკი განერელიამ ვაჟას გმირებს „ზნეობრივი ახალშობილები“ უწოდა. დღევანდელ ზნეობრივ ქაოსში ზეცისგან მივინწყებული ადამიანისთვის ალუდა ქეთელაური არის მეორედ დაბადების, ანუ ახლად შობის, ტრადიციული, ფერმკრთალი და უინტერესო ყოფითი გარემოდან ინდივიდუალურ-ეთიკური განცალკევების მარადიული პარადიგმა, მორალური ვექტორი, რომელიც არ გიღალატებს. სულ რაღაც რვა სტრიქონში ალუდამ ჩამოაყალიბა ახალი მოძღვრება, რომლისთვისაც საქართველო, შესაძლოა, მზად აღმოჩნდეს მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენ აღარ ვიქნებით:

ჩვენ ვიტყვით, კაცნი ჩვენა ვართ,
მარტო ჩვენ გვზრდიან დედანი,
ჩვენა ვსცხონდებით, ურჯულოთ
კუპრში მივლით ქშენანი.
ამის თქმით ვნარა-მარაობთ,
ღვთისშვილთ უკეთეს იციან.
ყველანი მართალს ამბობენ,
განა, ვინაცა ჰფიცვიან?

ჩვენ თავიდანვე ცუდად მივიღეთ ვაჟა-ფშაველა, ძალიან არ გვინდოდა მისი გაგება და მიღება. რედაქტორები ჰონორარებს უგვიანებდნენ ან სულაც არ უხდიდნენ; წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ თავისი სკოლიდან დაითხოვა; აკაკი საერთოდ ვერ გაერკვა მის პოეზიაში, „მარგალიტების მთესველიც“ უწოდა და ქართული ენის ოლიმპიური სიმალლიდან „მდაბალი“ ენაც დაუნუნა. ვაჟასი მხოლოდ ილიას ესმოდა, მაგრამ, როგორც თითქმის ყოველთვის და თითქმის ყველაფერში, ერის მამა ვაჟა-ფშაველას გულშემატკივრობაშიც თითქმის მარტო აღმოჩნდა. ილია რომ ცოცხალი ყოფილიყო, ვაჟა-ფშაველას მთაწმინდის მინას ვერ დაამადლიდნენ და დიდუბეში ვერ დაასვენებდნენ. ოცი წელი დასჭირდა საქართველოს, რომ ალუდას ნიღბიანი შემოქმედი მთაწმინდამდე აემალლებინა. გადასვენებიდან დიდი ხანი არ იყო გასული, ვაჟა-ფშაველა გაუნათლებელ და ჩამორჩენილ კაცად გამოგვიცხადა ერთმა უნიგნურმა კომუნისტმა ბოსმა.

ახლა? ახლა სხვა დროა, ახლა სხვა ვითარებაა, ახლა ვაჟა-ფშაველაც გვიყვარს, ალუდა ქეთელაურიც, მუცალიც, ზვიადაურიც, ჯოყოლაც, ოღონდ მათი მორალური გაკვეთილების სწავლა ისევ გვეზარება და სახვლიოდ გვაქვს გადადებული.

თუ(!)

მ ა ს,

ვინც დამივიწყა!

ეს ქარი,

ტანს რომ არ ედება,

სად არის?

ეს ტანი,

ხიდს რომ არ ედება,

სად არის?

ეს ხიდი,

წყალზე გადებული,

მზად არის

ხელიდან გაუსხლტე -

იქ,

სადაც

მიდიან

...

იქიდან

ვერ-ამოსალები მადანი

შენ ხარ და ბინდია,

და თქვენზე ძვირფასი არავინ არ არი...

თუ ჩემი გოგონა გადახტა ხიდიდან!

თუ ჩემი გოგონა გადახტა ხიდიდან

ოდესმე,

უთუოდ

გახდება პერანგი ჩემი საუთოო...

გუგული უდროოდ

დარჩება საათში... მომესაკლისები

უტანოდ, უხმოდ...

რომ

უთოდ და გუგულად

შემეხო,

მომესმე -

თუ ჩემი გოგონა ოდესმე...

თუ ჩემი გოგონა გადახტა ხიდიდან,

ხელები მათხოვეთ,

მივწვევ ჩემს მარტოთავს -

მოვხვიო მის ნაცვლად, ვინც

მარტო

დამტოვა.

თუ ჩემი გოგონა სახლიდან გავიდა... წავიდა

იქ, სადაც

გუგულის ბუდეა

და მზე მოკვეთილი თავივით დაგორდა.

ვაჟას სიზმარი

ავტორი ლაშა ბაქრაძე

საქართველოს მუზეუმებში, არქივებსა და ნიგნსაცავებში უამრავი საინტერესო მასალა ინახება, რომლის შესახებაც საზოგადოებამ არაფერი იცის. „ცხელი მოკოლადი“ ამ რუბრიკაში წარმოგიდგენთ ჩვენი მემკვიდრეობის უნიკალურ ექსპონატებს, როგორც ლიტერატურის, ასევე სხვა მუზეუმების საცავებიდან.



მუზეუმებისა და არქივების ფონდები მუდმივად მდიდრდება ახალი ექსპონატებით. ასეთია ვაჟას აქამდე უცნობი უბის ნიგნაკიც, რომელიც წელს, ზაფხულში, ლიტერატურის მუზეუმს ქალბატონმა ნონა პატარაიამ აჩუქა. ნიგნაკი მისი მამისთვის – ბართლომე პატარაისთვის ვაჟას შვილს, ვახტანგს, 1930-იან წლებში უჩუქებია.

უბის ნიგნაკზე 1903 წელია მითითებული, მაგრამ ჩანაწერები 1914 წლამდე, სხვადასხვა პერიოდშია გაკეთებული. აქ არის ყოფითი ამბები, ვილაცხების სახელები (მაგ: „ვინც ჩემი წილი მამული მოხნა შირაქში“), ივერიისთვის 1905 წელს გადაცემული მასალების სია, კისელის რეცეპტი, ერთი მენიუს მსგავსი ჩამონათვალი საქმელ-სასმელისა, ორი ჩანახატი. მათ შორისაა უღრესად საინტერესო, 1907 წლის 10 თებერვლით დათარიღებული სიზმარი, რომელიც, საგარაუდოდ, იმ დროსვე უნდა იყოს შესრულებული.

„10-ს თებერვალს, 1907 წელს შემდეგი სიზმარი ვნახე: ვითომ იაკობ გოგებაშვილს ესწავლებინა ჩვენთვის, რომ არაგვში ვეშაპიო. მე ვიყავი და სხვები არ მახსოვს, ამხანაგები ვინა მყავდა, ვეშაპი მოვკალით. არ იყო ძალიან დიდი. შავი კლიონკის ფერი ჰქონდა დიდი პირი, ვითომ ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და უნდა გამეტყავა. ერთი ცხრაათის წლის ბაღლი მოვიდა და მითხრა – მაჩვენა რაღაც ნუშის მსგავსი, მხრის ძირში ძვირფასი თვლები აქვსო. მე უფრო ის მანუხებდა, ქონი როგორ უნდა გაყიდულიყო. ამისთვის დამჭირდა გოგებაშვილისავე ბუნების კარი, საიდანაც უნდა ფასი გამეგო, რა ფასად გაიყიდებოდა. ნავედი ბუნების კარის მოსატანად, შემხვედენ ვილაცხები გზაში და წამოვიყვანე, უნდა მეჩვენებინა ვეშაპი, იმათაც ენაზებოდათ მისი ნახვა. დავბრუნდი

უკანვე: რომ მოვედი, ვეშაპი ბოლოს აწყვეტდა, იხლახნებოდა, ხოლო პირი ორაგულისა გაჰკეთებოდა, თუმცა წინად დიდი ლოქოს პირი ჰქონდა. შემდეგ ადამიანის სახე მიიღო, ჭკვიანური მოსანონი და დამინყო საუბარი: „ძალიან კარგად ჰქმენით, რო მომკალით, მე ხომ არ მოვრჩებოდი, იმისთანა სატყვიარი მქონდა როგორც ექიმებმა მითხრესო...“ შემეცოდა ამ სიტყვაზე, მაგრამ რა გაენყობოდა. არ ვიცი როგორ მოხდა, ვითომ ადგილმდებარეობა შეიცვალა, ჩემი ვეშაპიანად თბილისში მოვხვდი, ილია ჭავჭავაძის სახლის ეზოში, დაბლა სართულში გრ. ყიფშიძე მდგარა ვითომ და ვეშაპიც იქ არის, გატყაული ფიცრებზე. ჩემი ძმა გიორგი (გარდაცვალებულია) ატყავებდა. მე თითქოს მეცოტავა ვეშაპის ლეში, აღარსად ტყავი სჩანდა, აღარც ფრთები. გიორგიმ მითხრა, ფრთები, ტყავი საჩეხში შევინახეთო და ზოგი ტყავი დაბლა ჩაუკვეთე, არა სჩანსო. მე დანით ჭრა დაუნყე ხორცს და თანა ვჭამდი, გემრიელი იყო და ძალიან სუქანი. დამეზიზლა, ისე სუქანი იყო და ერთი ნაჭერი პირიდან გადმოვადგე“.

სიზმრის ახსნას, არც ეფერე ვერდივით და არც ზიგმუნდ ფროიდივით, რასაკვირველია, არ ვაპირებ, მაგრამ ამ ჩანაწერის რამდენიმე დეტალმა უცნაურ დამთხვევებზე მიმანიშნა. სიზმარი თითქოს, იმავე წელს, სიზმრის ნახვიდან რამდენიმე თვეში, 1907 წლის 30 აგვისტოს წინამართან მომხდარი ილია ჭავჭავაძის მკვლელობის წინასწარი ხედვაა.

ვეშაპში შეიძლება ილია ვიგულისხმოთ. ილია ჭავჭავაძეს, ზურგს უკან, ქართველები ვეშაპს უწოდებდნენ. ამის დადასტურებად გამოდგება აკაკი წერეთლის 1896 წლის 6 დეკემბრის წერილი ივანე მაჩაბლისადმი: „მე ვამბობ იმაზე, რომ შეიძელი ვეშაპის, იმ სა-

ზიზმარი არსების, მორევა, რომელიც ქართველობას სამკეც რგოლად ჰქონდა შემოხვეული და, ზღაპრისა არ იყოს, კუდი კიდევ პირში ეჭირა (არ იფიქრო სხვებსავეთ შენც, რომ მე ილია მყავდეს მხედველობაში?...“ [აკაკი წერეთელი. საარქივო გამოცემა. ნიგნი მეორე. ლიტერატურის მუზეუმი, თბილისი, 2010 წელი, გვ. 220]

ის, რომ სიზმარში ვეშაპი უცბად თბილისში, ილია ჭავჭავაძის ეზოში აღმოჩნდება, საიდანაც ილია 30 აგვისტოს დილას გავიდა, თითქოსდა ამყარებს სიზმრის ასეთ ინტერპრეტაციას. იმავეს თქმა შეიძლება სიზმარში ნანახ არაგვზეც, რომლის ახლოსაც თბილისიდან საგურამოში მიმავალი ილია მოკლეს.

სიზმრის ის ფრაგმენტი, სადაც ვეშაპი ვაჟას ეუბნება: „კარგია, რომ მომკალით, მე ხომ არ მოვრჩებოდი, იმისთანა სატყვიარი მქონდაო“, გვახსენებს ილიას გვამის გაკვეთის დასკვნას. დუშეთის სამაზრო ექიმი აბელ იაშვილი 1907 წლის 31 აგვისტოს წერს: „გარდაცვლილ ილიას გული და ფილტვები ჯანმრთელი არ ჰქონდა. გულის კუნთი გადაგვარებულია ცხიმოვან ქსოვილად და მარცხენა პარკუჭის წინა კედელი გაფართოებულია ანევრიზმულად. [...] დიდი ხნის სიცოცხლე არ დარჩენოდა 70 წლის მსცოვან პოეტს. მისი ავადმყოფი გული განგმირულია მტრის ტყვიით. ამ გულს შეიძლება ეძგერა კიდევ რამდენიმე თვეს, ან წელიწადს“. [ვაზეთი თბილისი, 7.2.1987]

ილიას ჯანმრთელობის ასეთი მწვავე პრობლემების შესახებ ვაჟამ სიზმრის ნახვისას, რასაკვირველია, არაფერი იცოდა, მაგრამ თუ სიზმარს ასე შევხედავთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს არის ვაჟას ხილვა, ნახევარი წლის შემდეგ დატრიალებული ტრაგედისა.



VERONA

RISTORANTE-PIZZERIA



მისამართი: ნერეთლის გამზირი N77
ტელ.: +995 (32) 2 478 475; 579 794848
სამუშაო საათები: 11.00 – 23.00

WWW.PANETTERIA.GE



ოდენ კუთხეში, ნიბნით ხელში

ავტორი გიორგი ლობჯანიძე

რამ შეიძლება დღევანდელ ადამიანს ერთი ამოსუნთქვით წააკითხოს 839-გვერდიანი წიგნი? სამყაროს დაჩქარებული ტემპებისა თუ ადამიანთა ტოტალური მოუცლევლობის გამო ლიტერატურაში მცირე ფორმების ეპოქა დადგა და მწერლებს ურჩევნიათ თავიანთი ნააზრევები სხარტად, ლაკონურად მიაწოდონ აუდიტორიას.

უმბერტო ეკოს პირველი რომანი „ვარდის სახელი“ სწორედ ამის საპირისპიროს ამტკიცებს: დღეს შეიძლება ვეებერთელა რომანი ისე იკითხებოდეს, რომ კაცს ერთი ბენო მობეზრების განცდა არ გაუჩნდეს.

ეს სილალე საკითხის მხოლოდ ხილული მხარეა, აისბერგის დაფარული ნაწილი კი მწერლური პროფესიონალიზმია, რომელიც ამ – ყველა თვალსაზრისით – დიდი რომანის ქარგაში წარმატებით კრავს ბელეტრისტიკის მრავალ ჟანრსა თუ მიმართულებას.

ვილაცისთვის ეს მარჯვედ, კონან დოილის საუკეთესო ტრადიციებით დაწერილი დეტექტივია, ვილაცისთვის – საინტერესო ისტორიული რომანი, ხოლო

ვილაცისთვის, რა თქმა უნდა, სიღრმისეული გააზრებანია შუა საუკუნეებისა და თანამედროვე მსოფლმხედველობის სხვაობის, მწერლობის დანიშნულების, ლიტერატურისა და რელიგიის ურთიერთმიმართების საკითხებზე.

ყველა ეს პლასტი ისე ოსტატურად გადადის ერთმანეთში, რომ რომანი შეიძლება სიმფონიურ ორკესტრს შევადაროთ, რომელსაც დირიჟორობს გენიალური მუსიკოსი. უმბერტო ეკოს მწერლური სმენა მართლაც ვირტუოზულად არეგულირებს იმას, თუ სად რომელი ინსტრუმენტი ააჟღეროს, როგორ წაიყვანოს ძირითადი თემა და როგორ გამოკვეთოს ეს თემა რამდენიმე ტონალური ფონის მეშვეობით.

კითხვის პროცესის თანმხლები ხალისის შესახებ უმბერტო ეკო საგანგებოდ ლაპარაკობს ვრცელ ბოლოთქმაში, რომელიც ოდნავ მოგვიანებით, 1983 წელს დაწერა „ვარდის სახელისთვის“: „უნდა ვთქვათ, რომ ვართობის კონცეფცია ისტორიულია. რომანის, როგორც ჟანრის არსებობის თითოეულ ეტაპზე საკუთარი თავისა და სხვების ვართობის ბევრნაირი გზა გამოიყენებოდა. უდავოა, რომ თანამედროვე რომანი ცდილობს ნაკლებად გაართოს მკითხველი სიუჟეტით და სხვაგვარად გაახალისოს ის. მე, არისტოტელეს პოეტიკის დიდ თაყვანისმცემელს, ყოველთვის მიმაჩნდა, რომ ყველაფრის მიუხედავად, რომანში სიუჟეტიც სახალისო უნდა იყოს, ყველაზე მეტად – სწორედ სიუჟეტი“.

ამიტომაც ირჩევს ეკო დეტექტივის ფორმას წიგნისათვის, თუმცა როგორც თვითონ ამბობს, ბოლომდე აცურებს მკითხველს, რომელიც შეიძლება ვერც კი მიხვდეს, რომ ესაა დეტექტივი, სადაც ბევრი რამ არ მჟღავნდება და სადაც თავად გამომძიებელიც მარცხდება.

არტურ კონან დოილის რომანები შემთხვევით არ მიხსენებია, „ვარდის სახელის“ მთავარი გმირი – უილიამ ბასკერვილიც იმავე დედუქციურ მეთოდს იყენებს, რასაც ჰოლმსის დეტექტივთა გმირები. ლიტერატურის მცოდნეებს მხედველობიდან არც კონან დოილის ვატსონისა და უმბერტო ეკოს რომანის მთხრობელის – ადსოს სახელთა ფონეტიკური მსგავსება არ გამოჰპარვიათ.

ზოგადად, „ვარდის სახელი“ ალუზიების წიგნია, რომელიც თავის თავში ამთლიანებს თითქმის ყველა კულტურ-

როლოგიურ მიღწევას, რაც საკაცობრიო ცივილიზაციამ დღემდე მოიტანა. შემთხვევითი ხომ არც ის არის, რომ ამ დეტექტივის მოქმედების არეალი, სცენა, სადაც ადამიანური ყოფიერების მთელი ტრაგედიები თამაშდება, მონასტრის უძველესი ბიბლიოთეკაა, რომელსაც ლაბირინთის ფორმა აქვს და სადაც ჩვეულებრივი მოკვდავნი არ დაიშვებიან.

ეკო ყველა ამ სიმბოლოთი და ალუზიით, ყველა იდეით ისევე თამაშობს მთელი წიგნის მანძილზე, როგორც თვითონ სიუჟეტით. სიუჟეტი ისე მიჰყავს, რომ რომანში მომხდარი მკვლევლობები მკითხველს ხან რომელი და ხანაც რომელი პერსონაჟის ჩადენილი ჰგონია. ერთი და იმავე იდეასაც ისე განსხვავებული რაკურსით განიხილავს, რომ საბოლოოდ ამ იდეიდან აღარაფერი გრჩება. ამიტომაც იფერფლება ბიბლიოთეკა წიგნის ბოლოს და ამავე პარადიგმას უნდა უკავშირდებოდეს რომანის სახელწოდება „ვარდის სახელი“, რომელიც ეხმიანება რეალისტებისა და ნომინალისტების გახმაურებულ დისპუტს იმის თაობაზე, თუ რა რჩება ვარდის სახელიდან მას შემდეგ, რაც დაჭკნება ვარდი...

რომანში აღწერილი ამბავი ერთ კვირაში ვითარდება და ტექსტიც დღეების მიხედვით შვიდ ნაწილად არის გაყოფილი. ეს საკმაოდ ცხადი მინიშნებაა ბიბლიაზე, რომლის თანახმადაც ღმერთმა შვიდ დღეში შექმნა სამყარო; თუმცა აქვე უნდა იყოს კიდევ ერთ ნაწარმოებზე არაპირდაპირი მინიშნებაც – ჯოვანი ბოკაჩოს „დეკამერონზე“, რომელიც ზუსტად ასევე დღეების მიხედვით არის დაყოფილი და თუ ეკოს შვიდ დღეს, როცა ამბავი ხდება, იმ სამ დღესაც დავუმატებთ, რომელთა განმავლობაშიც ინვოდა მონასტერი, ზუსტად ათ დღეს, ანუ დეკამერონს მივიღებთ.

სტილური თვალსაზრისით, თხრობის სილალით, კოლიზიათა მოულოდნელობით „ვარდის სახელი“ სწორედ „დეკამერონს“ ჰგავს. მერე რა, თუ ბოკაჩოსთან ვნებას სხეული აღძრავს, ხოლო უმბერტო ეკოსთან წიგნი, ორივეგან ისე თავგანწირვით გადაეშვებიან ამ ვნებაში, რომ ამბები ქარიშხალივით თავბრუდამხვევად ვითარდება.

უმბერტო ეკოს „ვარდის სახელი“ იმ მცირერიცხოვან რომანებს მიეკუთვნება, სადაც საკუთრივ რომანული, სა-

სიყვარულო კოლიზიის წილი ძალზე მცირეა. თუ რამდენიმე ბერის ჰომოსექსუალურ გატაცებებზე მინიშნებას არ ჩავთვლით, „ვარდის სახელში“ ერთადერთხელ ჩნდება ქალი, რომელთან შემთხვევითი სასიყვარულო კავშირი მთხრობელისათვის ამქვეყნიურთან ურთიერთობის საგულისხმო გამოცდილებად იქცევა.

თუმცა აქ, როგორც ითქვა, ძირითადი ვნება მიმართულია წიგნისაკენ და სწორედ ეს განსაზღვრავს ნაწარმოების რომანულ ტონალობას. წიგნისათვის ხდება უამრავი მკვლევარობა, წიგნისათვის ებრძვიან და ექიშებიან ერთმანეთს და ბოლოს წიგნისათვის ინვის მთელი მონასტერი...

ეკოს ხშირად არ მოსწონდა თავისი ამ ნაწარმოების ესა თუ ის ინტერპრეტაცია და ამის გამო ინტერვიუებში უკმაყოფილებას არ მალავდა.

მწერალს არ მოეწონა რომანის ერთ-ერთი ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი ინტერპრეტაცია – ეკრანიზაცია, ფრანგი რეჟისორის ჟან ჟაკ ანოს ფილმი, სადაც უილიამ ბასკერვილელის როლს შონ კონერი, ხოლო ადსოს როლს კრისტინ სლეიტერი თამაშობდა.

ფილმმა უამრავი კინემატოგრაფიული ჯილდო მოიპოვა, უმბერტო ეკოს კი იმდენად არ მოეწონა თავის ნაწარმოების ეკრანიზაცია, რომ საკუთარი წიგნების ფილმად გადაღების ნება აღარავისთვის მიუცია. მან უარი უთხრა თვით სტენლი კუბრიკსაც, თუმცა შემდგომ ერთ-ერთ ინტერვიუში აღიარა, რომ ინანა ეს ნაბიჯი.

თუ შევთანხმდებით, რომ წიგნის თარგმანიც მისი ერთ-ერთი ინტერპრეტაციაა, მაშინ უმბერტო ეკოს – ამ კაპრიზული მწერლის – სხვა ენაზე გადმოტანა ძნელი და გარკვეულწილად უმადური საქმიანობაა. ყოველ შემთხვევაში ძნელი სათქმელია რა რეაქცია ექნებოდა მას, თავისი „ვარდის სახელი“ რომ ქართულად წაეკითხა.

„ვარდის სახელის“ ქართული თარგმანი გამოცემლობა დიოგენემ რამდენიმე თვის წინათ დასტამბა. წიგნი იტალიურიდან თარგმნა ლიტერატურულ წრეებში აღიარებულმა მთარგმნელმა ხათუნა ცხადაძემ. უმბერტო ეკოს წიგნზე მუშაობა საკმაოდ რისკიანი საქმე იყო, რადგან ასეთ წიგნებზე სამუშაოდ საკმარისი არ არის მხოლოდ დედნის ენის

ბრწყინვალე ცოდნა, ან თუნდაც მშობლიური ენის სალიტერატურო ტრადიციის საუცხოო ფლობა. კონკრეტულად „ვარდის სახელისათვის“ მთარგმნელმა საჭიროა ისევე ან თითქმის ისევე იცოდეს წიგნის მთელი კულტუროლოგიური კონტექსტი, როგორც მწერალმა.

ეს კი ურთულესი ამოცანაა. ეკო – ბოლონის უნივერსიტეტის სემიოტიკის პროფესორი – შუა საუკუნეების აღიარებული მკვლევარი სპეციალისტია. „ვარდის სახელი“ კი ასეთი ბრწყინვალე ნაწარმოები იმიტომაც გამოვიდა, რომ მწერლური ნიჭიერების გარდა, ეს დიდი ცოდნით დაწერილი რომანია.

მხოლოდ კონტექსტზე მუშაობამ შეიძლება წაიღოს მთარგმნელის შრომის რამდენიმე წელიწადი. ხოლო როცა საქმე უკვე ტექსტზე მიდგება, აქ ნიჭსა და გემოვნებასთან ერთად სტილური ნიუანსების სწორად გადანაწილების იშვიათი უნარიც უნდა ჩაერთოს.

უმბერტო ეკოს ეს დიდტანიანი რომანი სტილისტურად ისეა აგებული, რომ უამრავ ნიუანსს, უწვრილესი დეტალებით შექმნილ ჭრელზე ჭრელ ენობრივ მოზაიკას აერთიანებს. ამ პოლიფონიის უცხო ენაზე გადმოტანა ურთულესი საქმეა და თუ ეს საქმე სანახევროდ მაინც გაკეთდა, თარგმანი უკვე იმ ენისა და კულტურის დიდ ენობრივ გამოცდილებად იქცევა, რა ენაზედაც ითარგმნება.

მაგალითად უკვე ნახსენები ჯოვანი ბოკაჩოს „დეკამერონიც“ შეიძლება მოვიყვანოთ. თედო სახოკიას თარგმანი ისევეა ქართული ლიტერატურის დიდ-მნიშვნელოვანი ფაქტი, როგორც იმავე ეპოქის რომელიმე ღირებული ორიგინალური თხზულება.

და თუ საქმე ტრადიციაზე მიდგება, იტალიური ლიტერატურის თარგმანის ტრადიციაც სწორედ დეკამერონმა განსაზღვრა. უფრო ზუსტად, თედო სახოკიამ ისე მაღლა ასწია პროფესიული მაზანდა, რომ საერთო დონე ამ ენიდან თარგმანისა ქვემოთ უკვე აღარ უნდა დაეშვა.

სამწუხაროდ, იტალიურად ვერ ვკითხულობ, მაგრამ „ვარდის სახელი“ რამდენიმე ენაზე წამიკითხავს და შემიძლია ვთქვა, რომ ენობრივი თამაშის ის ეფექტი, რაც ზოგადად ვიცი, რომ ეკოს სტილს ახასიათებს, მხოლოდ ქართულ თარგმანში შევიგრძენი.

ხათუნა ცხადაძე ისე ლაღად გრძნობს

თავს ამ სივრცეში, რომ მკითხველსაც ძალაუნებურად აიყოლიებს და თავის ნებაზე ატრიალებს. მე რომ ეკო ვიყო და ჩემს წიგნს ქართულად ვკითხულობდი, მომეწონებოდა მთარგმნელის უნარი – საუცხოოდ შეიგრძნოს ტექსტის რიტმი და ის წიგნში გადმოცემულ ამბებსა და კოლიზიებს სწორად ააყოლოს. ზოგჯერ მდორედ, დინჯად წაიყვანოს. ზოგჯერ კი ააჩქაროს და ამით სასურველ ემოციურ ეფექტს მიაღწიოს.

რიტმის მართვის ეს ნიჭი განსაკუთრებით კარგად ჩანს წიგნის რამდენიმე ცენტრალურ ეპიზოდში, მათ შორის, ადსოს სექსუალურ-სასიყვარულო გამოცდილების ანდა ბიბლიოთეკაში გაჩენილი ხანძრის აღწერისას.

მე რომ ეკო ვიყო, აუცილებლად მომეწონებოდა ის, თუ როგორ აქართულებს ჩემი მთარგმნელი ყველაზე ძნელ ტექნიკურ ტერმინოლოგიას, რასაც შუასაუკუნეების სამონასტრო სპეციფიკის აღსაწერად ანდა რთული თეოლოგიური დებატების გადმოსაცემად გამოვიყენებ.

მომეწონებოდა ის, რომ ხათუნა ცხადაძე არაჩვეულებრივად გრძნობს ტექსტის პოეტიკას და ამას თავის თარგმანში სავსებით ადეკვატურად გადმოსცემს.

ამ ფონზე, მე რომ ეკო ვიყო, ოდნავ გამაკვირვებდა ის რამდენიმე ტავტოლოგია, რაც ალაგ-ალაგ წიგნის მანძილზე და განსაკუთრებით მის პირველ გვერდებზე გვხვდება. ყურში მომხვდებოდა რამდენიმე გრამატიკული შეცდომა და სტილისტური აღრევა ზმნის მართვა-შეთანხმებისას.

და ბოლოს, მე რომ ეკო ვიყო და „ვარდის სახელი“ ქართულად წამეკითხა, ვისურვებდი ხათუნა ცხადაძესვე ეთარგმნა ჩემი ექვსი რომანიდან, ანუ დარჩენილი ხუთიდან კიდევ რამდენიმე, „წინა დღის კუნძული“ ან „ფუკოს ქანქარა“ მაინც.

თუ სწორია ის თეზა, რომ ვარდის დაჭკნობის შემდეგ, მხოლოდ მისი სახელი რჩება, მგონია, რომ „ვარდის სახელი“ მართლაც დარჩება, როგორც ქართული თარგმანის შესანიშნავი ფაქტი...

ამ რომანის ქართული თარგმანის კითხვისას მართლა დავიჯერე თომას კემპელის ფრაზა, რომელსაც ეკო რომანის შესავალში იმონებებს: „სად არ ვეძიე სიმშვიდე და ვპოვე იგი ოდენ კუთხეში, წიგნით ხელში...“



„ობოლე“ – შორიდან მოყოლილი ახავი

ავტორი ნინო ტყეფნაძე

ალბათ, ლონდონის ნისლიანი ამინდის ბრალია, რომ აკა მორჩილადის ახალი რომანი „ობოლე“ ძალიან სევდიანი გამოვიდა. ისიც შეიძლება, რომ წიგნი მხოლოდ მე მომეჩვენა სევდიანად, რადგან მეც, მთავარი გმირისა არ იყოს, თბილისისგან მოშორებით მაქვს ძველი სახლი, რომელსაც ხის ჭიებისგან შეჭმული იატაკი და ჭრიალა ჭიშკარი აქვს. ეს არის ადგილი, რომელიც ხანდახან, განსაკუთრებით კი თბილ ამინდებში, მტკივნეულად მენატრება ხოლმე.

თქვენც ხომ გიგრძნიათ მსგავსი რამ? აი, იმ შეგრძნებაზე ვსაუბრობ, უცებ ქალაქი, რომელსაც ხუთი თითივით იცნობ, ძალიან უცხოდ რომ გეჩვენება და აუტანლად გინდება სადმე გაქცევა... წრიალებ, წრიალებ. ქალაქის ქუჩები ბევრჯერ ნაკითხული ტექსტით მოსაბეზრებელი ხდება. რუტინა. მტვერი. რუტინა. თუ ეს არ გამოგიცდიათ, პრინციპში, რთული ასახსნელია.

აკას წიგნშიც ყველაფერი თბილისისგან გაქცევით იწყება. ოღონდ, ეს რომ ქალაქიდან გაქცევა და არა უბრალოდ

ნასვლა, მოგვიანებით ირკვევა. რომანის მთავარ გმირს, ირაკლის, ერთ დილასაც მობილურზე მესიჯი ხვდება სანტა ბარბარაში მყოფი ძმისგან: „სახურავი ჩამოტყდა. ვარლამიმ მომწერა. რა ვქნათ?“. ეს არის და, ამბავი თბილისიდან პატარა დაბაში ინაცვლებს, რომელიც სულ ხელის განვდენაზეა ქვემო სვანეთიდან და ორსაათნახევრის მანქანის სავალზე ქუთაისიდან. ირაკლიმაც და მკითხველმაც კარგად იციან, რომ სახურავის საქმის მოგვარება თბილისიდან გაუსვლელადაც შეიძლებოდა, მაგრამ ეგრე ხომ გაქცევა აღარ გამოვიდოდა, ეგრე ხომ საერთოდ არაფერი გამოვიდოდა.

რიკოთზე გადასვლის შემდეგ თხრობა ერთდროულად ორი მიმართულებით იწყებს განვითარებას. ერთი მხრივ, „მშობლიურ“ სახლში დაბრუნებით გამოწვეული შთაბეჭდილებებია გადმოსაცემი, მეორე მხრივ კი ის მდიდარი ისტორია, რომლის გარეშეც სახლი უბრალოდ სახლია და მასში მცხოვრები ადამიანები – უბრალოდ ადამიანები. აკა მორჩილადე ამ ამოცანას ჩვეულად, მარტივად ათმევს თავს (როდის იყო, რამის მოყოლა უჭირდა) ოღონდ დროდადრო თავს მაინც იმართლებს, შორიდან უნდა მოვყვე ყველაფერი, თორემ სხვანაირად ვერაფერს გაგაგებინებთო. ეს „ყველაფერი“ კიდევ იმდენია, რომ თავისუფლად ეყოფოდა ერთ რომანს და რამდენიმე მოთხრობას. სხვანაირად ვერც იქნება. მკითხველის თვალწინ ცოცხლდება ისტორია მეჩვიდმეტე საუკუნიდან დღემდე. ოღონდ „გაცოცხლების“ პროცესი სულაც არაა ისეთი მოსაწყენი, როგორც ისტორიის გაკვეთილებზეა ხოლმე. ამის მიზეზი მწერლის დახვეწილ ენასთან ერთად ისიცაა, რომ ყველა ამბავი მჭიდროდ უკავშირდება რომანის კიდევ ერთ მთავარ გმირს – ობოლეს.

ობოლე ძველი თოფია. თხელი და სადაფებით განწყობილი კაჟიანი თოფი, რომელსაც თავისი ლულასავით გრძელი ბიოგრაფია აქვს, თუმცა მას, გამორჩეულ იარაღად – წარსული კი არა, მის მიმართ რომანის გმირების დამოკიდებულება აქცევს:

„ბიძაჩემი საქათმის უკან იჯდა, ალბათ, ყველაზე გრილ ადგილას. გვერდით ნავითი სავსე ბოთლი მოედგა და რალაც საშინელი ტილოებით წმენდდა ამ მოულოდნელ, გაუგონარ საგანს.

...

ბიძაჩემმა ბრაზიანი შემოკითხვა იცოდა:

– რა იყო?

– ვისია? – ვკითხე მე მთელი სიმაჟაცით.

– არავისი. ობოლია და მე ვუფლი“.

ობოლე რომ ძალიან მნიშვნელოვანია, ამის მიხედვით წიგნში მისი პირველი გამოჩენისთანავე შეიძლება, თუმცა ის მაინც „მკვდარი“, კარადაში გადამაღული თოფია, სანამ მთავარი გმირი არ აამოქმედებს: არ გამოიღებს, ჩაიხუტებს და დაისიზმრებს. მწერალმაც იცის, რომ თოფისგან მკითხველი მუდამ გასროლას ელოდება, მაგრამ ობოლემ არ უნდა გაისროლოს. ეს არის იარაღი, რომელმაც თავისი დუმილით ყველა ძველი გასროლა უნდა გამოისყიდოს – თოფი, რომელიც თოფზე მეტად ადამიანს ჰგავს.

ობოლესთან შეხება, მოგონებების გამოხმობა წიგნის მთავარ გმირს საგრძნობლად ცვლის და ყველაზე საინტერესო სწორედ ამ ცვლილებებზე დაკვირვებაა. ვინ იცის, რა იქნებოდა, სახურავი რომ არ ჩამონგრეულიყო.

ზემოთ ვთქვი, წიგნი თბილისიდან გაქცევით იწყება-მეთქი და ჩემი აზრით, ეს ფაქტორი სხვა მხრივაც მნიშვნელოვანია. მეც ბევრჯერ დამინუნუნია, ქართული ლიტერატურა ქართული კი არა, თბილისურია-მეთქი. თითქოს, თანამედროვე ქართული მოთხრობები და რომანები ვილაცამ თბილისში გამოკეტა. ჰოდა, „ობოლე“ გამონაკლისია. მისი გმირები ის ქართველები არიან, რომელთა არსებობაც წერისას ხშირად გვაგინებდა ხოლმე (ხაჭაპურის მცხოვრები ქალები და მარანში ქვევრის მომხდელი კაცები, პირობითად – არათბილისელები), არადა, მათგან მშვენიერი პერსონაჟების შექმნა შესაძლებელი. მოკლედ, „ობოლე“ არათბილისური რომანია, შორს მიმავალი ფესვებითა და ნოსტალგიით ჩვენი ბაბუების და ბებიების სახლებზე. საქართველო კი, აკას სიტყვებით რომ ვთქვათ, მეტი არც არაფერია, თუ არა ბაბუაშენის მამა.

საინტერესო თხრობა, დახვეწილი ენა, პერსონაჟების სხარტი მეტყველება – ეს ყველაფერი „ობოლეს“ ძალიან კარგ რომანად აქცევს. ჰოდა, კიდევ, წიგნს შთამბეჭდავი დასასრული აქვს, რომელზეც, რა თქმა უნდა, შემძლო მესაუბრა, თუმცა სწორად არ მივიჩნე. არ სჯობს, თავად წაკითხოთ?!

დემოკრატიული ღირებულებები
ქართულ მწერლობასა
და ზეპირსიტყვიერებაში
ანთოლოგია



ანთოლოგია მომზადებულია ფონდ „ლია საზოგადოება-საქართველოს“ მხარდაჭერით
კლდე ჩატარებულია შიდა რწითელის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის
შეწყობის დახმარებით

„დემოკრატიული ღირებულებები ქართულ მწერლობასა და ზეპირსიტყვიერებაში“ ანთოლოგია

ავტორი ნათია გულიაშვილი

„მივირს, გულში რათ ჩაგეჭრათ,
კაცთ ქალების მეშურნობა?
როგორც ნივთი დაგიაპყრიათ,
და არა გაქვთ ჩვენი ნდობა.
სულ გვძრახავთ და სულ გვაძაგებთ,
არც ჭკუა აქვთ, არც გრძნობაო,
რა ესმით, რას გააგონებთ,
რომ არა აქვთ გონებაო.“
(„კაცებს“ – ბარბარე ჯორჯაძე)

მეცხრამეტე საუკუნეში დაწერილი, ერთ-ერთი პირველი ქართველი ფემინისტის, ბარბარე ჯორჯაძის ეს ლექსი არა პირველი, თუმცა იშვიათი ნიმუშია, რომელიც ქართულ მწერლობაში გენდერული თანასწორობის თემას ეხება. ლიტერატურის ინსტიტუტმა, რომელიც „ლია საზოგადოება-საქართველოს“ მხარდაჭერით, ნახევარი წლის განმავლობაში ქართულ ფოლკლორსა და კლასიკურ ლიტერატურულ ნაწარმოებებში დემოკრატიულ ღირებულებებს იკვლევდა, შედეგი ანთოლოგიის სახით გამოცდა.

კრებულში შესული ტექსტების დიდი ნაწილი სკოლის ან უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამაშია, თუმცა ანთოლოგიის

მიზანი ამჯერად ისაა, რომ ყველასათვის ნაცნობი ნაწარმოებების საშუალებით, მკითხველმა საკუთარ კულტურაში, პირველწყაროებში ეძებოს თანამედროვე დემოკრატიულ ღირებულებათა ანარეკლები.

ძველ ქართულ ფოლკლორში, ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურასა, თუ შუა საუკუნეების მონარქიული პერიოდის მასალებში ღირებულებების კვლევას დემოკრატიის თანამედროვე გაგებით ვერ მივუდგებით. მიზეზი მარტივია, ხალხური ლექსის, „წუთისოფელის“ ეს სიტყვები – „ყველა ადამის შვილი ვართ, თათარიც ჩვენი ძმა არი“ – იმაზე დიდი ხნით ადრე დაიწერა, ვიდრე ტერმინები: „ტოლერანტობა“, „ლიბერალიზმი“, „დემოკრატია“ გაჩნდებოდა. თუმცა, ანთოლოგიაში შესული ზეპირსიტყვიერების ნიმუშები სწორედ იმითაა საინტერესო, რომ მათში უკვე ვხვდებით იმ უნივერსალურ კომპონენტებს – იქნება ეს ეთნიკური, რელიგიური თუ გენდერული თანასწორობა, პიროვნული თავისუფლების ხელშეუხებლობის თუ მორალური არჩევნის პატივისცემის იდეები, რომლებსაც დღეს თანამედროვე დემოკრატიის ცნება მოიცავს. განსაკუთრებით საინტერესოა ხალხის და მონარქის დამოკიდებულების, და ქვეყნის მართვის პასუხისმგებლობის თემა, რასაც ანთოლოგიაში ერეკლე II-ს შესახებ ხალხური ლექსების, ასევე სულხან-საბას „სიბრძნე-სიცრუისა“ სახით ვხვდებით.

მეცხრამეტე საუკუნის ლიტერატურა, ამ მხრივ ყველაზე მდიდარ მასალას იძლევა და კრებულშიც შესაბამისი მოცულობითაა წარმოდგენილი – დიმიტრი ყიფიანის, ბარბარე ჯორჯაძის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ნიკო ნიკოლაძის, ეკატერინე გაბაშვილის და სხვათა საეტაპო წერილების სახით.

მე-20 საუკუნის დასაწყისის ლიტერატურიდან კი, ანთოლოგიაში არჩილ ჯორჯაძის, მიხეილ ჯავახიშვილის და ნიკო ლორთქიფანიძის ტექსტები შევიდა.

ანთოლოგიის გავრცელების არეალი კვლევითი ცენტრები და სასწავლო დაწესებულებები იქნება, რაც ლიტერატურის მკვლევრებს, ისევე როგორც, სასწავლო პროცესში ჩართულ მოსწავლეებს, სტუდენტებს თუ მასწავლებლებს, საშუალებას მისცემს, საკუთარი კულტურის ნიაღში ეძებონ და გააცნობიერონ იმ ღირებულებათა ჩანასახები, რომლებიც თანამედროვე დემოკრატიის საფუძველია.

„სარჩული და პირი“

ესეების კრებული

ალბერ კამიუ

მთარგმნელი გიორგი ეკიზაშვილი

გამომცემლობა „აგორა“

ფასი 5,50 ლარი

საკუთარი თავის ძიებაში მყოფი, 22 წლის მწერლის პირველი ნაბიჯები ლიტერატურაში. ესეების კრებული „სარჩული და პირი“ კამიუს მსოფლალქმის ორი მხარის წარმომჩენია, რომელთაგან ერთი ჰოლსტერია, მეორე კი არა-სი.

„ოქრო“. „რომი“.

ორი რომანი

ბლენ სანდრარი

მთარგმნელი გურანდა დათაშვილი

გამომცემლობა „აგორა“

ფასი 5,50 ლარი

შვეიცარიელი ფრანგულენოვანი მწერლის, პოეტის, თავგადასავლების მაძიებლის, თავისუფლებაზე უზომოდ შეყვარებული ადამიანის რეალურ ფაქტებზე დაყრდნობილი რომანების პირველი თარგმანი ქართულ ენაზე.



შემილის მისამლერი

რომანი

ჟან-მარი გუსტავ ლე კლეზიო

მთარგმნელი ია ბერსენაძე

გამომცემლობა „აგორა“

ფასი 6,60 ლარი

პოლიტიკური რომანი, რომელშიც აღწერილია მეოცე საუკუნის 30-იანი წლების კოლაბორაციონისტულ პოზიციაზე მდგარი ფრანგული ბურჟუაზიული საზოგადოება. ეს იყო ომი, რომელსაც ომიც კი არ ერქვა, ასეთია ნაწარმოების პოლიტიკური გზავნილი. „ეს იყო შეცდომა და სირცხვილი“, – ამბობენ რომანის გმირები.



მკვდარი სახლის ჩანაწერები

თეოდორ დოსტოევსკი
მთარგმნელი თინათინ დიდებულიძე
გამომცემლობა „ელფი“
ფასი 15 ლარი

ფიოდორ დოსტოევსკიმ ციმბირში, ომსკის საპყრობილეში ოთხი წლის განმავლობაში ნანახს, განცდილს და გადატანილს თავი მოუყარა და „მკვდარი სახლის ჩანაწერებად“ აკინდა. ის, სისხლის სამართლის დამნაშავეს, ალექსანდრ პეტრეს ძე გორიანჩიკოვის პირით, პატიმრების ყოველდღიური ცხოვრების ისტორიას შეუღამაზებლად, უბრალოდ და გულწრფელად გადმოგვცემს.

პორტუგალიის იმპერატორი რომანი

სელმა ლაგერლეფი
მთარგმნელი ნატო კვარაცხელია.
გამომცემლობა „ზებრა“
ფასი 8,4 ლარი

ცნობილი შვედი მწერლის, ნობელის პრემიის პირველი ქალი ლაურეატის (1909წ) რომანი „პორტუგალიის იმპერატორი“ პირველად 1941 წელს გამოიცა. ეს არის სეველიანი ამბავი მამა-შვილის – ვერმლანდელი გლეხის და მისი ვაჟის ურთიერთობაზე, იმედგაცრუებასა და რწმენაზე. რომანი შეგვახსენებს, რომ სიყვარულს დიდი ძალა აქვს.


„მელა-ტულეფია Fox-Trot“

ზურაბ ქარუმიძე
გამომცემლობა „სიესტა“
ფასი 12 ლარი

საბჭოთა კავშირში კონცესიების შესაძენად ჩამოსული ამერიკელი ბიზნესმენი და მისი ცოლი სვანეთში აღმოჩნდებიან. ქართული სახელოვნებო მოდერნიზმი ჯერაც ცნობილია. ლავრენტი ბერია ინიშნება მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსად. ოკულისტები ეძებენ შამბალას.

გადაფრენა მადათოვზე და უკან

აკა მორჩილაძე
გამომცემლობა „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“
ფასი 7,90 ლარი
„მადათოვის ტრილოგიის“ პირველი წიგნი. დეტექტიური სიუჟეტი XIX საუკუნის თბილისში ვითარდება. მადათოვის კუნძულზე ნაპოვნია მამათმავალი მხატვრის, ხაფოს გვამი, რომლის მკვლელობის გამოძიებასაც მრავალი დაფარული საქმის კვალამდე მიყვავართ.



გოგონა დრაკონის ტატუთი

სტიგ ლარსონი
მთარგმნელი ნიკა სამუშია
გამომცემლობა „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“
ფასი 10.9 ლარი

შვედეთის ერთ-ერთ კუნძულზე 40 წლის წინ მოხდა მკვლელობა, რომლის გამოძიებასაც უკვე 82 წლის ჰენრიკ ვანგერმა ნახევარი სიცოცხლე შეაღწია. მას სიბერეშიც ერთადერთი სურვილი აქვს: გაიგოს, ვინ მოკლა მისი საყვარელი ძმის შვილიშვილი. ჰენრიკ ვანგერი საქმის გამოსაძიებლად ახალგაზრდა ჟურნალისტს ქირაობს. გამოძიებაში ასევე მონაწილეობს საზოგადოებაში გონებაშეზღუდულად გამოცხადებული გოგონა დრაკონის ტატუთი. ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული ამ სამი ადამიანის მიერ წარმოებული გამოძიება, რომელიც ფოტოებით, საარქივო მასალებში ქექვით და ადგილობრივთა მოგონებებზე დაყრდნობით მიმდინარეობს, მკითხველისთვის წარმოუდგენელი შედეგით სრულდება.

„უმანკოების მუზეუმი“

რომანი
ორჰან ფამუქი, მთარგმნელი ეკატერინე ახვლედიანი
გამომცემლობა „დიოგენე“

ფასი: 25.50 ლ.

„უმანკოების მუზეუმი“ ერთი ადამიანის თავგადასავალია, რომელმაც შექმნა სიყვარულის მუზეუმი. წიგნში აღწერილია სტამბულის მდიდარი ოჯახის წარმომადგენლის, ქემალისა და მისი შორეული ღარიბი ნათესავის, ფუსუნის სიყვარულის ისტორია. ნაწარმოების სიუჟეტი 1970-1980-იან წლებში ვითარდება.



„ნოტრ-დამ-დე-ფლერი“

ჟან ფენე, მთარგმნელი გიორგი კახაბერი.
გამომცემლობა „დიოგენე“
გამოცემის წელი 2010
ფასი 12.9 ლარი

„ნოტრ-დამ-დე-ფლერი“ (ყვავილების ღვთისმშობელი) ფრანგი მწერლის სადებიუტო რომანია. ავტობიოგრაფიული წიგნი საპყრობილეში, მორიგი სასჯელის მოხდისას დაიწერა. პერსონაჟების უმრავლესობას რეალური პროტოტიპი ჰყავს. პირველ პირში დანერგილი რომანი უსიუჟეტოა და 16 წლის მოზარდის თვალთ დახახული პარიზელი კრიმინალებისა და ჰომოსექსუალების ცხოვრებას აღწერს.

„ვაჟა-ფშაველა“

მიხო მოსულიშვილი
გამომცემლობა „პეგასი“
ფასი 12 ლარი

ხალასი, ფერადოვანი, ფშაურ კილო-კავნარევი ენით მოთხრობილი ვაჟა-ფშაველას ცხოვრება – დიდი მწერლის სამყაროში შეღწევის კიდევ ერთი წარმატებული მცდელობა.

„ოთართან ერთად“

თამაზ ჭილაძე
გამომცემლობა „პეგასი“
ფასი 12 ლარი
ოთარ ჭილაძე, ისეთი როგორც იყო სინამდვილეში. საზოგადოებისთვის დღემდე უცნობი და საინტერესო ფაქტები ბიოგრაფიულ რომანში „ოთართან ერთად“



www.radiokalaki.ge



ჩაქვიურეთ, მიიღეთ მონაწილეობა

RADIOKALAKI.GE-ს გაშოქითხვებში

მოგვეჩეთ თქვენი მოსაზრებები და რჩევები
მისამართზე

INFO@RADIOKALAKI.GE

აღმოაჩინე განახლებული ბათუმი

- ოთახები ზღვის ხედებით
- საკონფერენციო დარბაზები
- ანე სიმონეს სპა და ფიტნეს ცენტრი
- ღია და დახურული აუზი
- ბარ-რესტორნები
- უფასო ინტერნეტი

სასტუმრო რადისონ ბლუ, ბათუმი

ნინოშვილის ქ. 1, ბათუმი 6000, საქართველო

ტელ: +995 422 255 555, ფაქსი: +995 422 228 888

info.batumi@radissonblu.com

radissonblu.com/hotel-batumi

Radisson **BLU**
HOTEL, BATUMI